გაჩეჩილაძეთა საგვარეულო

(გაჩეჩილაძეები, ჯაჭვაძეები, წეველიძეები)

კრებული შეადგინა, შესავალი წერილი და გამოკვლევები დაურთო,
რედაქტირება გაუკეთა და გამოსცა **ეკატერინე გაჩეჩილაძემ**

თბილისი 2005

დიდ მადლობას ვუხდით ჩვენი “საგვარეულო დარბაზის” ყველა წევრს, მათ ახლობლებს, და ყველა ადამიანს, ვინც დაგვეხმარა ამ კრებულისათვის მასალის შეკრებაში.

განსაკუთრებული მადლიერებით აღვნიშნავთ ბატონი გოჩა არონიშიძის* და მისი ოჯახის წევრების მნიშვნელოვან წვლილს კრებულისათვის მასალის მომზადებაში.

“საგვარეულო დარბაზის” საქმიანობაში თითოეული ადამიანის წვლილი აღნიშნულია კრებულში წარმოდგენილ სტატიებში, სქემებსა და შენიშვნებში.

წიგნის შემდგენელ-რედაქტორი

“ამ გვარში დიდი მადლი ტრიალებს”

“ღმერთმა მოგვცეს ძალა სიკეთის ქმნისა. ღმერთმა ინებოს, რომ ბოროტება არცერთმა ჩვენთაგანმა არ სთესოს, შორს იყოს იგი ჩვენგან და საქართველოსგან. მხოლოდ სიკეთე, მშვიდობა და სიყვარული სუფევდეს ჩვენს გულებსა და მთელს ქვეყანაში.

სიკეთის ქმნისკენ მინდა მოვუწოდო გაჩეჩილაძეების გვარს, რომლებიც დღეს ჩვენთან დასალოცად მობრძანდნენ. როგორც თქვენ იცით, ეს გვარი უძველესია. მათ ბევრი თვალსაჩინო და დიდი ადამიანი ჰყოლიათ და ამჟამადაც ჰყავთ, მათ შორის სასულიერო პირები, მეცნიერები და სხვა. ეს იმას ნიშნავს, რომ დიდი მადლი ტრიალებს ამ გვარში. დღეს მინდა კიდევ ერთხელ შევახსენო მათ, რომ გაჩეჩილაძეების სალოცავი არის წმიდა გიორგის სასწაულთმოქმედი ტაძარი, ხოლო როგორც მოგეხსენებათ, წმიდა გიორგი გახლავთ მებრძოლი ბოროტების წინააღმდეგ და სიმბოლო სულიერი გამარჯვებისა.

წმიდა გიორგის ლოცვით, ღმერთმა დალოცოს თქვენი გვარი, თქვენი შვილები.

წმიდა გიორგის ლოცვით, ღმერთმა გაგამრავლოთ და მოგცეთ სიკეთის თესვის სურვილი.

წმიდა გიორგი იყოს გაჩეჩილაძეების გვარის მფარველი.

ჩვენთან არს ღმერთი!”

სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი,
უწმიდესი და უნეტარესი ილია II.

თბილისი, 2002 წლის 10 მარტი, სიონის საკათედრო ტაძარი.

წევის წმ. გიორგის ეკლესიის ჩრდილოეთის შესასვლელის გაფორმება

წევის წმ. გიორგის ეკლესიის ჩრდილოეთის მხარე

შემდგენელ – რედაქტორისაგან

გაჩეჩილაძეთა საგვარეულო საერთო წინაპრის შთამომავალ სამ გვარს მოიცავს: **გაჩეჩილაძეებს, ჯაჭვაძეებს და წეველიძეებს.**

2001 წლის 10 დეკემბერს, "საქართველოს გვარიშვილობის კავშირისა" და **ჟურნალისტ თენგიზ გაჩეჩილაძის*** თაოსნობით **და ქორეოგრაფ თენგიზ გაჩეჩილაძის*** ხელშეწყობით, ჩატარდა საგვარეულოს პირველი ყრილობა და, სამეჯლისო სპორტული ცეკვების სტუდია "თელას" ბაზაზე, შეიქმნა ე. წ. "საგვარეულო დარბაზი", რომლის მიზანია საგვარეულოს შეკავშირება, ზრუნვა დადებითი ეროვნული და საგვარეულო ტრადიციების შენარჩუნებისა და განვითარებისათვის, გაჩეჩილაძეთა "ბუდე სოფელ" წევის აღორძინებისათვის, საგვარეულო სალოცავში, წევის წმინდა გიორგის ეკლესიაში, წირვა-ლოცვის აღდგენისათვის და სხვ....

"საგვარეულო დარბაზის" საქმიანობის ერთ-ერთი უპირველესი სფერო გახდა ჩვენი საგვარეულოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის და მასთან დაკავშირებული სულიერი და მატერიალური კულტურის ძეგლების კვლევა, ქვეყნის აღმშენებლობასა და დაცვაში გაჩეჩილაძეთა, ჯაჭვაძეთა და წეველიძეთა მიერ შეტანილი წვლილის გარკვევა. ამ საქმიანობის ხელმძღვანელობა, საკუთარი ინიციატივით, ჩვენ ვითავეთ. წინამდებარე კრებული "საგვარეულო დარბაზის" მიერ ამ მიმართულებით სამი წლის განმავლობაში გაწეული შრომის შედეგია.

ზემოხსენებული საკითხების კვლევა შრომატევადი, სისტემატურად საწარმოებელი პროცესია და მრავალი ადამიანის ძალისხმევას მოითხოვს. სამ წელიწადში, რა თქმა უნდა, ვერ შევძელით საგვარეულოს ისტორიის სათანადო სიცხადით გაშუქება, მაგრამ, რადგან აუცილებლად მიგვაჩნია კვლევაში ჩვენი საგვარეულო "ჯაჭვის" მომდევნო "რგოლების" ჩაბმა, დავეშურეთ მოპოვებული ინფორმაციის გამოქვეყნებას, იმ იმედით, რომ ჩვენი მუშაობის გაცნობა გაზრდის ჩვენი მოგვარეების ინტერესს აღნიშნული საკითხებისადმი, ხელს შეუწყობს მათ გაერთიანებას, მოიზიდავს კვლევის გაგრძელების მსურველებს, "გამოიხმობს" შენიშვნებს, რაც დაეხმარებათ მკვლევარებს შემდგომი საქმიანობის უფრო სწორად და ეფექტურად წარმართვაში.

გარდა ისტორიული ხასიათის ოთხი სტატიისა, წიგნი შეიცავს ბოლო ორნახევარი საუკუნის განმავლობაში გაჩეჩილაძეების საგვარეულოს მეტ-ნაკლებად თვალსაჩინო წარმომადგენელთა ერთი ნაწილის (160 ადამიანი) და, საგვარეულოს წინაშე სათანადო დამსახურების მქონე, მათი რამდენიმე უახლოესი ნათესავის ბიოგრაფიულ მონაცემებს. მათ შორის არიან სხვადასხვა ეპოქისა და სოციალური ფენის წარმომადგენელი, განსხვავებული იდეოლოგიური მრწამსის მქონე ადამიანები. საგვარეულო წიგნში შესატან პირთა შესარჩევ კრიტერიუმად ჩვენს მოგვარეებს შევთავაზეთ პიროვნების გამორჩეულობა რაიმე დადებითი ნიშნით (პროფესიაში წარმატებულობით, საზოგადოებრივი აქტიურობით, პიროვნული ღირსებებით). ჩვენ ვენდეთ ჩვენი მოგვარეების არჩევანს... დაე, მკითხველმა განსაჯოს როგორც ჩვენს მიერ შეთავაზებული კრიტერიუმის, ისე ჩვენი მოგვარეების მიერ გაკეთებული არჩევანის სისწორე (ბიოგრაფიული მონაცემების გადამოწმება ჩვენ არ გვიცდია, - გარდა ცალკეული

შემთხვევებისა. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელნი არიან მასალის მომწოდებელნი).

წიგნში შესულია, ასევე, "საგვარეულო დარბაზის" პირველი შემადგენლობის სია, ინფორმაცია, სათანადო დამსახურებისათვის, ბოლო წლებში გაჩეჩილაძეებისა და ჯაჭვაძეების სახელმწიფო ჯილდოებით დაჯილდოების შესახებ, XX საუკუნის ომებში დაღუპული ჩვენი საგვარეულოს წარმომადგენლების სია, საგვარეულოს რამდენიმე შტოს გენეალოგიური სქემა და ფოტოები.

ჩემს ნაშრომს ვუძღვნი მშობლების - მიხეილ ნიკოლოზის ძე გაჩეჩილაძისა და მარიამ პლატონის ასულ ღიბრაძის ნათელ ხსოვნას.

მასალები გაჩეჩილაძეთა საგვარეულოს (გაჩეჩილაძეები, ჯაჭვაძეები, წეველიძეები) ისტორიისათვის

საქართველოში, 1995 წელს ჩატარებული მასობრივი პრივატიზაციისა და ვაუჩერიზაციის მასალების მიხედვით, რეგისტრირებულია:

გაჩეჩილაძე – 4325 სული (თბილისი – 1084; ზესტაფონი – 1071; ქუთაისი – 367);
ჯაჭვაძე – 1203 სული (გურჯაანი – 381; გარდაბანი – 232; თბილისი – 203);
წეველიძე – 283 სული (თბილისი – 104; ბორჯომი – 32; გორი – 27)[1].

წევა და გაჩეჩილაძეები

გაჩეჩილაძეთა საგვარეულოს ისტორია განუყოფელია ზესტაფონის რაიონის სოფ. წევის და მისი წმინდა გიორგის ეკლესიის ისტორიისაგან და, შესაბამისად, კომპლექსურ შესწავლას მოითხოვს, რაც ჯერ კიდევ XIX საუკუნის ბოლოს უცდია ცნობილ ფოლკლორისტს, სევასტი გაჩეჩილაძეს* (1863 – 1943).

მისი ნაშრომი "სოფელი წევა, წეველები, მათი ვინაობა და თავგადასავალი", რომელიც ავტორის საფუძვლიან საბუნებისმეტყველო და ზოგად განათლებას[2], პირად დაკვირვებას და წეველთა ზეპირ გადმოცემებს ეფუძნება, მეტად მდიდარ და საინტერესო ინფორმაციას შეიცავს. მასვე ზედმიწევნით შეუსწავლია წეველთა ფოლკლორი და გამოუქვეყნებია ჟურნალში "აკაკის კრებული" და კრებულში "ძველი საქართველო"[3].

წევისა და წეველთა ისტორიას ეხება, აგრეთვე, როსტომ გაჩეჩილაძის* (დ. 1927) მემუარული ხასიათის ბროშურა "წეველი ზიკილიელები"[4].

ინფორმაცია წევის, გაჩეჩილაძეებისა და წევის წმ. გიორგის ეკლესიის შესახებ გაფანტულია, აგრეთვე, ისტორიულ დოკუმენტებში, საცნობარო, მემუარული და სამეცნიერო ხასიათის ლიტერატურაში, პრესაში, მატერიალური კულტურის ძეგლებზე არსებულ წარწერებში, საგვარეულო გადმოცემებში...

საეკლესიო აქტების ჩანაწერებს გაგაცნობთ ამავე წიგნში წარმოდგენილი გოჩა არონიშიძის სტატია, ხოლო გაჩეჩილაძეების გვარის წარმოშობის შესახებ ლეგენდებს, სათანდო კომენტარებითა და წევის ეკლესიის ხუროთმოძღვრებისა და კედლის მხატვრობის კვლევის შედეგებს შემოგთავაზებთ საგვარეულო წიგნის მეორე ნაწილში, რომელზეც მუშაობა ამჟამად მიმდინარეობს.

წინამდებარე სტატიაში კი ჩვენ შევკრიბეთ და ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, განმარტებების დართვით წარმოვადგინეთ ზემოხსენებულ დანარჩენ წყაროებში დღემდე მოძიებული ფაქტობრივი მასალა, წარმოვაჩინეთ ის კითხვები და ვარაუდები, რომელიც დაგვებადა ამ მასალის გაცნობისას და რომელზეც პასუხი ჯერ კიდევ საძიებელია.

სამწუხაროდ, დოკუმენტური მასალის სიმწირე და ფრაგმენტულობა არ იძლევა საგვარეულოს ისტორიის თანმიმდევრული თხრობის საშუალებას. იმედი გვაქვს, რომ შემდგომი კვლევა გამოავლენს დამატებით მასალას და რამდენადმე მაინც სრულყოფს ჩვენს მიერ ამჟამად წარმოდგენილ საგვარეულოს ისტორიის სურათს.

სოფელი წევა, რომელშიც წარმოიშვა და XVIII საუკუნემდე ლოკალიზებული იყო გაჩეჩილაძეთა გვარი, მდებარეობს მდინარე ძირულის ხეობაში, ზესტაფონიდან აღმოსავლეთით 16 კმ-ის დაშორებით. იგი ერთმანეთისაგან საკმაოდ მკვეთრად განსხვავებული ორი ნაწილისაგან შედგება. თანამედროვე ოფიციალურ წყაროებში ეს ნაწილები ორ სოფლად – ზედა და ქვედა წევად იხსენება.

ზედა წევა რამდენიმე საუკუნით უფრო ხანდაზმულია, ვიდრე ქვედა. იგი ზღვის დონიდან 580 მეტრი სიმაღლის ქედზე მდებარეობს, ხოლო ქვედა წევა. ე. წ. ჭალა, ამავე ქედის ძირში, გაცილებით უფრო დაბლაა განლაგებული, რის გამოც ამ სოფელში ორნაირი ჰავაა, ზედა წევაში შედარებით ცივი, ქვედაში კი ცხელი. ნიადაგიც განსხვავებულია - მაღლა ეწერია, ქვემოთ კი უფრო ნოყიერი. შესაბამისად განსხვავდება მცენარეულის ნაყოფიერება და ხარისხი.

გაჩეჩილაძეთა საგვარეულო გადმოცემებში სოფ. წევის სახელწოდება ორგვარადაა განმარტებული: I – როგორც **გაწევა, გადაადგილება (ტვირთის).** ("დავით აღმაშენებელს, აღდგენითი და სააღმშენებლო სამუშაოების საწარმოებლად, იმერეთში ჩაუყვანია ხელოსნები. მათი ერთი ჯგუფი, რომელიც ახლანდელი წევის ტერიტორიაზე მუშაობდა, ჯგუფი, რომელიც ახლანდელი წევის ტერიტორიაზე მუშაობდა, მშენებლობამდე ქვას ჯაჭვისებური, ანუ ხელიდან ხელში გადაცემის წესით ეწეოდა. იმ ადგილისათვის, საიდანაც ქვას ეწეოდნენ, **წევა** შეურქმევიათ"...[5]).

II – როგორც **მიწევნა, მიღწევა (გარკვეულ ადგილამდე).** ("სვანეთიდან მომავალ თამარ მეფეს გამოუვლია "ულევი", ამ დაუსრულებელი სერ-ტრიამელისათვის დაულეველი უწოდებია და სრული "ულევი" დარქმევია... განაპირეს ვუწიეთო და დაურქმევიათ ჩვენი სოფლისთვის წევა"...[6]).

არ არის გამორიცხული, რომ რომელიმე ამ განმარტებათაგანი სიმართლეს შეესაბამებოდეს, ჩვენი აზრით კი, - წევა – **ღვთის შეწევნას** უნდა ნიშნავდეს (ამის შესახებ უფრო ვრცლად იხილეთ სტატიაში "ჯაჭვაძეების კვალდაკვალ"[7]).

წევა რომ ძირძველი სოფელია, ამას ადასტურებს მის ტერიტორიაზე XI საუკუნით დათარიღებული ეკლესიის არსებობა, ხოლო უძველესი წერილობითი დოკუმენტი, რომელშიც წევის სახელი (?) ამოუკითხავთ მკვლევარებს, არის ქართული საკორპორაციო სამართლის უმნიშვნელოვანესი ძეგლის "ვაჰანის ქვაბთა განგების" (XIII ს.)[8] ხელნაწერი გრაგნილის მეორე გვერდზე არსებული ერთ-ერთი მინაწერი[8ა] (ქვემოთ მას, პირობითად, **"პირველ"** მინაწერად მოვიხსენიებთ), რომელიც **თ. ჟორდანიას ასე წაუკითხავს: - როსტევან რჩეულასძემ შესწირა ვანის ქვაბებს მის მიერ "აღშენებული წევის ბოლო და ახალშენი მისითა ვენაჯითა"[9]** (თ. ჟორდანიას აზრით, ხსენებული "ვაჰანის ანუ ვანის" მონასტერი ტაო-კლარჯეთში მდებარეობდა). ამავე გრაგნილზე არსებული **"მეორე"** მინაწერიდან ვიგებთ, რომ **როსტევან რჩეულასძე ყოფილა ვანის ქვაბთა ბატონი,** რომელსაც შეუწირავს თავისი მონასტრისათვის--- აბჯაარეული ზვარი და თავისი აშენებული პარტახტი[10].

თ. ჟორდანია ამ მინაწერებს XIII – XIV საუკუნეებით ათარიღებს[11].

ზ. ალექსიძე და შ. ბურჯანაძე იზიარებენ "პირველი" მინაწერის ჟორდანიასეულ წაკითხვას, მაგრამ მინაწერს XV საუკუნით ათარიღებენ[12]. ("პირველი" და "მეორე" მინაწერები თანადროულია...).

ლ. მუსხელიშვილი, "ვაჰანის ძეგლზე" არსებულ მრავალრიცხოვან მინაწერში ნახსენები ტოპონიმების საფუძველზე, სავსებით დამაჯერებლად ასაბუთებს, რომ იქვე ნახსენები **ვანის მონასტერი მდებარეობს ასპინძის რაიონში, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, ვარძიის მონასტერსა და თმოგვის ციხეს შორის[13]** (მისი აზით, "ვაჰანი" ვანის მონასტრის ძველი სახელია). რჩეულასძენი და რჩეულაშვილები მოხსენებული არიან ამ მონასტრის კედლებზე არსებულ წარწერებშიც (XV – XVI სს)[14].

"პირველი" მინაწერის ჟორდანიასეული წაკითხვა საეჭვოდ შეიძლება გვეჩვენოს შემდეგ მიზეზთა გამო:

I – წევა შორსაა აღნიშნული მონასტრიდან (თუმცა ვიცით, რომ: - "ფეოდალიზმის პირობებში, როცა მემკვიდრეობა და პირადი წყალობა დიდ როლს თამაშობდა.... ასეთი გაფანტული, ერთიმეორეს ძალზე დაშორებული მიწის მფლობელობა ხშირი მოვლენა იყო")[15];

II – გვარი რჩეულასძე ისტორიულ წყაროებში, წევასთან მიმართებაში, მხოლოდ ამ ერთადერთ შემთხვევაშია ნახსენები... III – პირველ მინაწერში გამოყენებული "და" კავშირი ალბათ მიუთითებს იმას, რომ შეწირული იყო ერთზე მეტი გეოგრაფიული ობიექტი. მხოლოდ ერთ გეოგრაფიულ პუნქტზე რომ იყოს საუბარი, მაშინ, ალბათ, ასე დაწერდენ: - რჩეულასძემ შესწირა... ახალაღშენებული წევის ბოლო მისითა ვენახითა.

ამავე დოკუმენტში ვ. სილოგავა კითხულობს არა "წევის ბოლოს", არამედ "ჴევის ბოლოს"[16]. მისი აზრით, **"ჴევი" უნდა იყოს ვანის მონასტრის მიდამოებში** წარსულში და ამჟამადაც **არსებული პატარა, რამდენიმე კომლიანი დასახლების, ვანისხევის შემოკლებული სახელი, ხოლო "ახალშენი" უნდა იყოს ამავე რაიონში მდებარე პატარა, 5-კომლიანი სოფლის, ახაშენის, ძველი სახელი.** ამ დასახლებათა მიდამოებში დღემდეა შემორჩენილი ვაზის უძველესი ჯიშები...[16]. ამრიგად, ზემოხსენებული მინაწერის

სილოგავასეული წაკითხვის საფუძველზე **გამოდის, რომ როსტევან რჩეულასძეს შეუწირავს თავისი მონასტრისათვის ამ მონასტრის ახლოს მდებარე მამულები, რაც დამაჯერებელია, მაგრამ კატეგორიულად ვერც ამ დოკუმენტის ჟორდანიასეულ წაკითხვას უარვყოფთ, შემდეგი მოსაზრებების გამო: 1) ტერმინი წევის ბოლო (ანუ ქვედა წევის ქვედა ნაწილი) დღესაც არსებობს. იქ საუკუნეთა განმავლობაში შესანიშნავი ვენახები ყოფილა და დღესაც ასეა...**

2) პირველ მინაწერში, რომელშიც თ. ჟორდანიასეული წაკითხვით, სოფ. წევის ბოლოა ნახსენები, **ვანის ქვაბთა ბატონის გვარი ძე-ზე ბოლოვდება, ხოლო** "ვაჰანის ქვაბთა განგებაზე" არსებულ **"მესამე", უფრო მოგვიანო ხანის, მინაწერში იმავე "რჩეულ" ფუძის მქონე გვარი შვილზეა დაბოლოებული** (ენუქ და ალფეზ რჩეულაშვილები სწირავენ ვანის ქვაბებს ვენახებს, გლეხებს... თ. ჟორდანია ამ მინაწერს XV საუკუნით ათარიღებს)[17].

ორივე სახის დაბოლოება აქვს ამ გვარს ვანის მონასტრის კედლებზე არსებულ მინაწერებშიც (XV – XVI სს.)[18]. **გვარის დაბოლოების ასეთი ცვლილება, შესაძლოა, ამ გვარის წარმომადგენელთა მიერ საცხოვრებელი და სამოღვაწეო ადგილის შეცვლასთან იყოს დაკავშირებული...**

3) პირველი მინაწერის არც ჟორდანიასეული (XIII - XIV სს. მიჯნა) და არც ალექსიძე-ბურჯანაძისეული (XIV ს.) დათარიღება წინააღმდეგობაში არ მოდის წევასთან დაკავშირებული მომდევნო დოკუმენტის თარიღთან (ალექსიძე-ბურჯანაძისეული დათარიღება უშუალოდ ემიჯნება მის თარიღს). ეს დოკუმენტი იუწყება, რომ **1452 წელს გიორგი მეფემ წევის მიმართ წყალობა განუახლა გოგია და გოგნია მაჭავარიან-სიქდურიშვილებს[19]. ესე იგი, წევა, 1452 წლამდე კარგა ხნით ადრე, იმ დროს სამეფო აზნაურების, მაჭავარიანების საკუთრება ყოფილა** (1452 წლის შემდეგაც მაჭავარიანებმა წევის ხან სრული, ხან კი ნაწილობრივი მფლობელობა (აბაშიძეებთან და, მცირე ხნით, შესაძლოა, წერეთლებთან საზიარო) შეინარჩუნეს ბატონყმობის გადავარდნამდე.

ცნობილია, რომ 1230-იან წლებამდე თმოგვის ციხეს და, შესაბამისად, ვანის მონასტერს თმოგველთა ფეოდალური საგვარეულო ფლობდა, 1350 – 1393 წლებში – კითხას ძე მურვანის ძენი, შემდეგ კი რჩეულასძე –რჩეულაშვილები[20]. **თუ პირველ მინაწერში მართლაც წევის ბოლოა ნახსენები, მაშინ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ რჩეულასძენი XIV საუკუნის მიწურულს, ან XV საუკუნის დასაწყისში გადავიდნენ წევიდან თმოგვში და წევის ბოლოც მაშინ შესწირეს ვანის მონასტერს. გამოდის, რომ წევა მაჭავარიანებს რჩეულასძეების წასვლის შემდეგ ებოძათ,** ვინაიდან, არც რჩეულასძეების საბუთში არიან ნახსენები მაჭავარიანები და არც პირიქით. (ზემოხსენებული "მეორე" მინაწერიდან ირკვევა, რომ რჩეულასძეს ვანის მონასტრისათვის სხვა, მისივე აშენებული, პარტახტი და ზვარიც შეუწირავს[21]. როგორც ჩანს, იგი მორწმუნე და მოღვაწე ადამიანი იყო. არ არის გამორიცხული, რომ იგი, იმერეთში ცხოვრების დროს, სხვა ციხის და მონასტრის პატრონი ყოფილიყო და, წევაც იმ მონასტრისათვის აეშენებინა...);

4) თ.ჟორდანიას თავის ნაშრომში წამოჭრილი აქვს მეტად მნიშვნელოვანი და საყურადღებო საკითხი: **მას უცდია, სხვადასხვა მონასტრების სახელთა და სხვა ტოპონიმთა იდენტურობაში, მონასტერთაშორისი ისტორიული ურთიერთმიმართებების ამოკითხვა.** იგი წერს, - რომ ძველად, ტაო-კლარჯეთში,

სომხეთის საზღვართან ახლოს, ყოფილა “ვაჰანის ანუ ვანის” წმიდა გიორგის მონასტერი (იმოწმებს ვახუშტის გეოგრაფიას, გვ. 88, 82), საიდანაც, “როდესაც თათრებმა გააუქმეს აქ ქრისტიანობა, რამდენიმე სიწმიდე (ხატები) ამ მონასტრისა იქაურის ქრისტიანებითურთ გადმოვიდენ იმერეთში და დასახლდენ ჩხერიმელას სათაურში. ახალს სოფელს უწოდეს იგივე სახელი ძველის თვისის სოფლისა ვაჰანი ანუ ვახანი (აქიდამ ვახანის ხეობა, ვახანის ციხე) და ახლად აშენებულს ეკლესიასაც ვახანის ქუაბი”[22] (ზემოხსენებული ყველა ობიექტი ხარაგაულის რაიონში მდებარეობს). სახელწოდება **ვაჰანი – ვახანი საქართველოში მხოლოდ იმერეთში შემორჩა** (ზემოხსენებულ ობიექტებს).

ვანი[23] საქართველოში რამდენიმეა, მათ შორის იმერეთში – ვანის, ხარაგაულის, ჭიათურის რაიონებში. ხარაგაულის რაიონში არის სოფ. ვარძიაც, რომელშიც იყო სამონასტრო კომპლექსი (თქმულების მიხედვით, ამ მონასტრის უძველესი ეკლესია აუგია თამარ მეფეს, ახალციხის ახლოს მდებარე სოფ. ვარძიის ეკლესიიდან აქ გადმოსვენებული ღვთისმშობლის ხატის სახელზე. თამარს თან წამოუყვანია მის მიერ გაქრისტიანებული ახალციხელი თათრები და ეკლესიის ირგვლივ დაუსახლებია. ახალწარმოქმნილ სოფელს ვარძია შერქმევია[24]).

დასავლეთ და სამხრეთ საქართველოში საკმაოდ მრავლადაა პარალელური, მეტწილად საეკლესიო ობიექტებთან დაკავშირებული ტოპონიმები. მონასტრებისათვის ერთნაირი სახელების შერქმევა, მონასტრის სახელის ან ფეოდალის გვარის “სახეცვლილება”, ცხადია, შემთხვევით არ ხდებოდა... ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, თ. ჟორდანიას განწყობა, რჩეულაძისეულ შეწირულობის საბუთში იმერეთის სოფლის სახელის ამოსაკითხად, შემთხვევითი არ არის...

[დასავლეთ და სამხრეთ საქართველოს საეკლესიო ურთიერთობების კვლევის გაღრმავების შემთხვევაში სოფ. წევისა და მისი წმ. გიორგის ეკლესიის სახელის ამოტივტივება სავარაუდოა (ცხადია იმ შემთხვევაში, თუ ამის დამადასტურებელი საბუთები დროს გადაურჩა), მით უმეტეს, რომ წევის ეკლესიის ხუროთმოძღვრება და ჩუქურთმა, ჩვენი აზრით, საკმაო მსგავსებას ავლენს სამხრეთ საქართველოს ძეგლებთან[25]]. თ. ჟორდანიასეული ან ვ. სილოგავასეული წაკითხვის სისწორე საბოლოოდ იმ შემთხვევაში დადგინდება, თუკი დამატებითი დამადასტურებელი საბუთი აღმოჩნდება...

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქრონოლოგიურად შემდგომი დოკუმენტი, 1452 წლით დათარიღებული წყალობის წიგნი გვაუწყებს, რომ წევა XV საუკუნეში მაჭავარიანების საკუთრება ყოფილა. როგორც ჩანს, წევის მიდამოებში, მაშინ, მაჭავარიანები მრავლად ყოფილან, ვინაიდან წევის მფლობელი მაჭავარიანების სხვებისაგან გამოსარჩევად, მათი გვარიშვილობის სახელის გარდა, მამიშვილობის სახელს – სიქდურიშვილსაც მოიხსენებენ[19].

XV – XVI საუკუნეთა მიჯნაზე ზემო იმერეთში ჩამოყალიბდა აბაშიძეების სათავადო. ისტორიული საბუთების მიხედვით, XVI საუკუნის მეორე ნახევარში წევის დიდი ნაწილი უკვე აბაშიძეების საკუთრებაა[15]. მაგრამ, სავარაუდოა, რომ წევაში მათი უფრო ადრინდელი კვალიც ჩანდეს, რაც, შესაძლოა, წევაზე მათი ძალაუფლების უფრო ადრე გავრცელებაზე მეტყველებდეს. კერძოდ, წევის ეკლესიის საკურთხევლის აბსიდში წმიდა მამების რიგში წმ. **მელქისედექის** (ასე წერია) გამოსახულება, ჩვენი ვარაუდით, XVI საუკუნის პირველ მეოთხედში მოღვაწე გელათის წინამძღვრის, მელქიზედეკ

აბაშიძის[26] “პორტრეტს” უნდა წარმოადგენდეს. **იგივე პირი გამოსახულია ხარაგაულის რ. <u>სოფ. ვანის</u> წმ. გიორგის ეკლესიის საკურთხევლის აბსიდშიც,** წმ. მამების რიგში, იქაც, როგორც წევაში, საკურთხევლის სარკმლიდან სამხრეთით. ვანში **მელქიზედეგის** (იქ ასე წერია) გვარიცაა მოხსენებული[27].

წევის ეკლესიის აბსიდის შუა რეგისტრის მოხატულობა, ისევე, როგორც ვანის ეკლესიის მოხატულობა, XVI საუკუნის პირველი მესამედის ხალხური ნაკადის მხატვრობის სტილშია შესრულებული. ვანის მოხატულობა 1505 – 1510 წლებით არის დათარიღებული[27], ხოლო წევის ეკლესიის აღნიშნული ნაწილის მოხატულობა, ჩვენი ვარაუდით, რამდენიმე წლით გვიანი უნდა იყოს (ამის შესახებ უფრო ვრცლად იხილავთ საგვარეულო წიგნის შემდგომ გამოცემაში).

(საინტერესოა, ის ფაქტი, რომ წევისა და ვანის ეკლესიების აბსიდებში ერთი და იმავე პირის, ერთ სტილში შესრულებული, დაახლოებით თანადროული გამოსახულებები გვხვდება, ხომ არ მიუთითებს ამ ეკლესიებს შორის კონტაქტებზე და ხომ არ ეხმიანება როსტევან რჩეულასძისეულ საბუთს?..).

ის ამბავი, რომ წევის ეკლესიაში წმ. მელქიზედეკის გვარი აღნიშნული არ არის, გასაკვირი არ უნდა იყოს. როგორც XVIII – XIX სს მიჯნის დოკუმენტებიდან ჩანს (და ალბათ უფრო ადრეც ასე იქნებოდა), აბაშიძეებსა და მაჭავარიანებს შორის უმწვავესი დაპირისპირება არსებობდა სოფ. წევისა და მისი ეკლესიის მფლობელობასთან დაკავშირებით[28]. როცა XVI საუკუნეში აბაშიძეებმა წევაზე უფლება მოიპოვეს, ისინი, რა თქმა უნდა, შეეცდებოდენ კედლებზე თავიანთი კვალის აღბეჭდვას. ამ ეკლესიის აბსიდის მოხატულობის XVI საუკუნის ფენა, სავარაუდოა, რომ მათივე დაკვეთით, კერძოდ, სწორედ გელათის წინამძღვარ მელქიზედეკის დაკვეთით იყოს შესრულებული. ასე რომ, გასაკვირი არ არის, რომ იგი წმინდა მამათა შორის გამოესახათ, გვარსაც ალბათ მიაწერდნენ. მაჭავარიანები კი, რომელთაც ეს ეკლესია თავიანთი “მამა-პაპისაგან აღშენებულად” მიაჩნდათ, XVIII საუკუნის ბოლოს, როცა მათ კვლავ განიმტკიცეს ძალაუფლება წევაში, აბაშიძის გვარს ეკლესიის აბსიდში, ალბათ, წაშლიდნენ... წევის ეკლესიის აბსიდის მოხატულობას წარწერების განახლების კვალი ემჩნევა. მოხატულობის სათანადოდ გამოკვლევის შედეგად, შესაძლოა, ეს წარწერა გამოჩნდეს. [წევის ეკლესიაში ყოფილა მაჭავარიანების გამოსახულებებიც, ალბათ, უფრო მოგვიანო ხანისა. ბატონი სევასტი გაჩეჩილაძე წერს, რომ - “როდესაც ამ გრძელ საყდრისთვის ცალი გვერდი უნდა ჩამოერთმიათ (რაც XIX საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში მოხდა – ე.გ.), რომ მიემატებინათ შენობა, მაშინდელ იმერეთის ეპისკოპოზს, გაბრიელს (1860 – 1896) მაჭავარიანები წინააღდგომოდენ, წარწერილი წაიშლება და ყმები დაგვეკარგებაო”...)[29].

გაჩეჩილაძეთა გვარი და წევის ეკლესია, პირველად, მოხსენებულია ვახუშტი აბაშიძის შეწირულობის წიგნში, რომელიც 1550 – 1570 წლებითაა დათარიღებული. დოკუმენტი იუწყება, რომ თავადი სწირავს თავის სამკვიდრო კაცხის მონასტერს და სხვა ეკლესიებს მიწა-წყალს, სასახლეებს, გლეხებს... მოგვყავს ნაწყვეტი ამ დოკუმენტიდან: **“არის შეწირული ღმრთისათვის და მის წმიდათათვის და წმიდის გიორგის წევისათვის სააღაპოდ ჩემის სულისათვის საყდართან ლომინის მოსყიდული პარტახტი ტაბატაური ერთ გლეხად, მახარებელი გაჩეჩილაძე და მისი განაყოფური რაც სხუას წეველს კაცსა მართებს, ისი ამათ მართებს. ამისგან ერთი ჩარექი სანთელი, ერთი ცხუარი და ერთი**

მთელი საკლავი, ორი კოდი პური და ხუთი კოკა ღვინო, ერთი ლიტრა მარილი. ოთხს ხუცესსა ჟამს მიწირევდეს მისიანათ და სხუა რაც გადარჩეს, ის დეკანოზისა იყოს და ფარემუზ მაჭავარიანმა და მისმა შვილმან და ნათესავმან აჭარელმან, წეველმან და ილმელმან ხელოსანმან ისაქმონ” (ანუ იქაურმა მოხელეებმა შეასრულონო – ე. გ.)[30].

როგორც ვხედავთ, გაჩეჩილაძეებს, მათი ეკლესიისათვის შეწირვით, მოვალეობები არ შემცირებიათ...

ეს დოკუმენტი ვრცელია და დიდ ინფორმაციას გვაწვდის. იგი წარმოგვიდგენს ვახუშტი აბაშიძეს, როგორც ძლიერ, დიდი მამულების მფლობელ ფეოდალს, ხოლო, ადრე სამეფო აზნაურები, მაჭავარიანები, იმჟამად დამცრობილი და აბაშიძეებისადმი დაქვემდებარებული ჩანან. დოკუმენტი გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის წეველთა საარსებო საშუალებების, მათზე დაკისრებული გადასახადების და მათი მმართველი წრის შესახებ...

ისტორიკოსთა ნაშრომებიდან ცნობილია, რომ ზემოხსენებული ვახუშტის შემდეგ? აბაშიძეთა გვარი კიდევ უფრო გადიდდა და გამდიდრდა. განსაკუთრებით გაფართოვდა მათი სათავადო XVII საუკუნის მიწურულსა და მომდევნო საუკუნის პირველ ნახევარში. მასში შედიოდა 80-ზე მეტი სოფელი, მათ შორის წევაც (ნაწილობრივ)[31].გაჩეჩილაძეებთან დაკავშირებულ XVII საუკუნის საბუთს ჩვენ, ჯერჯერობით, ვერ მივაკვლიეთ.

XVIII საუკუნის პირველ ნახევარში ვახუშტი ბატონიშვილი თავის ნაშრომში “აღწერა სამეფოსა საქართველოსა” რამდენიმეგან ახსენებს წევას. წევის ეკლესიის შესახებ კი წერს:–“**ძირულას ჩრდილოთ და შორაპნის აღმოსავლით არს წევას ეკლესია წმიდისა გიორგისა სასწაულთმოქმედი”[32].** წევის ეკლესიას თავისი ძლიერებით სახელი ჰქონდა განთქმული და საკმაოდ შორიდანაც იზიდავდა მლოცველებს. წევის შემოგარენში იგი გარკვეულ სასულიერო ცენტრს ქმნიდა. ამ ეკლესიამ უდიდესი როლი შეასრულა გაჩეჩილაძეების ინტელექტუალურ, სულიერ და ზნეობრივ ჩამოყალიბებაში (აღნიშნულ საკითხს ქვემოთ დავუბრუნდებით).

XVIII საუკუნეში მეტად მძიმე იყო იმერეთის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა. შინაფეოდალური ომები აჩანაგებდა ამ მხარეს და ოსმალებს მის დაპყრობას უადვილებდა. გამწვავებული იყო მებატონეთაგან გლეხთა ჩაგვრა. “მძვინვარებდა” ტყვეთა სყიდვა. გაწამებული გლეხები სხვადასხვა ფორმით გამოხატავდნენ სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ პროტესტს. ერთ-ერთი ასეთი ფორმა იყო ბატონისაგან გაქცევა საქართველოს სხვადასხვა მხარეში, რაც წევაში დაახლოებით XVIII საუკუნის მეორე მეოთხედიდან უნდა დაწყებულიყო.

სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ პროტესტის გამოხატულებას წარმოადგენდა, როგორც ჩანს, წეველთაგან მეფისადმი გაგზავნილი საჩივარი, რომლის პასუხი უნდა იყოს სოლომონ პირველის (1751 – 1784) ბრძანება:

“ქ. მეფე სოლომონ. პატელა ჟღენტო კეთილად მოგიკითხავ მერმეთ ამ წეველებს დაეხსენი ნურასა სთხოვ იცოდე”[33].

გლეხების უუფლებო მდგომარეობას მოწმობს **ქაიხოსრო და ბეჟან წერეთლების მიერ 1756 წლის 1 აპრილს როსაპ მაჭავარიანისადმი მიცემული თამასუქი:**

“ქ.ევიღე მე, ქაიხოსრო წერეთელმა და ძმამა ჩემ(მ)ა ბეჟან, როსაპ მაჭავარიანისაგან ორმოცდაოთხი მარჩილი თეთრი, რასაც ხანს შენი თეთრი ჩემს ხელთ იყოს, თვეში

მარჩილის თავზე ნახევარ შაურის მამცემი ვიყო. ახლა ამის **საწინდრათ მომიცემია მახარობელი გაჩეჩილაძე, გიორგი გაჩეჩილაძის შვილები და ხარება გაჩეჩილაძის შვილები მათის ცოლით, შვილით, მამულ-ადგილით, ეკლესია-სასაფლაოთი, წყლითა და წისქვილით**, მათის ყოვლისფრით საქმით, მაძებარ-უძებრით. არის ამისი მოწმე ნიკოლოზ ჩიქუანი, გიორგი ჩხეიძე, მაჭავარიანი ნასყიდა, მახარობელი ბიბიჩაძე, დათუნა აზბედიაშვილი. მე მღდელს ანდრიას დამიწერია, მოწამეც ვარ ამისი...[34, 34ა].

გასარკვევია, იყო თუ არა წევა ოდესმე წერეთლების საკუთრებაში? თუ არ იყო, მაშინ, XVIII საუკუნის შუა წლებში, სად შეიძლება ყოფილიყო წერეთელს დაქვემდებარებული ამდენი გაჩეჩილაძე, რომელთაც უკვე აწყობილი მეურნეობა ჰქონიათ? ჩვენს მიერ დღემდე მოკვლეული მასალებიდან ისე ჩანს, რომ გაჩეჩილაძეები საწერეთლოში (კაცხი, გუნდაეთი, ღორეშა...) არა უადრეს XVIII საუკუნის II ნახევრისა უნდა იყვნენ ჩასახლებული...

(აღსანიშნავია, რომ აკაკი ბელიაშვილს, რომანში "ოქროს ჩარდახი", ნახსენები ჰყავს **სოლომონ პირველისავე მეფობის წლებში მოღვაწე შორაპნის მეციხოვნე ხახუტა გაჩეჩილაძე[35], რომელიც,** გადმოცემის მიხედვით, **გაჩეჩილაძეთა ერთ-ერთი შტოს – "ბელტიყლაპიების" წინაპარი ყოფილა.** გადმოცემისავე მიხედვით, არა ერთი გაჩეჩილაძე ყოფილა შორაპნის ჩხერისა და სხვა ციხეების მეციხოვნე).

[სავარაუდოდ, XVIII საუკუნის დასაწყისიდან (ან XVII საუკუნის ბოლოდან), წევაში, მოსახლეობის მატების კვალობაზე, უნდა დაწყებულიყო ერთი და იმავე სახელისა და მამის სახელის მქონე პირთა ერთმანეთისაგან გამოსარჩევი მეტსახელების შექმნა, რომელიც შემდგომში მათ შთამომავლობაზე გავრცელდა და საგვარეულოს "შტოების" მეტსახელებად იქცა. ამჟამად გაჩეჩილაძეთა 60-მდე "შტოა" ცნობილი][35ა].

შემდეგი საბუთი წარმოადგენს, ფეოდალური მმართველობისათვის ჩვეულ, საგადასახადო შეუვალობის, "თარხნობის", სიგელს. ამგვარი სიგელები ართულებდა რუსულ საგადასახადო მმართველობას, ამიტომ რუსებმა თარხნობის უფლების შესახებ საბუთები მოსთხოვეს მემამულეებს და თარხნობის პრეტენზიის მქონე სახაზინო გლეხებს და 1819 წელს შეადგინეს ამ საბუთების სრული ნუსხა რუსულად, ოლქების მიხედვით. შორაპნის ოლქის საბუთებში შეტანილია **1770 წლის პირველ აპრილს არჩილ მეფის მიერ გაცემული სიგელი,** რომლის თანახმადაც იგი, **გულმოდგინე სამსახურისათვის, საურის გადასახადისაგან ათავისუფლებს რამდენიმე კომლ გლეხს, მათ შორის ერთ კომლ გაჩეჩილაძეს.** ეს გვარი ნუსხაში ნახსენებია ორჯერ, ორჯერვე შეცდომით: - «Гачичиладзе», «Качичиладзе». გლეხის სახელი და საცხოვრებელი ადგილი მითითებული არ არის[36].

ვინმე მ. გაჩეჩილაძისაგან გაგონილ, სავარაუდოდ XVIII საუკუნის ბოლოს მომხდარ ამბავს გადმოგვცემს სევასტი გაჩეჩილაძე: - "მაჭავარიანები იყვნენ წეველების მებატონეები. აი, მათ როგორ ჩაეგდოთ ხელში წევა: დიდი სოლომონ მეფის დროს (1752 – 1784) ქაიხოსრო მაჭავარიანი ყოფილა წევის და მის ახლო-მახლო სოფლების მოურავი. **სოლომონ დიდს შეუწირავს ვიღაც გამოწირული გაჩეჩილაძეები ეკლესიისათვის და ამის საბუთიც ჰქონიათ გაჩეჩილაძეებს.** როდესაც სოლომონ მეფე გარდაიცვალაო, --- ქაიხოსრო მაჭავარიანი 100 ცხენოსანი კაცით ვისაც მიუკვალიანებდა, ჩაუდგებოდა სახლში და თხოვდაო. ეს საბუთები ჩუმ-ჩუმად აძლიეს გლეხებმა ერთმანეთს და ჰფარეს, სანამ შეეძლოთ--- ბოლოს, წეველებმა ეს თარეში რომ ვეღარ აიტანეს, წაიღეს

საბუთები, ჩაუდვეს წევის უძრავის წმიდა გიორგის (ხატს) უბეშიო--- ეს რომ ქაიხოსრომ გაიგო, შევიდა საყდარში, გამოიღო ხატის უბისაგან საბუთები და სიხარულით სამჯერ გადაახტა ამოღებულ ხმალს და იძახოდა: ახლა კი მეშველა, წევა ვიშოვნეო!"[37].

(წევა რომ მაჭავარიანების მფლობელობაში ჯერ კიდევ 1452 წლამდე ყოფილა, ჩვენ უკვე აღვნიშნეთ. XVII – XVIII საუკუნეებში წევის მფლობელობა უფრო დაწვრილებით არის გამოსაკვლევი, თუმცა ზემოხენებული და მომდევნო საბუთებიდან ზოგი რამ მისახვედრია...).

საინტერესოა, რომ ზემოთ მოყვანილ ამბავში ს.გ-ს ჩაურთავს ინფორმაცია **წევის ეკლესიის ხატების შესახებ: - "აქ სამია ძველი წმინდა გიორგის ხატი: - წევისა, სენისა და უძრავისა.** ძველის-ძველი ხუცური ასოებით წარწერაც აქვს, მაგრამ ძნელი ამოსაკითხავია"[37].

1789 – 1811 წლებითაა დათარიღებული "სასამართლო განჩინება დავით ღაბუაშვილისა და ზურაბ მაჭავარიანის მამულის საქმეზე". როგორც

ჩანს, მამული წევაშია, რადგან ამ საქმეში, გარდა ზემოხსენებული პირებისა, მონაწილეობენ "სამოცი კაცი მწეველები" (ალბათ წეველები).

საბუთის შინაარსი ასეთია: თავად დავით ღაბუაშვილს (ღაბუაშვილი აბაშიძეების ერთ-ერთი შტოს მამიშვილობის სახელია) სამოცი მწეველი (წეველი) გლეხი დაპირისპირებია მამულის საკითხზე. მათ დაუფიციათ კიდეც, რომ მამული მათია და არა ღაბუაშვილის. მაგრამ ექვს კაცს, თურმე, "ფიცმა უწია"... მისულან ღაბუაშვილთან და შეხვეწნიან, - ფიცი აგვხსენი და ჩვენ წილ მამულს შენ დაგიტოვებთო. **საქმეში ზურაბ მაჭავარიანი ჩარეულა და, თურმე, ამტკიცებდა: - ეს მამული არც ღაბუაშვილისაა და არც მწეველების, – ჩემიაო.** სასამართლოს დაუდგენია: - თუ დაუფიცებს მაჭავარიანი, რომ ეს სამკვიდრო მამული მისია, მაშინ რას ემართლება ღაბუაშვილი? ადგილი მაჭავარიანს დარჩეს, და თუ ვერ დაუფიცებს, მაშინ მაჭავარიანმა და მისმა კაცებმა, მწეველებმა, ხელი აიღონ ამ ადგილზე და ღაბუაშვილს დაუტოვონ, მისი სამკვიდრო ყოფილაო.

საბუთს ახლავს მდივანბეგ ვახუშტი ჩიჯავაძის ბეჭედი[38].

XVIII – XIX საუკუნეების მიჯნისათვის მაჭავარიანებს "თავიანთი ადრინდელი სამფლობელოდან მხოლოდ წევა-ილემის მცირე ნაწილი და წევის ეკლესია აქვთ შერჩენილი, მაგრამ აბაშიძეები ახლა "მამა-პაპისაგან--- აღშენებულ" და "შემკობილ" ეკლესიასაც ეცილებიან. ამ ეკლესიისა და სხვა მამულების გამო აბაშიძეებსა და მაჭავარიანებს შორის XIX საუკუნის დამდეგს დიდი დავა წარმოებს...[39]

ამ დავის ამსახველი ერთ-ერთი დოკუმენტია **1817 წლის 24 ივლისით დათარიღებული, ლომსიათ-ხეველი აზნაურების მოწმობის წიგნი:**

"ლომსიათხევსა შინა მცხოვრებნი კეთილშობილნი ვაძლევთ ამ--- მართალს მოწმობას--- სახელმწიფო კეთილშობილს ილემს მცხოვრებს ერთობით მაჭავარიანებს... თავადი ქაიხოსროს ძე, ივანე აბაშიძე და დავით და გიორგი აბაშიძე-ღაბუაშვილი რომ დეობს: წევის ეკლესიაში პირველად ჩვენი გვარი დალოცვილიყოსო, რადგან ჩვენ ახლოს მეზობელი ვართ და ვიცით მათი საქმე ჭეშმარიტებით, - ამისათვის სიმართლით ვმოწმობთ, რომ მამაპაპობით და შთამომავლობით **წევის ეკლესია ილმელი მაჭავარიანებისა არის საკუთრებით და არა აბაშიძეების--- ბაგრატიონის მეფობაშიდ ილმელი მაჭვარიანების მეტს აბაშიძის გვარს წევის ეკლესიაშიდ საქმე არ ქონდეს რა---** ესეც ვიცით: ივლისის იე, დღესასწაულს დღეს კვირიკობას--- პირველ რომ მეფეს

დალოცვიდენ, მას მერმეთ, დათუა მაჭავარიანს და მის შთამომავლობას, და სახელდობრ, არას გვარს სხვას”--- ხელს აწერენ ბეჭდების დასმით: მოურავი ნიკოლოზ მაჭავარიანი, ტაბაკინის მონასტრის არქიმანდრიტი გრიგოლი, მღვდელი იოსებ გუნცაძე, დავით და გრიგოლ ჩხეიძეები და სხვები[40].

XIX საუკუნეში კლასობრივი ბრძოლის ერთ-ერთი გამოხატულება იყო სამართლებრივი გზით სადაო საკითხების გადაწყვეტა. მაგრამ, გლეხები ასეთი დავის დროს შეთანხმებულად ვერ მოქმედებდენ, რაც ასუსტებდა მათი ბრძოლის ეფექტურობას. ისტორიკოს ოლღა სოსელიას ამგვარი შეუთანხმებელი მოქმედების მაგალითად მოჰყავს **“წევას მცხოვრებ გაჩეჩილაძეების “ხელით წერილი” მიცემული იმერეთის “ჟამიერის სასამართლოსადმი” (1818 წლისახლო)[41]:**

–“ჩვენ ქვემო ამისა ხელის მომწერნი, ერთობით წევას მცხოვრებნი გაჩეჩილაძე[ე]ბი გაძლ[ე]ვთ ამ მართალსა და ჭეშ[მ]არიტს ხელით წერილს ესრეთ, რომ რომელიც **გაბრიყ[ვ]ებულა თავისი უგუნურებით და შემცდარა ჩვენის სახლის კაცები გაჩეჩილაძე სესიკა, გოგია და კიკოლა და მიუციათ მაღალმთავრობისათვის არზი რომ ჩვენ ილემს მცხ[ო]ვრებლის მაჭავარიანის ყმა არა ვართო,** ჩვენ არ გაგვიგონია ძველთაგან, მამაპაპობით და შთამომავლობით. რადგან ჩვენც უმფრო ვიცით მადგან მაჭავარიანისა და ჩვენი ბატონყმობა, რომ არ გაგვიგონია და [ა]რც ვიცით ჩვენ ილემს მცხოვრებლის მაჭავარიანის მეტი მემკვიდრე ბატონი ჩვენ გვყოლებოდეს. მხოლოდ განსაკუთრებით ამ ზემოხსენებულის მაჭავარიანის მეტი და კიდეც ამათი მკიდრნი ყმანი ვართ და ესეც ვიცით, როდესაც ბატონი ჩვენის ქაიხოსრო მაჭავარიანის შვილი დავით მი[ი]ცვალა, მაშინ მის კერძოთ მისცეს მცირეს ხანს ათი კომლი კაცი გაჩეჩილაძე. დიდმა მეფემ სოლომ[ო]ნმა საძმოთ დაგვაკავა, მაგრამ რადგან ამითი ყმა ვიყავით, მეორე მეფემ და ბატონის შვილებმან, ისევე ამათ უბოძა თავისი ყმები გაჩეჩილაძე[ე]ბი, რომლის წერილებიც აქვსთ ამ ბატონს ჩვენ მაჭავარიანებსა. და **თუ ვინმე სიცრუით იტყვის, ვინმე არ ვართ მაჭავარიანის ყმაო, ჩვენ ვერ ვიტყვით მაგათისას,** რომ არ მათი ყმა ვიყოთ. კიდეც თუ შეგვხვდება ფიცით დავამტკიცებთ, რომ არ ვინ გვყა[ვ]დეს მაგათ მეტი მემკვიდრე ბატონი...”[41].

ამ “ხელით წერილში” გამჟღავნებული ამბის გაგრძელება ჩანს 1824 წლის 15 თებერვლით დათარიღებულ **წყალობის წიგნში, რომელიც მიცემულია დავით მაჭავარიანის მიერ ივანე და სხვა გაჩეჩილაძეებისადმი:**

“ქ. ნებითა ღვთისათა, ესე წყალობის წიგნი დაგიწერე და გიბოძე მე, ბატონმან თქვენმან პომოშნიკმა და პარუჩიკმა დავით მაჭავარიანმა თქვენ, ჩემს ყმას გაჩეჩილაძეს **თომა ხუცის შვილს მღვდელ ივანეს და შენს ძმას კიკოლას და შაქარას,** შვილთა და მომავალთა თქვენთა ასე ვითარად, რომ შენ და მოლოქაშვილებს ჭამკოტაძისაგან ნაყიდი ადგილი გქონდა[თ] და **რადგანაც შეიქმნა სესიკი და პავლია ჩემი ვორგული და მოღალატე და განეშორა ჩემ ყმობას, ამისთვის ის, იმის საწილო ადგილი, რადგანაც შენი ზიარი იყო, ახლა შენთვის გვიბოძებია** გვერდზე ჭამკოტაძის სამზღვარს იქით, მოლოქაშვილის სამზღვრამდი, თავზე ბუღაშვილის სამზღვრამდი ეს ესე შენთვის მიბოძებია. თუმცა შენ ჩვენი ერთგული და ბრძანების მორჩილი ყმა იქვნე, არასვოდეს არც თქვენ, არც შვილთა და მომავალთა თქვენთა არ გამოგერთვასთ ეს ხსენებული ადგილი.

არის ამისი გამრიგე თვით დაუსაბამო ღ[მერ]თი და კაცთაგან მოწამე ხელოსანი ჩვენი ხომასურიძე კაცია და კიდე[ვ] სხვანი ჩვენი ყმანი და თურმანიძე ბეჟიკი. მე, თ[ავა]დ ჩიჯავაძის ასული დარეჯან ვსწერ ჩემის მეუღლის ბრძანებით და მოწამეცა ვარ ამისი"[42].

ზემოხსენებული სესიკი (სესია) და პავლია გაჩეჩილაძეები, როგორც ჩანს, იყვნენ გაჩეჩილაძეების მოლოქაშვილთა შტოს წარმომადგენლები. მათ დაპირისპირებას მაჭავარიანებთან ტრაგიკული დასასრული ჰქონია, რაც აღწერილი აქვს ბ-ნ სევასტი გაჩეჩილაძეს: "-მოლოქაშვილები ძალიან მდიდარი ყოფილან. ეს სახლობა გამაგრებულა და არ დამორჩილებია მაჭავარიანებს, მებატონეებს. ამ ოჯახის ბატონი ყოფილა დავით მაჭავარიანი. მას ჰყოლია მეუღლე "ჯიჯავაძის" ქალი. ეს ქალი ერთჯერ გამოსულა წევაში და სწვევია მოლოქაშვილებს. დიდი პატივი უციათ. მაგრამ ქმართან რომ გაბრუნებულა, სულ გადატრიალებულა. ქმარი გაუქეზებია..." რასაც შედეგად მოჰყოლია მოლოქაშვილების 30 სულიანი ოჯახის განადგურება: ზოგი რუსეთში გადაუსახლებიათ, ზოგი ჯარისკაცად "შეუწირავთ", ზოგი მომკვდარა...

ამ მოლოქაშვილების დროსვე ყოფილა "დიდ ოთიად" წოდებული გაჩეჩილაძე, რომელიც "მართლაც მეტად წარმოსადეგი, თეთრ-ყირმიზი, ახოვანი "ყაძახი" ყოფილა--- დიდი ვაჭრობა ჰქონია გამართული--- რაჭაში გადადიოდა, "ჭედისის" მთის ახლო-მახლოდან მოჰქონდა კაცობ თოხები. იქიდან ზურგის მოტანაში მუშას ეძლეოდა მაშინ მხოლოდ ერთი თოხი. თვითონ ამ ოთიას შვილს როსტომას ზურგით 30 თოხი და სახნისი გადმოჰქონდა თურმე. ამ ოთიას მიჰქონდა "ახტალაში" თუთუნი ცხენებით და იქიდან მოჰქონდა ზოდი-სპილენძი--- მაშინდელი ამ სიშორეს სიარული ძალიან საშიში იყო. ლეკები და ოსები იკლებდნენ მთელ სოფლებს და გზაზე ყაჩაღებად იყვნენ ხოლმე გამაგრებული--- კაცებს, ქალებს, ბალღებს, ხვადაგს – არასფერს არ ზოგავდენ რაც-კი მოხვდებოდათ ხელში, მიირეკავდენ და ჰყიდდენ. რაღა გარეშეები, როცა შინაურებიც, თითონ მებატონეები ჰყიდდენ თავის ყმებს და უფრორე ქალებს"[43].

ოთია გაჩეჩილაძეს უცოცხლია ას ოც წელზე მეტ ხანს, "მაგრამ ღრმა მოხუცება არც კი ემჩნეოდაო". მის ნაშიერს დაერქვა ოთიაშვილები. "როსტომა იყო ამის შვილი ძალუმი, ჯმუხი, ღჯუ, დაუზოგველი, რიხიანი, ჩაფსკვნილი ყაზახი და ძალიან ძუნწი" (ასაკით დაახლოებით არსენა ოძელაშვილის (1797 – 1842) თანატოლი). "ამბობენ, რომ ამან და არსენამ შეუტიეს ერთმანეთსაო..."[44].

როსტომმა "მაშინდელი ლაინის და ხამის სამღებროები იჯარით რომ იცემოდა, მთელ ზემო იმერეთში წაართვა ქუთათელ დიდ ვაჭრებს და ხვირჯინებით დაჰყარა იჯარისთვის ეკატერინეს მანეთიანები. ბატონს ბათმნობით მიუწყო ფული ვერცხლისა და იმ უდროო დროს დაიხსნა თავი. აღებ-მიცემობის მეტოქეებმა, როგორც ამბობენ, სხვა ვერაფერი უხერხეს და მოწამლეს"[44].

როსტომის შვილი იყო კომერსანტი იესე (სესია) ოთიაშვილი (XIX ს.), რომელსაც მისი მოურავი სევასტი კორძაია ახასიათებს, როგორც წეველთა თავკაცსა და ქომაგს, მრავალი სასიკეთო საქმის სულისჩამდგმელს. ს. კორძაია იუწყება, - რომ **სესია ოთიაშვილის სახელს უკავშირდება სურამიდან შორაპნამდე შარა გზის გაყვანა, გაჭირვებული წეველებისათვის საარსებო გზის გაკვლევა: წევაში "ლაინის" ქსოვილის დამზადებისა და აღებ-მიცემობის საქმის ორგანიზება; იმერეთში ცხენის დაჭედვის შემოღება (მანამდე თურმე ცხენი არ იჭედებოდა)... [45].**

კონსტანტინე მაკარის ძე გაჩეჩილაძის*, წინამდებარე წიგნში გამოქვეყნებული, წერილიდან ვიგებთ, - რომ **1860 წელს წევაში, ადგილობრივ ორშტატიან ეკლესიასთან გახსნილა დაწყებითი სასწავლებელი, რომელიც, საკუთარი შენობის უქონლობის გამო, მოუთავსებიათ სესია გაჩეჩილაძის სახლში,** რაც, თურმე, "კიდევაც ესახელებოდაო ამ თავისებურ მეცენატს". **თავდაპირველად გაუხსნიათ ერთკომპლექტიანი (სამგანყოფილებიანი) სკოლა, შემდეგ კი, 1900 წელს, მეოთხე განყოფილება დაუმატებიათ და ორკომპლექტიანად გადაუკეთებიათ. სკოლისათვის ეკლესიის ტერიტორიაზე ქვის შენობა აუგიათ 1890 წელს.**

წევის სკოლის შესახებ ასეთ ინფორმაციას გვაწვდის ამავე სკოლის ყოფილი მასწავლებელი აკაკი გაჩეჩილაძე: - "შორაპნის მაზრაში მარტო ორი სკოლა იყო, ერთი წევაში, რომელიც იწოდებოდა ერთკლასიან სასწავლებლად, შედგებოდა ოთხი ჯგუფისაგან და მეორე ალისუბანში, რომელსაც ორკლასიან სასწავლებელს ეძახდნენ. მე, კი პირადად მაქვს დამთავრებული ჯერ წევის ერთკლასიანი და შემდეგ ალისუბნის ორკლასიანი სასწავლებელი"[46].

"წევის ეკლესიის ეზოში მდგარა ხის დაბალი შენობა, რომელსაც სამრევლო სკოლა რქმევია---შემდეგ ეს შენობა დამწვარა--- და სკოლა ოთიაშვილების უბანში გადაუტანიათ--- ოთიაშვილების სახლში--- აქ სკოლა თითქმის ათეული წლის მანძილზე ყოფილა. **შემდეგ კი ეკლესიაზე მიუშენებიათ ვეებერთელა შენობა, თავისი სამრეკლოთი---1863 წელს ეკლესიის მოშორებით, ეზოს მიღმა აუშენებიათ ორსართულიანი შენობა სკოლისათვის---** რომელიც ამჟამადაც დგას. აქ სწავლობდნენ--- ოთხი კლასის ჩათვლით. 1890 წელს ამავე შენობაზე მიუშენებიათ პატარა ოთახი, რომელშიდაც თავს იყრიდნენ მასწავლებლები, ასევე ამ სოფლის მოწინავე ადამიანები"[46].

ბატონი აკაკის ნაამბობიდან გამოდის, რომ წევაში სკოლა მისი ოთიაშვილების სახლში განთავსებამდეც არსებულა (გაუგებარია, ეკლესიაზე ვეებერთელა შენობის მიშენებაში რას გულისხმობს, თვით ეკლესიის შენობის გადიდებას? (რაც 1863 წელს ჩატარებული რეკონსტრუქციის დროს მოხდა), თუ უკვე გადიდებულ შენობაზე მიშენებას? საყურადღებოა, რომ ეკლესიის ორი შესასვლელის ზემოთ ჩანს ორფერდა მინაშენის ნაკვალევი. ეს მინაშენები არსებულა ჯერ კიდევ სამრეკლოს აგებამდე (სამრეკლო ეკლესიას XX საუკუნის დასაწყისში მიაშენეს), რაც ჩანს იქიდან, რომ დასავლეთის მინაშენის ნაკვალევი სამრეკლოს შიგნით არის მოქცეული. ამჟამად ძნელი დასადგენია, ეს მინაშენები მხოლოდ კარიბჭეებს წარმოადგენდნენ, თუ ეკლესიის გარშემო არსებული შენობის ნაწილებს.

გივი ჯაოშვილი თავისი წიგნის - "ზესტაფონი" იმ თავში, რომელიც ზესტაფონის რაიონის სახალხო განათლებას ეხება, საერთოდ არ ახსენებს წევის სკოლას. იგი წერს, – **XIX საუკუნის 60-იან წლებამდე დღევანდელი ზესტაფონის რაიონის ტერიტორიაზე სასწავლებლები არ ყოფილა. 1867 წელს იხსენებენ საქარის სახაზინო დაწყებით სკოლასო[46ა].**

ყოველივე ზემოთქმული გვარწმუნებს იმაში, რომ **წევის სკოლა ყოფილ შორაპნის მაზრაში, თუ ყველაზე ადრინდელი არა, ერთ-ერთი ყველაზე ადრინდელია. ტრადიციულად, ამ სკოლაში სწავლების დონე ყოველთვის მაღალი იყო. რაც გზას უხსნიდა წეველ მოწაფეებს განათლების უფრო მაღალი საფეხურებისაკენ.** წევის

ეკლესიასთან ერთად, ამ სკოლამ უდიდესი როლი შეასრულა გაჩეჩილაძეების, და არა მხოლოდ მათი, ინტელექტუალურ სულიერ განვითარებაში.

წევის წმ. გიორგის ეკლესიას, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, წევის შემოგარენში სასულიერო ცენტრის როლს ასრულებდა, XIX საუკუნის ბოლოს "შემომავალი" ჰყოლია ხუთი სოფლის (წევა, წიფლავაკე, ლაშე, აჭარა და სანახშირე) მოსახლეობა, რომელიც ეკლესიის მეშვეობით "ურთიერთთან შინაურებივით დაახლოვებული" ყოფილა. მრევლი ყოფილა წევისა და წიფლავაკის მოსახლეობა[47].

გოჩა არონიშიძის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად, **XVIII საუკუნის II ნახევრიდან XX საუკუნის II ნახევრამდე გაჩეჩილაძის გვარში 29 მღვდელი, 4 დიაკონი და რამდენიმე მედავითნე გამოვლინდა** (ჯერ-ჯერობით)[48]. ორი საუკუნის განმავლობაში სასულიერო სფეროში მოღვაწეთა ასეთი სიმრავლე გვავარაუდებინებს, რომ გაჩეჩილაძეებს შორის უფრო ადრეც იქნებოდნენ სასულიერო პირები... ამ სფეროსაკენ გაჩეჩილაძეების ლტოლვა, გარდა წევის ეკლესიის სიძლიერისა და გაჩეჩილაძეთა ღვთისმოსაობისა, ალბათ, განპირობებული იყო ცოდნის შეძენისაკენ და მძიმე მატერიალური და სოციალური მდგომარეობიდან თავდახსნისაკენ სწრაფვით, რისი ერთად-ერთი საშუალება, ფეოდალიზმის ეპოქაში, გაჩეჩილაძეებისათვის- სასულიერო განათლების მიღება იყო და რასაც, ალბათ, მღვდლებისაგან იღებდნენ ეკლესია-მონასტრებში. წევის ეკლესიაში მღვდელმსახურთა განათლებას ეტყობა დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, რაზეც მეტყველებს დღემდე შემორჩენილი XVIII – XIX საუკუნეების საკმაოდ მდიდარი ბიბლიოთეკა (იგი ადრე არსებული ბიბლიოთეკის მხოლოდ ის ნაწილია, რომლის გადარჩენაც წევის ეკლესიის ბოლო მღვდელმა, კასიანე გაჩეჩილაძემ, შეძლო)[49]. წევის ეკლესიას ურთიერთობა ჰქონია საზღვარგარეთის ქართულ მონასტრებთანაც: **1898 წ . 18ივლისით დათარიღებულ წერილში, ათონის მონასტრის მმართველი, მონაზონი იონა, მადლობას უხდის წევის ეკლესიის მღვდელს, მაკარ გაჩეჩილაძეს, მატერიალური დახმარებისათვის[50].** სავარაუდოა, რომ ასეთი კავშირი ადრეც არსებობდა... ბერძნული სამყაროსადმი წეველი სამღვდელოების მიმართებაზე მეტყველებს, როგორც წევის ეკლესიის მხატვრული გაფორმება, ისე XIX საუკუნეში და XX საუკუნის პირველ მეოთხედში (ალბათ უფრო ადრეც) დაბადებულ გაჩეჩილაძეთა ბერძნული სახელები: სევასტი, ერასტი, მაკარი, ერმილე, ამბერკი, გრიგოლი, ალფეზი, ტარასი, ფილიმონი, ზოსიმე, ამბროსი, დიანოზი, ნიკოლოზი, ალექსანდრე, თედორე, ბესარიონი, ეკატერინე, ზინაიდა...[50ა].

წეველი სამღვდელოების მუშაობის დონის თავისებური მაჩვენებელია წევის ეკლესიის მიმდებარე სასაფლაოს საფლავის ქვები, რომლებიც "მეტყველებენ" XX საუკუნემდელ წეველთა კარგ გათვითცნობიერებულობაზე ქრისტიანული საფლავის სიმბოლიკაში და მის ფართო სპექტრით, მხატვრულად გამართული სახით გამოყენებაზე საფლავის ქვების გასაფორმებლად.

გარდა ეკლესიისა და, XIX საუკუნიდან, სკოლისა, წეველთა გარე სამყაროსთან ზიარებაში და თვალსაწიერის გაფართოებაში დიდ როლს ასრულებდა ვაჭრობა, რომელიც მათ ძირითად სამეურნეო საქმიანობასთან, მევენახეობა-მეღვინეობასა და მესიმინდეობასთან ერთად, მათთვის საარსებო საშუალების მოპოვების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო იყო. სევასტი გაჩეჩილაძე წერს: - "აღებ-მიცემობა წეველებისა ძველი საქმეა. ასეც უნდა ყოფილიყო. ბუნება აიძულებდა მათ ეს ხელობა აეღოთ"[51] -

იგულისხმება სამეურნეო მიწის სიმწირე და სოფლის მდებარეობა, როგორც აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს, ისე აღმოსავლეთის და დასავლეთის სახელმწიფოების დამაკავშირებელი "ულევად" ("ვულევად") წოდებული უძველესი საქარავნო გზის პირას[51ა]. როსტომ გაჩეჩილაძე* აღნიშნავს: - "სავარაუდოა, წევას მათთვის (ვაჭრებისათვის) ჰქონდა ერთგვარი ტაქტიკური დანიშნულება. ვაჭართა ქარავანი სოფელში ჩერდებოდა, ეკლესიაში აღავლენდნენ ლოცვა-კურთხევას და, თანაც, ეკლესიასთან მიმდებარე ტერიტორიაზე გახსნიდნენ თავის ავლა-დიდებას და დაიწყებდნენ ვაჭრობას--- სავაჭროდ მოდიოდა მთელი იმერეთის მოსახლეობა. ეს ადგილი დღესაც მოიხსენიება სოფელში როგორც "იარუმკა" ("იარუნკა", "იარმუკა" – ე.გ.), რაც, ალბათ, უფრო გვიანდელი შერქმეულია და ბაზრობას – იარმარკობას უნდა ნიშნავდეს"[52].

დოდო ანთაძე თავის წიგნში "თეატრალური ზესტაფონი" წერს, რომ **რკინიგზის ხაზის თბილისი-ზესტაფონი-ფოთის ამუშავებამდე (1872), შორაპნის მაზრაში "რამდენიმე მძლავრი სავაჭრო ადგილსამყოფელი იყო საჩხერეში, წევასა და ჩხარში"[51].** "რკინიგზის გაყვანამ ამ სოფლებს სავაჭრო მნიშვნელობა დაუკარგა. სამაგიეროდ, ზესტაფონში გაძლიერდა აღებ-მიცემობა. ძირითადად აქ გადმოინაცვლეს ვაჭრებმა დ ხელოსნებმა"... "ჭიათურიდან ზესტაფონში განუწყვეტლივ ჩამოჰქონდათ შავი ქვა ურმებით, ფორნებით, ცხენებითა და აქლემებით"[53]. ჭიათურა -შორაპნის სარკინიგზო ხაზის ამოქმედებამდე (1895), შავი ქვის გადაზიდვა წევის საზღვართან გავლით ხორციელდებოდა, გადაზიდვაში გაჩეჩილაძეებიც აქტიურად მონაწილეობდენ.

1880-იან წლებში იმერეთში ვაზის ობისა და ფილოქსერასაგან ვენახების განადგურებამ, შავი ქვის ურმით გადაზიდვის მოსპობამ, წეველები დიდ სიდუხჭირეში ჩაჰყარა.

1899 წელს სევასტი გაჩეჩილაძე იხსენებდა არც თუ ისე დიდი ხნის წინანდელ ამბებს,– "წევის ეკლესიაზე დიდი ამბით იცოდენ ხოლმე გადახდა ძველებურად დღეობების"... "თემობაც იცოდენ" – სათემო მინდორზე, საერთო პურისჭამა, გალობა, მრავალნაირი გართობა-თამაშობები, "ახლა კი პატარა ბავშვსაც საფიქრებელი გაუჩნდა რაღაც და კვირტშივე ჩიავდება, წუხდება"... "კრიზისი საზრდოსი, საცხოვრებელი საშუალების ამ ბოლო დროს ჩამოვარდინილა აქ", რაც ზემოხსენებულ მიზეზთა გარდა, გამოუწვევია მოსახლეობის გამრავლებას, ნიადაგის გამოფიტვას, "წვრილმანი მოვასხეების ობობის ქსელების ხალხზე გაბმა-გამობმას"... სამუშაო დროის მოცდენას[54]. (ბატონ სევასტის დაუანგარიშებია, რომ რელიგიურ დღესასწაულებზე, სამგლოვიარო და სალხინო რიტუალებზე, სოფლის სასამართლოში და სხვადასხვა ყრილობებზე დასასწრებად, გზების საკეთებლად და საყარულოდ, უამინდობის გამო და სხვა... ყოველ ოჯახს წელიწადში 232 დღე უქმად მიუდიოდა და მხოლოდ 133 დღე რჩებოდა შრომისთვის, რის გამოც, კიდევ უფრო მეტად უჭირდათ თავის გამოსაკვებად და გადასახადების გადასახდელად სამყოფი სარჩოს მოყვანა).

"გულის წვით აღსანიშნავია (წერს ბატონი სევასტი), თუ როგორ იქცევა ოჯახი ოჯახზე, თუ როგორ ჰქრება, ცივდება კერა. არა ერთსა და ორს განუტევებია გაძაღლებული სული და ცოლ-შვილი დაუყრია ცივ-ქვაზე, გზა-შარაზე. არა გვგონია, რომ ბევრი იყოს ისეთი სოფელი, რომ ამდენი გახიზნული ჰყავდეს სხვა-და-სხვა ქვეყნებში და სოფლებში"[55].

ბატონი სევასტის დროს, წევაში 190 “კვამლ” გაჩეჩილაძეს უცხოვრია. იგი წერს, რომ: - “ერთი ამდენი ჯერ დღეს რომ ვიცით, გადასახლებულა თუ კახეთში და თუ ქვემოთში, რომ ძველებური გადასახლებულები არ ვიანგარიშოთ, რომლის ცნობაც აღარა აქვთ თანა-მოგვარეებს. **კახეთში ბევრია გაჩეჩილაძე ჯაჭვაძის გვარით. ესენი ერთ-თავად ბატონ-ყმობის უსამართლობას გაქცევიან”[56]. ამავე მიზეზით წასულან წევიდან, შემდგომში წეველიძედ გვარგადაკეთებული, გაჩეჩილაძეები.** წეველთა ნაწილის მიერ მშობლიური სოფლის მიტოვების ერთ-ერთი მიზეზი იყო იქ სამეურნეო მიწის არასაკმარისობა და გამოფიტვა. “მიწასთან ბრძოლით უნაყოფოდ დარჩენილი, მოტყუებული გლეხი ყოველისფერს ეტანება: გარბის სამუშევარზე თუ რკინის გზაში და თუ ქალაქებში, წვრილ-წვრილად აღებ-მიცემობს: ყიდულობს წურბელს, ბამბას, ქალაბანს და ჰყიდის სოფელში; გააქვს შროშიდან სოფლად წვრილ-წვრილი ჭურჭელი და იქიდან აბრუნებს თუ ყველს, თუ დაკლულ ყვერულებს, თუ ლობიოს და თუ სიმინდს. სხვათა შორის, ყასპობა აქ ხშირია”[57]. ჯაჩეჩილაძეებს შორის საკმ აოდ გავრცელებული ყოფილა ექიმბაშობაც (“მეწურბლეობა”), რის გამოც, ერთხანს, ყველა გაჩეჩილაძეს მეტსახელად მეწურბლეს ეძახდნენ).

“სამაგიეროდ, მესამედი წეველებისა ჩაგანძულია, მდიდარია. მათი სიმდიდრით გაშვენდა ზესტაფონის და ჭიათურის დუქნები, ესენი არიან უმეტესად ბაზაზები, ფარჩეულობის მოვაჭრენი— შეძლებულთა შვილები იზრდებიან სასწავლებლებში. ბევრი უკვე გამოსულა და დარიგებულიც არიან თავ-თავის საქმეზე თუ მღვდლებათ, თუ მასწავლებლებათ და სხვ... წეველ გლეხს ესმის, რომ სწავლა საჭიროა და კარგია, მაგრამ ვისაც საღსარი არა აქვს, რა ჰქნას? არა ერთი და ორია ისეთი, რომ სასწავლებლის გასასტუმრებელი ფული არა აქვს, და ძალაუნებურად ხელაღებული უნდა იქნეს ბავშების სწავლაზე. კარზე სკოლა აქვს, რიგიანად დაწყობილი სწავლა და მისთვის კი იგი დახურულია! ამას უყურებს მისი მოძმე ვაჭარი და გულ-ცივადაც უყურებს. სიბრალული მის გულში არ არის, მის თავში ანგარიშია. მადლი და შებრალება მისთვის ენაა, ცარიელი სიტყვაა”[58].

“აღებ-მიცემობის, მრეწველობის აღორძინებამ ახლავე დატვირთა ერთი ნაწილი წევის მცხოვრებთა და მეორე ნაწილი თითქმის, თუ სულ არა, ხელში შემაცქერლად გაუხადა. ძალიან შესამჩნევად იყოფა შრომა და კაპიტალი, ფულიანი და მუშა”[59].

“ახალი მებატონეები, ფულიანები უმეტეს ნაწილად ნაყმევი გლეხები ხდებიან, რადგანაც აღებ-მიცემობას, მრეწველობას და სხვ. ახალი ცხოვრების მოთხოვნილებას მისდევენ. ეს რა უკუღმა გადატრიალებაა ძველი მებატონეების ჩალხისა, რომ გუშინდელი მისი ყმა მის დამონებასვე ლამობს?! ამ შემთხვევაში თავად-აზნაურობას--- მეტი საშველიც არა აქვთ--- თუ არ დაუტრიალდენ მუშაობას და საზოგადო ფერხულში არ ჩაებენ ე. ი. თუ აღებ-მიცემობას, მრეწველობას, მეურნეობას არ მოჰკიდეს ხელი--- მათს ქედზე უარესი მძიმე და მკაცრი კალო დატრიალდება, ვიდრე ისინი ატრიალებდენ ყმების ქედზე”[60].

გაჩეჩილაძეები აქტიურად მონაწილეობდენ ზესტაფონის აღმშენებლობაში. იქ წარმოების, კულტურისა და განათლების საქმის ორგანიზებასა და წარმართვაში. “სოფლის უხუცესები ახლაც იტყვიან ხოლმე: - **“ნახევარი ზესტაფონი წეველი გაჩეჩილაძეების აშენებულიაო”[61]. ისინი ყოფილან პირველი ქართველი მეწარმეები ზესტაფონში.** გ.ჯაოშვილი აღნიშნავს:

- “აქამდე ცნობილი იყო, რომ XX საუკუნის ოციან წლებამდე ზესტაფონში არ ყოფილა არც ერთი საწარმო, ანანოვის ღვინის ქარხნის გარდა, მაგრამ ეს აზრი სწორი არ აღმოჩნდა. აქ ყოფილა ყავის საწარმო, რომელიც იმ დროს დიდი პოპულარობით სარგებლობდა--- ყავა სოიოსა და რკოსაგან მზადდებოდა და დიდი რაოდენობითაც იყიდებოდა როგორც მაზრის, ისე რუსეთის ბაზრებზე. ქარხანა მოთავსებული იყო ახლანდელი ს. ზაქარიაძის ქუჩაზე, ვაჭარ აგაბო გაჩეჩილაძის საცხოვრებელი სახლის ქვედა სართულში. ქარხნის მეპატრონე იყო პოლონელი კომერსანტი სატოვსკი და რუსი მასალნიკი”--- **XX საუკუნის ათიანი წლების ბოლოს** ქარხნის მეპატრონეები ზესტაფონიდან წავიდნენ, “**ქარხანა შეისყიდეს და ყავის წარმოებას განაგრძობდნენ ძმები ბიქტორ, აგაბო და მიხეილ გაჩეჩილაძეები”**[62].

“პოლიგრაფიული მრეწველობიდან აღსანიშნავია მიხეილ (სპირიდონის ძე) გაჩეჩილაძის* მიერ 1895 წელს დაარსებული სტამბა” (სტამბის დაარსების თარიღად მ.გაჩეჩილაძის შვილიშვილს, ნინო გაჩეჩილაძეს, წინამდებარე წიგნში დაბეჭდილ ბიოგრაფიაში, 1900 წელი აქვს აღნიშნული. იგი წერს, რომ, მანამდე, მ.გაჩეჩილაძეს **1893 წელს ბათუმში დაუარსებია ქართული ბეჭდვის ამხანაგობა “გლეხი”, ხოლო 1893 წელს ზესტაფონში – წიგნის მაღაზია. ამ დროიდან იგი აქტიურად მონაწილეობდა “ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში”. მიხეილ გაჩეჩილაძეს დიდი წვლილი შეუტანია ზესტაფონის თეატრალურ ცხოვრებაშიც.** დოდო ანთაძე წერს, - რომ 1897 წელს ტასია არაბიძის სადუქნე დარაბა უქირავებიათ სცენისმოყვარეებს, გადაუკეთებიათ და დაუწყიათ ამ შენობაში წარმოდგენების გამართვა. შენობის გადაკეთება-მოწყობისათვის დიდი შრომა გაუწევია ამ დროს დაარსებული **ზესტაფონის პირველი დრამატული საზოგადოების გამგეობას, რომლის თავმჯდომარე ყოფილა მიხეილ გაჩეჩილაძე**[63]. ენთუზიასტების მიერ შექმნილი ეს პატარა თეატრი უდიდესი კულტურული შენაძენი იყო ზესტაფონისათვის. სამი წლის განმავლობაში მასში ოცდაათი დასახელების სხვადასხვა პიესა დაიდგა. 1901 წლის 30 აპრილს თეატრის შენობა დაიწვა.

თეატრის ახალი შენობის აგების მიზნით შექმნილა “საპაიო ამხანაგობა”, რომლის დამაარსებლები იყვნენ: მიხ. გაჩეჩილაძე, ვ. არდალიშვილი, ი. მაღლაკელიძე, **ვ. გაჩეჩილაძე,** ვ. საყვარელიძე, ალ. ჭუმბურიძე, ნ. ჩხეიძე და ლ. კელენჯერიძე.

მშენებლობის ინიციატორებს ადგილიც კარგი შეურჩევიათ. “ივერიაში” ვკითხულობთ:- “რამდენიმე ვაჭარმა უკვე შესწირა ერთი ნაკვეთი ადგილი ჩინებულ ალაგს, 800 მან. ღირებულების, სათეატრო შენობის ასაშენებლად”. **“ადგილი (მიწის ნაკვეთი), სადაც უნდა აშენებულიყო თეატრი შემოსწირეს უფასოდ თეატრის ამხანაგობას: სპირიდონ გაჩეჩილაძემ, პართენ გაჩეჩილაძემ, ალფეზა გაჩეჩილაძემ, სტეფანე გაჩეჩილაძემ** და ძმებმა ტრიფონ და ლასო ნიორაძეებმა”[64].

ნინო გაჩეჩილაძე აღნიშნავს, რომ **მიხ. გაჩეჩილაძეს თეატრის შენობაში დაუარსებია სამეურნეო ბანკი, ბიბლიოთეკა და ოთხკლასიანი სამოქალაქო სასწავლებელი (შემდგომში ცხრაწლედი)...**[65]

XIX საუკუნის ბოლოს სასწავლო დაწესებულებების რაოდ ენობის ზრდამ და კაპიტალიზმის განვითარების კვალდაკვალ, გაჩეჩილაძეთა შორის ასე თუ ისე შეძლებული ოჯახების მომრავლებამ, უფრო მეტ გაჩეჩილაძეს მისცა განათლების მიღების საშუალება. XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში არა ერთმა

გაჩეჩილაძემ დაამთავრა ქუთაისის გიმნაზია და სასულიერო სემინარია, ზოგმა (სევასტი*, ივანე* ნიკოლოზ*... გაჩეჩილაძეებმა) სწავლის გასაგრძელებლად საზღვარგარეთის უნივერსიტეტებს მიაშურა.

XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში ქართული საზოგადოების კულტურულ ცხოვრებაში აქტიურად მონაწილეობდა ფოლკლორისტი სევასტი გაჩეჩილაძე*. იგი საჭირბოროტო საკითხებზე სტატიებს აქვეყნებდა იმდროინდელ ჟურნალ-გაზეთებში, თანამშრომლობდა აკაკი წერეთელთან და ექვთიმე თაყაიშვილთან, იყო "საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების" აქტიური წევრი... **გარდა წევისა და წეველების შესახებ გამოქვეყნებული, ზემოხსენებული ნაშრომისა და წეველთა ფოლკლორის ჩანაწერებისა, მას დარჩა გამოუქვეყნებელი საკუთარი მხატვრული, კვლევითი და მემუარული ხასიათის ნაწარმოებები** (იხ. ბიოგრაფ. N 137).

1907 წელს მიხეილ გაჩეჩილაძემ* დააარსა საქართველ ოში პირველი "ჟურნალ-გაზეთების აგენტურა" მთელ საქართველოში, აგენტების მეშვეობით, ვრცელდებოდა ყველა ჟურნალ-გაზეთი. **საკუთარ სტამბა "სორაპანში" მან თითქმის 200 დასახელების წიგნი და უამრავი დასახელების ჟურნალ-გაზეთი დაბეჭდა. მასაც დარჩა გამოუქვეყნებელი ნაშრომები** (იხ. ბიოგრ. N 118).

1907 – 1908 წლებში გამოდიოდა ყოველკვირეული იუმორისტულ-პოპულარული ჟურნალი "ეკალი", რომლის რედაქტორ-გამომცემელი იყო პლატონ გედევანის ძე გაჩეჩილაძე*.

გაჩეჩილაძეები აქიურად მონაწილეობდენ მუშათა და გლეხთა 1905 – 1907 წლების რევოლუციურ მოძრაობაში მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. ისინი ერთიანდებოდენ ზესტაფონში, წევასა და საქართველოს სხვა ადგილებში მოქმედ რევოლუციურ დაჯგუფებებში და თავადაც ქმნიდნენ რევოლუციის მხარდამჭერ სხვადასხვა ორგანიზაციებს. **მიხეილ გაჩეჩილაძემ 1893 წელს ბათუმში არალეგალური სტამბა დააარსა, სადაც ბეჭდავდა პატრიოტულ ლიტერატურას და პროკლამაციებს. 1904 წელს მან ორი რაზმი შეკრიბა და ზესტაფონში ესერთა ორგანიზაცია ჩამოაყალიბა. არალეგალური სტამბა მან, ესერთა თხოვნით, ქუთაისშიც (არქიელის გორაზე) გამართა, სადაც პროკლამაციები იბეჭდბოდა.** ზესტაფონის თეატრის, რომლის გამგე თვითონ იყო. საიდუმლო სარდაფში მიხეილი და მისი მეგობრები ყუმბარებს ამზადებდნენ და იარაღს აგროვებდნენ, ხოლო თავად თეატრი – რევოლუციურ იდეათა მქადაგებელ ტრიბუნად იყო გამოყენებული. ამიტომ, თვითმპყრობელობის მიერ 1905 წლის რევოლუციური აჯანყების ჩახშობის შემდეგ, ალიხანოვ ავარსკის დამსჯელმა რაზმმა 1906 წელს ზესტაფონის თეატრი გადაწვა[66].

1905 წელს, რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობისათვის, მოსკოვის უნივერსიტეტიდან გაირიცხა სტუდენტი ივანე ერასტის ძე გაჩეჩილაძე* (შემდგომში პირველი წეველი პროფესორი).

XX საუკუნის დასაწყისში, წევასა და წიფლავაკეში "წითელი რაზმელების" ძლიერი ჯგუფი მოქმედებდა გრიშა* და ლაზარე* გაჩეჩილაძეების ხელმძღვანელობით. სხვადასხვა წლებში რევოლუციური მოძრაობის მონაწილენი ყოფილან, აგრეთვე, რაჟდენ, სერგო, ერმინე, ბესარიონ, ალექსანდრე და სხვა გაჩეჩილაძეები[67]. **წევის** გავლით, წეველთა დახმარებით ჭიათურაში არაერთხელ გადასულა იოსებ (კობა) ჯუღაშვილი...[68]).

რევოლუციონერ გაჩეჩილაძეთა ნაწილი, 1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ, რეაქციონერებს გაუნადგურებიათ: 1906 წელს სადგურ აბაშაში "საერობო დარაჯებს" მოუკლავთ კოლა გაჩეჩილაძე*, 1907 წელს პოლიციელებს მოუკლავთ წევის რევოლუციური ორგანიზაციის ხელმძღვანელი, გრიშა ერასტის ძე გაჩეჩილაძე*, ხოლო მისი თანამებრძოლი, ლაზარე გაჩეჩილაძე*, რომელსაც 1908 წელს ირანის რევოლუციაშიც მიუღია მონაწილეობა, - ირანშივე დაღუპულა...[69]

რევოლუციური საქმიანობა გაჩეჩილაძეებს შემდგომშიც გაუგრძელებიათ. მათი დიდი უმეტესობა სიხარულით შეხვედრია ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებას, შემდეგ კი საქართველოს გასაბჭოებას, ხოლო ის **გაჩეჩილაძეები, რომლებიც საქართველოს პირველი დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის წლებში (1918 – 1921) მენშევიკების მხარეს აღმოჩნდნენ (მაგალითად: დოსითეოს ანდრიას ძე* (ნ. ჟორდანიას მთავრობის წევრი, საქართველოს აგრარული განვითარების კონცეფციის ავტორი), მისი სამი ძმა: ამბროსი (კახეთის მთავარი აგრონომი ნ.ჟორდანიას პრეზიდენტობის დროს), სერგო, ირაკლი და სხვები ახალმა ხელისუფლებამ გაანადგურა...**

გაჩეჩილაძეებს საბჭოთა ხელისუფლების წლებში არ დაკლებიათ "სიმწარე". **ბევრი მათგანი შეიწირა 30-იანი წლების რეპრესიებმა. ბევრი გმირულად დაიღუპა მეორე მსოფლიო ომში** საბჭოთა სახელმწიფოს გერმანელი ფაშისტებისაგან დაცვისას. **გაჩეჩილაძეებისათვის განსაკუთრებით მტკივნეული იყო, 1944 წელს, მათი ბუდე სოფლიდან იძულებითი აყრა და ჩასახლება ახალციხის რაიონის სოფ. ზიკილიაში,** ე. წ. "თურქი მესხების" ნაცვლად (მას შემდეგ, რაც წევის ისტორიას გავეცანი, კიდევ უფრო საეჭვო გახდა ჩემთვის წევის გამსახლებელთა მიზნის საქართველოსათვის სასიკეთოობა: ძირძველი სოფელი წევა, იმ არემარეში მდებარე სოფლებს შორის, გამორჩეული იყო: იგი საუკუნეთა განმავლობაში იყო საეკლესიო, სავაჭრო და საგანმანათლებლო ცენტრი (სანამ ამ რაიონში უძველესი წევის სკოლა აშენდებოდა, მანამდე საგანმანათლებლო ფუნქციას წევის ეკლესია ასრულებდა). აქ აქტიური, მაძიებელი ხალხი ცხოვრობდა. წევა იყო იმერეთში რევოლუციონერთა ერთ-ერთი ბუდე...

ბატონი სევასტი გაჩეჩილაძის არქივის გაცნობამ დამარწმუნა, რომ წევა იყო ტრადიციების "სკივრი" (აქ შემონახული იყო ხალხური დღესასწაულების მთელი "კოლექცია", უმდიდრესი ფოლკლორი, წეველები ფლობდნენ მრავალ უძველეს ხელობას...).

წევას მეზობელ სოფლებზე მეტი ჰქონდა მიწა, წყალი და ყოველგვარი სიკეთე. ქვეყნის კეთილის მსურველმა როგორ უნდა მოშალოს სოფელი, რომელსაც შვიდი, თუ მეტი წყარო აქვს, მდინარე და ორი ღელე ჩამოუდის?!.

წევის მომშლელს ქართული ტრადიციების ამოგდება ჰქონდა, ალბათ, მიზნად, თორემ წევაშიც და მეზობელ სოფლებშიც ახალციხეში გადასახლების მსურველები მრავლად ყოფილან, შეიძლებოდა, ამ ხალხით და ყველაზე მცირემიწიანი გლეხებით დაეკომპლექტებინათ "თურქი მესხებისაგან" გათავისუფლებული მიწები...).

წევიდან გასახლებამ კიდევ უფრო დააჩქარა, XX საუკუნეში ისედაც დიდი სისწრაფით მიმდინარე, საგვარეულოს დაქსაქსვის პროცესი. მაგრამ, **გაჩეჩილაძეთა დიდ უმრავლესობას, საბჭოთა ხელისუფლების დროს, ადრინდელზე უკეთესი პირობები**

შეექმნა არსებობისათვის, საკუთარი ნიჭისა და უნარის გამოვლენისათვის. სიმპტომატურია, რომ მათ თითქმის სრულებით მიატოვეს ამ საგვარეულოსათვის ტრადიციული საქმიანობის ზოგიერთი სფერო: ვაჭრობა, ხელოსნობა (მღვდელმსახურება იძულებით მიატოვებინეს). მათი დიდი ნაწილი საერო განათლებას დაეწაფა და სხვადასხვა დარგის სპეციალისტად ჩამოყალიბდა. საგვარეულოში უმაღლესი განათლების მქონე პირთა მაღალი პროცენტული და ხარისხობრივი მაჩვენებელი ჩვენს წინაპრებს ძალიან ეამაყებოდათ. **სავარაუდოდ, XX საუკუნის 30-40-იან წლებში უნდა იყოს დამკვიდრებული დღესაც ცნობილი გამოთქმები: "გაჩეჩილაძე რომ დაიბადება, საწოვარას მაგივრად წიგნს ითხოვსო!.."; "გაჩეჩილაძეებს ძაღლიც კი არა ჰყავთ უსწავლელიო!.."** სწავლა-განათლებისკენ ასეთმა ლტოლვამ შედეგიც მალე გამოიღო, ბევრმა გაჩეჩილაძემ წარმატება მოიპოვა მეცნიერების, ხელოვნებისა და სახალხო მეურნეობის სხადასხვა დარგში, რაც ნაწილობრივ წინამდებარე წიგნშიც აისახა.

აღსანიშნავია, რომ ამ წიგნში წარმოდგენილი ბიოგრაფიების მესამედი გაჩეჩილაძეთა ერთ-ერთი შტოს – ოთიაშვილებისაა. ისინი ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში გაჩეჩილაძეთა შორის გამოირჩნენ როგორც სიმრავლით, ისე თავიანთ საქმიანობის სფეროში წარმატებულობით, ქვეყნის აღმშენებლობაში შეტანილი წვლილის მნიშვნელოვნებით. ოთიაშვილთა წარმატებულობას ჯერ კიდევ XIX საუკუნის დასაწყისში ჩაუყარა საფუძველი ამ შტოს ფუძემდებელმა - "დიდმა ოთიამ". მან სხვებზე ადრე აუღო ალღო ახალ ცხოვრებას და უდიდესი თავგანწირვა გამოიჩინა თავისი შთამომავლობისათვის მატერიალური ბაზის შესაქმნელად... ოთიას საქმე ასეთივე თავგანწირვით განაგრძო მისმა ვაჟმა, როსტომმა. მან ყმობისაგან გამოისყიდა თავისი ოჯახი. როსტომის ვაჟმა, სესიამ, არა მხოლოდ საკუთარი ოჯახის, არამედ სოფ. წევის გასაძლიერებლად და "ფეხზე დასაყენებლადაც" იზრუნა. ამ ოჯახის IV და V თაობებმა იზრუნეს სასულიერო სფეროში გაძლიერებაზე (მღვდლები: ეფრემი*, სამსონი, მაკარი*, ეფთვიმე, ბელოვანი, კასიანე*), აქტიური მონაწილეობა მიიღეს სოფელში განათლების საქმის ორგანიზებაში (მიხეილი, მაკარი*, აკაკი, კონსტანტინე*, ლევანი*...); სევასტიმ*, - როგორც თვითონ წერს, 13 წელიწადი იშრომა, რათა ამომწურავად შეესწავლა წევური ფოლკლორი (რომელიც წეველთა მრავალი თაობის კოლექტიურ შემოქმედებას წარმოადგენს და ყველაზე უკეთ ამჟღავნებს მათ ფილსოფიას, ფსიქოლოგიას, შემოქმედებით უნარს). წევის ბუნების შესწავლასთან ერთად, მან, შეძლებისდაგვარად, შეისწავლა წეველთა ისტორია და ეთნოგრაფია, რითაც ჩვენს მოდგმას შეუქმნა "მეხსიერება", გარკვეული მონაცემთა ბაზა, რომელიც ჩვენ უნდა შევავსოთ, დავაზუსტოთ, განვავითაროთ...

ოთიაშვილების შტოს წარმომადგენელი, გრიშა გაჩეჩილაძე, იყო წევის რევოლუციური ჯგუფის ხელმძღვანელი; **ოთიაშვილებმა: სევასტიმ, ნიკოლოზმა და ივანემ, წეველთაგან ყველაზე ადრე, მიიღეს საუნივერსიტეტო განათლება (სევასტიმ, სავარაუდოდ, 1906 წელს დაამთავრა ბრიუსელის უნივერსიტეტის აგრონომიული და სამთამადნო ფაკულტეტები, ივანემ, 1909 წელს - მოსკოვის უნივერსიტეტის მათემატიკის ფაკულტეტი, ხოლო ნიკოლოზმა, 1910 წელს - ყაზანის უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტი); ივანე ოთიაშვილი გახდა პირველი წეველი პროფესორი.** ოთიაშვილთა შემდგომი თაობების მრავალმა წარმომადგენელმა თავი გამოიჩინა

მეცნიერებისა და სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში წარმატებული მოღვაწეობით.

გაჩეჩილაძე-ოთიაშვილთა ისტორია ერთი ოჯახის მრავალი თაობის მიერ ცხოვრების გონივრული, თანმიმდევრული წარმართვის კლასიკური მაგალითია. სამწუხაროდ, მათი მერვე და მეცხრე თაობის შემადგენლობა რიცხობრივად მკვეთრად შემცირდა (ამის ერთ-ერთი მიზეზი, ალბათ, საკუთარი ფესვებიდან მათი მოწყვეტა, დაქსაქსვა და შესაბამისად, თვითკონტროლის შესუსტებაა...), რაც ამ შტოს დღევანდელი წარმომადგენლების წინაშე დიდ პასუხისმგებლობას აყენებს!.. (ოთიაშვილების მიმართ გამოთქმული შენიშვნა მთელ საგვარეულოს ეხება). ცხადია, წევის და საგვარეულოს ისტორიას მხოლოდ ოთიაშვილები არ ქმნიდნენ. სოფელ წევისა და ქვეყნის აღმშენებლობაში მონაწილეობდა გვარის ყველა შტო და სხვა შტოების მრავალმა წარმომადგენელმაც ისახელა თავი სასიკეთო საქმეებით...

საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და საზღვარგარეთის მრავალ ქვეყანაში გაფანტულ ჩვენი საგვარეულოს წარმომადგენელთა კვლავ შეკავშირება ხელს შეუწყობს გვარის თითოეული შტოს შემოქმედებითი ენერგიის მობილიზებას, საგვარეულოს ყველა წევრის გაძლიერებას. ამ გაერთიანების ქვაკუთხედად უნდა იქცეს ჩვენი ბუდე სოფელი წევა და ჩვენი წინაპრების სალოცავი, სასწაულმოქმედი წევის წმინდა გიორგის ეკლესია.

სწორედ წევის მრავალფეროვან და მშვენიერ, მაგრამ მკაცრ ბუნებას საუკუნეთა განმავლობაში ჩამოუყალიბებია ჩვენი მოგვარეების ტიპური თვისებები: გამახვილებული ესთეტიკური გრძნობა, ფანტაზიის სიმდიდრე, ინტერესთა მრავალფეროვნება, შემოქმედებითი უნარი, დაკვირვებულობა შრომისმოყვარეობა, ყაირათიანობა, ხასიათის სიმტკიცე, ხოლო წევის ეკლესიის სიძლიერეს და ჩვენი წინაპარი სულიერი მოძღვრების დაუღალავ ღწვას უფრო გაცნობიერებული გაუხდია ის, რისკენაც უსიტყვოდ გვიბიძგებს წევის ბუნება: მშვენიერებისა და ამაღლებულისადმი სიყვარული და ერთგულება, რაც ორგანულ კავშირშია ქრისტიანულ იდეალებთან, საერთოდ კაცობრიობის უმაღლეს იდეალებთან და ადამიანთა ცხოვრებაში ვლინდება თავმოყვარეობაში, - პასუხისმგებლობისა და ღირსების გამახვილებულ გრძნობაში, მიდრეკილებაში ქცევის თვავშეკავებულობისა და სისპეტაკისადმი, სამშობლოს ერთგულებაში, საქვეყნო საქმისადმი უანგარო და უხმაურო თავდადებისა და თავგანწირვის უნარში...

საბედნიეროდ, ეს თვისებები არა მხოლოდ ჩვენი მოგვარეებისთვისაა დამახასიათებელი. ჩვენი სადარი და ჩვენზე უკეთესი სხვაც ბევრი ჰყავს საქართველოს და ღმერთმა უმრავლოს!.. იმედი გვაქვს, რომ ჩვენი მოგვარეების მომავალი თაობები ღირსეულად განაგრძობენ და განავითარებენ წინაპართა დადებით ტრადიციებს და თავიანთი კეთილი საქმეებით გააძლიერებენ ჩვენს ქვეყანას!..

ეკატერინე გაჩეჩილაძე (ლანჩავა)

2004 წლის ოქტომბერი.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

1. ავთანდილ სილაგაძე, ანზორ თოთაძე. “გვარ-სახელები საქართველოში”. თბ., 1997.
2. ბატონი სევასტის შვილიშვილის დ.ახრახაძის გადმოცემით, - ბატონმა სევასტიმ ბრიუსელის უნივერსიტეტის აგრონომიული და სამთამადნო ფაკულტეტები 1906 წელს დაამთავრა. ეს თარიღი გადასამოწმებელია, ვინაიდან ძნელად წარმოსადგენია, რომ ისეთი კარგი საბუნებისმეტყველო განათლება, როგორსაც ის დასახელებულ ნაშრომში ამჟღავნებს, მხოლოდ ქუთაისის გიმნაზიაში და დამოუკიდებლად მიეღო.
3. სევასტი გაჩეჩილაძე*. “სოფელი წევა, წეველები, მათი ვინაობა და თავ-გადასავალი”. “აკაკის თვიური კრებული”, 1899, N 2 და 3; “ძველი საქართველო”, ტ. 1, 1909; ტ. 4, 1915.
4. როსტომ გაჩეჩილაძე*. “წეველი ზიკილიელები”. თბ., 2003.
5. მიხეილ ნიკოლოზის ძე გაჩეჩილაძეს* (1911 - 1990) ეს ლეგენდა გაუგონია ბაბუამისის – ოქროპირისაგან. ჩაიწერა ეკატერინე გაჩეჩილაძემ* (სრული სახით ლეგენდა გამოქვეყნდება საგვარეულო წიგნის მეორე ნაწილში).
6. სევასტი გაჩეჩილაძე. “სოფელი წევა, წეველები, მათი ვინაობა და თავ-გადასავალი”. “აკაკის თვიური კრებული”, 1899, N 3, გვ. 30.
7. წინამდებარე კრებული, გვ. 38.
8. ვაჰანის გამოქვაბული მონასტრის წესდება. ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტში.

8ᵃ. მინაწერები უფრო მოგვიანო ხანისაა, ვიდრე “ვაჰანის ქვაბთა განგება”.

9. ხელნაწერთა ინსტ. (Ad-933_{10}); თ. ჟორდანია “ისტორიული საბუთები შიო-მღვიმის მონასტრისა და “ძეგლი ვაჰანის ქვაბთა”. თბ., 1896, გვ. 47 – 48; მასალები ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის (X – XVII სს. ისტორიული დოკუმენტების მიხედვით). წიგნი I (გამოსაცემად მოამზადეს ზ. ალექსიძემ და შ. ბურჯანაძემ). თბ., 1964, გვ. 258.
10. ხელნაწერთა ინსტ. (Ad -933_4); თ.ჟორდანია – დასახელებული ნაშრომი. გვ. 45; მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის – დასახელებული წიგნი, გვ. 258.
11. თ. ჟორდანია. დასახელებული ნაშრომი, გვ. 45 – 47- 48.
12. მასალები ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის – დასახელებული წიგნი, გვ. 258.
13. ვაჰანის ქვაბთა განგება (XIII ს.) – ლ. მუსხელიშვილის გამოცემა, თბ., 1939, გვ. 10.
14. ვ. ცისკარიშვილი. წარწერები ასპინძის რაიონიდან. მასალები სა ქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. თბ., 1954, გვ. 180.
15. ლ. მუსხელიშვილი. არქეოლოგიური ექსპედიციები. საქართველოს სახელმწ. მუზეუმი, თბ., 1941, გვ. 59 – 60.
16. ვ. სილოგავას თავისი ნაშრომი ვაჰანის ქვაბთა განგების შესახებ ჯერ

გამოქვეყნებული არა აქვს. აღნიშნული ინფორმაცია მივიღე მისგან, - სატელეფონო საუბრის დროს. იგივე ინფორმაცია მოცემულია, ვ.

სილოგავას ყოფილი ასპირანტის, ირმა ტალახაძის, სადისერტაციო ნაშრომში – “ვაჰანის ქვაბთა განგება”, როგორც საისტორიო წყარო. თბ., 1998, გვ. 98 – 99 (ი. ტალახაძის ნაშრომი ინახება ეროვნულ ბიბლიოთეკაში).

17. თ. ჟორდანია. “ისტორიული საბუთები შიო-მღვიმის მონასტრისა და “ძეგლი ვაჰანის ქვაბთა”. თბ.. 1896, გვ. 49. ხელნაწერთა ინსტ. . (Ad-933_{15}).
18. ვ. ცისკარიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 180.
19. (1452 VI.12 Ad-1564), მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის. დასახელებული წიგნი, გვ. 258.
20. პ. ინგოროყვა, თხზულებანი. ტ. I, თბ., 1965, გვ. 35.
21. თ. ჟორდანია, დასახელებული ნაშრომი, გვ. 45 (ხელნაწ. ინსტ. Ad-933_4).
22. იგივე, გვ. 28 – 29.
23. ვანი – იგივეა, რაც სავანე – 1. ბინა, სადგომი, სამყოფელი; 2. – მონასტერი (ქეგლ, ერთტომეული, თბ., 1986). მაგრამ ყველა მონასტერს, ყველა ბინასა და სამყოფელს, ცხადია, ვანს არ ეძახიან. ვანი შემორჩა სახელად რამდენიმე გეოგრაფიულ ობიექტს: დაბას, სოფლებს, მონასტერს, ტბას...
24. თომა მაჭავარიანი. ვარძიის მონასტერი. ჟ. “ცისკარი”, 1863, ოქტომბერი, გვ. 134 – 136. თქმულების მიხედვით, თამარ მეფეს ამ სოფელში თავისთვის სასახლე აუშენებია და გარდაცვალებამდე ორი წელი აქ უცხოვრია. სოლომონ პირველმა ვარძიის ეკლესია, თავისი ადგილ-მამულით და ყმებითურთ საბერძნეთის კიკოს მონასტერს შესწირა.
25. ამის შესახებ უფრო ვრცელ ინფორმაციას მოგაწვდით საგვარეულო წიგნის მეორე ნაწილში.
26. გელათის წინამძღვარი მელქიზედეკ აბაშიძე მოხსენებულია გელათის ერთ -ერთ სიგელში, რომელიც 1505 – 1519 წლებითაა დათარიღებული – ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წიგნი I, ტფ., 1921, გვ. 5 – 6.
   მელქისედეკი ერქვა კაცხის მონასტრის წინამძღვარ მაჭავარიანსაც ([1535 – 1535 წწ.] H-1781.13ჯ-15ჯ)...). პირთა ანოტირებული ლექსიკონი, ტ. III, თბ., 2004.
27. თეიმურაზ საყვარელ იძე. ვანის წმინდა გიორგის ეკლესია. გაზ. “საპოვნელა”, თბ., 2000, N 3, გვ. 9.
   იუზა ხუსკივაძე. ქართულ ეკლესიათა გვიანი შუასაუკუნეების “ხალხური” მოხატულობანი. თბ., 2003, გვ. 336 – 337.
28. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Hd N 8353, 8396.
29. სევასტი გაჩეჩილაძე. “სოფელი წევა, წეველები, მათი ვინაობა და თავგადასავალი”. “აკაკის თვიური კრებული”. 1809, N 3, გვ. 26.
30. სარგის კაკაბაძე. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები. წიგნი I, ტფ., 1921, გვ. 24/5.
31. ო. სოსელია. ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადოები). I, თბ., 1973, გვ. 160.
32. ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსი. ქართლის ცხოვრება. ტ. IV, თბ., 1973, გვ. 758, 5.
33. სარგის კაკაბაძე. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები. წიგნი II, ტფ., 1921.
34. მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. წიგნი II, თბ., 1953. საქართველოს სახ. მუზეუმი N 3685 Hd. მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა ნ. ბერძენიშვილმა.
34ᵃ. ქაიხოსრო წერეთელი იყო ზემო იმერეთის სარდალი მისი მამის (პაპუნას) შემდეგ. ამ თანამდებობაზე იგი პირველად იხსენება 1755 წელს. ო. სოსელია. ფეოდალური ხანის

დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადოები), II, თბ., 1981, გვ. 137.
35. აკაკი ბელიაშვილი. ერთტომეული. თბ., 1954. გვ. 508. (რომელი წყაროდან მიიღო მწერალმა ამ პიროვნების შესახებ ინფორმაცია, ჩვენთვის უცნობია).
35ᵃ. გვარის მეტსახელების ნაწილი იხილეთ წინამდებარე წიგნში გვ. 200 -203. მეტსახელების ერთი ნაწილი დაბეჭდილია როსტომ გაჩეჩილაძის ბროშურაში – წეველი ზიკილიელები. თბ., 2003.
36. ს. კაკაბაძე. იმერეთის საბუთები თარხნობის შესახებ. საისტორიო მოამბე, N 5, 1950, გვ. 241.
37. ს. გაჩეჩილაძე. სოფელი წევა, წეველები, მათი ვინაობა და თავ-გადასავალი. აკაკის თვიური კრებული, N 3, 1899. გვ. 33 – 34.
38. ი. დოლიძე. ქართული სამართლის ძეგლები. წ. VI. თბ., 1977, გვ. 439.
39. ო. სოსელია. ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადოები), I, გვ. 173.
(ხელნაწერთა ინსტ. ფ. Hd NN8353; 8396).
40. გ. ცქიტიშვილი. "ანტიკური ხანის შორაპნის საერისთავოს საკითხისათვის", საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, II, თბ., 1964, გვ. 72 (საქ. ცენტრ. არქივი, ფონდი N 226; N 7881).
41. ო. სოსელია. მასალები კლასობრივი ბრძოლის ისტორიისათვის ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოში (XVII ს. მიწურულიდან XIX ს. 40-იან წლებამდე). თბ., 1960, საბ. N 81.
ხელნაწერთა ინსტიტუტის ფ. Hd, N 8230.
42. " _____ " "_____ " ამავე წიგნში, გვ. 84, საბ N 90.
ქუთაისის მუზ., საბ. N 1979.
43. ს. გაჩეჩილაძე. დასახელებული ნაშრომი, გვ. 34, 35, 36.
44. ს. გაჩეჩილაძე. დასახელებული ნაშრომი, გვ. 39, 40.
45. სევასტი კორძაია. "სესია ოთიაშვილი (გაჩეჩილაძე)". გაზ. "ჯაჭვი", 2002, N 1, გვ. 3.
46. დალი გაჩეჩილაძე. ცოტა რამ სოფელ წევის შესახებ. გაზ. "ჯაჭვი", 2003, N 3, გვ. 2.
46ᵃ. გივი ჯაოშვილი. ზესტაფონი. თბ., 1991, გვ. 37.
47. ს. გაჩეჩილაძე. დასახელებული ნაშრომი. აკაკის კრებული, N 2, გვ. 24.
48. იხილეთ ამავე კრებულში გოჩა არონიშიძის სტატია.
49. ეკატერინე გაჩეჩილაძე. სიძველეთა კვლევა დაიწყო და გრძელდება. გაზ. "ჯაჭვი", 2002, N 1.
50. მარინე ქადაგიძე. წერილი ათონის ივერთა მონასტრიდან. გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, 2003, N 6, გვ. 37 – 46.
50ᵃ. ამ სახელების ბერძნულობა დასტურდება ზ. ჭუმბურიძის წიგნში "რა გქვია შენ?" თბ., 1992. სამღვდელოებამ განაპირობა, აგრეთვე, წევაში ებრაული სახელების ფართოდ გავრცელება...
51. ს. გაჩეჩილაძე. დასახელებული ნაშრომი, აკაკის თვიური კრებული. 1899. N 2, გვ. 22.
51ᵃ. დოდო ანთაძე. თეატრალური ზესტაფონი. თბ., 1978, გვ. 10.
52. როსტომ გაჩეჩილაძე. წეველი ზიკილიელები. თბ., 2003, გვ. 5.
53. დოდო ანთაძე. დასახელებული ნაშრომი. გვ. 10 – 11.

54. ს. გაჩეჩილაძე. დასახელებული ნაშრომი, აკაკის კრებული, N 3, გვ. 41 – 42.
55. ს. გაჩეჩილაძე. დასახელებული ნაშრომი, აკაკის კრებული, N 2, გვ. 21.
56. ს. გაჩეჩილაძე. დასახელებული ნაშრომი, აკაკის კრებული, N 3, გვ. 32.
57. ს. გაჩეჩილაძე. დასახელებული ნაშრომი, აკაკის კრებული, N 2, გვ. 22.
58. ს. გაჩეჩილაძე. დასახელებული ნაშრომი, აკაკის კრებული, N 2, გვ. 22 – 23.
59. ს. გაჩეჩილაძე. დასახელებული ნაშრომი, აკაკის კრებული, N 3, გვ. 42.
60. ს. გაჩეჩილაძე. დასახელებული ნაშრომი, აკაკის კრებული, N 3, გვ. 41.
61. დალი გაჩეჩილაძე. ცოტა რამ სოფ. წევის შესახებ. გაზ. "ჯაჭვი", 2003, N 3.
62. გივი ჯაოშვილი. ზესტაფონი. გვ. 28 – 29 (ციტატები მოყვანილი აქვს შ. თუთბერიძის წერილიდან და მ. გაჩეჩილაძის მეუღლის ნაამბობიდან).
63. დოდო ანთაძე. თეატრალური ზესტაფონი. თბ., 1978, გვ. 48.
64. დოდო ანთაძე. თეატრალური ზესტაფონი. თბ., 1978, გვ. 69 - 70.
65. იხ. წინამდებარე წიგნში მიხეილ გაჩეჩილაძის ბიოგრაფია (N 118).
66. დოდო ანთაძე. დასახელებული ნაშრომი, გვ. 85 – 87 და ბიოგრ. N 118.
67. დ. გაჩეჩილაძე. ცოტა რამ სოფ. წევის შესახებ. გაზ. "ჯაჭვი", 2003, N 3, გვ. 2.
68. შალვა გაჩეჩილაძე. "რა უნდოდა სტალინს წევაში". გაზ. "ჯაჭვი", 2003, N2, გვ. 1 - 4.
69. ანტონ კელენჯერიძე. – "გურჯები". თბ., 1975; წინამდებარე წიგნში ბიოგრაფიები N 88, 91, 91ᵃ, 129.

ჯაჭვაძეების კვალდაკვალ

ზრდასრული ასაკის თითქმის ყველა გაჩეჩილაძეს წინაპართაგან გაგონილი აქვს, რომ გაჩეჩილაძეთა თავდაპირველი გვარი ჯაჭვაძე ყოფილა, ჯაჭვაძეების უმრავლესობას კი პირიქით აქვს გაგონილი...

ტელეფონისა და ანკეტების საშუალებით ჩავატარეთ გვარის წარმოშობის შესახებ ჩვენი საგვარეულოს ერთი ნაწილის გამოკითხვა, რომლის შედეგადაც გამოირკვა, რომ ახლანდელი ჯაჭვაძეები, თუ ყველა არა, აბსოლუტური უმრავლესობა მაინც, წევიდან საცხოვრებლად კახეთში გადასული გაჩეჩილაძეები არიან, რომელთაც იქ გვარი ჯაჭვაძედ გადაუკეთებიათ – "დაუბრუნებიათ თავიანთი ძველი გვარი".

ჯაჭვაძეების მონათხრობიდან ირკვევა, რომ წევიდან კახეთში მოსახლეობის მიგრაცია ეტაპობრივად მომხდარა: I – ბატონყმობის დროს; II – XIX საუკუნის ბოლოს; III – XX საუკუნის 20 - 30-იან წლებში. ჯაჭვაძეების ზოგ ოჯახს დღემდე ახსოვს თავიანთი გაჩეჩილაძე წინაპრის სახელი (ერთ-ერთი ასეთი ოჯახის გენეალოგია ამ წიგნშიც არის მოყვანილი). ზოგმა ჯაჭვაძემ გადმოცემით იცის, რომ გურჯაანის რაიონის სოფ. ჭერემში, სავარაუდოდ, XIX საუკუნის ბოლოს აგებულ ჯაჭვაძეების სალოცავში, მათ წინაპარს დაუფლავს სოფ. წევიდან წამოღებული ზედაშით სავსე ქვევრი (თუ ქვევრები). მაგრამ, არიან ისეთი ჯაჭვაძეებიც, რომელნიც თავიანთ გვარს თავიდანვე კახეთის მკვიდრად თვლიან და მიაჩნიათ, რომ იმერეთიდან გადმოსულ გაჩეჩილაძეებთან თუ ჯაჭვაძეებთან არავითარი ნათესაური კავშირი არა აქვთ.

ლეგენდები გვარების - გაჩეჩილაძე და ჯაჭვაძე - წარმოშობის შესახებ იმდენად მრავალფეროვანი აღმოჩნდა, რომ კვლევის ამ ეტაპზე, ნაადრევად მივიჩნიეთ რომელიმე მათგანის სარწმუნო წყაროდ მიღება...

მოგეხსენებათ, რომ საქართველოს სიძველეთსაცავებში დაცული ისტორიული დოკუმენტების დიდი უმრავლესობა გამოქვეყნებულია, მათში ჯაჭვაძეების გვარს ჩვენ ვერ მივაკვლიეთ...

ჯერ-ჯერობით აღმოჩენილი ყველაზე ადრეული, გამოუქვეყნებელი საბუთი, სადაც ეს გვარია ნახსენები, არის წევის საეკლესიო წიგნში 1827 წლის ჩანაწერი, რომელშიც მოხსენებულია ვინმე სიმონ ჯაჭვაძე. იგი მიმქმელი ყოფილა მღვდელ მარკოზ გაჩეჩილაძის მიერ შესრულებულ ნათლობაზე[1]. შემდგომ, ჯაჭვაძეებ ის ხსენება გვხვდება ფოლკლორისტ სევასტი გაჩეჩილაძის* 1899 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში "სოფელი წევა, წეველები, მათი ვინაობა და თავგადასავალი". ბატონი სევასტი წერს: - "კახეთში ბევრია გაჩეჩილაძე ჯაჭვაძის გვარით. ესენი ერთ-თავად ბატონ-ყმობის უსამართლობას გაქცევიან. სივიწროვის გამო უფრო ქვემო ქვეყნისკენ ესახლებიან ხოლმე"[2].

XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის I ნახევარში მოღვაწე მწიგნობრის, გამომცემლისა და ბუკინისტის მიხეილ სპირიდონის ძე გაჩეჩილაძის* ფსევდონიმი ყოფილა "ჯაჭვაძე"[3]. შემორჩენილია, ამავე პერიოდში მოღვაწე, წევის სკოლის ყოფილი მასწავლებლის აკაკი გაჩეჩილაძის ჩანაწერი: - "ჩვენი წინაპრები ყოფილან გვარად ჯაჭვაძეები, რომლებსაც ცოდნიათ ლითონის ნაკეთობათა დამზადება"[4].

ბატონი როსტომ გაჩეჩილაძე* (დაბად. 1927 წ.), ახლახან გამოცემულ თავის ბროშურაში "წეველი ზიკილიელები", აღნიშნავს: "როგორც გავრცელებული ვერსია, გაჩეჩილაძეების გვარის პირველყოფილი გვარია ჯაჭვაძე, ჯაჭვაძეთა გვარის წარმომადგენლები კახეთშია – ჭერემში"[5].

კონსტანტინე ლორთქიფანიძის წიგნში "მთას დაუბრუნდა მთიელი" აღნიშნულია, რომ ერთ დროს დიდი და ძლიერი ქალაქის, მტერთაგან მრავალჯერ იავარქმნილი და გაუკაცრიელებული ჭერემის ტერიტორიაზე ცხოვრება კიდევ ერთხელ, ვინ იცის მერამდენედ, მე-18 საუკუნის მეორე მეოთხედში განახლებულა. პირველი აქ დასახლებულა საწერეთლოდან გამოქცეული ახალგაზრდა ყმა, დიომიდე აბესაძე. "ამ დღიდან მოკიდებული კვირა არ გავიდოდა, რომ ჭერემში ახალი ხიზანი არ გამოჩენილიყო"[6]. ასე შექმნილა სოფ. ჭერემი, სადაც არა უადრეს XVIII საუკუნის შუა და არაუგვიანეს XIX საუკუნის 40 -იანი წლებისა უნდა იყვნენ ჩასახლებული პირველი გაჩეჩილაძეები, რომლებსაც, ალბათ, ბატონისაგან დამალვის მიზნით, გვარი ჯაჭვაძედ გადაუკეთებიათ ("დაუბრუნებიათ თავიანთი ძველი გვარი"). არ გამოვრიცხავთ, რომ ზოგი ჯაჭვაძე ჭერემში წევიდანვე ამ გვარით იყოს წასული. წეველთა ჭერემში მიგრაცია XX საუკუნის 30-იან წლებამდე გაგრძელდა.

გაჩეჩილაძეებში, როგორც ჩანს, საკმაოდ ფესვგადგმული იყო გადმოცემა მათი წინაპრის ჯაჭვაძეობის შესახებ (რამდენად სწორი საფუძველი ჰქონდა მათ ამგვარ რწმენას, ამის შესახებ ინფორმაციას შემოგთავაზებთ მაშინ, როცა დასრულდება წევის ეკლესიის მოხატულობის, ისტორიული საბუთების, საგვარეულო ლეგენდების და საგვარეულოს ისტორიასთან დაკავშირებული სხვა მასალების შესწავლა და ერთობლივი ანალიზი), რადგან, ჭერემში საცხოვრებლად სხვადასხვა დროს გადასულმა ყველა გაჩეჩილაძემ გვარი ჯაჭვაძედ გადაიკეთა, ალბათ, იქ ადრე ჩასულ თავისიანებთან ერთობის შესანარჩუნებლად. ჯაჭვაძეების ერთმა ნაწილმა, მოგვიანებით, ჭერემიდან სხვა, უფრო ქვემოთ მდებარე სოფლებში გადაინაცვლა (ზოგი შეიძლება თავიდანვე სხვა სოფლებში ჩასახლდა...). ჯაჭვაძეთა იმ ნაწილმა, რომელიც ჯაჭვაძეებით კომპაქტურად დასახლებულ გარემოში არ აღმოჩნდა, შესაძლოა, დაკარგა თავისი წარმომავლობის შესახებ ხსოვნა, განსაკუთრებით იმათმა, ვინც წევიდან ადრე იყვნენ წასული.

ზეპირგადმოცემების უმრავლესობა იუწყება, რომ ჯაჭვაძე გვარად შერქმევიათ:

I – რკინის ნაკეთობათა, მათ შორის სხვადასხვა დანიშნულების ჯაჭვების მკეთებელ ხელოსნებს და მათ შთამომავლებს;

II – მშენებელ ხელოსნებს, რომლებიც წევასა და მის შემოგარენში სააღმშენებლო სამუშაოების დროს ქვას ხელიდან ხელში ანუ ჯაჭვისებური წესით გადასცემდნენ და მათ შთამომავლებს.

კატეგორიულად ვერცერთ ამ ვერსიას ვერ უარვყოფთ, მაგრამ ორივე არადამაჯერებლად გვეჩვენება, I - იმიტომ, რომ ასეთ შემთხვევაში, უფროლოგიკური იქნებოდა მეჯაჭვე, მეჯაჭვიშვილი, მჭედლიძე ან მჭედლიშვილი შეერქმიათ... II - კი იმიტომ, რომ სამშენებლო მასალის "ჯაჭვისებური" წესით გადატანა უძველესი ხანიდან მრავალ ადგილას გამოიყენებოდა. ზემოთ მოყვანილი II ვერსია რომ სწორი იყოს, ჯაჭვაძეები გაცილებით მეტნი იქნებოდნენ...

იქნებ, ჯაჭვაძე, სანამ გვარად ჩამოყალიბდებოდა, გაჩეჩლაძეთა ერთ-ერთი შტოს მეტსახელი იყო? მაგრამ, როგორც ზემოთ მოყვანილი ციტატებიდან დავინახეთ,

გაჩეჩილაძეები “ჯაჭვაძეს”, არა როგორც მეტსახელს, არამედ, როგორც თავდაპირველ, მთელი საგვარეულოსათვის საერთო გვარს განიხილავდნენ.

ვინაიდან საკუთარი სახელი “ჯაჭვი” ან “ჯაჭვა” არც ისტორიულ წყაროებში და არც თანამედროვეობაში არ გვხვდება, ისღა დაგვრჩენია ვივარაუდოთ, რომ გვარი ჯაჭვაძე ან საგან ჯაჭვის სახელიდან უნდა იყოს ნაწარმოები, ან გეოგრაფიული სახელიდან. გამომდინარე იქიდან, რომ წევიდან წასული გაჩეჩილაძეების ნაწილმა გვარი წეველიძედ გადაიკეთა (ისტორიაში ხშირი იყო შემთხვევა, როცა ადგილნაცვალი ხალხი, ძველი საცხოვრებელი ადგილის ხსოვნის შესანარჩუნებლად, მის სახელს ირქმევდა გვარად), ვიფიქრე, იქნებ არსებობდა საქართველოში სოფელი ჯაჭვი (რომელსაც, თავის მხრივ, შესაძლოა, სახელი იქაურ მცხოვრებთა საქმიანობის სფეროს გამო დაერქვა, ან იმიტომ, რომ იგი, შესაძლოა, სხვადასხვა გეოგრაფიული არეალის შემაკავშირებელი იყო). მართალია, გვარსახელში “ჯაჭვაძე” სადაურობის მაწარმოებელი “ელ” სუფიქსი არ ჩანს, მაგრამ სადაურობის გამომხატველი ისეთი გვარსახელებიც არსებობს, რომლებშიც სადაურობის მაწარმოებელი სუფიქსები გამოყენებული არ არის (მაგ.: თურქესტანიშვილი, გაჩიანიძე... [7]). ვინაიდან, ერთ-ერთი გადმოცემის თანახმად, - როცა გაჩეჩილაძეებს წევაში ცხოვრება გაუჭირდათ, თავიანთ ისტორიულ სამშობლოს კახეთს მიაშურეს, სადაც უფრო ნაყოფიერი, თავისუფალი მიწები ეგულებოდათ (ისტორიკოსმა მარინა ქადაგიძემ კი მაცნობა, რომ ბაბუამისის, კონსტანტინე გაჩეჩილაძის ნაშრომში, რომელიც ამჟამად იბეჭდება, აღნიშნულია, რომ გაჩეჩილაძეთა წინაპარი ჯაჭვაძე, გადმოცემის მიხედვით, ქართლელი ყოფილა), ვივარაუდეთ, რომ სოფელი ჯაჭვი აღმოსავლეთ საქართველოში უნდა ყოფილიყო.

ისტორიულ წყაროებში, მართლაც, აღმოვაჩინეთ ამ დასახელების სოფლის არსებობის დამადასტურებელი XI – XVIII საუკუნეებით დათარიღებული მრავალი დოკუმენტი. ვახუშტი ბატონიშვილი ამ სოფელს იხსენიებს II საუკუნის ამბებთან დაკავშირებით[8]. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში სოფელი ლეკთა შემოსევის შედეგად განადგურებულა.

ს.ჯაჭვი დატანილი აქვთ რუკაზე ვახუშტი ბატონიშვილს[9] და ივანე ჯავახიშვილს (ისტორიულ რუკაზე)[10] . 1885 – 1905 წლებში რუსების მიერ შედგენილ ხუთვერსიან რუკაზე ამ სოფლის სახელი არ გვხვდება, მაგრამ იმ ადგილას, სადაც იგი ვახუშტის რუკაზე იყო, წმინდა გიორგის ეკლესიაა აღნიშნული[11].

მიუხედავად იმისა, რომ ისტორიული წყაროების და რუკების მეშვეობით, მიახლოებით ცნობილი იყო სოფ. ჯაჭვის მდებარეობა, მაინც გამიჭირდა მისი მიგნება. აღნიშნულ რეგიონში მრავალი ნასოფლარია. თუ რაიმე მისანიშნებელი არ არსებობს და არც მოსახლეობას ახსოვს ტოპონიმები, კონკრეტული ნასოფლარის მიგნება ძნელია. ამიტომ ვერ დამეხმარნენ მის მოძებნაში ვერც მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის და ვერც ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის წარმომადგენლები.

ბოლოს, ნორჩი ისტორიკოსის ირაკლი გუნიას წიგნში: “მცხეთა-თბილისის ეპარქიის ტაძრები”[12] , ჩემი ყურადღება მიიპყრო ერთ-ერთი ტაძრის სახელწოდებამ - **“პეტრე მოციქულის ჯაჭვთა თაყვანისცემის ეკლესია”.** იქვე მითითებულია, რომ მის ახლოს არის **“სასწაულმოქმედი ჯაჭვის წყარო”.** ეკლესიისა და წყაროს სახელწოდებებიდან გამომდინარე, ვიფიქრე, რომ ნასოფლარი სადღაც იქვე უნდა ყოფილიყო. მართლაც, იგი აღმოჩნდა ავჭალის ზემოთ, წმ. პეტრეს მთის (რომელზეც

მდებარეობს XVIII საუკუნის საყდრის ნანგრევებზე 1999 წელს აგებული "პეტრე მოციქულის ჯაჭვთა თაყვანისცემის ეკლესია") უკან (ჩრდ. აღმოსავლეთით), ნაკადულ "ჯაჭვის წყლის" მარცხენა ნაპირზე, ამ ნაკადულისა და გაზისა და ნავთობის მილსადენების ურთიერთგადაკვეთის ადგილთან გაშენებული ფიჭვის კორომის და მის მიმდებარე ტერიტორიაზე. შორიახლოს არის წმინდა გიორგის ორი ეკლესიის ნანგრევები, მათ შორის "ჯაჭვის" ნასოფლართან შედარებით ახლოს მდებარეს – "აქლემიანთ საყდარს" უწოდებენ (წმ. გიორგის მეორე ეკლესიის ნანგრევები, რომელიც ცოტა მოშორებით, მთებით შემოფარგლული ღრმულის (ფოსოს) ფერდზე მდებარეობს, ჩვენი ვარაუდით, უნდა ეკუთვნოდეს ისტორიულ სოფელ ფოსვს...), ცოტა ზემოთ, ნაკადულის მარჯვენა ნაპირზე, დიდ ლოდებს შორის მოსჩქეფს "სასწაულმოქმედი – ჯაჭვის წყარო". ნასოფლარის ადგილსამყოფელი და მისი მიდამოების ტოპონიმები მიმითითეს გლდანის მცხოვრებმა, ჯაჭვის ნასოფლარის მიდამოებში გაზრდილმა, 79 წლის შოთა გაბედავამ, მისმა დებმა, ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიის წინამძღვარმა გიორგი რაზმაძემ და ამ ეკლესიის სხვა მსახურებმა. ეს ტერიტორია სხვადასხვა დროს კუხეთის, კახეთის, ქართლის ნაწილად ითვლებოდა, აქედან გამომდინარე, გადმოცემები გაჩეჩილაძეების წინაპრის კახელობის თუ ქართლელობის შესახებ, შესაძლოა, ორივე მართალი იყოს.

აღსანიშნავია, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში ეს სოფელი არაზუსტად არის ლოკალიზებული: ნიკო ბერძენიშვილი, ესტატე მცხეთელის ცხოვრების ტექსტზე[13] (სადაც აღნიშნულია, რომ წმ. ესტატე მცხეთიდან ტფილისს მცხეთის ჯვრის გავლით წაიყვანეს) დაყრდნობით, ვარაუდობდა: - "მცხეთიდან თბილისისაკენ გზა მცხეთის ჯვარს როგორ გაუვლიდა? თუ აქ ის ჯვარი იგულისხმება, ჩვენ რომ ვიცით, მაშინ უნდა დავუშვათ, რომ გზა მცხეთიდან არაგვზე ხიდით მიდიოდა (შეიძლება ამის მოწმობა იყო სოფელი ჯაჭვი, რომელიც სადღაც არაგვის მარცხენა მხარეზეა ნაგულისხმევი. შეიძლება ამ სოფლის სახელიც ამ ხიდთან იყოს დაკავშირებული?...). **ეს გზა მაშინ აგრეა წარმოსადგენი: მცხეთა, არაგვი, ჯაჭვი, ჯვარი და აქედან ავჭალისაკენ"[14].**

ნ. ბერძენიშვილის ეს ციტატა კორექტირების გარეშე აქვს გამეორებული თეიმურაზ ბერიძეს (ვინაიდან მას გზის მიმართულება აინტერესებდა ზოგადად, და არა მის გასწვრივ მდებარე გეოგრაფიული პუნქტების თანმიმდევრობა). კერძოდ, იგი ახსენებს ზემოხსენებულ გზას, როგორც შუა საუკუნეებში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს "გზას ავჭალისა", რომელიც თბილისს (მეფის სასახლეს) "ქალაქის კარით" (ისნის) აკავშირებდა ჩრდილოეთთან".

ეტყობა, ნ. ბერძენიშვილის ზემოხსენებულ ვარაუდს ეყრდნობოდა მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ვ. ნიკოლაიშვილი, როცა ჩვენს შეკითხვაზე გვიპასუხა: - სოფ. ჯაჭვი, სავარაუდოდ, მცხეთის ჯვრის მახლობლად მდებარე მლაშე ტბის ტერიტორიაზე უნდა იყოსო, თუმცა დასძინა, რომ ახლომახლო მცხოვრებ მოსახლეობას არ ახსოვს ასეთი ტოპონიმი და არც ვახუშტი ბატონიშვილის რუკაზე ს. ჯაჭვის მეზობლად აღნიშნული ს. ფოსვის სახელწოდების შესატყვისი რელიეფი არის მცხეთის ჯვრის ახლოსო.

ჩვენ ვეთანხმებით ნ. ბერძენიშვილის ვარაუდის პირველ ნაწილს: - შესაძლოა, სოფ. ჯაჭვს მართლაც ჰქონდა რაიმე კავშირი მცხეთიდან არაგვზე, სავარაუდოდ, არსებულ ხიდთან (შეიძლება მათ გააკეთეს ეს ხიდი, ან შესაძლოა ისინი იცავდნენ და

პატრონობდნენ მას[16]), მაგრამ რაც შეეხება მდებარეობას, - სოფ. ჯაჭვი მდებარეობს ზუსტად იქ, სადაც ის აღნიშნულია ვახუშტი ბატონიშვილის რუკაზე, კერძოდ, მცხეთის ჯვარსა და გლდანს შორის (გლდანისა და ავჭალის ძირძველმა მოსახლეებმა იციან სოფ. ჯაჭვის ადგილ-სამყოფელი და იქაური ტოპონიმები: ჯაჭვის წყარო, ნაკადული ჯაჭვის წყალი, აქლემიანთ საყდარი, ლაფიანი ხევი, წყაროს ბილიკები, ძველი ნაგზაური... და ამ ნასოფლარის ავჭალასთან დამაკავშირებელი, ნაკადულ ჯაჭვის წყლის ხეობის ტოპონიმები: ტუსიაანთ წყარო, ნავენახევი, საღორე...).

სოფელი ჯაჭვი ახლოსაა არა არაგვთან, არამედ მტკვართან, თუმცა უშუალოდ მას არ ემიჯნება. **გზა მცხეთიდან თბილისისაკენ მტკვრის მარცხენა ნაპირით სინამდვილეში ასეა წარმოსადგენი: მცხეთა, არაგვი, ჯვარი, ჯაჭვი, ავჭალა** (ე. ი. გზა ჯვრიდან მთა-მთა მოდიოდა და სოფ. ჯაჭვის გავლით ეშვებოდა ავჭალისკენ, მტკვრისკენ).

სოფ. ჯაჭვის მდებარეობა განაპირობებდა, და ამ სოფელთან დაკავშირებული მრავალი ისტორიული დოკუმენტიც ადასტურებს, რომ მრავალი საუკუნის განმავლობაში ამ ტერიტორიაზე ცხოვრება ინტენსიურად ჩქეფდა. როგორც ჩანს, უძველესი დროიდან მასზე გადიოდა აღმოსავლეთიდან მომავალი, ქვეყნის შიდა და საერთაშორისო მიმოსვლისათვის გამოყენებული, როგორც სავაჭრო, ისე სამხედრო თვალსაზრისით მნიშვნელოვანი გზაც, რომელიც ამ სოფლის ტერიტორიაზე სამხრეთისაკენ უხვევდა და უერთდებოდა ავჭალის გზას, რომელიც ჩრდილოეთის, დასავლეთის და სამხრეთისაკენ მიმავალ გზებს უკავშირდებოდა. სოფ. ჯაჭვში მნიშვნელოვანი გზის არსებობას მოწმობს ამ სოფლის ეკლესიის მეტსახელი "აქლემიანთ საყდარი" და ისტორიული დოკუმენტები. მაგ.: "შეკრიბა მუნ--- სპა სპარსთა მრავალი **მირდატ** და მოვიდა **რკინის ჴევთა,** ხოლო **ფარსმან** სპითა ქართლისათა და შეიწია სომეხნიცა და მიეგება მუნ და ბრძოდნენ ძლიერად---[17]; წარვიდა მირდატ კუალად სპარსეთს მეოტი---კუალად წელსა მესამესა **მოვიდა მირდატ უუმრავლესითა ლაშკრითა და დადგა ჯაჭუს**---" (II საუკ.)[18]; "შემდგომად სამისა წლისა გამოვიდა სულტანი, შემუსრა რანი---; მცნობნი სულტნის მოსლვისანი მოექცნენ და აუწყეს ბაგრატს. მაშინ უკუმოიქცა მეფეცა ქართლს--- **მერე მოვიდ სულტანი ჯაჭუს** და განუტევა მუნიდან მარბიელი ცისკრისად **და მწუხრამდე აღივსო ყოვლი ქართლი და გარდავიდნენ არგუეთს, მიუწივეს სვერამდე"...** (XI საუკ.)[19].

სოფ. ჯაჭვი, მისი მდებარეობის თავისებურების გამო, ხშირად იყო საბრძოლო ასპარეზი. მტრისაგან დაწიოკებულ ჯაჭველებს, ალბათ, არა ერთხელ შეუფარებიათ თავი საქართველოს სხვა, ალბათ უფრო მაღალმთიანი, რაიონებისათვის. მშვიდობიანობის დროს მათი ერთი ნაწილი, ალბათ, უბრუნდებოდა თავის საცხოვრისს, ნაწილი კი, ალბათ, მთაში რჩებოდა (მართალია, უფრო ბუნებრივია მთის მოსახლეობის ბარში ჩამოსახლება, მაგრამ ომიანობის დროს პირიქითაც ხდებოდა...) შესაძლოა, ძნელბედობის დროს არაგვის აღმა წასული[18ა] ჯაჭველების ნაკვალევი იყოს "ჯაჭველის" სალოცავები, რომელთაც როლანდ თოფჩიშვილი ძირით ხევსურთა სალოცავად მიიჩნევს:[19ა]

"მთისა და ბარის ისტორიული ურთიერთობის თვალსაზრისით საინტერესო უნდა იყოს არაგვის ხეობის მთისწინეთსა და ბარში სალოცავ **ჯაჭველის** არსებობა. **ჯაჭველი, რომელიც ხევსურთა ერთ-ერთი თემის სალოცავი იყო, გვხვდება ბოდავში, ბაგაში, ერთვალისში. ჯაჭველის აღნიშნულ ნიშებში შესაწირად მძივები მიჰქონებიათ";**

“ომამდე ჯაჭველის სალოცავზე კახეთიდან მოდიოდა ხალხი სალოცავად დახურული, ჩარდახიანი ურმებით”... “არაგვის ხეობის დაბლობში მოსახლე გვარები, რომლებიც ჯაჭველს თვლიდნენ მამა-პაპის სალოცავად, ძირად ხევსურები არიან”[20];

“ერწოში ხევსურთა მიგრაციაზე უნდა მიუთითებდეს სოფ. სიმონიანთხევში ჯაჭველის სალოცავი. ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში ასეთი სახელწოდებით სალოცავი (**“ჯაჭველ ხმელის გორისაი”**) ცნობილია ხევსურეთში, როგორც... ქავთარ-ოჩიაურების სალოცავი”;

“კახეთში მთიელთა მიგრაციას მოწმობს--- აქ მთური სამლოცველოების ნიშები”...[21];

“ახმეტის რაიონის სოფ. კვერნაძეულში არის ხევსურეთიდან ჩამოსახლებული ნაროზაულებისა და ცისკარაულების მიერ გადმოტანილი მთავარანგელოზის, მიქელგაბრიელის და **გიორგი ჯაჭველის** სალოცავების ნიშები”[22].

ჯაჭველის ზოგ სალოცავზე ამჟამადაც ყოველწლიურად აღინიშნება **“ჯაჭველობის” დღესასწაული.**

ისტორიული წყაროებიდან ჩანს, რომ სოფელი ჯაჭვი ერთადერთი ამ დასახელების გეოგრაფიული პუნქტი იყო საქართველოში. “ჯაჭვი” რომ ადგილობრივ წარმოშობილი სახელია და არა სხვა ადგილიდან გადმონერგილი, ამას მოწმობს სოფ. ჯაჭვიდან არცთუ ისე შორს **“რკინის ხევის”** და ნაქალაქარ **“სარკინეს”** არსებობა, რაც ცხადყოფს, რომ ამ სოფლის სახელი ლითონის დამუშავებასთან უნდა იყოს დაკავშირებული.

(საინტერესოა, აქვს თუ არა სოფ. ჯაჭვთან რაიმე კავშირი ცნობას, რომ მცხეთის ჯვარს, თურმე, ადრე ჯაჭვის მონასტერი რქმევია)[23]. სალოცავის სახელი “ჯაჭველი” რომ სადაურობის აღმნიშვნელია, ამას უნდა მოწმობდეს “გიორგი ჯაჭველის სალოცავის” არსებობა...

აღნიშნული სალოცავი ნიშები, იქნებ, ომიანობის დროს სოფ. ჯაჭვიდან გარიდებულმა და სხვადასხვა ადგილას დასახლებულმა ჯაჭველებმა ერთმანეთის მისაგნებად და თავიანთი სოფლის ხსოვნის შესანარჩუნებლად შექმნეს. ხოლო **ამ სალოცავებისათვის მძივების შეწირვის ტრადიცია, შესაძლოა, სხვადასხვა მხარეს მძივის მარცვლებივით გაბნეული ჯაჭველების გაერთიანების იდეას ასიმბოლობდეს.** რაღაც სალოცავი ნიში არის ნასოფლარ ჯაჭვის ტერიტორიაზეც. სამწუხაროდ, ჯერ-ჯერობით, ვერ მოვახერხეთ მისი ნახვა. (საინტერესოა, რომ ფერეიდანში ყოფილა სოფლები: ჩუღურეთი, ავჭალა, მარტყოფი. შესაძლოა, რომ იქ შაჰ-აბასის მიერ წაყვანილ ჯაჭველთა შთამომავლებიც ცხოვრობენ[24]).

აღსანიშნავია, რომ **სწორედ ნასოფლარ ჯაჭვში “შემოგვთავაზეს” სოფ. წევის სახელის ჩემთვის ყველაზე უფრო დამაჯერებელი ახსნა:** 2003 წლის 29 იანვარს, პეტრე მოციქულის ჯაჭვთა თაყვანისცემის ეკლესიის დღესასწაულზე ვიყავით მე და ჩემი ბაბაშვილები – ნელი ალექსანდრეს ასული და ლილი ვარლამის ასული გაჩეჩილაძეები. უკან დაბრუნებისას, გზად ნასოფლარ ჯაჭვის მხრიდან მომავალი ახალგაზრდები შემოგვხვნდენ და მოგვაძახეს, - გეწიათ! გეწიათო!.. **ძლივს მივხვდი, რომ ღვთის შეწევნას (“დღესასწაულის მადლის” შეწევნას) გვისურვებდნენ...** მართალია, ორიოდე ყმაწვილის მეტყველების მიხედვით დასკვნების გაკეთება ნაჩქარევია (სამწუხაროდ, ადგილობრივი მოსახლეობის ფართო წრესთან გასაუბრების საშუალება მე არ მქონდა),

მაგრამ, არც ამ ყმაწვილების მეტყველება უნდა იყოს შემთხვევითი... თუ ნასოფლარ ჯაჭვის მიდამოებში მცხოვრებნი დღეს, ზმნა შეწევნას ნაცვლად, მის შემოკლებულ ფორმას, – წევას, იყენებენ (რელიგიური დღესასწაულის მილოცვისას, ისინი ზმნას ამოკლებენ და მომავალ დროში კი არ სვამენ, არამედ აწმყოში, - შეგეწიოს ნაცვლად, გეწიას ამბობენ). შესაძლოა, ასე ამბობდნენ მრავალი საუკუნის წინათაც. **სიტყვა წევას ამგვარმა ინტერპრეტაციამ, ჩემს წარმოდგენაში უფრო რეალური გახადა წეველების სოფ. ჯაჭვიდან წარმომავლობის შესაძლებლობა.**

თუ ჯაჭვაძეები მართლაც სოფ. ჯაჭვიდან იყვნენ, მაშინ არ არის გასკვირი, რომ იმ ხალხს, ვინც თავისი სოფლის მოსაგონრად გვარად ჯაჭვაძე დაირქვა, თავიანთ ახალ საცხოვრებელ ადგილას იმავე წმინდანის სახელობის ეკლესია აეგო, რომელიც მათ ადრინდელ სოფელში იყო, ანუ წმინდა გიორგის ეკლესია. **ხოლო კითხვაზე, თუ რატომ არის წევის წმ. გიორგის ეკლესიაში მთავარი დღესასწაული კვირიკობა?** სავარაუდო პასუხი ჯაჭვაძეების გამოკითხვამ მიმანიშნა: ქალბატონმა თამილა ქარუმას ასულმა ჯაჭვაძემ (სოფ. გამარჯვება) მიამბო, რომ მას – "ახლობლებისაგან არაერთხელ სმენია, რომ მათ წინაპრებს უცხოვრიათ ზესტაფონის რაიონის სოფ. კვირიკეში"?![25] ზესტაფონის რაიონში ასეთი დასახელების სოფლის არსებობის შესახებ ცნობა არსად შემხვედრია, ხოლო კვირიკობას ამ რაიონში ყველაზე მასშტაბურად წევის წმ. გიორგის ეკლესიაში აღნიშნავენ. შესაძლოა, წევიდან წასვლიდან დიდი დროის გასვლის შემდეგ, რომელიმე ჯაჭვაძეს ს. წევის სახელი იქაური საეკლესიო დღესასწაულის სახელში აერია, მაგრამ, ისიც შესაძლებელია, რომ მათ, გადმოცემით, სცოდნოდათ ამ სოფლის ძველი სახელი. **იქნებ ჩვენს სოფელს მანამდე, სანამ წევა დაერქმეოდა, კვირიკე ერქვა? იქნებ იქ, წმ. გიორგის ეკლესიის ადგილზე, ადრე წმ. კვირიკეს სალოცავი იყო?** სოფ. წევის ადგილას რომ ადრე ხალხს უცხოვრია, ამაზე მეტყველებს ერთ-ერთი ლეგენდა: "თმაგაჩეჩილ ჯაჭვაძე დიაკვანს, როცა წევის ეკლესიის ასაგებად საძირკველი გაუთხრია, იქ დიდი რაოდენობით ადამიანის ჩონჩხი უნახავს"... თუ სოფ. კვირიკეს მოსახლეობა განადგურდა, ახლომახლო სოფლების მცხოვრებნი, ალბათ, მაინც განაგრძობდნენ ძველ სალოცავ ადგილას კვირიკობის აღნიშვნას, რასაც იქ ჩასული ჯაჭვაძეებიც შეუერთდებოდნენ დროთა განმავლობაში. იქნებ სწორედ ამიტომ მოხდა, რომ **ახალ კულტს, წმ. გიორგის, ისევ ძველმა აჯობა და ახალ ეკლესიაში მთავარ დღესასწაულად კვლავ კვირიკობა დარჩა. საყურადღებოა, რომ ჯაჭვაძეების მიერ სოფ. ჭერემში აგებულ სამლოცველოშიც მთავარი დღესასწაული კვირიკობაა. წმ. კვირიკეს სახელობისაა, აგრეთვე, უმთავრესი სამლოცველო სვანეთში, სადაც ზოგიერთი ჯაჭვაძის გადმოცემით, მათი მოგვარეების ნაწილი გადასულა საცხოვრებლად და იქ, თურმე, ჯაჭვლიანებს ენათესავებიან...**

თითქოს, ამ ვარაუდის განმამტკიცებელი ვერსიის ჩამოყალიბების ბიძგი მომცა მამაჩემის საბუთებში ნაპოვნმა ქაღალდის პატარა ფურცელმა, რომელზეც წერია: - "წევის წმ. გიორგის შარლანის ხატი ლაგურკის ეკლესიაში". მეორე გვერდზე კი არის განმარტება: - "სვანეთში, ს. კალაში, ლაგურკის ეკლესიაში ინახება შარლანის ხატი, რომელიც ითვლება უძლიერეს სასწაულმოქმედად. ყველა დამნაშვე აღიარებს დანაშაულს, თუ ხატზე დაწყევლის ვინმე!.."

შარლანის ხატად წოდებული ხატი საქართველოში არ არის, მაგრამ არის სვანეთში, კალას თემში, კვირიკეს ეკლესიაში (სვანურად ლაგურკა) დაცული ე. წ.

“შალიანის ხატი” – სვანეთის ყველაზე დიდი სიწმინდე. ეს ბიზანტიური წარმოშობის სანაწილე ხატია, რომელიც სხვადასხვა დროს პ. უვაროვასა[26] და ე. თაყაიშვილის მიერ გამოქვეყნებული ლეგენდის მიხედვით[27], ვინმე სვანს, სახელად შალიანს, **“იმერეთის მეფისაგან”** მიუღია სწრაფად ჩაბარებული სამუშაოს სანაცვლოდ (მეფეს, გეგუთის მინდვრის გასათიბად, სვანეთიდან ასი სვანი, მათ შორის შალიანი, ჩამოუყვანია. შალიანს მეფისათვის წინადადება მიუცია, რომ დანიშნულ დროში ასი კაცის მაგივრად თვითონ გათიბავდა ამ მინდორს, თუკი იმ ნივთს მისცემდნენ, რასაც მოითხოვდა. მეფე დათანხმებია მის წინადადებას...) და სვანეთში წაუღია. გზად იგი კალას თემის მცხოვრებთ მოუკლავთ, ხატი წაურთმევიათ და ხარები გაუშვიათ. ისინი ერთ მაღლობზე ასულან და გაჩერებულან. ამ ადგილას აუგიათ კვირიკეს მონასტერი და ხატი შიგ დაუსვენებიათ. კალას თემის წმ. კვირიკეს ეკლესია (ლაგურკა) XI – XII საუკუნეთა მიჯნის ძეგლია. იგი 1112 წელს მოუხატავს მეფის მხატვარ თევდორეს. შალიანის ხატის შექმნის თარიღს პ. უვაროვა IX – XI საუკუნეებში ვარაუდობს[28].

გვარის – **ჯაჭვლიანი** (უფრო ზუსტად კი **ჯაჭვიანის, ჯაჭვინელიანის, ჯაჭვნელიანის,** რაც, ალბათ, ამ გვარის ადრეული ფორმებია) უადრესი ხსენება გვხვდება ისტორიულ დოკუმენტში “მატიანე სუანეთისა კრებისაი”[29]. პ. ინგოროყვა ამ მატიანეს XIII საუკუნის II ნახევრით ათარიღებს, ვ. სილოგავას აზრით კი, იგი XII - XIII საუკუნეების ნუსხურითაა დაწერილი, მაგრამ უფრო ადრინდელია (გადაწერილია... [30]). თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ქართულ ენაში **ელ** - სადაურობის მაწარმოებელი სუფიქსია, ხოლო **იან, -** თავდაპირველი მნიშვნელობით, ვინმესგან წარმომავლობას აღნიშნავდა, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ **ჯაჭვიანი შესაძლოა ჯაჭვის შვილს, ხოლო ჯაჭვინელიანი – ჯაჭვნელიანი – ჯაჭველის შვილს ნიშნავდეს, ანუ, ჯაჭვლიანის გვარის ამ ძველ ფორმებში, შესაძლოა, შემონახულია ამ გვარის ადრინდელი განსახლების ადგილის (სოფ. ჯაჭვის?) სახელი.** თუ ეს ასეა, და თუ ჯაჭვაძეების ჯაჭვიდან წარმომავლობის ვარაუდიც სწორია, მაშინ, შესაძლოა, ეს არის ჯაჭვაძეების და ჯაჭვლიანების ნათესაობის შესახებ ხალხური გადმოცემის საფუძველი.

აღნიშნული გვარების სავარაუდოდ ერთი სოფლიდან წარმომავლობის, იმერეთიდან ჯაჭვაძეების სვანეთში გადასვლის და შალიანის ხატის იმერეთიდან სვანეთში მოხვედრის შესახებ ლეგენდებს შორის, თითქოს, რაღაც ბუნდოვანი კავშირი არსებობს, რომელიც, იქნებ შემდგომში გამოიკვეთოს.

საინტერესოა, რომ შალიანის ხატი, რომლის დასასვენებლადაც ლაგურკა აუგიათ (ლეგენდის მიხედვით), კვირიკეს ხატი არ არის. იგი ბერძნული წარმოშობის სანაწილე, მოოქროვილი ვერცხლის ხატი – კოლოფია (შემკული მინანქრით, ჭედურობით და ძვირფასი თვლებით), განკუთვნილი “ძელი ჭეშმარიტის” ნაწილის შესანახად. მასზე მრავალი წმინდანია გამოსახული მათი სახელების აღმნიშვნელი ბერძნული წარწერებით. კვირიკეს და ივლიტეს გამოსახულება კი საერთოდ არ არის.

ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, წევის წმ. გიორგის ეკლესია “სასწაულთმოქმედია”[31]. ამგვარი ეპითეტით კი საქართველოს ისტორიაში მხოლოდ რამდენიმე ეკლესიაა ცნობილი. კითხვაზე, თუ რატომ უნდა მოეხსენებია ვახუშტი ბატონიშვილს ეს ეკლესია სასწაულთმოქმედად? – ვერავინ მიპასუხა. გაზ. “ჯაჭვის” მეორე ნომერში გამოქვეყნებულ ჩემს სტატიაში -“საგვარეულოს ისტორიის კვალდაკვალ”, დასმული მქონდა ასეთი კითხვა: –“იქნებ ასეთი პატივი წევის წმინდა

გიორგის ეკლესიას, ან, შესაძლოა, მის ადგილას არსებულ კვირიკეს სალოცავს მასში დაცული შალიანის ხატის გამო ჰქონდა?", მაგრამ, მას შემდეგ, ჩემი მუშაობის პროცესში იმდენ სასწაულს გადავაწყდი, რომ დავრწმუნდი, წევის წმინდა გიორგის ეკლესია თავად არის ძალიან ძლიერი სასწაულმოქმედი. ამიტომ, მე ბოდიშს ვიხდი ზემოთ მოყვანილი კითხვის დასმისათვის.

(საყურადღებოა, რომ ფოლკლორისტი სევასტი გაჩეჩილაძე 1899 წელს გამოქვეყნებულ თავის ნაშრომში, წევის ეკლესიის ძველ ხატებად იხსენიებს მხოლოდ სამს: წევის, სენის და უძრავის წმ. გიორგის ხატებს[32], გიორგი ბოჭორიძე კი, XX საუკუნის 20-იან წლებში, ამ ეკლესიის სიძველედ ასახელებს მხოლოდ ერთ, - 1819 წელს ელიზბარ მაჭავარიანის მიერ შეწირულ, ცხენოსანი წმ. გიორგის ხატს[33]. არც ს. გაჩეჩილაძე და არც გ. ბოჭორიძე აღნიშნული ხატების რაიმე განსაკუთრებული ძალით გამორჩეულობაზე არ მიუთითებენ).

როგორც ჩანს, მამაჩემმა შარლანის (შალიანის) ხატის სვანეთში წევიდან მოხვედრის შესახებ ამბავი ან სადღაც წაიკითხა, ან ვიღაცისაგან გაიგო. ცხადია, ასეთ რამეს თვითონ არ გამოიგონებდა. სამწუხაროდ, მას არ მიუთითებია, თუ საიდან შეიტყო ეს ამბავი. **ჩვენი საგვარეულოსწარმომადგენლებს გთხოვთ, თუ რაიმე გსმენიათ შალიანის ხატის წევის ეკლესიასთან მიმართების შესახებ, აუცილებლად მაცნობოთ. ამის გარკვევა ძალიან მნიშვნელოვანია!..**

ჯაჭვაძეებისა და ჯაჭვლიანების ურთიერთმიმართების საკითხთან დაკავშირებით, საყურადღებოა ქ-ნ **ნანა ჯაჭვლიანის** (თბილისი) ნაამბობი: მას არაფერი სმენია ჯაჭვაძეებისა და ჯაჭვლიანების ნათესაობის შესახებ, მაგრამ იცის, რომ **XX საუკუნის დასაწყისში, მათი გვარის უხუცესებთან დიდი მეგობრობა და ახლობლობა ჰქონიათ ყაბარდო-ბალყარელი ჯიჭოევების უხუცესებს. ჯიჭოევები და ჯაჭვლიანები, თურმე, ერთობლივად ატარებდნენ საგვარეულო ყრილობებს!..** ამ მეგობრობა-მეზობლობის ამბავი იციან ჯიჭოევებმაც და ჯაჭვლიანებმაც...

ჩვენ არა ვართ დარწმუნებული, რომ ჩვენს მიერ მოკვლეული ინფორმაციის ზოგიერთ ნაწილს ნამდვილად აქვს კავშირი ჩვენი საგვარეულოს ისტორიასთან, მაგრამ საგვარეულოს ისტორიის ადრეული ეტაპების შესახებ დოკუმენტური მასალის ნაკლებობის გამო, იძულებული ვიყავით, ძიება წარგვემართა ყველა იმ მიმართულებით, საითაც, თითქოს, ჩვენს საძიებო თემასთან დაკავშირებული "ძაფი" მოგვეჩვენა... მოკვლეული მასალა, თითქოს, გარკვეულ ურთიერთკავშირშია და სიმართლეს ჰგავს, მაგრამ, შესაძლოა, ახალი დოკუმენტური მასალების აღმოჩენამ სრულებით განსხვავებულ დასკვნებამდე მიგვიყვანოს...

ხოლო ჯაჭვაძეების არა სავარაუდო, არამედ "თვალმისაწვდომი" ისტორია, მოკლედ, ასე წარმოგვიდგება: ჯერჯერობით, ჯაჭვაძეების პირველი კომპაქტური განსახლება რეალურად დასტურდება გურჯაანის რაიონის სოფ. ჭერემის ტერიტორიაზე არა უგვიანეს XIX საუკუნის 40-იანი წლებიდან. აქედან გამომდინარე, სოფ. ჭერემი შეიძლება ჯაჭვაძეების ბუდე სოფლად მივიჩნიოთ (მიუხედავად იმისა, რომ, ჩვენი ვარაუდით, გვარი ჯაჭვაძე იმერეთში, სახელდობრ სოფ. წევაში უნდა იყოს წარმოშობილი...).

1952 წლამდე ჯაჭვაძეები ჭერემში მრავლად იყვნენ. ისევე, როგორც წევაში გაჩეჩილაძეები, სხვადასხვა წინაპრის შთამომავალი ჯაჭვაძეებიც ჭერემში სხვადასხვა

უბნებად ცხოვრობდენ და ჰქონდათ (დღესაც შენარჩუნებული აქვთ) მეტსახელები: ზაკალაანთები, კირკიტაანთები, სტაქანაანთები, ბუღაშვილები... (საყურადღებოა, რომ ბუღაშვილების "შტო" გაჩეჩილაძეების გვარშიც არსებობს...).

1952 წელს სოფ. ჭერემის მოსახლეობა საქართველოს მაშინდელმა ხელისუფლებამ გარდაბნის რაიონის ახლანდელი სოფ. გამარჯვების ტერიტორიაზე გადაასახლა.

მწერალი კონსტანიტნე ლორთქიფანიძე თავის წიგნში "მთას დაუბრუნდა მთიელი" გვარწმუნებს, რომ უნაყოფო, გამოუყენებელი ადგილების, მორწყვის მეშვეობით, ნაყოფიერ მიწებად ქცევის მიზნით, იქ (მცირემიწიანი ზონებიდან მოსახლეობის ჩასახლების სახელმწიფო გეგმით, რომელიც 1950-იან წლებში ხორციელდებოდა), გადასასახლებელ სოფელთა სიაში სოფ. ჭერემის შეტანა გაუმართლებელი იყო: იმ დროს სოფელში 383 კომლი ცხოვრობდა. სოფლის კოლმეურნეობას (რომელსაც, 1944 წლიდან, ომგამოვლილი ახალგაზრდა, ივანე ჯაჭვაძე ხელმძღვანელობდა), ეკუთვნოდა4726 ჰექტარი მიწა, აქედან 794 ჰექტარი სახნავ-სათესი ფართობი. კონსტანტინე ლორთქიფანიძეს მოჰყავს ჭერემის დაშლილი კოლმეურნეობის თავმჯდომარის და ჭერემელი გლეხების ნაამბობი: " – ომის დროს, როდესაც სოფელს მუშახელიც აკლდა და ხარ-კამეჩიც აღარა ჰყოფნიდა, შრომადღეზე, მეტი თუ არა, ნახევარი ფუთი სიმინდი მაინც ნაწილდებოდა. ჭერემის კოლმეურნეობა იმდენად ძლიერი იყო, რომ გარე კახეთის მოსახლეობას ჩვენგან მიჰქონდა სურსათ-სანოვაგე"[34].

"კოლექტიურმა შრომამ, რა თქმა უნდა, ქართული სოფელი წელში გამართა, მაგრამ ჩვენი ჭერემი მანამდეც ფეხზე იდგა, მაძღარი წვებოდა და მაძღარი იღვიძებდა!... საქონელი ბლომად გვყავდა, ხარ-კამეჩი, ძროხა, ცხვარი... განთქმული კახური ღორი. ჩვენი ტყეები სავსე იყო წიფელითა და რკოთი. ერთი მანეთი არ გვეხარჯებოდა ღორის შენახვაზე. ველისციხისა და კაჭრეთის ბაზრებს მუდამ ულევად ჰქონდა ჩვენი ღორისა და ფრინველის ხორცი. აქაური მიწა, წყალი და ჰაერი ვენახს მაინცდამაინც არ უხდება, თორემ სიმინდს კი აგიჟებს! შორიდან რომ შეხედო ჩვენი სიმინდის ყანას, გეგონება, ბავშვიანი ქალები მოდიანო, იმოდენა ტაროს იკეთებს ის დალოცვილი...[34].

"ოქტომბრის რევოლუციამდე თვითეულ მოსახლეს შვიდი-რვა ჰექტარი მიწა გვქონდა. ტყე და სათიბ-საძოვარი – რამდენიც გინდა. მიწისმზომელი რა იყო, ჩვენმა სოფელმა არ იცოდა. მარილიც კი საკუთარი მოგვეპოვებოდა. დღესაც ამოდის რამდენიმე ადგილას. ახლა მოდი და შეუშვი ამ ყუათიან მიწაზე გამრჯე კაცი, - რა მოხდება? იმ კაცის ბეღელს ქარი ვერ წაიღებს, იმის ძროხას რძე არ გაუშრება".

"გასახლებამდე ჭერემში მუშაობდა ჩვენი სამყოფი ელექტროსადგური, ტელეფონი, ზეთის სახდელი, სახერხი ქარხანა. ჭერემ-ხევზე ოცდაოთხი წისქვილი გვედგა წყლისა, სიმინდისა და ხორბლის დასაფქვავად ჩვენთან მოდიოდა ჯიმითის, კაჭრეთის, გადრეკილის, დარამის, შიბლიანის, ყანდაურის, ნალიანის, ჩაილურის გლეხკაცობა"; "ყველაფერი გვქონდა გზის გარდა".

და ასეთი "მდიდარი და მარგალიტი" სოფელი აყარეს და ზოგი მოსახლე დარწმუნებით, ზოგი კი ძალად გადაასახლეს. ხალხი უკან რომ არ დაბრუნებულიყო, ელექტროსადგური და წისქვილები მოუშალეს, სახლების სახურავებიდან კრამიტი გადმოუყარეს, ჭერემის გზაზე გუშაგები დააყენეს, ჭერემელებს მთაში მოსაქცევი გზა-ბილიკები გადაუჭრეს. სოფლიდან ყველაზე ბოლოს წასული მოსახლე, ნიკა ჯაჭვაძე,

ორი წლით ციხეში ჩასვეს "სახელმწიფო მიწის მიტაცების" ბრალდებით, იმის გამო, რომ, თურმე, გაზაფხულზე ჭერემში ასულა და სიმინდი დაუთესია[35]...

კონსტანტინე ლორთქიფანიძე სოფ. ჭერემის გასახლებას იმით ხსნის, რომ, გურჯაანის რაიონის მაშინდელ ხელმძღვანელობას, თურმე, ძალიან აწუხებდა ის, რომ სოფ. ჭერემის მიზეზით რაიონს სახელმწიფო გეგმის ჩაბარება უგვიანდებოდა.

სოფ. ჭერემი ზღვის დონიდან 1000 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს. მისი ჰავის თავისებურების გამო, აქ მოსავალი რაიონის სხვა სოფლებზე უფრო გვიან მოდის და, ამის გამო, ჭერემის კოლმეურნეობა სახელმწიფოს პროდუქტს, მართალია გეგმის გადაჭარბებით, მაგრამ გვიან აბარებდა. გარდაამისა, - "უგზოობაში მიკარგულ მთიანეთს ჯერ კიდევ ვერ მისწვდა ჩვენი დროის ყველა სიკეთე, ჯეროვნად ვერ ჩაება იმ დიდი ცხოვრების ფერხულში, რითაც სულდგმულობს მთელი ჩვენი ქვეყანა. სამწუხაროდ, რესპუბლიკის ზოგიერთმა ხელმძღვანელმა მეტად იოლი გზა აირჩია, რომ ამ ეროვნულ საზრუნავს საშველი დასდგომოდა. მიაყენეს მთას სატვირთო მანქანების მთელი ქარავანი და მთიელთა ოჯახები ბარში ჩამოჰყარეს"[36].

"რაც ჭერემის აყრა-გასახლება და სოფ. გამარჯვებაში დაბინავება დაუჯდა სახელმწიფოს, ის ფული ჭერემის გზას კი არა, მთვარეზე ასასვლელ ქუჩაბანდს დააგებდა, მაგრამ პატაკების სიყვარულმა გონიერება გადაძალა და ჭერემი შეიწირა... ასეთი ბედი ხვდა საქართველოს მთიანეთის მრავალ სოფელს"... [37].

გვიან "მიხვდა" ხელისუფლება, ამ აჩქარებულმა ღონისძიებამ... "რამდენი სათიბ-საძოვარი დაუკარგა ქვეყანას, რამდენი ცხვარ-ძროხა დააკლო ჩვენი სოფლის მეურნეობას და რამდენ კაცს შრომის მადლი გაუნახევრა"[38].

1978 წელს გადაწყდა გაუკაცრიელებული, დაქცეულ -გაპარტახებული ჭერემის აღორძინება. ჭერემელებმა და მთელმა გურჯაანის რაიონმა დიდი ენთუზიაზმით იშრომეს მის ასაღორძინებლად. პირველი აკვანი ჭერემში თენგიზ ჯაჭვაძეს აუტანია. მოგვიანებით, იგი დაუნიშნავთ ჭერემის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ. ხალხის დიდი მონდომების წყალობით, სოფელი მალე ხელახლა აშენდა, მაგრამ, საქართველოსათვის უმძიმეს, 1990-იან წლებში კვლავ თითქმის დაიცალა მოსახლეობისაგან. ჭერემში დარჩენილი რამდენიმე კომლი მოსახლე (უმეტესობა ჯაჭვაძეები) დიდი ძალისხმევით ცდილობენ სოფლის აღორძინებას.

წევიდან წასვლიდან დღემდე ჯაჭვაძეებმა თუ გაჩეჩილაძე-ჯაჭვაძეებმა ცხოვრების ურთულესი გზა განვლეს. მათ არაერთხელ მოუხდათ საცხოვრებელი ადგილის გამოცვლა და ცხოვრების ნულიდან დაწყება. ჯაჭვაძეებს უდიდესი წვლილი მიუძღვით ჭერემის, გამარჯვების და საქართველოს არაერთი სხვა სოფლის აღდგენა-აღორძინებაში. მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ყველგან, სადაც კი დასახლდენ, სასიკეთო კვალი დაატყვეს და წესიერი, მშრომელი, სამშობლოს ერთგული ადამიანების სახელი მოიხვეჭეს.

სამწუხაროდ, დღემდე ჯაჭვაძეების მხოლოდ 30-ოდე ოჯახი გამოეხმაურა ჩვენს საგვარეულო მოძრაობას. იმედი გვაქვს, რომ დანარჩენებიც შემოგვიერთდებიან, რაც ჩვენი საგვარეულოს საერთო ისტორიის და ქვეყნის წინაშე ჯაჭვაძეების ღვაწლის მეტი სისრულით წარმოჩენის საშუალებას მოგვცემს.

ეკატერინე გაჩეჩილაძე* (ლანჩავა)

2004 წლის ოქტომბერი.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

1. გოჩა არონიშიძე. წეველები XIX საუკუნეში. გაზ. “ჯაჭვი”, N 3, 5 მაისი, 2003 წელი.
2. სევასტი გაჩეჩილაძე. სოფელი წევა, წეველები, მათი ვინაობა და თავ -გადასავალი. აკაკის თვიური კრებული, N 3, მარტი, 1899 წ. გვ. 32 – 33.
3. საქართველოს მწიგნობრობის ვეტერანი მიხეილ სპირიდონის ძე გ აჩეჩილაძე. გაზ. “ჯაჭვი”, N 1, 3 ნოემბერი, 2002 წელი, გვ. 3.
4. დალი გაჩეჩილაძე. ცოტა რამ სოფ. წევის შესახებ. გაზ. “ჯაჭვი”, N 3, 5 მაისი, 2003 წელი, გვ. 1 – 2.
5. როსტომ გაჩეჩილაძე. წეველი ზიკილიელები. თბ., 2003, გვ. 14.
6. კონსტანტინე ლორთქიფანიძე. მთას დაუბრუნდა მთიელი. თბ., 1981, გვ. 24.
7. ამ გვარების არსებობა დადასტურებულია ზურაბ ჭუმბურიძის წიგნში – რა გქვია შენ? თბ., 1992, გვ. 83 – 84.
8. ქართლის ცხოვრება. ტ. IV. ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. თბ., 1973, გვ. 66, 22.
9. ვახუშტი ბაგრატიონი. საქართველოს ატლასი. თბ., 1997, გვ. 33. რუკა ქართლისა.
10. საქართველოს ისტორიული რუკა. 1923 წ. შემდგენელი ტოპოგრ. ევ. ბარამიძე, რედ. ი.ჯავახიშვილი, თბ., 1991.
11. საქართველოს ხუთვერსიანი რუკა, 1885 – 1905.
12. ირაკლი გუნია. მცხეთა-თბილისის ეპარქიის ტაძრები. თბ., 2002.
13. საქართველოს სამოთხე. საქართველოს წმიდათა ცხოვრება შეკრებილი და გამოცემული გობრონ (მიხაილ) საბინინის მიერ. პეტერბურგი. 1882, გვ. 316.
14. ნიკო ბერძენიშვილი. გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში. თბ., 1966, გვ. 18.
15. თეიმურაზ ბერიძე. ძველი თბილისის გარეუბნების ისტორია. თბ., 1977, გვ. 159.
16. საქართველოში ხიდების დაცვა და პატრონობა ხშირად მის ახლოს მცხოვრებ გავლენიან ფეოდალს ან მსხვილ მიწათმფლობელს ევალებოდა (იხ. Ник. Ив. Квезерели-Копадзе. Древний мцхетский мост. თბ., 1947, გვ. 26).
17. ქართლის ცხოვრება. დასახელებული წიგნი. გვ. 66/11.
18. ქართლის ცხოვრება. დასახელებული წიგნი. გვ. 66/22.

18ª. ჯაჭვის და მისი მიმდებარე ტერიტორიის რელიეფი ყველაზე უკეთ ჩანს 1983 წ. გამოცემულ K-38-78 1:100000რუკაზე, რომელზეც ნასოფლარი და ტანილი არ არის, მაგრამ მის ადგილას დატანილია “გიორგი მოციქულის” ეკლესია (32.82). (ეს რუკა ახლახან მაჩვენეს და განმიმარტეს თსუ კარტოგრაფიის კათედრის წარმომადგენლებმა გ. ლიპარტელიანმა და თ. გორდეზიანმა). რუკაზე დატანილია ნასოფლარის ტერიტორიიდან ჩრდილოეთის მიმართულებით (თიანეთისკენ) ამავალი ბილიკი (რომელიც, ალბათ, ადრეც იქნებოდა). ე. ი. ს. ჯაჭვს (გარდა მის სამხრეთით განლაგებული “ავჭალის გზისა”, რომელიც მცხეთასთან უკავშირდებოდა ჩრდილოეთისაკენ (რუსეთისაკენ) მიმავალ დიდ გზას), საქართველოს ჩრდ. სოფლებთან, აკავშირებდა ეს ბილიკიც, რომელიც დაახლოებით არაგვის პარალელურად, მისგან აღმოსავლეთით მდებარეობდა.

19. ქართლის ცხოვრება. დასახელებული წიგნი. გვ. 150/16.

19[9]. ამ სალოცავების არსებობის შესახებ შემთხვევით შევიტყვე მ. გელოვანის სახლ - მუზეუმის დირექტორის, ც. გაბიდაურისაგან. იგი დამეხმარა აღნიშნულ საკითხზე მასალის მოძიებაშიც.
20. როლანდ თოფჩიშვილი. აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა მიგრაცია XVII - XX საუკუნეებში. "მეცნიერება", თბ., 1984, გვ. 91.
21. როლანდ თოფჩიშვილი. დასახელებული წიგნი. გვ. 88.
22. როლანდ თოფჩიშვილი. დასახელებული წიგნი. გვ. 89.
23. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტ. I, თბ., 1962, გვ. 59.
ნ. აჭარაძე. რელიგიურ სიტყვათა განმარტებანი. თბ., 2001, გვ. 199.
ნ. იამანიძე. ფრანგ მოგზაურთა ჩანაწერები ქართული ხელოვნების შესახებ. კავკასიის მაცნე. 2001, N 4, გვ. 86.
24. საქართველოს გეოგრაფია. ავტორები: ნ. ელიზბარაშვილი, ლ. მაჭავარიანი, დ. ნიკოლაიშვილი... რედაქტორი ო. ხმალაძე. გვ. 143.
25. როცა ჯაჭვაძეები წევიდან წავიდნენ, ზესტაფონის რაიონი არ არსებობდა. ეტყობა, ზესტაფონის ახლოს მდებარე ტერიტორიას გულისხმობს.
26. პ.ს.უვაროვა. "სვანეთი" – კავკასიის არქეოლოგიური მასალები. გამოშვ. მე-10. მ., 1904, გვ. 100.
27. ექვთიმე თაყაიშვილი. არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ -სვანეთში 1910 წ. ემიგრანტული ლიტერატურა. დაბრუნება. თბ., 1992, ტ. II, გვ. 204.
28. პ. ს. უვაროვა. დასახელებული ნაშრომი. გვ. 99.
29. პ. ინგოროყვა. სვანეთის საისტორიო ძეგლები. ნაკვ. II, ტექსტები. "მატიანე სუანეთისა კრებისა". თბ., 1941, გვ. 142.
30. სვანეთის წერილობითი ძეგლები, ისტორიული საბუთები და სულთა მატიანეები. ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები და სამეცნიერო აპარატი დაურთო ვ. სილოგავამ. თბ., 1986, გვ. 253.
31. ქართლის ცხოვრება, ტ. IV. ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. თბ., 1973, გვ. 758.
32. სევასტი გაჩეჩილაძე. სოფელი წევა, წეველები, მათი ვინაობა და თავ -გადასავალი. აკაკის თვიური კრებული. 1899, N 3, გვ. 33 – 34.
33. გიორგი ბოჭორიძე. იმერეთის ისტორიული ძეგლები. თბ.. 1995, გვ. 146.
34. კონსტანტინე ლორთქიფანიძე. მთას დაუბრუნდა მთიელი. თბ., 1981, გვ. 73.
35. კონსტანტინე ლორთქიფანიძე. დასახელებული ნაშრომი, გვ. 86.
36. კონსტანტინე ლორთქიფანიძე. დასახელებული ნაშრომი, გვ. 92.
37. კონსტანტინე ლორთქიფანიძე. დასახელებული ნაშრომი, გვ. 89.
38. კონსტანტინე ლორთქიფანიძე. დასახელებული ნაშრომი, გვ. 93.

ღვთისმსახური გაჩეჩილაძეები

(XVIII საუკუნის II ნახევარი - XXI საუკუნის დასაწყისი)

2002 წლის 10 მარტს, გაჩეჩილაძეთა საგვარეულოს დალოცვისას, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის მიერ მოხსენიებული გაჩეჩილაძეთა წმიდა სალოცავი, XI საუკუნეში აშენებული წევის წმიდა გიორგის ეკლესია, რომელსაც ვახუშტი ბაგრატიონი სასწაულმოქმედად მოიხსენიებს, ამჟამად (1863 წ. ჩატარებული გადაკეთების შემდეგ), სამნავიანი ბაზილიკაა. გარედან საკურთხევლის ძველი, მუქი ფერის ქვის კედელი მკვეთრად გამოირჩევა მინაშენი ნავებისა და დასავლეთ შესასვლელზე მიდგმული სამრეკლოს ღია ფერის კვადრებით შემოსილი კედლებისაგან. საკურთხევლის კედელში არსებულ საცავებში ძნელბედობისას სიწმიდეებსა და ურჯულოთაგან დევნილებსაც მალავდნენ. ტაძრის ჩრდილოეთ შესასვლელის ზემოთ ლუნეტია, ტიმპანი დამშვენებულია ნატიფი ჯვრითა და მთავარანგელოზისა და წმიდა გიორგის ბარელიეფებით. ტაძარში შემორჩენილია XVI – XVII საუკუნეების ფრესკები.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში შორაპნის მაზრის (მოიცავდა თითქმის მთელ ზემო იმერეთს) ყველა სოფელში იყო მოქმედი ეკლესია, მათ შორის, წევის წმიდა გიორგის ეკლესიას, რომელიც ერთ-ერთ გამორჩეულად ძლიერ სალოცავად ითვლებოდა, ყველაზე მეტი მღვდელი ემსახურებოდა. ტაძარში, სადაც სხვა სიწმიდეებთან ერთად დაბრძანებული იყო უძრავად წოდებული წმიდა გიორგის ხატი, სხვა სოფლებიდანაც უამრავი მომლოცველი მოდიოდა.

ღვთისმსახურთა უმრავლესობა აქ წეველი გაჩეჩილაძეები იყვნენ, რომელთა გვარის წარმოშობა, ხალხური გადმოცემით, ამ ეკლესიის ამშენებელ თმაგაჩეჩილ დიაკონს, გვარად ჯაჭვაძეს, უკავშირდება. აღსანიშნავია, რომ XIX საუკუნის I ნახევარში აქ ერთდროულად მოღვაწე ოთხივე მღვდელი გაჩეჩილაძე იყო.

საოჯახო გადმოცემების და საარქივო მასალების მიხედვით, **ბოლო ორნახევარი საუკუნის განმავლობაში გვარში, ჯერ-ჯერობით, სავარაუდოდ, ოცდაცამეტი სასულიერო პირი, - ოცდაცხრა მღვდელი და ოთხი დიაკონი** გამოვავლინეთ, რომელთაგან რამდენიმე საქართველოს სხვადასხვა მხარეში და ქვეყნის გარეთაც ეწეოდა ღვთისმსახურებას (ამათ გარდა, მრავლად იყვნენ მედავითნეები და ეკლესიის სხვა მსახურნიც). "საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის" პირველივე, 1826 წლის, საეკლესიო ჩანაწერების მიხედვით, წევის ეკლესიაში ირიცხებიან **მღვდლები: წინამძღვარი ნიკოლოზ გიორგის ძე, მარკოზ დავითის ძე, იოვანე თომას ძე და გიორგი ბერის ძე გაჩეჩილაძეები,** რომელთაც შეემატათ 1829 წ. **დიაკონი დიმიტრი პეტრეს ძე** და 1832 წ. **მედავითნე შაქარა თომას ძ გაჩეჩილაძეები.** ამავე წიგნში, ეკატერინე გაჩეჩილაძის სტატიაში მოყვანილი, 1824 წლით დათარიღებული "წყალობის წიგნიდან" (გვ.16) ვიგებთ, რომ ზემოხსენებული მღვდელი იოვანე და მედავითნე შაქარა ძმები ყოფილან, ხოლო მათი მამა, თომა, - მღვდელი (ჩანაწერების მიხედვით, მღვდელ იოვანეს და მის ცოლს, მღვდელ დავით გველესიანისას, მარიამს, შეეძინათ 1826 წ. რუსუდანი და 1832 წ. თომა). მღვდლები გიორგი და იოვანე გარდაიცვალნენ 1859 წელს, შესაბამისად აპრილსა და აგვისტოში, ერთი 79 წლის, მეორე – 81 წლის ასაკში. მათ ბლაღოჩინმა დავით

ავალოვმა “აღსარება ათქმევინა, აზიარა, ანდერძი აუგო და დაასაფლავა ამავე ეკლესიის გალავანსა შიგანივ” (აღსანიშნავია, რომ ამავე 1859 წელს **109 წლისა** გარდაიცვალა საერო პირი, დავით გიორგის ძე გაჩეჩილაძე).

1826 წლიდან ჩანაწერში მოხსენიებული არიან **მღვდელი გიორგი თანდილას ძე** და, ალბათ, მისი ვაჟი, **მედავითნე ალექსი გიორგის ძე გაჩეჩილაძეები,** რომელნიც სოფ. დარბაიძეების წმიდა გიორგის ეკლესიაში მსახურობდნენ (1832 წ. მღვდელ გიორგის და მის ცოლს –თინათინ ნასყიდას ასულს შეეძინათ ანდრია, რომელიც მოუნათლავს სოფ. შუქრეთის წმ. მარინეს ეკლესიის მღვდელ შიო მეფარიძეს. ნათლისღებას ესწრებოდა დიაკონი გიორგი დევიძე, ხოლო მიმქმელი იყო სოფ. მერევის წმ. გიორგის ეკლესიის მღვდელი ოქროპირ შეყრილაძე).

საარქივო მასალებში მოპოვებული გვაქვს, აგრეთვე, რიგი ფრაგმენტული საინტერესო ცნობები, რომლებსაც, იმედი გვაქვს, რომ შემდგომი კვლევის შედეგად შევავსებთ და დავაზუსტებთ. მაგ.: ა) 1854 წ. მღვდლის შვილი ეგნატე გაჩეჩილაძე ითხოვს, რომ დატოვონ სასულიერო შთამომავლის წოდებაში; ბ) 1859 – 62 წლებში **მღვდელი ალექსანდრე გაჩეჩილაძის** ნაცვლად დაინიშნა **მღვდელი გიორგი გაჩეჩილაძე;** გ) 1880-იან წლებში სამხედრო ნაწილის **მღვდელი დიმიტრი გაჩეჩილაძე** გადაიყვანეს კავკასიის ბატალიონში; დ) 1849 – 1850 წწ. ჩრდილოეთ ოსეთში, სალუგარდანის სამრევლო **მღვდელია იოანე გაჩეჩილაძე,** რომელიც შედიოდა კავკასიის მთის ხალხის, მაჰმადიანთა და წარმართთა გაქრისტიანების კომისიაში.

მღვდლების მემკვიდრეობით შთამომავალთა ერთ-ერთ შტოს (გვარის მეტსახელი – “ბელტიყლაპიები”) მიეკუთვნებოდა ს. ამაშუკეთის წმიდა გიორგის ეკლესიის მღვდელი **გიორგი კონსტანტინეს ძე გაჩეჩილაძე.** მისი მამა იყო **მღვდელი კონსტანტინე,** ბაბუა **– მღვდელი თევდორე,** პაპის პაპა **– დიაკონი გრიგოლი,** ხოლო მათი წინაპრები, ოჯახური გადმოცემით, იყვნენ სხვადასხვა თაობის წარმომადგენელი **მღვდლები: მათე, მარკოზი, ლუკა და იოანე** (რომელთა მოღვაწეობის წლების თანმიმდევრობა დასადგენია). მღვდლების ამ დინასტიის წინაპრად სახელდება ხახუტა გაჩეჩილაძე, რომელიც სოლომონ პირველის დროს (1752 – 1784 წწ.) შორაპნის მეციხოვნე იყო.

გაჩეჩილაძე სასულიერო პირთა სხვა დინასტიას წარმოადგენენ XVIII საუკუნის I ნახევარში წევიდან ჭიათურის რაიონის სოფ. გუნდაეთში სამოღვაწეოდ გადასული და იქ დამკვიდრებული მღვდლები: **ზაქარია,** მისი ვაჟი **გიორგი** და მათი შთამომავლები – მღვდლები: **ანდრია გიორგის ძე, თომა ანდრიას ძე** და დიაკვანი **ქრისტეფორე ანდრიას ძე.** მათ გუნდაეთში წმ. გიორგის ახალი – ქვის ეკლესია ააშენეს, ააღორძინეს სოფ. გუნდაეთი, განავითარეს მისი მეურნეობა. XIX საუკუნის შუა წლებიდან წევის წმიდა გიორგის ეკლესიაში მოღვაწეობდა **მღვდელი შიო გაჩეჩილაძე,** მღვდელ ლუკა ქიოტიშვილთან ერთად. სხვადასხვა ცნობების შეჯერებით, სავარაუდოდ, იგი ოთიაშვილების შტოს უნდა მიეკუთნებოდეს და საგვარეულოს პირველი პრეზიდენტის – თენგიზ თომას ძე გაჩეჩილაძის წინაპარი უნდა იყოს. საეკლესიო ჩანაწერებით, 1859 წ. მამა შიო მიმქმელია (ნათლიაა) შემდგომში ცნობილი **დეკანოზის მაკარ ეფრემის ძე გაჩეჩილაძისა*.** 1869 წელს იგი ნათლავს მამა მაკარის დას მაკრინეს. მამა შიოს, სავარაუდოდ, ჰყავდა ვაჟები: **ბესარიონი (მედავითნე)** და **გრიგოლი (დიაკონი მაკარ მღვდლის დროს).** ამას, სხვა მონაცემებთან ერთად, გვაფიქრებინებს 1896 წლის საეკლესიო ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც ს. აჭარის ღვთისმშობლის ეკლესიაში,

მღვდელ ეფრემ იესეს ძე გაჩეჩილაძის მიერ შესრულებულ ნათლობაში მონაწილეობს **მედავითნე – მეფსალმუნე, მღვდლის შვილი – ბესარიონ შიოს ძე გაჩეჩილაძე.**

წეველ ღვთისმსახურთაგან აღსანიშნავია გაჩეჩილაძე-ოთიაშვილების წარმომადგენლის, ცნობილი მეურნისა და ქველმოქმედის, ერისკაცის – იესე (სესია) როსტომის ძე გაჩეჩილაძის* ორი შვილი და ოთხი შვილიშვილი, რომლებიც მღვდლები გახდნენ. ესენი არიან შვილები: **მღვდელი ეფრემი*** (შემდგომში ოთხი მღვდლის მამა), რომელიც ბოლოს მოღვაწეობდა ს. აჭარის ღვთისმშობლის ეკლესიაში და **მღვდელი სამსონი,** რომელიც მოღვაწეობდა წევაში (დაიბადა 1859 წელს, მონათლა მღვდელმა ლუკა ქიოტიშვილმა. მიმქმელი – ილმელი აზნაური, პრაპორშჩიკი ზურაბ ივანეს ძე მაჭავარიანი). მღვდელი ეფრემის შვილები არიან: ა) წევის ეკლესიის ცნობილი მოძღვარი, **დეკანოზი მაკარი*, ბ) მღვდელი ეფთვიმი** (მოღვაწეობდა ილორის წმ. გიორგის ეკლესიაში. მის მეუღლეს ასინეთი რქმევია); გ) **მღვდელი ბელოვანი (ლევი)** (მოღვაწეობდა ქუთაისში, საფიჩხიაზე მდებარე ეკლესიაში. მას ჰყოლია მეუღლე – კატო). მის შესახებ აღმოჩენილია და შესასწავლია საარქივო მასალები; დ) **დეკანოზი კასიანე*** (1879 – 1953) წევის ეკლესიის მოძღვარი.

ჩვენ ჯერ არ გამოგვიკვლევია, იყვნენ თუ არა მღვდელმსახურნი გაჩეჩილაძეთა საგვარეულოს შტო გვარების – ჯაჭვაძეების და წეველიძეების წარმომადგენელთა შორის. ვიცით მხოლოდ, რომ, სავარაუდოდ, XIX საუკუნის ბოლოს, გურჯაანის რაიონის სოფ. ჭერემში ერთ-ერთმა **ჯაჭვაძემ ააგო წმიდა გიორგის სამლოცველო** (რომელშიც, ისევე როგორ წევის წმ. გიორგის ეკლესიაში, ძირითად რელიგიურ დღესასწაულად კვირიკობა აღინიშნება) და რომ, **ზაქარია (შაქრო) სიმონის ძე ჯაჭვაძის*** თაოსნობით, თელავის რაიონის სოფ. ფშაველში აღადგინეს VIII – IX საუკუნეების "კოხტაღვთისმშობლის " ტაძარი.

საბჭოთა წყობილების წლებში, ისევე როგორც მთელი საქართველოს მოსახლეობის, გაჩეჩილაძეთა საეკლესიო ცხოვრებაც მინავლული იყო. **წევის ეკლესიის ბოლო მღვდლის კასიანე გაჩეჩილაძის გარდაცვალების** შემდეგ (1953 წ.), წევის ეკლესიაში მღვდელმსახურებას ძალზე იშვიათად, ისიც მხოლოდ რელიგიური დღესასწაულების დღეებში ასრულებდენ სხვა ეკლესიებიდან მოსული მოძღვრები. XX საუკუნის ბოლო წლებში, მთელს ქვეყანაში მოსახლეობის ეკლესიისაკენ ლტოლვის გაძლიერების შესატყვისად, ამგვარი ლტოლვის გაღვიძებამ თავი იჩინა გაჩეჩილაძეთა შედარებით ახალგაზრდა წარმომადგენელთა შორისაც: საეკლესიო მხატვრები გახდნენ **ციალა (სიდონია) მიხეილის ას.*** (დაბად. 1952 წ.) და **ნინო ზაურის ას.** (დაბ. 1976 წ.) გაჩეჩილაძეები, გელათის სასულიერო სემინარია დაამთავრა **ვალერიან ტარიელის ძე გაჩეჩილაძემ** (დაბ. 1976 წ.) (ზესტაფონის რაიონის სოფ. როდინოული), სასულიერო აკადემიაში სწავლობს **გიორგი აკაკის ძე გაჩეჩილაძე** (ქუთაისი)...გაჩეჩილაძეთა საგვარეულოს დალოცვის დროს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II აღნიშნა, რომ "ამ გვარში დიდი მადლი ტრიალებს". იმედი გვაქვს, რომ ღვთის შეწევნით, წევის წმიდა გიორგის ეკლესიაში მოკლე ხანში კვლავ აღდგება ღვთისმსახურება და გაჩეჩილაძეთა საგვარეულოს ახალი თაობები განაგრძობენ და განამტკიცებენ მამა-პაპათა ქრისტიანული ცხოვრების ტრადიციებს.

გოჩა არონიშიძე

2004 წლის ივნისი.

ტექსტში გამოყენებულია საქართველოს საპატრიარქოს არქივის, საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივის (ფონდი N 489) მასალები; ჟ. "საპატრიარქოს უწყებანი"; გაზ. "ჯაჭვი" N 1, 2, 3; გაზ. "საქართველოს რესპუბლიკა", 2000 წ., N 313; გაზეთი "ლაშარის გორი", 1996 წლის N 39; გ. ჯაოშვილი – "ზესტაფონი", ქსე, დეკანოზ თომას, დეკანოზ მაკარის, ნიკოლოზ მაკარის ძე, კონსტანტინე მაკარის ძე, ვარლამ გრიგოლის ძე, მზეთამზე ნიკოლოზის ას., ეკატერინე მიხეილის ას., მირიან გრიგოლის ძე, თენგიზ თომას ძე, როსტომ გალაკტიონის ძე, გიორგი სიმონის ძე, ავთანდილ გივის ძე, ნუგზარ შოთას ძე, მეგი იესეს ას., დალი ლევანის ას., მზია ილიას ას. გაჩეჩილაძეების, აგრეთვე ანზორ სიჭინავას, მერი გაჩეჩილაძე-ჯანდიერის, მარინა ქადაგიძის, რეზო და გურამ იაკობაშვილების, უჩა ჯავახიშვილის, ვახტანგ გურგენიძის, ნათელა ფაილოძის ზეპირი ინფორმაციები, სტატიები, პირადი წერილები, ფოტოსურათები.

კონსტანტინე გაჩეჩილაძე* (ოთიაშვილი)

წევის სკოლა ას ათი წლისაა

(წერილი გადმობეჭდილია ჟურნალიდან "დაწყებითი სკოლა
და სკოლამდელი აღზრდა", 1971 წ. N 1)

სოფელი წევა მდინარე ყვირილასა და ძირულას შორის მდებარე მაღალ სერზეა გაშენებული და შორაპნიდან ოთხი კილომეტრითაა დაშორებული. იგი ხშირი ტყეებითაა დაფარული და ღრმა ხევებით დასერილი. ამ ხევებში გვალვიან ზაფხულშიც კი მოწანწკარებენ ნაკადულები და გამაყრუებელი ხმაურით ეშვებიან ჩანჩქერები.

მოხერხებულმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ და სატრანზიტო გზების სიახლოვემ ხელი შეუწყო სოფლის ზრდა-განვითარებას. ეს განსაკუთრებული სიცხადით გამოვლინდა XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან, ბატონყმობის გაუქმებისა და ამიერკავკასიის რკინიგზის მაგისტრალის გაყვანის შემდეგ. გაღვიძებულ ცხოვრებას წერა-კითხვის მცოდნე ადამიანი სჭირდებოდა. ყველამ იგრძნო სკოლის გახსნის აუცილებლობა.

რევოლუციამდელ სოფელში იშვიათად შეხვდებოდით სკოლას. ცარიზმს ეშინოდა ხალხის განათლების, მისი გათვითცნობიერებისა. ამიტომ მოსახლეობას დიდი მონდომება უნდა გამოეჩინა, რომ ხელისუფლება სკოლის გახსნაზე დათანხმებულიყო.

მრავალი წლის შეუნელებელმა ძიებამ თავისი გაიტანა და აი, 1860 წელს სოფელში, ადგილობრივ ორშტატიან ეკლესიასთან გაიხსნა დაწყებითი სასწავლებელი. საკუთარი შენობის უქონლობის გამო ახლადგახსნილი სკოლა მოათავსეს კერძო ბინაზე.

წლების განმავლობაში იგი თავშეფარებული იყო სესია გაჩეჩილაძე-ოთიაშვილის სახლში. მას დათმობილი ჰქონდა შენობის ზედა სართულის ერთი დიდი ოთახი.

საფიქრებელია, რომ ეს იმდროისათვის საკმაოდ წელმაგარი კომერსანტი არ უნდა ყოფილიყო დახარბებული იმ გროშებს, რომელსაც მისთვის ქირად მრევლი გაიმეტებდა. ამბობენ, რომ კიდევაც ესახელებოდა ამ თავისებურ მეცენატს, ახლადგახსნილმა სკოლამ რომ მის სახლში გაიჩინა ბინაო. ეს ხომ ცოდნის ერთადერთი ჩირაღდანი იყო უვიცობის უკუნეთში.

თავდაპირველად გახსნილი იყო ერთკომპლექტიანი (სამგანყოფილებიანი) სკოლა, შემდეგ კი, 1900 წელს, სასულიერო უწყების განკარგულებით დაემატა IV განყოფილება და ორკომპლექტიანად გადაკეთდა. ამას ხელს უწყობდა ისიც, რომ ეკლესიის ტერიტორიაზე სკოლისათვის ქვის ორსართულიანი შენობა აიგო 1890 წელს. ეს შენობა, რომელიც ხაზინის დაუხმარებლად აგებულა, 3000 მანეთად იყო შეფასებულორი ვეებერთელა ოთახი თამამად იტევდა 100 – 120 მოსწავლეს. თითო ოთახის სიგრძე უდრიდა 15 არშინს, ხოლო სიგანე – 12-ს. სკოლის მთელი ინვენტარი შედგებოდა 24 მერხის (თითო მერხი ხუთი-ექვსი მოსწავლისათვის იყო განკუთვნილი), მასწავლებლის ორი მაგიდის, ორი სკამის, ერთი სავაჭრო საანგარიშეს, ერთი შვედური საანგარიშეს, ორი ხატის, ორი კანდელის, ერთი კარადისა და ორი საკლასო დაფისაგან. ყოველივე ეს შეფასებული იყო 100 მანეთად. სკოლის ბიბლიოთეკის მთელი ქონება არსებობის ორმოცდაათ წლისთავზე შეფასებული იყო 90 მანეთად.

ეს ცნობები შეჰქონდათ "საგამოცდო ფურცელში", რომელსაც ავსებდა საგამოცდო კომისია. ამ ფურცელს "სასკოლო ფურცელთან" ერთად ამოწმებდა მაზრის სასკოლო განყოფილების ზედამხედველობა. მთელი დოკუმენტაცია სტატისტიკური უწყებისათვის საჭირო ცნობის ამოკრეფის შემდეგ იგზავნებოდა სინოდთან არსებული სასწავლებლის საბჭოში.

სანამ სკოლა ერთკომპლექტიანი იყო, მას ჰყავდა გამგე და ორი მასწალებელი. უფრო მოგვიანებით, სკოლის ორკომპლექტიანად გადაკეთების შემდეგ მას შეემატა კიდევ ერთი მასწავლებელი.

სკოლაში ისწავლებოდა შემდეგი საგნები:

1. რუსული ენა – 6 საათი კვირაში (I – IV განყ.);
   რუსული წერა 3 საათი – (I – II განყ.); რუსული წერა 2 საათი – (III – IV განყ.);
2. ქართული ენა წერითურთ – 5 საათი ((I განყ.);
   " " " – 3 საათი (II – IV განყ.);
3. საღვთო სჯული – 6 საათი (I – IV განყ.);
4. სლავური და ქართული გალობა – 4 საათი (I – IV განყ.);
5. ხუცური – 2 საათი (II – IV განყ.);
6. არითმეტიკა – 5 საათი (I – IV განყ.);
7. ოსტატობა და ხელგარჯილობა – 2 საათი (I – IV განყ.).

ოსტატობისა და ხელგარჯილობისათვის ორი საათი გროვდებოდა გალობისა და არითმეტიკისაგან თითო საათის ჩამოჭრით.

საერთო კვირეული დატვირთვა უდრიდა 29 საათს. 1905 წლის შემდეგ IV განყოფილების სავალდებულო საგანთა სიაში შეუტანიათ ისტორია და გეოგრაფია

ოსტატობისა და ხელგარჯილობის ანგარიშზე, ე. ი. იქ, სადაც ოსტატობა და ხელგარჯილობა არ ისწავლებოდა.

“იმ ქართულ სკოლებში, სადაც არც ნაოსარი და არც სომეხი არ ერია, სწავლება საგნებისა სწარმოებდა ქართულ ენაზე, მაგრამ რუსულად თარგმნით” (ი. გოგებაშვილი, ტ. III, 1954, გვ. 255). მეოთხე წელიწადს კი ყველაფერი რუსულ ენაზე ისწავლებოდა.

საგნის ხელმძღვანელ მასწავლებელს ევალებოდა, გარდა სათანადო ცენზისა, სპეციალურად მოწყობილი გადასამზადებელი კურსების გავლა. ასეთი კურსები ეწყობოდა სხვადასხვა ქალაქში, მაგალითად, ქუთაისში, ხარკოვში და სხვ.

მასწავლებლისაგან მოითხოვდნენ კეთილსინდისიერ მუშაობას. მას დიდ უნდობლობას უცხადებდნენ საუფროსოდან, რაც მისი ადამიანური ღირსების ძალზე დამამცირებელი უნდა ყოფილიყო. ასე გასინჯეთ, რომ მასწავლებლის პირადობის მოწმობაზე გავლებული ხაზის ქვემოთ რევიზორს უნდა დაესვა საკუთარი ბეჭედი იმის აღსანიშნავად, თუ როგორ ჩაატარა გაკვეთილი. დასმული ბეჭდის ლუქის ფერი იყო შესრულებული სამუშაოს ხარისხიანობის მაუწყებელი. მაგალითად, წითელი ფერის ლუქი ნიშნავდა კარგს, ლურჯი ფერის – დამაკმაყოფილებელს, ხოლო შავისა – ცუდს. ამ ბეჭდით ამოწმებდა ზემდგომი სკოლაში ჩატარებულ რევიზიასაც და მასწავლებლის დაოსტატებასაც.

მასწავლებელს ხელფასის ყოველ მიღებაზე უნდა წარედგინა გამგის მიერ გაცემული ცნობა, რომ აღნიშნული პირი კეთილსინდისიერად ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას. თუ ასეთი ცნობა არ ექნებოდა, მასწავლებელი ხელფასს ვერ მიიღებდა.

მერედა, როგორი იყო მისი ხელფასი?

იგი იმდენად მცირე იყო, რომ, თუ მასწავლებელი ადგილობრივ მკვიდრთაგანი არ იყო, ბინის ქირის გადახდის საშუალებაც კი არ ჰქონდა, რის გამო ის ხშირად მიმართავდა დახმარებსათვის მაზრის სასწავლო საბჭოს.

აი, რას ვკითხულობთ ერთ-ერთ მიწერილობაში:

«Ввиду того, что второй учитель вверенной Вам школы Иона Цхададзе получает мизерное жалование, прошу выдать ему квартирные из местных средств».

რა ადგილობრივი სახსრები გააჩნდა სამრევლო სკოლას, რომ დახმარება აღმოეჩინა მასწავლებლისათვის? ეს იყო ყულაბებითა და ლანგარით მოგროვილი შეწირულების 5% და კვირიკობის (15 ივლისის საეკლესიო დღესასწაულთან დაკავშირებული ბაზრობა) დიდი ბაზრობიდან ეკლესიის სასარგებლოდ შემოსული ფული. ამავე დროს, ეკლესიას თავისი კარვებიც ჰქონდა, რომელთაც ამ ბაზრობის დღეს აქირავებდა.

ხაზინაზე გადასვლამდე, ე. ი. 1910 წლამდე, მასწავლებლის თვიური ხელფასი არ აღემატებოდა 12 მანეთს, შემდეგ იგი გაიზარდა 20 მანეთამდე, ხოლო დიდი სტაჟის მქონე მასწავლებლისა – 30 მანეთამდე. საღვთო სჯულის მასწავლებლის გასამრჯელო იყო წელიწადში 60 მანეთი.

მიუხედავად მძიმე მატერიალური მდგომარეობისა, მაწავლებელი მაინც გულმოდგინედ შრომობდა, ხოლო მოსწავლეები ჯეროვანი მონდომებით სწავლობდნენ.

ძალზე უჭირდათ ბავშვებს სუსხიან ზამთარში. ზოგი მათგანი ცოდნის შესაძენად ძალიან შორიდან მოდიოდა, ისინი მოარღვევდნენ წელამდე თოვლს და თან მოჰქონდათ

ფიჩხი, რომ სკოლის მუდამ მხრჩოლავი თუნუქის ღუმელი გაეთბოთ და სველი წინდები გაეშროთ. ბევრი ამ სკოლაში შეძენილი ცოდნით რჩებოდა, ზოგიც განაგრძობდა სწავლას ზესტაფონის სამოქალაქო ან ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში.

მდგომარეობა არც მანამდის ყოფილა სახარბიელო, მაგრამ იგი მკვეთრად გაუარესდა, როცა საქართველოს ეპარქიის სამრევლო სკოლების მეთვალყურედ დანიშნეს არხირეაქციონერი დეკანოზი ვოსტორგოვი (იხ. ი. გოგებაშვილი, ტ. III, 1954, გვ. 211). იგი კატეგორიულად მოითხოვდა ქართული სკოლების რიცხვის შემცირებას. მარტო აღმოსავლეთ საქართველოში სკოლების რიცხვი 150-დან 39 დაიყვანა (ი. გოგებაშვილი, ტ. III,1954, გვ. 208). ვოსტორგოვის განუკითხავი თვითნებობა იწვევდა სწავლა-აღზრდის საქმის გაუარესებას – მოსწავლეთა განთესვას, განსაკუთრებით მე-4 განყოფილებიდან. ასე მაგალითად, 1913 წელს სკოლის დამთავრების მოწმობა მხოლოდ 7 მოსწავლემ მიიღო მაშინ, როცა 1911 წელს სკოლაში 101 მოსწავლე ითვლებოდა.

მიუხედავად მძიმე პირობებისა, ამ სკოლამ ბევრ ახალგაზრდას გაუღვიძა ცოდნის შეძენის წყურვილი.

წევის სკოლაში დაწყებითი განათლება მიიღო ბევრმა, ქვეყნისათვის საჭირო და სასარგებლო ადამიანმა.

აქ სწავლობდნენ: სერგი რომანოზის ძე გორგაძე – საქართველოს ისტორიისა და ძველი ქართული ლიტერატურის ცნობილი მკვლევარი; სევასტი მიქელას ძე გაჩეჩილაძე - ფოლკლორისტი, აკაკი წერეთლის "კრებულის" თანამშრომელი; ნიკოლოზ მაკარის ძე გაჩეჩილაძე – რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი (პირველმა ამ გვარიდან შეაღო უნივერსიტეტის კარი 1902 წელს); ივანე ერასტის ძე გაჩეჩილაძე – გამოჩენილი პედაგოგი, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორი; ივანე გველესიანი – მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელოების ცნობილი ავტორი; გიორგი ელეფთერის ძე აბესაძე – საქართველოს სსრ მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის აგრო-ქიმიის განყოფილების გამგე, დიდი სამამულო ომის მონაწილე; თადარიგის მაიორი.

აღნიშნული სკოლის უხუცესი მასწავლბელი იყო მაკარი ეფრემის ძე გაჩეჩილაძე. მან დაიწყო ამ სკოლაში მასწავლებლობა 1876 წელს და ორმოცდაერთი წლის განმავლობაში არ მოშორებია საყვარელ საქმეს. იგი 27 წლის განმავლობაში ასწავლიდა ყველა საგანს, ხოლო 1902-დან 1917 წლამდე მის უცვლელ გამგედ ითვლებოდა.

მძიმე იყო სახალხო მასწავლებლის ბედი ძველად. მისი ღირსების დამამცირებელ უუფლებობას, აუწერელ ნივთიერ ხელმოკლეობასა და ვოსტოგოვების კანიბალიზმს ბოლო მოუღო დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, რომელმაც მასწავლებელი აიყვანა იმ სიმაღლეზე, რომელზედაც იგი არასოდეს არ მდგარა.

დღეს ამ ყოფილი ორკომპლექტიანი (ოთხგანყოფილებიანი) სკოლის ადგილას წევის სერზე ამართულა რვაწლიანი სკოლა.

ეს სკოლა ნამდვილი აღმავლობის გზას მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაადგა. სწავლამოწყურებული ახალგაზრდობა მიაწყდა სასწავლებლის კარებს. ძველმა შენობამ ვეღარ დაიტია ცოდნის შეძენის ყველა მსურველი და იძულებული გახდნენ ძველისათვის ახალი ოთახები მიეშენებინათ.

გაჩნდა კაბინეტები, ფიზიკისა და ქიმიის ლაბორატორიები. შეივსო და გაიზარდა სასკოლო ბიბლიოთეკა, რომლისთვისაც ცალკე შენობა ააგეს სკოლის გვერდით.

გამოყვეს საცდელი ნაკვეთი, სადაც ბიოლოგიის მასწავლებელი ხშირად ღია ცის ქვეშ ატარებს გაკვეთილებს.

1970 წელს ამ სკოლას ას ათი წელი შეუსრულდა. იგი დამსახურებული სიამაყით აღნიშნავს ამ ღირსშესანიშნავ თარიღს და ურყევი რწმენით გასცქერის ნათელ მომავალს.

გაჩეჩილაძეების ბიოგრაფიები

1. ავთანდილ გაჩეჩილაძე (გუნდაეთელი)

არქიტექტორი, სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო ინსტიტუტის – "თბილზნიიეპის" გენერალური დირექტორის მოადგილე, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ექსპერტი...

დაიბადა 1953 წლის 22 მაისს, თბილისში. **მამა – გივი დოსითეოსის ძე გაჩეჩილაძე, დედა – როზანა იპოკრატეს ასული ათანასოვა** (ბულგარელი).

დაამთავრა: 1976 წელს თსსა არქიტექტურის ფაკულტეტი (წარჩინებით); 1978 წელს ქ. ნიკოლაევის ოფიცერთა სასწავლებელი; 1987 წელს - თსსა ასპირანტურა სპეციალობით "ქალაქთმშენებლობა" – რაიონული დაგეგმარება; 1998 წელს – რუსეთის სახმშენთან არსებული სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებელი – "სამშენებლო კომპლექსის კადრების კვალიფიკაციის ამაღლების და გადამზადების ინსტიტუტი" – კვალიფიკაციით – ბიზნესის შემფასებელი (შეფასების ექსპერტი).

მუშაობდა მრავალ დაწესებულებაში სხვადასხვა თანამდებობაზე, მათ შორის: თბილისის ზონალური სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო ინსტიტუტის ("თბილზნიიეპის") გენერალური დირექტორის მოადგილედ (1989 წლიდან დღემდე);

გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გარემოს დაცვითი ნებართვისა და სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტის ექსპერტად (2002 წლიდან დღემდე);

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დამოუკიდებელი ექსპერტიზის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის სამმართველოს ექსპერტ-სპეციალისტად საინჟინრო-ტექნიკურ და ეკონომიკურ დარგებში (2000 წლიდან დღემდე);

გერმანია-საქართველოს სამთავრობათშორისო პროექტის – "მიწისძვრით დაზარალებულთა დახმარება გერმანიის მთავრობის მიერ" მთავარ არქიტექტორად ("სენიორ არქიტექტორი") (2002 წლიდან დღემდე);

“საქართველოს შემფასებელთა ეროვნული ასოციაციის” ვიცე-პრეზიდენტად (2000 წლიდან დღემდე) და სხვ.

პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა: თსსა-ში (1987 – 1988 წწ.), მხატვარ გიორგი ადიკაშვილის შემოქმედებით სახელოსნოში (1978 – 1991 წწ.);

არის გამომგონებელი. მისი გამოგონებები რეგისტრირებულია სსრკ გამოგონებების სახელმწიფო რეესტრში:

1981 წ. “ვერტიკალური შეერთება”. საავტორო მოწმობა N 920134;

1988 წ. “სამშენებლო ელემენტი”. საავტორო მოწმობა N 1399424;

1988 წ. “სამშენებლო ელემენტი”. საავტორო მოწმობა N 1474233;

1991 წ. “არმატურის წინასწარდაძაბვის მოწყობილობა”. საავტორო მოწმობა N 1726701;

1992 წ. “სამშენებლო ელემენტი”. საავტორო მოწმობა N 1744215.

არის მრავალი ინდივიდუალური და ტიპური პროექტის ავტორი. მისი პროექტებით აგებულია მრავალი საცხოვრებელი სახლი, სკოლა, ბაგა-ბაღი, უმაღლესი სასწავლებელი, სასტუმრო, მაღაზია, საზოგადოებრივი კვების ობიექტი, ტელეცენტრი და სხვ. თბილისში, ბათუმში, გორში, მოსკოვში, კისლოვოდსკში, სალეხარდში და სხვ.

არის 30-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის და მრავალი საგაზეთო სტატიის ავტორი. მრავალი სამეცნიერო კონფერენციის მონაწილე;

არის რამდენიმე პროფესიული კავშირის წევრი: მშენებლობის და საწარმმშენმასალების მუშაკთა პროფკავშირის – 1979 წლიდან; სსრკ არქიტექტორთა კავშირის წევრი იყო 1982 წლიდან; საქართველოს არქიტექტორთა კავშირის წევრია 1995 წლიდან; “სეკტესკ”-ის (საქართველოს ექსპერტთა კრიმინალისტთა ტექნიკურ და სხვა ექსპერტ-სპეციალისტთა კავშირის) – 2004 წლის იანვრიდან დღემდე...

ბატონ ავთანდილს ჰყავს **მეუღლე – ლარისა კონსტანტინეს ასული ტერ ეგი აგარიანცი** და **ქალიშვილი – მაია**.

2. აზა გაჩეჩილაძე (ლობიო)



წევის სკოლის პედაგოგი (1988 – 1991 წლებში ამავე სკოლის დირექტორი)

დაიბადა 1947 წლის 25 ოქტომბერს, წევაში. **მშობლები: აკაკი იპოლიტეს ძე გაჩეჩილაძე, ლიდა ალექსის ასული ლობჟანიძე.**

დაამთავრა გორის პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. მრავალი წელია ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლის წევის სკოლაში. თავისი საგნის შესანიშნავი სპეციალისტი, ქალბატონი აზა სკოლისათვის თავდადებული ადამიანია. იგი დიდი ავტორიტეტით სარგებლობს პედაგოგიურ კოლექტივში, თანასოფლელებსა და მოწაფეებს შორის. მთელი ქვეყნისა და ს. წევისათვის მეტად რთულ, 1990-იან წლებში მას, თავის კოლეგებთან ერთად, დიდი წვლილი მიუძღვის სკოლის არსებობის შენარჩუნებაში. გარდა იმისა, რომ უხელფასობისა და ქვეყანაში გამეფებული საყოველთაო არეულობის პირობებში, ისინი ჩვეული შემართებითა და რითმით განაგრძობდნენ მუშაობას, ამასთანავე, ცდილობდნენ მოსწავლეებისა და სხვა თანასოფლელების გამხნევებას, მათი განწყობილების ამაღლებას. 1995 წელს მოსწავლეთა ძალებით ჩატარებულ კონცერტს, რომლის ერთ-ერთი ინიციატორი და ორგანიზატორი იყო აზა გაჩეჩილაძე, დღესაც იხსენებენ თანასოფლელები, როგორც მნიშვნელოვან მოვლენას სკოლისა და სოფლის ცხოვრებაში. კეთილშობილებითა და გულისხმიერებით გამორჩეული ქალბატონი აზა და მისი ოჯახის წევრები: **დედა – ლიდა ლობჟანიძე** და **მეუღლე თამაზ ალავიძე** მხარში უდგანან გაჩეჩილაძეთა საგვარეულო დარბაზის თბილისის ორგანიზაციას, გულთბილ მასპინძლობას უწევენ მის წევრებს წევაში სტუმრობისას.

2003 წლის 28 ივლისს წევაში, კვირიკობის სადღესასწაულო თავყრილობის დროს, ქალბატონი აზა წევის საკრებულოს წევრად აირჩიეს.

3. ალექსანდრე (ბუტო) გაჩეჩილაძე (ოთიაშვილი)

საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კანდიდატი.

დაიბადა 1960 წლის 18 თებერვალს, თბილისში. **მშობლები: გივი ალექსანდრეს ძე გაჩეჩილაძე** – ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, **თამარ ალექსანდრეს ასული ნემსაძე** – ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი.

დაამთავრა კომაროვის სახელობის მათემატიკური სკოლა, შემდეგ- თსუ ფიზიკის ფაკულტეტი. ჩააბარა ასპირანტურაში, იქიდან გაიგზავნა მოსკოვის ბიოფიზიკის ინსტიტუტში, სადაც დაამუშავა სადისერტაციო თემა. 1988 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია ბიოფიზიკის განხრით. ამჟამად დაკავებულია კერძო ბიზნესით.

ჰყავს **მეუღლე ქეთევან ღონღაძე** – ქიმიკოსი და ორი ვაჟი: **გიორგი და დავითი** – სტუდენტები.

4. ალექსანდრე (ალეკო) გაჩეჩილაძე

ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, პრეპარატ "კატრექსის" გამომგონებელი.

დაიბადა 1934 წლის 2 აგვისტოს, თბილისში, გარდაიცვალა 1998 წლის 11 ივლისს, თბილისში. **მშობლები: გიორგი ზარასპის ძე გაჩეჩილაძე, გალინა ალექსანდრეს ასული გვათუა.**

დაამთავრა თბილისის 30-ე ვაჟთა სკოლა 1953 წელს, შემდეგ ა. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ბიოლოგიის ფაკულტეტი – 1957 წელს. მუშაობდა სკოლაში, შემდეგ, - 1961 – 1962 წწ. ი. ჟორდანიას სახელობის ინსტიტუტში. 1965 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: "უჯრედების დაყოფის მართვის პოტენციური შესაძლებლობანი".

1967 წელს ამერიკელებმა წყნარ ოკეანეში გამოსცადეს ბირთვული იარაღი. ექსპედიციამ, რომელიც ოკეანის ამ რეგიონის ბინადართა მდგომარეობას აკვირდებოდა, აღმოაჩინა, რომ რადიაციას მხოლოდ ზვიგენი გადაურჩა. ა. გაჩეჩილაძემ დაუყოვნებლივ დაიწყო ექსპერიმენტები ზვიგენის ღვიძლზე.

(ეს ინფორმაცია მოგვაწოდა ბატონი ალეკოს ვაჟმა – გიორგიმ, მაგრამ ბატონი ალეკოს ძმამ, ირაკლიმ გვითხრა, რომ ბატონმა ალეკომ ექსპერიმენტები დაიწყო 1950-იანი წლების ბოლოს, მას შემდეგ, რაც ფრანგებმა წყნარ ოკეანეში (ატოლ ბიკინთან) გამოსცადეს ბირთვული იარაღი). ერთი წლის შემდეგ კი მიიღო პრეპარატი, რომელსაც მოგვიანებით "კატრექსი" ეწოდა (კატრანი – შავ ზღვაში გავრცელებული ზვიგენის ნაირსახეობაა, კატრექსი – კატრანის ღვიძლის ექსტრაქტი). ამ პრეპარატს შვება უნდა მოეტანა ავთვისებიანი სიმსივნეებით (და არა მხოლოდ სიმსივნეებით) დაავადებული მილიონობით ადამიანისათვის. 1971 – 1977 წწ. ქ. ფოთის ექსპერიმენტული ლაბორატორიის (რომელშიც ტარდებოდა კვლევა) საორგანიზაციო, ტექნიკურ და სამეურნეო სამსახურს ხელმძღვანელობდა ა. გაჩეჩილაძის ძმა – ირაკლი (პროფესიით ინჟინერი), რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ალეკოს მეცნიერულ მოღვაწეობას. დაახლოებით 1972 წლიდან ა.გაჩეჩილაძემ მოახერხა "კატრექსის" მასობრივი გამოშვება. თბილისელებს კარგად ახსოვთ 1986-იანი წლების ბუმი გაჩეჩილაძის პრეპარატის ირგვლივ – ათასობით ადამიანი ყოფილი საბჭოთა კავშირის ყოველი კუთხიდან ქუჩაში ათენებდა ღამეებს წამლის მოლოდინში და უანგაროდ იღებდა პრეპარატს, რომელიც მათ, მართლაც, სასწაულებრივად შველოდათ.

კაცთმოყვარე, განათლებული ინტელიგენტი ა.გაჩეჩილაძე მთელ თავის ძალასა და ენერგიას ახმარდა საყვარელ საქმეს, რომელსაც მან თითქმის 40 წელი შეალია და მნიშვნელოვან შედეგებსაც მიაღწია.

მეცნიერს ღრმად სწამდა, რომ ავ სენთან ბრძოლა შეიძლებოდა. მას მიაჩნდა, რომ მთავარი ყურადღება პროფილაქტიკას სჭირდებოდა, აქ კი პრეპარატი შეუცვლელია. ასევე თვლიდა, რომ თითოეულ ავადმყოფს ინდივიდუალური მიდგომა სჭირდება და შეუდგა პერსონიფიცირებული პრეპარატის დამუშავებას. მაგრამ, სამედიცინო მრეწველობის და ჯანმრთელობის დაცვის საკავშირო სამინისტროების და მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის ხელმძღვანელი ჩინოვნიკების სიახლისადმი ბიუროკრატიული დამოკიდებულის გამო, მეცნიერს წარმოუდგენელი სირთულეების გადალახვა უხდებოდა. ა.გაჩეჩილაძეს მთელი შეგნებული ცხოვრება წარმოადგენდა გაუთავებელ ბრძოლას სხვადასხვა ჯურის ხელისშემშლელებთან. “კატრექსი” ხან იკრძალებოდა “მავანთა წყალობით”, ხან კი კვლავ აღსდგებოდა. კატრექსით დაინტერესდნენ აშშ-ში, საბერძნეთში, ისრაელში. ა.გაჩეჩილაძემ მიიღო მიწვევა ბრაზილიიდანაც, საქართველოში კი “ოფიციალური აღიარება” არ ეღირსა.

მეცნიერმა 40-წლიან მუდმივ ბრძოლას ვერ გაუძლო და გარდაიცვალა.

რამდენიმე თვის წინ რუსეთის ტელევიზიამ გადმოსცა სენსაციური ინფორმაცია: - აშშ-ს მეცნიერებმა მიაგნეს ავთვისებიანი სიმსივნეების პროფილაქტიკის და მკურნალობის ახალ პრეპარატს და იწყებენ ზვიგენის ხრტილის გადამუშავების შედეგად მიღებული ექსტრაქტის დანერგვას. ა. გაჩეჩილაძემ კი იმავე დანიშნულების პრეპარატი 40 წლის წინ აღმოაჩინა, ზვიგენის ღვიძლის გადამუშავების შედეგად მიიღო და დანერგა...

ჟურნალ «Бизнес матч»-ის 1992 წლის N 6 ნომერში გამოქვეყნებულ ა. ბერდიჩევსკაიას სტატიაში ვკითხულობთ: “Когда нибудь Александру Гачечиладзе поставят памятник не потому, что он решил проблему рака, а потому, что догадался первым, что, в принципе, на идейном уровне она решена. И первым вполне осознанно и последовательно пошел по дороге, которую мостили ученые со времен Митридата, добавлявшего в свои лекарственные составы ткани ящериц и змей”...

ბატონ ალექსანდრეს დარჩა **მეუღლე – დოდო გიორგის ასული ბარამიძე** – ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი; შვილები: **გიორგი* და ნინო** და შვილიშვილები.

ლიტერატურა: გაზეთი “საქართველოს რესპუბლიკა”, 1988, 11 ივლისი;
ჟურნალი «Бизнес матч»,1992, N 6.

5. ალექსანდრე (უშანგი) გაჩეჩილაძე (ლანჩავა)

სოფელ წევის ყოფილი კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოფ. ზიკილიის რვაწლიანი სკოლის ყოფილი დირექტორი.

დაიბადა 1912 წელს, ზესტაფონის რაიონის სოფ. წევაში, გარდაიცვალა 1957 წელს. **მამა – გრიგოლ გაჩეჩილაძე.**

დაწყებითი განათლება მიიღო სოფ. წევაში. 1933 წელს დაამთავრა ძირულის საშუალო სკოლა, ხოლო 1937 წელს თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტი. 1937 – 1941 წლებში მუშაობდა ჭიათურის რაიონის სოფ. თაბაგრების ა/ს საშუალო სკოლის დირექტორად.

1941 – 1944 წლებში იბრძოდა სამამულო ომში, საიდანაც დაბრუნდა დაჭრილი.

1944 – 1945 წლებში მუშაობდა სოფ. წევის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ. სწორედ ამ წლებში, მთავრობის დადგენილებით, დაიწყო მესხეთიდან თათრების გასახლება და მათ ადგილას იმერეთის მთაგორიანი სოფლების მოსახლეობის ჩასახლება. სოფ. წევის მოსახლეობა ჩაასახლეს ახალციხის რაიონის სოფ. ზიკილიაში.

ა. გაჩეჩილაძე 1945 – 1946 წლებში მუშაობდა მესხეთი ს რაიონებში დასახლება–გამოსახლების რწმუნებულად, 1946 – 1954 წლებში – ახალციხის რაიონს სოფ. ზიკილიის რვაწლიანი სკოლის დირექტორად და ბიოლოგიის მასწავლებლად. ამ პერიოდში ზიკილიის სკოლა სანიმუშო იყო არა მარტო რაიონში, არამედ რესპულიკაშიც. იმ დროს გაშლილი იყო მიჩურინული მოძრაობა და, მიჩურინის მეთოდების გამოყენებით, სკოლაში წარმოებდა ხეხილოვანი მცენარეების ახალი ჯიშების გამოყვანა. სკოლა ხშირად მონაწილეობდა რესპუბლიკურ კონფერენციებსა და გამოფენებში. სკოლის პედაგოგიურ კოლექტივსა და მოწინავე, აქტიურ მოსწავლეებს მიღებული ჰქონდათ საპატიო სიგელები.

ა. გაჩეჩილაძის გარდაცვალების შემდეგ, მასწავლებელთა აგვისტოს თათბირებზე, წლების განმავლობაში, გაისმოდა მისი დირექტორობის დროინდელი, აყვავებული სკოლის შესახებ მოგონებები.

ბატონ ალექსანდრეს დარჩა **ოთხი შვილი: გიგლა*, ნელი*, არკადი* და მანანა*.**

6. ალექსანდრე გაჩეჩილაძე

სახალხო განათლების ღვაწლმოსილი მუშაკი, ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების გამგე, ქუთაისის მე-5 საშუალო სკოლის დირექტორი...

დაიბადა 1913 წელს, ქუთაისში, გარდაიცვალა 1964 წელს. **მამა – ვარლამ გაჩეჩილაძე.**

დაწყებითი განათლება მშობლიურ ქალაქში მიიღო. ცხრაწლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო რკინიგზის სასწავლებელში, რომელიც დაასრულა 1930 წელს და იმავე წლიდან დაიწყო პედაგოგიური მოღვაწეობა. 1936 წელს დაამთავრა ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის გეოგრაფიის ფაკულტეტი.

ალ. გაჩეჩილაძე სამ ათეულ წელზე მეტი ხნის განმავლობაში უმწიკვლოდ ემსახურებოდა სახალხო განათლების საქმეს. წლების მანძილზე მუშაობდა სასწავლო ნაწილის გამგედ, სასკოლო ინსპექტორად, საქალაქო საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების გამგედ, სკოლის დირექტორად. სხვადასხვა დროს, ნაყოფიერ შემოქმედებით შრომას ეწეოდა ქუთაისის პირველ, მე-5, მე-13 და სხვა საშუალო სკოლებში.

ა. გაჩეჩილაძე იყო უაღრესად შრომისმოყვარე და ენერგიული, პრინციპული და მომთხოვნი, როგორც საკუთარი თავის, ასევე სხვების მიმართაც. იგი მთელი არსებითა და გატაცებით იბრძოდა სკოლაში სწავლებისა და აღზრდის მაღალი ხარისხისათვის. აქტიურად მონაწილეობდა საქალაქო და რესპუბლიკურ ღონისძიებებში. ყოველთვის ხელს უწყობდა მოსწავლეთა შემოქმედებითი ნიჭის განვითარებას და ამ მხრივ სასურველ შედეგებსაც აღწევდა.

ალ. გაჩეჩილაძე დაჯილდოებული იყო ორდენითა და მედლებით, აგრეთვე სამკერდე ნიშნით "სახალხო განათლების წარჩინებული".

ბატონ ალექსანდრეს ჰყავდა **მეუღლე – ქეთევან ნადირაძე,** მათ დარჩათ **შვილები: მადონა და შორენა** და მათი შთამომავლობა.

ლიტერატურა: გაზეთი "სახალხო განათლება", 1964 წლის 28 ოქტომბერი.

7. ალექსანდრე (ხითო) გაჩეჩილაძე (ოთიაშვილი)

ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე...

დაიბადა 1910 წ. 10 მაისს, ქ. ქუთაისში, გარდაიცვალა 1961 წლის 29 იანვარს, თბილისში. **მშობლები: ივანე ერასტის ძე გაჩეჩილაძე, თამარ ვასილის ასული ლოსაბერიძე.**

1931 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია.

1931 – 1951 წლებში მუშაობდა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ფიზიკის კათედრის გამგედ.

1951 წლიდან გარდაცვალებამდე იყო УМАК-ის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, ნახევარგამტართა ფიზიკის განყოფილების გამგე, ხელმძღვანელობდა УМАК-თან არსებულ იზოტოპების და გამოსხივების კომისიას.

ალექსანდრე გაჩეჩილაძე მრავალი სამეცნიერო სტატიის ავტორია. გამოცემული აქვს წიგნები:

1. "ფიზიკა" პროფ. ივანე გაჩეჩილაძის რედაქციით. ტფილისი, 1932;
2. "ნახევარგამტარები და მათი გამოყენება", თბილისი, 1961.

ბატონ ალექსანდრეს (ხითოს) ჰყავდა **მეუღლე – ნინო გრიგოლის ასული ანთაძე, შვილები: ივანე (1943), ირინა (1946), არჩილი (1948).**

8. ალექსანდრე გაჩეჩილაძე

საქართველოს დამსახურებული პედაგოგი, თბილისის კალინინის სახელობის რაიონის განათლების განყოფილების გამგე...

დაიბადა 1913 წ. 15 აპრილს, ს. წევაში, გარდაიცვალა 1986 წ. ოქტომბერში, თბილისში. **მამა – ლავრენტი გაჩეჩილაძე.**

1937 წ. დაამთავრა ქ. ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტი, შემდეგ, ივ. ჯავახიშვილის სახელობის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის ასპირანტურა.

მუშაობდა ქ. თბილისის საშუალო სკოლების დირექტორად, პარტიის 26 კომისრის სახელობის რაიონის, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორად, მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ლექტორად, კალინინის სახ. რაიონის განათლების განყოფილების გამგედ (1961 წლიდან გარდაცვალებამდე).

იყო სამამულო ომის მონაწილე. მიღებული ჰქონდა სახელმწიფო ჯილდოები. გამოქვეყნებული აქვს მეცნიერული შრომები. იყო რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგი, პერსონალური პენსიონერი.

მეუღლე – ნინო კოჭლამაზაშვილი, შვილები: როენა, თამაზი.

ლიტერატურა: გაზ. “თბილისი”, 1986 წ. 4 ნოემბერი.

9. ალექსანდრე (საშა) გაჩეჩილაძე (ოთიაშვილი)

პედაგოგი, ჟურნალისტი, პუბლიცისტი.

დაიბადა 1895 წელს, სოფ. წევაში, გარდაიცვალა 1965 წელს. **მშობლები: ტარასი მიხეილის ძე გაჩეჩილაძე** და **დესპინე გაჩეჩილაძე.**

მამა ადრე გარდაეცვალა. დედამ – დესპინემ, დიდად მორწმუნე და ერთობ განსწავლულმა ქალმა, გაზარდა უმამოდ დარჩენილი ორი ვაჟი – ალექსანდრე და შალვა. იმ დროისათვის გასაკვირია, რომ მთიან სოფელში გადახვეწილმა ქვრივმა ორივე შვილს უმაღლესი განათლება მიაღებინა.

ალექსანდრე თსუ-ში სწავლობდა, ფილოსოფიის ფაკულტეტის ფსიქოლოგიის სპეციალობაზე. იგი დიდი ბიბლიოფილი იყო. მის სახლში არსებულ ბიბლიოთეკაში 1000-მდე ქართულ- და რუსულენოვანი წიგნია დაცული.

ალექანდრე გაჩეჩილაძე ცნობილი იყო, როგორც ჟურნალისტი და პუბლიცისტი. ილია ჭავჭავაძეს მისთვის რამდენიმე სტატია დაუბეჭდავს.

იგი პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა ბათუმში – ასწავლიდა ისტორიას და რუსულ ენას. ხანში შესული წევაში დაბრუნდა და იქ მაწავლებლობდა სიბერემდე.

ამჟამადაც არსებობენ პედაგოგები, რომელთაც მასთან ერთად უმუშავიათ. ისინი ალ. გაჩეჩილაძეს იხსენებენ, როგორც "ცოცხალ ენციკლოპედიას".

ბატონი ალექსანდრე სოფლის დიდი მოამაგე იყო. სოფლის მცხოვრებნი მასთან მიდიოდნენ რჩევის საკითხავად. იგი უწერდა მათ საჩივრებს, განცხადებებს და აგზავნიდა სათანადო ინსტანციებში. მან წევას დიდი სიკეთე მოუტანა.

ომის დროს წევის მოსახლეობა ჩაასახლეს ახალციხის რაიონის სოფ. ზიკილიაში, იქიდან გადასახლებული "თურქი მესხების" სანაცვლოდ. მაშინდელი წესის თანახმად, ამგვარ გადასახლებას "ნებაყოფლობითი" ერქვა: ზამთარში, ყინვაში, ზოგი ურმით, ზოგი ფეხით მიდიოდა, ზოგი გზაში დაიღუპა, დაეხოცათ საქონელი, ზიკილიაში კი საცხოვრებლად მიწურები დახვდათ...

აი, მაშინ გამოიჩინა ალექსანდრე გაჩეჩილაძემ თავი, - ინტელიგენტმა, კანონებში გარკვეულმა კაცმა ყურადღება გაამახვილა სიტყვაზე "ნებაყოფლობითი". მან მოიყვანა ცენტრიდან კომისია, რომელმაც დადასტურა, რომ მისი საუშაო "იარაღი" - ბიბლიოთეკა იყო, რომელსაც იგი ზიკილიაში ფეხით კი არა, ურმითაც ვერ მიიტანდა და იქ ვერც მოათავსებდა. მან განცხადებებით მიმართა მრავალ ინსტანციას და დარჩენის უფლება მიიღო. იგი მეზობლებს არწმუნებდა, რომ თუ "მაგრად დადგებოდენ", ძალით ვერავინ გადაასახლებდათ. ბევრს ეშინოდა, მაგრამ ზოგმა გაბედა და დარჩა...

ბატონ ალექსანდრეს ჰყავდა **მეუღლე – თამარ ვლადიმერის ას. მაჩაბელი,** რომელსაც გიმნაზია ჰქონდა დამთავრებული და ერთობ ნაკითხი და განათლებული ადამიანი იყო. მათ გაზარდეს **სამი შვილი: ეთერი, გივი* და მაყვალა*.**

10. ამბერკი გაჩეჩილაძე

ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი

დაიბადა 1906 წ. 10 ოქტომბერს, საჩხერეში, გარდაიცვალა 1985 წელს. **მამა – ნიკოლოზ გაჩეჩილაძე.**

ქუთაისის ჰუმანიტარული ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ მასწავლებლობდა. დაამთავრა სამართლის ინსტიტუტი, შემდეგ თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტი.

1941 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და მუშაობა დაიწყო თელავის პედაგოგიურ ინსტიტუტში ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგედ; კითხულობდა ლექციებს ქართული ლიტერატურის ისტორიაში, ლიტერატურის თეორიასა და ფოლკლორში. პედაგოგიური მოღვაწეობის პარალელურად, 1947 წლიდან

მუშაობდა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტში ჯერ სწავლული მდივნის, შემდეგ, სიცოცხლის ბოლომდე, - ახალი ქართული ლიტერატურის განყოფილების უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობაზე.

ა. გაჩეჩილაძის სამეცნიერო ინტერესების სფერო ფართო იყო და მრავლმხრივი. იგი ავტორია 70-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა, რომელთა შორის პირველ რიგში აღსანიშნავია: მონოგრაფია – "აკაკი წერეთლის ცხოვრება და შემოქმედება", "გიორგი ერისთავის დრამატურგია", "ნარკვევები მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან" (1952), "ბრძოლა რეალიზმის დამკვიდრებისათვის მე-19 საუკუნის ქართულ ლიტერატურაში".

1963 წელს ა. გაჩეჩილაძეს მიენიჭა ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. ორ ტომად გამოიცა მისი ფუნდამენტური გამოკვლევა - "ნარკვევები მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართული დრამატურგიისა და თეატრის ისტორიიდან".

ა. გაჩეჩილაძემ თავისი წვლილი შეიტანა ქართული ზეპირსიტყვიერების შეკრებისა და შესწავლის საქმეშიც. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით საყურადღებოა ნაშრომი – "გადმოცემა ხოგაის მინდიაზე და პოემა "გველის მჭამელი", რომელიც ვაჟას თხზულების ხალხური წყაროების შესწავლას ეძღვნება. მან შეკრიბა და გამოსცა ქართული ხალხური პროზის ნიმუშები (კრებული "ქართული ზეპირსიტყვიერება", 1966).

ა. გაჩეჩილაძე თანაავტორია "ქართული ლიტერატურის ისტორიის" ექვსტომეულის მესამე და მეოთხე ტომებისა, რომელიც გამოსცა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ. მან, როგორც სარედაქციო კოლეგიის წევრმა, დიდი ღვაწლი დასდო, აგრეთვე, აკაკი წერეთლის თხზულებათა თხუთმეტტომეულის მომზადებას და გამოცემას...

ა. გაჩეჩილაძე ფართო საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდა: კითხულობდა მეტად საინტერესო საჯარო ლექციებს ქართული მწერლობისა და კულტურის საკითხებზე, მონაწილეობდა სამეცნიერო სესიებსა და კონფერენციებში.

მეუღლე თამარ წერეთელი, შვილები: ივლიტა*, იათამზე, ნანა, გიორგი*.

ლიტერატურა: გაზ. "თბილისი", 1985 წ. 28 მაისი.
ქსე, ტ. III, თბ., 1978.

11. ანდრია გიორგის ძე გაჩეჩილაძე (გუნდაეთელი). გუნდაეთის ეკლესიის მოძღვარი. იხილეთ სტატია N 59ᵇ.

12. ანდრია გაჩეჩილაძე (ოთიაშვილი)

ცნობილი ექიმი, პედიატრი.

დაიბადა 1917 წ. 12 დეკემბერს, ქ. გორში, გარდაიცვალა 1997 წ. დაკრძალულია თბილისში. **მშობლები: ნიკოლოზ მაკარის ძე გაჩეჩილაძე** – დამსახურებული ექიმი და **ანა გერმანეს ასული მებურიშვილი**.

1940 წელს სსი-ს დამთავრების შემდეგ, მუშაობდა ქ. ხაშურში ექიმ-პედიატრად, 1943 – 1946 წლებში – ცხვარიჭამიაში უბნის ექიმად, საიდანაც გადაიყვანეს თბილისის ბავშვთა პირველ საავადმყოფოში უფროს ორდინატორად.

1957 წლიდან ბავშვთა მე-14 პოლიკლინიკის პედიატრიული განყოფილების გამგეა, ხოლო 1967 წლიდან დაინიშნა ამავე პოლიკლინიკის მთავარ ექიმად.

1970 წელს გადმოიყვანეს ბავშვთა პირველ საავადმყოფოში, მთავარი ექიმის მოადგილედ სამკურნალო ნაწილში. ამავე დროს, ჯანდაცვის სამინისტროს განაწესით, წლების განმავლობაში მის მოვალეობას შეადგენდა საქართველოს რაიონებში ტოქსიკურად დაავადებულების მკურნალობა ადგილზე. ხშირად ექსტრემალურ სიტუაციებში უხდებოდა ვერტმფრენით გადაფრენა სასწრაფო გამოძახებით.

სიცოცხლის ბოლოს მუშაობდა თბილისის სან.განათლების სახლის ექიმად. დიდ დახმარებას უწევდა რეპუბლიკის სხვადასხვა რაიონებს ბავშვთა გაჯანსაღების საქმეში.

მაღალპროფესიონალმა ექიმმა მრავალი ადამიანის სიცოცხლე გადაარჩინა და მძიმე ავადმყოფი განკურნა. მაკარ მღვდლის შვილიშვილმა, მორწმუნე ექიმმა ღირსეულად გააგრძელა დიდი მკურნალი მამის საქმე. სიცოცხლის ბოლომდე პატიოსნად, უანგაროდ და დაუღალავად ემსახურა ხალხს, რისთვისაც დიდი პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა. მიღებული ჰქონდა მთავრობის მრავალი ჯილდო, სიგელი და მედალი. გამოქვეყნებული აქვს მრავალი ბროშურა და სტატია ბავშვთა მკურნალობის სფეროში. იყო რამდენიმე სამედიცინო და სხვადასხვა კავშირის წევრი.

ა. გაჩეჩილაძეს ჰყავდა ერთადერთი ქალიშვილი ქეთევანი*, ცნობილი მოჭადრაკე, სპორტის ოსტატობის კანდიდატი. გარდაიცვალა 1991 წელს ამჟამად, ბატონი ანდრიას ოჯახიდან დარჩა მისი **მეუღლე – მარინე ჯანდიერი** – ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრის ყოფილი კონცერტმაისტერი (ამჟამად პენსიონერი) და **შვილიშვილი – ვახტანგ ავთანდილის ძე კეკელიძე** – სტუდენტი .

ტექსტი შეადგინეს **ნიკოლოზ შურღაიამ და გოჩა არონიშიძემ.**

13. ანზორ გაჩეჩილაძე (სუქსუქი)

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ტარნსვეიზის" მთავარი ინჟინერი, რაციონალი-ზატორი...

დაიბადა 1943 წ. 25 აპრილს, სოფ. წევაში. **მამა – გრიგორ გაჩეჩილაძე.**

1960 წელს დაამთავრა ქ. ტყიბულის N 1 საშუალო სკოლა, პარალელურად ქ. ტყიბულის N 19 პროფტექნიკური სასწავლებელი.

1960 – 1962 წწ. სწავლობდა ქ. ქუთაისის ავტოსატრანსპორტო ტექნიკუმში. შემდეგ მუშაობდა ქ. ტყიბულის N 1 სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საწარმოში ავტოშემკეთებლად, ქ. ტყიბულის ორჯონიკიძის სახელობის მაღაროში ელ.შემკეთებლად.

1967 – 1971 წწ. სწავლობდა და დაამთავრა სპი სპეციალობით "საავტომობილო ტრანსპორტის ექსპლოატაცია და რემონტი".

1971 – 1973 წწ. მუშაობდა თბილისის N 1 სა ტვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოს ტექნიკური განყოფილების უფროსად.

1973 – 1975 წწ. – ქ. თბილისის N 2652 ავტოკოლონის მთავარ ინჟინრად;

1975 – 1979 წწ. – გარდაბნის ავტოსატრანსპოტო საწარმოს მთავარ ინჟინრად;

1976 წ. გაიარა თსუ კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები "საწარმოს მართვის, ორგანიზაციისა და ეკონომიკის" სპეციალობით.

1979 – 1987 წწ. მუშაობდა გარდაბნის ავტოსატრანსპორტო საწარმოს დირექტორად;

1987 წელს გაიარა საქართველოს ტექნიკური ინსტიტუტის კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები “აირ-გაზბალონიანი სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის” სპეციალობით;

1987 – 1991 წწ. მუშაობდა ქ. რუსთავის ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანების გენერალური დირექტორის პირველ მოადგილედ;

1991 – 1993 წწ. – ქ. რუსთავის მერის უფროსი მრჩეველია ტრანსპორტის დარგში;

1993 – 1995 წწ. – ქვემო ქართლის გუბერნატორის მთავარი მრჩეველია ტრანსპორტის, კავშირგაბმულობისა დ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დარგში;

1995 – 1998 წწ. ქ. რუსთავის N 2 საქალაქთაშორისო სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საწარმოს დირექტორია;

1998 – 2000 წწ. – საქართველოს ავტოტრანსპორტისა და გზატკეცილების დარგობრივი რესპუბლიკური პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.

2001 წლიდან დღემდე მუშაობს შპს “ტრანსვეიზის” მთავარ ინჟინრად.

ა. გაჩეჩილაძე არის სამ ათეულამდე რაციონალიზატორული წინადადებისა და მოწყობილობის დანერგვის ავტორი. დაჯილდოებულია შრომის ვეტერანის მედლით და სსრკ სამოქალაქო თავდაცვის წარჩინებულის სამკერდე ნიშნით.

ბატონ ანზორს ჰყავს **მეუღლე – ნინო ზურაბის ასული გაჩეჩილაძე** – პედაგოგი.

შვილები: თამარი (1975) – ექიმი; **ნანა** (1976) – ექიმი; **ეკატერინე** (1979) – იურისტი. **შვილიშვილი – რამაზ თემურის ძე მჟავანაძე** (1998).

14. ანზორ გაჩეჩილაძე (ლულია)

ღვაწლმოსილი აგრონომი, ახალციხის რაიონის სოფლების სამეურნეო, აღმასრულებელი და პარტიული ორგანოების ყოფილი ხელმძღვანელი მუშაკი.

დაიბადა 1935 წელს, ს. წევაში. **მშობლები: ნიკოლოზ ბიქტორის ძე გაჩეჩილაძე** – სწავლული აგრონომი, **სონა რომანოზის ასული ნიბაქაძე –** დიასახლისი.

1941 – 1944 წწ. ა. გაჩეჩილაძე სწავლობდა სოფ. წევის, შემედგ კი სოფ. ზიკილიის (1944 – 1948 წწ.) რვაწლიან სკოლებში. ახალციხის რაიონის სასოფლო -სამეურნეო ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ, 1957 წლამდე მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში, შემდეგ კი სოფ. ზიკილიის კოლმეურნეობაში აგრონომ-ტექნიკოსად;

1961 – 1967 წწ. სწავლობდა თბილისის სასოფლო -სამეურნეო ინსტიტუტის აგრონომიულ ფაკულტეტზე;

1972 წელს აირჩიეს ახალციხის რაიონის სოფ. აგარის აღმასკომის თავმჯდომარედ, შემდეგ აგარის საბჭოთა მეურნეობის პარტიული კომიტეტის განთავისუფლებულ მდივნად; სოფ. ზიკილიის საბჭოთა მეურნეობის დირექტორად; ახალციხის რაიონის სოფ. აწყურის საბჭოთა მეურნეობის მთავარ აგრონომად; იგი იყო აგარის სასოფლო საბჭოს, შემდეგ კი საკრებულოს ყველა მოწვევის დეპუტატი 1960 წლიდან 2002 წლამდე (ე. ი. 42 წლის განმავლობაში).

ამჟამად ბატონი ანზორი პენსიონერია. მას ჰყავს **მეუღლე – თამარ სვანიძე** – სოფ. ზიკილიის საშუალო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელი და **ვაჟიშვილი კობა** – ინჟინერი სან.ტექნიკის განხრით.

15. არკადი გაჩეჩილაძე (ლანჩავა)

*ფიზიკოსი, უშიშროების სამინისტროში "პოტონიკის" განყოფილების ხელმძღვანელი (*1990 – 1994 წწ.*)...*

დაიბადა 1951 წ. 15 აპრილს, სოფ. ზიკილიაში. **მშობლები: ალექსანდრე (უშანგი) გრიგოლის ძე გაჩეჩილაძე –** ს. ზიკილიის საშუალო სკოლის დირექტორი და **ელენე ქურციკიძე** - ამავე სკოლის პედაგოგი.

1958 წლიდან სწავლობდა ს. ზიკილიის საშუალო სკოლაში, 1962 წლიდან კი ქუთაისის მე-5 საშუალო სკოლაში, საიდანაც, როგორც ფიზიკა -მათემატიკაში გამორჩეული მონაცემების მქონე, სასწავლებლად გაიგზავნა თბილისის კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკურ სკოლა-ინტერნატში, რომელიც დაამთავრა 1968 წელს.

1973 წელს დაამთავრა თსუ ფიზიკის ფაკულტეტი.

1973 წელს მუშაობა დაიწყო გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში მეცნიერ მუშაკად. 1974 – 1981 წწ. მუშაობდა უვმ-ში; 1981 – 1990 წ წ. – კიბერნეტიკის ინსტიტუტში; 1990 – 1994 წწ. – უშიშროების სამინისტროში "პოტონიკის განყოფილების" ხელმძღვანელად.

წერს ლექსებს. 1980 – 1981 წწ. იყო ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის კულტურის სახლთან არსებული სახალხო თეატრის მსახიობი. წარმატებული მსახიობობისათვის დაჯილდოებულია სიგელით...

1994 წელს სამუშაოდ წავიდა ისრაელში, სადაც მუშაობს დღემდე - ლაზერული ტექნიკით კრისტალების წარმოებაზე.

16. ბაჭუა გაჩეჩილაძე (ბელტიყლაპია)

იურისტი, მილიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის საპატიო წევრი, ღირსების ორდენის კავალერი...

დაიბადა 1923 წლის 15 აგვისტოს, ზესტაფონის რაიონის სოფ. წიფლავაკეში. **მშობლები: დავით გაჩეჩილაძე, ნინა ნებიერიძე.**

1940 წელს დაამთავრა ძირულის საშუალო სკოლა და იმავე წელს ჩაირიცხა თსუ-ის ისტორიის ფაკულტეტზე.

1942 წლის იანვარში გაიწვიეს საბჭოთა არმიის რიგებში. ამავე წელს დაამთავრა სამხედრო ოფიცერთა სასწავლებელი და მიიღო ოფიცრის წოდება.

1944 წლის 28.06-მდე მონაწილეობდა დიდ სამამულო ომში. არის მეორე ჯგუფის ინვალიდი.

1945 წლის 25.04 -დან 1973 წლის 21.08-მდე მსახურობდა საქართველოს შს ორგანოებში. 27 წელი იმუშავა ხელმძღვანელ სამუშაოზე.

მუშაობდა: ყოფილი ჩხარის, სამტრედიის, ბორჯომის და გაერთიანებული ზესტაფონის, თერჯოლისა და ხარაგაულის რაიონული შს განყოფილების უფროსად. იყო ამავე რაიონების რაიკომებისა და რაიაღმასკომის წევრი.

1954 წელს დ აამთავრა შს სამინისტროს აკადემია ქ. მოსკოვში. დაამთავრა, აგრეთვე, თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტი სამართალმცოდნეობის სპეციალობით.

1964 – 1967 წწ. მუშაობდა საქართველოს შს სამინისტროს ცენტრალურ აპარატში, განყოფილების უფროსად. კურირებდა სისხლის სამართლის დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლას დასავლეთ საქართველოს რაიონებში და აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიაზე.

1968 – 1973 წწ. მუშაობდა ქუთაისის შს უფროსის პირველ მოადგილედ.

1973 წლის 21.08 გავიდა პენსიაზე. არის მილიციის გადამდგარი პოლკოვნიკი.

1974 – 1980 წწ. მუშაობდა საქართველოს უზენაეს სასამართლოში საერთო და საჩივრების განყოფილების მისაღების გამგედ.

1980 წლიდან მუშაობს ადვოკატად, არის საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის საპატიო წევრი.

არმიის რიგებსა და შს ორგანოებში იმსახურა 33 წელი. მიღებული აქვს ოცზე მეტი სახელმწიფო ჯილდო. არის ღირსების ორდენის კავალერი. სამამულო ომის ვეტერანი. გერმანიაზე გამარჯვების 55 წლისთავთან დაკავშირებით, რუსეთის ფედერაციის საიუბილეო კომიტეტმა საქართველოში მცხოვრები 40 000 ომის ვეტერანიდან 250 კაცი დააჯილდოვა "1941 – 1945 წლების ფრონტელის" სამახსოვრო სამკერდე ნიშნით, - მათ შორის ბ. გაჩეჩილაძეც.

არჩეულია საქართველოს ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა საბჭოს წევრად. არის ომის, შრომისა და სამხედრო ძალების თბილისის საქალაქო საბჭოს წევრი, იურიდიული კომისიის წევრი, საქართველოს ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო დეპარტამენტის ქ. თბილისის სამმართველოს იურიდიული კომისიის წევრი, ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ვაკე-საბურთალოს რაიონის N 2 საბჭოს პრეზიდიუმის წევრი და მუდმივმოქმედი იურიდიული სამართლებრივი კომისიის თავმჯდომარე.

ბატონ ჭაბუას ჰყავს **მეუღლე – სოფიო ვლასის ასული გაჩეჩილაძე** (1927) – განათლებით პედაგოგი, დიასახლისი. **შვილი – ნანა გაჩეჩილაძე** (1956) – მუსიკათმცოდნე.

შვილიშვილი – დავით იობიძე (1974) – იურისტი.

17. ბესარიონ გაჩეჩილაძე (კრეჭია)

ხარაზი, მცირე მეწარმე, კოლორიტული პიროვნება.

დაიბადა 1892 წელს, სოფ. წევაში, გარდაიცვალა 1971 წ., ზესტაფონში. **მშობლები: ზაქარია თედორეს ძე გაჩეჩილაძე, ოლღა წიქარიშვილი.**

დაწყებითი განათლება მიიღო წევის ორწლიან სასწავლებელში. მისი ოჯახი წევიდან ზესტაფონში გადასახლდა. ბესარიონმა შეისწავლა ტყავის ტექნოლოგია. მას ზესტაფონში ჰქონდა დაბახანები, ჰყავდა დამხმარე მუშები და ეწეოდა ტყავის წარმოებას. იგი მუხლჩაუხრელად შრომობდა თავის ხელოსნებთან ერთად. ბესარიონი იყო ფიზიკურად ჯანმრთელი, სპეტაკი ბუნების, სიცოცხლით სავსე, ძალიან

შრომისმოყვარე, ნიჭიერი, შემოქმედი ადამიანი, ყველასათვის კეთილი ნათესავი, მეზობელი, მეგობარი, ამხანაგი. ყველას ხელს უმართავდა, თავის შესაძლებლობის ფარგლებში. მართალია, უმაღლესი განათლება არ მიუღია, მაგრამ იყო ძალიან ჭკვიანი და ენამჭევრი, ჰქონდა იუმორის გამორჩეული გრძნობა. ყველა პურმარილზე, სადაც კი დაპატიჟებდნენ, აუცილებლად იგი იყო თამადა. მისი თამადობის დროს სუფრაზე სრული წესრიგი სუფევდა. წვეულების მონაწილენი მოუთმენლად ელოდნენ მის სიტყვას, რათა ეცინათ და ემხიარულათ.

ბესარიონს ჰქონდა მარანი-მუზეუმი, რომელიც სამი განყოფილებისაგან შედგებოდა: I – დიდი მარანი, სადაც იყო ჭურები, გარშემო კედლებზე იყო ვიტრინები, რომელშიც გამოფენილი იყო სხვადასხვა მარკის კონიაკი და სხვა სასმელები. კედლის მთელ სიგრძეზე დახატული იყო მაგიდა, რომლის გარშემოც ისხდნენ ბესარიონის მეგობრები და თვითონ თამადა, რომელიც ფეხზე იდგა ყანწით ხელში. მარნის ოთხივე კედელზე ეკიდა მისი ახლობლების და მეგობრების სურათები. ჭერი კი მოხატული იყო ბალერინების პორტრეტებით. ვიტრინაში იდო მარნის მშენებლობის დროს ნაპოვნი ადამიანის თავის ქალა. მარანში შემსვლელს იმ თავის ქალით უნდა შეესვა ღვინო.

მარნის მეორე განყოფილებაში კედელზე დახატული იყო საქართველოს მეფეების პორტრეტები. იქვე იყო სხვადასხვა მუსიკალური საკრავი, მათ შორის რამდენიმე არღანი, ყარაჩოხელის ტანსაცმელი...

ვინც არ უნდა ჩასულიყო ზესტაფონში – გასტროლიორი მსახიობები, რევიზორები და ა. შ., ყველანი შეივლიდნენ ხოლმე იმ მარანში საქეიფოდ და დროის გასატარებლად. ყველას მოჰქონდა სხვადასხვა მარკის კონიაკი, რომელიც ვიტრინაში ინახებოდა. ჩანაწერებს ტოვებდნენ მწერლები, ლექსებს – პოეტები. ერთხელ ბესარიონმა თბილისიდან ჩამოსულ მმართველებს არღანზე ასე უმღერა:

“რის მმართველობა, რა მმართველობა,
ყველას სჯობია ჩემი ხელობა.
მე ხარაზი ვარ, შევკერავ წუღას
ფული ბევრი მაქვს, რამ შეგაწუხათ!..”

შემდეგ მოხდა ისეთი რამ, რამაც ბესარიონს დიდი ტკივილი მიაყენა. დააპროექტეს ხიდი, რომელიც მისი ეზოს ადგილას უნდა აგებულიყო. ბესარიონის სახლი და მარან-მუზეუმი უნდა დანგრეულიყო. ამ ამბავმა ძალიან იმოქმედა ბესარიონზე. იგი დაავადმყოფდა და 1971 წელს გარდაიცვალა. მისი ცხედარი ორი კვირა ესვენა სახლში, რათა სხვადასხვა ქალაქებიდან ჩამოსულ მის მეგობრებს მისცემოდათ მასთან გამოთხოვების საშუალება. ისმებოდა თავის ქალით ღვინო და დიდი ხნის შემონახული სხვადასხვა მარკის კონიაკი, – როგორც ბესარიონს ჰქონდა დაბარებული.

ბესარიონ გაჩეჩილაძეს ჰყავდა **მეუღლე – ვერიკო ჩიხლაძე, ვაჟი – შოთა, სამი შვილიშვილი; ძმები: გიორგი, გრიგოლი, ილია, რაჟდენი; დები: ივლიტა და ნატა.**

მასალა მოგვაწოდეს: ნათელა რაჟდენის ას., თენგიზ ალექსანდრეს ძე და დიმიტრი გრიგოლის ძე გაჩეჩილაძეებმა.

18. გივი გაჩეჩილაძე (ოთიაშვილი)

ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პუბლიცისტი, კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი...

დაიბადა 1926 წ. 24 თებერვალს, სოფ. წევაში, გარდაიცვალა 2000 წ. 1 დეკემბერს. **მშობლები: ალექსანდრე ტარასის ძე გაჩეჩილაძე** – პედაგოგი, **თამარ მაჩაბელი** – დიასახლისი.

1949 წელს წარჩინებით დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი და მეცნიერული მოღვაწეობა დაიწყო საქართველოს წყალთა მეურნეობის სისტემაში, სადაც იგი სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა.

1958 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: "წყლის ენერგიის დაწნევითი ჩამქრობი პერფორირებული დიაფრაგმით", ხოლო 1982 წელს სადოქტორო დისერტაცია თემაზე: "ტურბულენტური კალაპოტური ნაკადების დინამიკური სტრუქტურის გამოკვლევა", რომელიც საფუძვლად დაედო ამავე სახელწოდების მონოგრაფიას. არის დარგში პროექტებისა და 40-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი.

ბატონი გივი, როგორც ჭეშმარიტი მამულიშვილი და ერისკაცი, დიდ საზოგადოებრივ მოღვაწეობასაც ეწეოდა: იგი იყო კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი; განსაკუთრებული წვლილი შეიტანა უდიდესი ეროვნული პოტენციის მქონე საარჩევნო ბლოკის -"ერთიანი საქართველო-XXI საუკუნის" მოღვაწეობაში... იგი ყოველთვის იდგა იქ, სადაც წყდებოდა საქართველოს ეროვნული სახელმწიფოებრიობის და დამოუკიდებლობის ბედი. მისი ღრმად გააზრებული ნარკვევები და პუბლიკაციები გაჯერებული იყო ქართველი ერის უმთავრესი სატკივრით, სამშობლოს სიყვარულით, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დამკვიდრების დიდი სურვილით. გამორჩეულია მისი პუბლიცისტური ნაშრომი- "ნუთუ განწირულია ქართული გენი" (1997), სადაც ღრმა ტკივილითაა დანახული საქართველოს მწარე რეალობა...

გ. გაჩეჩილაძის აზროვნების უმთავრეს საგნად თანდათან გამოიკვეთა ქართველი ერის მომავალი. გადარჩება თუ არა ქართული გენი? ამ კითხვამ ბატონი გივი მიიყვანა ფსიქოლოგიისა და ფილოსოფიის საკითხების კვლევამდე, რისი შედეგიც იყო მისი წიგნები: "ინტელექტი, ნება და ადამიანი" და "ქართული ტომების გენეზისის და ქართული გენის შესახებ", რომლებიც მას თითქმის დამთავრებული დარჩა და მისი სიკვდილის შემდეგ გამოსაცემად მოამზადა მისმა მეუღლემ (პირველი უკვე გამოიცა, მეორე კი ახლა იბეჭდება).

ბატონ გივის დარჩა **მეუღლე**: ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი **თამარ ნემსაძე, ვაჟიშვილი** – საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კანდიდატი **ალექსანდრე (ბუტო)**

გაჩეჩილაძე, რძალი **ქეთევან ღონღაძე –** ქიმიკოსი და შვილიშვილები: **გიორგი** და **დავითი –** სტუდენტები.

ლიტერატურა: გაზეთი “იბერია სპექტრი”, 2001 წლის 17 – 23 იანვარი (ნეკროლოგი);

გაზეთი “თვალთაი”, 2001 წლის 17 – 23 იანვარი (ნეკროლოგი);

გ. გაჩეჩილაძე “ინტელექტი, ნება და ადამიანი”, თბილისი, 2000.

18ᵃ. თამარ ნემსაძე

ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორ - გივი გაჩეჩილაძის მეუღლე.

დაიბადა 1925 წლის 15 მარტს. **მშობლები: ალექსანდრე ოტოს ძე ნემსაძე –** სამთო ინჟინერი, მეცნიერებათა კანდიდატი, **ოლღა კონსტანტინეს ას. შაფი –** დიასახლისი.

1948 წელს დაამთავრა სპი .

1950 – 1953 წლებში სწავლობდა ასპირანტურაში.

1963 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: “ტურბულენტური ნაკადების მყარი შეწონილი ნაწილაკების გადატანის საკითხისათვის”.

1980 წლამდე მუშაობდა ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის ინსტიტუტში უფროს მეცნიერ მუშაკად. პენსიაზე გასვლის შემდეგ, ქალბატონი თამარი ადრე გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე ცხოვრობს სოფ. წევაში, სადაც იგი დიდად ავტორიტეტული და პატივსაცემი ადამიანია. 1990-იან წლებში მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა წევის სკოლის გადარჩენის საქმეში: ორი წლის განმავლობაში, მეტწილად უხელფასოდ, ასწავლიდა გერმანულ ენას უფროსი კლასების მოსწავლეებს, აქტიური მონაწილეობა მიიღო სასკოლო ზეიმზე მოსწავლეთა გერმანულენოვანი გამოსვლების ორგანიზებაში.

ქალბატონ თამარს ჰყავს ორი ვაჟი: **დიმიტრი ნამგალაძე –** მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, **ალექსანდრე (ბუტო) გაჩეჩილაძე** - საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კანდიდატი, ხუთი შვილიშვილი და სამი შვილთაშვილი.

19. გივი გაჩეჩილაძე

კომპოზიტორი, დირიჟორი – ბიგ-ბენდების ერთ-ერთი კომპოზიტორი და ხელმძღვანელი საქართველოში.

დაიბადა 1938 წლის 5 ნოემბერს. **მამა – გიორგი ივანეს ძე გაჩეჩილაძე.**

1961 წელს დაამთავრა სპი-ს საინჟინრო ფაკულტეტი, სადაც 1958 წელს დაიწყო თავისი შემოქმედებითი კარიერა ინსტიტუტის საესტრადო ორკესტრში. უკვე ერთი წლის შემდეგ გახდა ამავე ორკესტრის დირიჟორი.

1964 – 1968 წლებში ხელმძღვანელობდა უკრაინის ჯაზ -ორკესტრს "დნიპროს". სწავლობდა კიევის კონსერვატორიაში პროფესორ მ. სკორიკის კლასში და თბილისის კონსერვატორიაში პროფ. ა. ბალანჩივაძის კლასში, რომელიც დაამთავრა 1973 წელს.

1972 – 1974 წლებში ხელმ ძღვანელობდა კიევის ტელევიზიის საესტრადო-სიმფონიურ ორკესტრს.

1974 – 1979 წლებში ხელმძღვანელობდა საქართველოს სახელმწიფო ორკესტრს "რეროს".

1979 – 1982 წლებში ხელმძღვანელობდა საქტელერადიოს საესტრადო ორკესტრს.

1982 წლიდან მუშაობს კ. მარჯანიშვილის სახელობის ა კადემიური დრამატული თეატრის მუსიკალურ ხელმძღვანელად და, ამავე დროს, 1997 წლიდან არის თბილისის საკონცერტო ორკესტრის სამხატვრო ხელმძღვანელი.

ჩაწერილი აქვს მრავალი კომპოზიცია, გამოცემული მოსკოვში და ამერიკაში, აგრეთვე მუსიკა 30-ზე მეტი სპექტაკლისათვის საქართველოში და რუსეთში, მუსიკა სხვადასხვა ჟანრის ფილმებისათვის.

ჰყავს **მეუღლე – თინათინ გიორგის ასული გაჩეჩილაძე** და ორი **შვილი: ნინო** (1980) და **თამარი*** (1983).

ლიტერატურა: ენციკლოპედიური ცნობარი – «Джаз – XX век», Санкт-Петербург, 2001, стр. 103.

20. გივი გაჩეჩილაძე (გუნდაეთელი)

საქართველოს უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკი, სტუ-ს მასალათა გამძლეობისა და დრეკადობის თეორიის კათედრის დოცენტი...

დაიბადა 1924 წლის 4 ივნისს, ნორიოში, გარდაიცვალა 2004 წლის 5 ივნისს, თბილისში.
მშობლები: დოსითეოს ნიკოლოზის ძე გაჩეჩილაძე ეკატერინე ტიგრანის ას. ტერ-ახშარუმიანცი.

მე-9 კლასამდე სწავლობდა ჭიათურის პირველ საშუალო სკოლაში. 1941 წელს დაამთავრა თბილისის 77-ე საშუალო სკოლა. ამავე წელს ჩაირიცხა თბილისის რკინიგზის საინჟინრო ინსტიტუტში.

1942 წ. სექტემბერში გაიწვიეს საბჭო ა არმიაში. ჩაირიცხა მეთაურთა საარტილერიო სკოლაში (ქ. ბაქოს გარეუბანში), რომლის დამთავრების შემდეგ, 1943 წლის მარტში, გადაიყვანეს მოსკოვის მეთაურთა სასწავლო ცენტრში.

1943 წლის მარტში ჩარიცხეს ჯავშნიანი მატარებლის საბრძოლო შემადგენლობაში დაზვერვის უფროსის და მართვის ოცეულის მეთაურის თანაშემწედ. იბრძოდა უკრაინის ფრონტზე. 1945 წელს ჯავშნიანი მატარებელი გადაიყვანეს შორეული აღმოსავლეთის ფრონტზე (“პრიმორიე”).

1945 წელს მონაწილეობდა იაპონიასთან ომში, მანჯურიის საბრძოლო ოპერაციებში. ომის დამთავრების შემდეგ დაინიშნა რადიოლოკაციური სადგურის უფროსად ვოროშილოვგრადის სამხედრო ნაწილში.

1947 წლის აპრილში დაბრუნდა საქართველოში და სწავლა განაგრძო იმავე ინსტიტუტში ხიდებისა და გვირაბების ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დამთავრა 1952 წელს. იმავე წელს მუშაობა დაიწყო ქ. ოდესაში N 3 ხიდმშენ ტრესტში ინჟინერ - ოსტატის თანამდებობაზე.

ხიდმშენ ქვედანაყოფში იგი მუშაობდა ტექნიკური ნაწილის ინჟინრად, მშენებლობის მწარმოებლად, ნაპირის უფროსად დიდი სარკინიგზო ხიდის მშენებლობაზე, მდ. სამხრეთ ბუგაზე. შემდეგ გადაიყვანეს ხიდმშენ მატარებელში ტექნიკური ნაწილის (შემდგომში საწარმოო-ტექნიკური ნაწილი) უფროსად. ხელმძღვანელობდა უნიკალური ხიდების მშენებლობას მდ. დნესტრზე ქალაქებში: ზალუშჩიკში, ხოტინში, მოგილიოვ-პოდოლსკში და სხვ.

დაჯილდოებულია უკრაინის ცკ-ის სიგელით “მეგობრობის” ხიდის წარმატებით მშენებლობისათვის ქ. მოგილიოვ პოდოლსკში.

1958 წელს შევიდა თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის საინჟინრო ინსტიტუტის ასპირანტურაში ხიდების სპეციალობაზე, 1966 წლიდან იგი სტუ-ს მასალათა გამძლეობისა და დრეკადობის თეორიის კათედრის ასისტენტია, შემდგომში უფროსი მასწავლებელი და დოცენტი. იგი უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტთა ფუნდამენტური და დამხმარე სახელმძღვანელოების ავტორია მასალათა გამძლეობაში და დრეკადობის თეორიაში. იგი ავტორია, აგრეთვე, 70 სამეცნიერო შრომისა, - მათ შორის თხუთმეტი გამოგონების.

დაჯილდოებულია საკავშირო ტექნიკური გამოფენის სიგელებით და საჩუქრებით, ორდენებით და მედლებით სამამულო ომში მონაწილეობისათვის.

1975 წელს მიენიჭა საქართველოს უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკის წოდება.

მეუღლე: როზანა იპოკრატეს ას. ათანასოვა
შვილები: ნინო და **ავთანდილი***

21. გივი გაჩეჩილაძე

ღვაწლმოსილი პედაგოგი

დაიბადა 1932 წლის 18 თებერვალს. **მშობლები: ვახტანგ პიმენის ძე გაჩეჩილაძე –** ინჟინერი, **მარიამ სამსონაძე**-ფეიქარი.

1954 წელს დაამთავრა თბილისის საავიაციო ტექნიკუმის თვითმფრინავთმშენებლობის ფაკულტეტი.

1971 წელს დაამთავრა ზოგადტექნიკური ფა კულტეტი ა. პუშკინის სახ. პედაგოგიურ ინსტიტუტში.

სხვადასხვა წლებში ტექნიკური კონტროლის უფროსად მუშაობდა საავიაციო ტექნიკუმში და რკინიგზის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში.

რკინიგზის I საშუალო სკოლაში ასწავლიდა ფიზიკას და ხაზვას, სამედიცინო სასწავლებელში ფიზიკას, სამრეწველო-ეკონომიკურ ტექნიკუმსა და მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტში კითხულობდა ლექციებს ლითონმცოდნეობასა და მანქანთმცოდნეობაში.

მონაწილეობდა ყველა კონფერენციასა და სიმპოზიუმში, რომელიც ეწყობოდა მასწავლებელთა დახელოვნების დარგში. აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ საქმეებში, მათ შორის საარჩევნო კამპანიების ორგანიზაციაში.

ბატონ გივის, სხვა მრავალ ნიჭთან ერთად, შესანიშნავი მუსიკალური მონაცემებიც აქვს. ამასთანავე, იგი მზრუნველი მამა და ბაბუაა. 2000 წელს პენსიაზე გავიდა და მიუხედავად ჯანმრთელობის პრობლემებისა, როგორც ყოველთვის, აქტიურად არის დაკავებული საოჯახო საქმეებით.

მას ჰყავდა **მეუღლე – ნათელა გიორგის ას. მჭედლიშვილი,** ჰყავს **სამი ქალიშვილი: ნატო, ხათუნა, თამილა და შვილიშვილები.**

22. გივი გაჩეჩილაძე (ოთიაშვილი)

კომპანია "საქაგროექსპორტის" დამაარსებელი და გენერალური დირექტორი.

დაიბადა 1973 წელს, თბილისში. **მშობლები: რევაზ გივის ძე გაჩეჩილაძე –** საქართველოს ყოფილი საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ისრაელის სახელმწიფოში, გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი, **მზია მარსაგიშვილი –** ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.

გივი გაჩეჩილაძე პროფესიით მათემატიკოსია. არის დამოუკიდებელი მეწარმე. 1999 – 2000 წწ. მუშაობდა ლონდონის "ლომბარდ ბანკში". არის კომპანია "საქაგროექსპორტის" დამაარსებელი და გენერალური დირექტორი.
ბატონ გივის ჰყავს **მეუღლე – ქსენია სემიოხინა** და **შვილი – რევაზი** (2003)

23. გივი გაჩეჩილაძე (ოთიაშვილი)

ლიტერატურათმცოდნე, მთარგმნელი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი, საქართველოს სახელმწიფო
პრემიის ლაურეატი...

დაიბადა 1914 წელს თბილისში, გარდაიცვალა 1974 წელს თბილისში. დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში. **მშობლები: რაჟდენ ალფეზის ძე გაჩეჩილაძე, სოფიო ელიოზიშვილი.**

დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტი (1936 წ.).

1942 წლიდან იყო თსუ დოცენტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1961), თსუ პროფესორი (1962), თსუ ინგლისური ფილოლოგიის კათედრის გამგე (1962 – 1974), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის განყოფილების გამგე (1964 – 1974), საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.

მთარგმენლობითი მოღვაწეობა დაიწყო 1933 წელს. თარგმნა შექსპირის სონეტები და დრამები, ინგლისური ხალხური ბალადები, ბაირონის, შელის, კიტსის, ლონგფელოს, შევჩენკოს, ბლოკის, ბრიუსოვის, მაიაკოვსკის და სხვათა პოეტური თხზულებანი. მისი რედაქტორობით გამოიცა შექსპირის თხზულებათა ექვსტომეული. მისი უმთავრესი სამეცნიერო პუბლიკაციებია "მხატვრული თარგმანის თეორიის საკითხები:

რეალისტური თარგმანის პრობლემა” (1959); “მხატვრული თარგმანი და ლიტერატურული ურთიერთობანი” (რუსულ ენაზე; მოსკოვი, 1972 და 1977), რამდენიმე სახელმძღვანელო მხატვრული თარგმანის საკითხებზე.

ლიტერატურა: ქსე, ტ. III, თბ., 1978.

23ა. ირინა კანდელაკი

ექიმი – პედიატრი, პროფესორ გივი რაჟდენის ძე გაჩეჩილაძის (ოთიაშვილი) მეუღლე.*

დაიბადა 1922 წლის 28 მაისს **მამა – ილია კანდელაკი.**

1943 წელს დაამთავრა თსი პედიატრიული ფაკულტეტი. 1949 წლიდან – 1994 წლამდე მუშაობდა თბილისის მესამე სამშობიარო სახლში ახალშობილთა განყოფილების გამგედ. ამჟამად პენსიონერია.

ამ კეთილშობილ და გულისხმიერ ქალბატონს განუზომელი წვლილი მიუძღვის მისი ოჯახის წევრთა ცხოვრების წარმატებით წარმართვაში...

ბატონ გივის და ქალბატონ ირინას ჰყავთ **შვილები: რევაზი*** (1943) და **ზაზა*** (1947), **შვილიშვილები: გიორგი*** (1968), **ნინო** (1969), **გივი*** (1973), **ირინა*** (1977), **თამარი** (1990) და ოთხი შვილთაშვილი.

24. გივი გაჩეჩილაძე (ღვირძლი)

სახელოვანი ხარატი, საპატიო რკინიგზელი, თბილისის საპატიო მოქალაქე, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.

დაიბადა 1926 წ. 20 აგვისტოს, ხარაგაულის რაიონის სოფ. ღორეშაში. მისი მშობლები: **სერგო გაჩეჩილაძე და ოლღა ბურჯანაძე-გაჩეჩილაძე** სოფლის მეურნეობას ეწეოდნენ (კოლმეურნეობაში შევიდნენ 1934 წელს. ჰყავდათ რვა შვილი – სამი ვაჟი და ხუთი ქალიშვილი).

ს. ღორეშაში დაწყებითი და არასრული საშუალო განათლების მიღების შემდეგ, 1944 წელს, შორაპნის მუშა ახალგაზრდობის საღამოს საშუალო სკოლა დაამთავრა. 1943 წლის ოქტომბერში მუშაობა დაიწყო ა/კ რკინიგზის შორაპნის საორთქმავლო დეპოში ხარატის მოსწავლედ. ამავე დეპოში 1944 წელს შევიდა კომკავშირში, 1948 წელს კი სკკპ წევრი გახდა.

1947 წლიდან – 1955 წლამდე იყო დეპოს კომკავშირული ორგანიზაციის კომიტეტის მდივანი, 1955-დან 1957 წლის ოქტომბრამდე – პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე (საზოგადოებრივ საწყისებზე).

დეპოში მუშაობის დროს, იყო ერთ-ერთი მოწინავე ხარატი, მრავალი რაციონალიზატორული წინადადების ავტორი. დაჯილდოებული იყო "ფრიადოსანი მეორთქმავლის", "სტალინური გაწვევის დამკვრელის" სამკერდე ნიშნებით, მედლებით: "1941 – 1945 წლებში მამაცური შრომისათვის", "კავკასიის დაცვისათვის".

ზესტაფონი-საჩხერის ფართო ლიანდაგიანი რკინიგზის მშენებლობის დამთავრების შემდეგ, 1957 წლის ნოემბერში, რკინიგზის სხვა საწარმოებთან ერთად, შორაპნის საორთქმავლო დეპოს ლიკვიდაციაც მოხდა (რადგან ვიწროლიანდაგიან რკინიგზას ემსახურებოდა), რის გამოც ბატონი გივი გადმოიყვანეს თბილისში ი.ბ.სტალინის სახ. ორთქმავალვაგონშემკეთებელი (შემდგომში თბილისის სტალინის სახ. ელექტროვაგონშემკეთებელი) ქარხნის სარემონტო მექანიკურ საამქროში ხარატად, სადაც მუშაობდა 2003 წლის მარტამდე.

ქარხანაში მუშაობის წლებში ბატონი გივი არჩეული იყო საამქროს პარტიული ბიუროს მდივნად, ქარხნის პარტიული და პროფკავშირული კომიტეტის წევრად, ლენინის სახ. რაიკომის ბიუროს წევრად, საქალაქო კომიტეტის წევრად, საქართველოს კომუნისტური პარტიის XXI, XXII, XXIII, XXIV, XXV, XXVI, XXVII, საქართველოს

უმაღლესი საბჭოს VII, VIII, IX, X, XI მოწვევის დეპუტატად. არის “თბილისის საპატიო მოქალაქე” (1982 წ.), საბჭოთა კავშირის რკინიგზის სამინისტროს მიერ დაჯილდოებულია “საპატიო რკინიგზელის ნიშნით” (1970 წ.), “შრომის წითელი დროშის” ორი ორდენით – 1974 და 1983 წლებში. არის რესპუბლიკის “სახელმწიფო პრემიის ლაურეატი” (1979 წ.).

ბატონი გივი დაოჯახებული იყო **ციცინო ბუხრაშვილზე** (გარდაიცვალა 1982 წელს). მათ ეყოლათ ხუთი შვილი, – სამი ბიჭი და ორი ქალიშვილი. უფროსი შვილი მევლუდი გარდაიცვალა 1989 წელს. ბატონ გივის ჰყავს ათი შვილიშვილი და სამი შვილთაშვილი.

25. გივი გაჩეჩილაძე (თხაჭამია)

ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე. თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის პროფესორი.

დაიბადა 1922 წლის 28 აგვისტოს, ზესტაფონის რაიონის სოფ. საღვინეში. **მშობლები: შალვა გაჩეჩილაძე , ელენე მესხი.**

1925 წელს მათი ოჯახი გადმოვიდა საცხოვრებლად თბილისში.

1940 წელს დაამთავრა თბილისის მე-2 საშუალო სკოლა. იმავე წელს სწავლა განაგრძო თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტზე. 1942 წელს სწავლას თავი დაანება ავადმყოფობის გამო.

1945 – 1950 წწ. სწავლობდა ვ. სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიაში, რომლის დამთავრების შემდეგ, ხელოვნების სამმართველომ იგი გაგზავნა თბილისის შ.რუსთაველის სახ. თეატრალურ ინსტიტუტში სარეჟისორო ფაკულტეტზე სწავლის გასაგრძელებლად.

კონსერვატორიაში სწავლის დროს იგი მუშაობდა გამოჩენილი საბჭოთა რეჟისორის, საქართველოს სსრ სახალხო არტისტის შ. აღსაბაძის ასისტენტად. თეატრალურ ინსტიტუტში გამოცდების ჩაბარების და სწავლის პერიოდში გ. გაჩეჩილაძეს დიდად გამოადგა ის სასცენო წრთობა, რომელიც მან შ. აღსაბაძის ასისტენტობის დროს გაიარა. იგი მეორე კურსზე ჩაირიცხა. ინსტიტუტი დაამთავრა 1954 წელს და, იმავე წელს, ოპერის თეატრში დადგა სადიპლომო სპექტაკლი – ს. რახმანინოვის ოპერა “ალეკო”. იმავე წლიდან დაიწყო მუშაობა ოპერის თეატრში - წამყვან რეჟისორად, 1956 წლიდან კი დამდგმელ რეჟისორად. დადგა ექვსი სპექტაკლი: ვ. გოკიელის “წითელქუდა”, ს. რახმანინოვის “ალეკო”, ა. ანდრიაშვილის “ზვავი”, შ.

თევდორაძის “ლეგენდა თბილისზე”; განაახლა დადგმები: ა. კერესელიძის “ბაში-აჩუკი”, ვ. დოლიძის “ქეთო და კოტე”.

1959 წლიდან დღემდე მუშაობს კონსერვატორიაში საოპერო მომზადების კათედრაზე. ამ დროის განმავლობაში საოპერო სტუდიაში დადგმული აქვს 11 ოპერა: პ. ჩაიკოვსკის “ევგენი ონეგინი”, “რომეო და ჯულიეტა” და “იოლანტა”, გუნოს “ფაუსტი”, როსინის “სევილიელი დალაქი” და სხვა მრავალი საოპერო მონტაჟი და ნაწყვეტი.

მისი უშუალო ხელმძღვანელობით საოპერო მომზადება გაიარეს სსრკ სახალხო არტისტმა ლ. ჭყონიამ, საქართველოს სახალხო არტისტებმა: თ. მუშკუდიანმა, ი. შუშანიამ, ო. კუზნეცოვამ; დიდი თეატრის სოლისტებმა: მ. ქასრაშვილმა, ზ. სოტკილავამ, პ. ბურჭულაძემ, ლ. ათანელაშვილმა და სხვ.

1961 წელს გ. გაჩეჩილაძე მიიწვიეს თსუ-ში სახალხო ოპერის ჩამოსაყალიბებლად. მან უნივერსიტეტის სტუდენტთა ძალებით დადგა ზ. ფალიაშვილის ოპერა “დაისი”, რომელიც 1962 წელს ნაჩვენები იქნა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე და მოსკოვში. ორივეგან ეს სპექტაკლი დიდი წარმატებით ჩატარდა 1968 წელს კულტურის სამინისტრომ მიავლინა ქუთაისში, საოპერო თეატრის გახსნასთან დაკავშირებით. იქ გ. გაჩეჩილაძემ ჩაატარა მოსამზადებელი სამუშაოები: შეარჩია რეპერტუარი და მომღერალთა დასი, რომელიც დაკომპლექტდა კონსერვატორიის იმ სტუდენტებით, რომლებიც ძირითადად მასთან გადიოდნენ სასცენო მომზადებას. 1969 წელს გაიხსნა ქუთაისის საოპერო თეატრი. 27 დეკემბერს ნაჩვენები იქნა გ. გაჩეჩილაძის მიერ დადგმული ზ. ფალიაშვილის “აბესალომ და ეთერი”, ხოლო 29 დეკემბერს მ. ბალანჩივაძის ოპერა “დარეჯან ცბიერი”.

ბატონი გივი, როგორც რეჟისორი, თეატრს სათავეში ჩაუდგა და ხელმძღვანელობდა მას ექვსი წლის განმავლობაში. მისი მიზანი იყო თეატრის მყარ რეალისტურ საფუძველზე დაყენება. იგი დიდი მონდომებით მუშაობდა ახალგაზრდა მსახიობებთან მათი სასცენო ხელოვნებაში დასაოსტატებლად. მათმა ერთობლივმა შრომამ ნაყოფი გამოიღო, დღეს ქუთაისის საოპერო თეატრის დასი ჩამოყალიბებული, სრულფასოვანი კოლექტივია. ბატონმა გივიმ ქუთაისის თეატრში დადგა რვა ოპერა.

მრავალმხრივი მუშაობა გასწია გ. გაჩეჩილაძემ საქართველოს ტელევიზიაში, სადაც იგი რეჟისორი იყო მუსიკალურ რედაქციაში. მან განახორციელა ტელედადგმები: “დილის საარი”, “ქეთო და კოტე”, “ძველი სოფლის სიმღერები”, “მარგალიტის მაძიებელი”, “მრავალჟამიერ ახალო წელო”, “ძველი თბილისის მელოდიები “ და სხვ. გადაიღო ფილმები: ო. თაქთაქიშვილის ოპერა “ჯილდო”, “ბიჭიკო გველესიანი”, “ძველი სოფლის სიმღერები” და მრავალი საკონცერტო ნომერი; 1968 – 1970 წლებში იგი მონაწილეობდა საკავშირო ტელე კონკურსში და გახდა მისი ლაურეატი.

1977 წელს თბილისის კონსერვატორიის საოპერო სტუდია შემოქმედებითი ვიზიტით ეწვია ლენინგრადის კონსერვატორიას, სადაც მაყურებელს წარუდგინეს გუნოს “ფაუსტი”. სპექტაკლმა დიდი წარმატებით ჩაიარა. ხოლო 1978 წ. მოსკოვში პ. ჩაიკოვსკის საკონცერტო დარბაზში უჩვენეს ჩაიკოვსკის ოპერა “იოლანტა”. აქაც სპექტაკლმა დიდი გამოხმაურება ჰპოვა. ორივე დადგმის რეჟისორი და ხელმძღვანელი იყო ბატონი გივი.

გ. გაჩეჩილაძე არის თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახ. კონსერვატორიის საოპერო კათედრის პროფესორი. მას მინიჭებული აქვს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის

წოდება (1969 წ.), მიღებული აქვს მთავრობის ჯილდოები: საქართველოს სსრ პრეზიდიუმის საპატიო სიგელი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პრეზიდიუმის საპატიო სიგელი, საკავშირო პროფსაბჭოს საპატიო სიგელი, საკავშირო ტელევიზიის საპატიო სიგელი, მედალი "შრომითი წარჩინებისათვის".
ბატონ გივის ჰყავს **მეუღლე – ელენე კესოიანი** და **შვილები: მაია** (1959), **შალვა** (1987) და **მარიამი** (1991).

26. გიორგი გაჩეჩილაძე

ბიოლოგი, ჟურნალისტი, ბიზნესმენი.

დაიბადა 1965 წლის 2 იანვარს, თბილისში. მშობლები: **ალექსანდრე გიორგის ძე გაჩეჩილაძე** – ბიოლოგი, პრეპარატ "კატრექსის" გამომგონებელი, **დოდო ბარამიძე** – ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი.

1972 – 1983 წლებში სწავლობდა თბილისის პირველ საშუალო სკოლაში. 1983 წელს ჩააბარა სსსი-ში, რომელიც დაამთავრა 1988 წელს სპეციალობით – აგროინჟინერი – მეაბრეშუმე. მუშაობდა საქართველოს რადიოლოგიის ინსტიტუტში, შემდეგ კი თსუ-ის ბიოლგიის ფაკულტეტზე, ჯერ მოლეკულური ბიოლოგიის, შემდეგ კი ბიოქიმიის კათედრაზე. დაასრულა ასპირანტურა. გ. გაჩეჩილაძის შემდეგი მოღვაწეობა ჟურნალისტიკას დაუკავშირდა.

სხვადასხვა დროს მუშაობდა გაზეთებში: "დრონი", "სტადიონი", "შვიდი დღე", "დილის გაზეთი", "ალია", "სამშობლო ფორტე", "ლელო". იყო ტელეკომპანიების "ევრიკასა" და "საქართველოს ხმის" სპორტული რედაქციის ხელმძღვანელი. ჰქონდა ახლო კავშირი საქართველოს სახელმწიფო რადიოს სპორტულ რედაქციასთანაც. ამჟამად თავის ძალებს სცდის რადიო "მწვანე ტალღაში". დაკავებულია აგრეთვე "მცირე ბიზნესით".

ჰყავს **მეუღლე – ლელა ხურცია** და ორი შვილი: **სანდრო** 8 წლის და **მარიამი** – 5 წლის.

27. გიორგი გაჩეჩილაძე

გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს მწვანეთა პარტიის თავმჯდომარე...

დაიბადა 1954 წლის 24 იანვარს, თბილისში. **მშობლები: ამბერკი ნიკოლოზის ძე გაჩეჩილაძე*, თამარ წერეთელი-გაჩეჩილაძე.**

1976 წელს დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ინჟინერ-ჰიდროლოგის სპეციალობით. იმავე წლიდან მუშაობს ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტში ჯერ ინჟინრად, შემდეგ უფროს ინჟინრად, უმცროს, უფროს მეცნ. თანამშრომლად, გარემოს გაჭუჭყიანების მონიტორინგის ლაბორატორიის გამგედ, ეკოლოგიის განყოფილების გამგედ, წამყვან მეცნ. თანამშრომლად. 1984 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – "ტერიტორიული განზოგადოების მეთოდიკა და მთის მდინარეებში გამოტანილი გახსნილი მარილების გაანგარიშება", ხოლო 1991 წელს, რუსეთის ჰიდროქიმიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია – "ქიმიური დენუდაციის ჰიდროლოგიური ასპექტები მთის რეგიონებში". მან, თავის სადოქტორო დისერტაციასა და შემდგომ დაბეჭდილ მონოგრაფიაში, საფუძველი ჩაუყარა ჰიდროქიმიაში გეოგრაფიული განზოგადების და ანალიზის ახალ მეთოდოლოგიას. მნიშვნელოვანია მისი ნაშრომი – "საქართველოს გარემოს დაცვის სახელმწიფო პოლიტიკის კონცეპტუალური საფუძვლები" (1993), რომელიც მთლიანად აგებულია მდგრადი განვითარების პრინციპებზე დ საქართველოში გარემოსდაცვითი ახალი სტრუქტურების ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირების საპროგრამო დოკუმენტს წარმოადგენს.

აღსანიშნავია მისი საზოგადოებრივი საქმიანობა. 1992 – 1999 წწ. იგი იყო საქართველოს პარლამენტის წევრი, ბოლო წლებში - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.

1994 – 1995 წწ. – საქართველოს "ბუნებრივი წყლების რაციონალური გამოყენებისა და დაცვის" სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარის პირველი მოადგილე. მწვანეთა პარტიის თავმჯდომარედ და მწვანეთა ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა რამდენიმეჯერ (1995, 1998, 2002 წწ.).

მისი ინიციატივით საქართველოს კონსტიტუციაში (1995) შეტანილი იქნა გარემოს მდგომარეობაზე დაკვირვების (მონიტორინგის) სახელმწიფო სისტემის დაფიქსირების ეკოლოგიური პარაგრაფები. იგი, ასევე, პარლამენტის მიერ მიღებული რიგი კანონების ავტორი ან თანაავტორია. არის გეოქიმიის და კოსმოქიმიის საერთაშორისო ასოციაციის, ბუნებრივი წყლების გაჭუჭყიანებისაგან დაცვის მუდმივმოქმედი საერთაშორისო კომისიის წევრი – 1991 წლიდან, "იუნესკოს" ოკეანოგრაფიის საქართველოს ეროვნული კომიტეტის წევრი – 1995 წლიდან, 1993 – 1999 წწ. იყო შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის საპარლამენტო ასამბლეის წევრი.

არის 61 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. მათ შორის მონოგრაფიისა: "Гидрологические аспекты химической денудации в горных регионах, С – П., 1991.

ბატონ გიორგის ჰყავს **მეუღლე – რუსუდან ცაგარეიშვილი** (1961), **შვილები: თამარი** (1985) და **ნინო** (1989).

28. გიორგი გაჩეჩილაძე

რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი, გზის საპატიო მუშაკი...

დაიბადა 1901 წელს, ზესტაფონის რაიონის სოფ. ყვირილაში, გარდაიცვალა 1972 წელს. **მამა – არჩილ გაჩეჩილაძე.**

თსუ ეკონომიური ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, 1925 – 1927 წწ., მუშაობდა საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატში ეკონომისტად, ხოლო 1932 წლიდან, ამიერკავკასიის გზათა მიმოსვლის ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, – საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა კომისარიატის გზატკეცილების მთავარ სამმართველოში ინჟინრად.

1938 წლიდან 1941 წლამდე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ მთავარ საგზაო სამმართველოში საგეგმო განყოფილების უფროსია, ხოლო 1941 – 1943 წლებში საბჭოთა არმიის რიგებშია და აქტიურად მონაწილეობს დიდ სამამულო ომში.

1944 წელს დემობილიზებულია, როგორც სამამულო ომი ს ინვალიდი და მუშაობას იწყებს პედაგოგად თბილისის ტოპოგრაფიულ ტექნიკუმში. 1947 წლიდან მთავარ საგზაო სამმართველოში საგეგმო განყოფილების უფროსია, 1952 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე – საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს ადგილობრივი გზების სამმართველოს უფროსი ინჟინერი.

ბატონ გიორგის ჰყავდა **მეუღლე – თამარ ფერაძე, შვილები: მეგი და ლაურა.**

ლიტერატურა: გაზეთი “თბილისი”, 1972 წლის 13 მაისი, გვ. 4.

29. გიორგი გაჩეჩილაძე (ოთიაშვილი)

ეკონომისტი; ეკონომიკის, ვაჭრობისა და მრეწველობის ყოფილი მინისტრი...

დაიბადა 1968 წ., თბილისში. **მშობლები: ზაზა გივის ძე გაჩეჩილაძე** (ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ჟურნალისტი), **ლელა ბორჩხაძე.**

1998 – 2004 წწ. იყო საქართველოს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობისა და ვაჭრობის მინისტრის მოადგილე, საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე,

საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარე. სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრი, ეკონომიკის, ვაჭრობისა დ მრეწველობის მინისტრი.

საქართველოს მრავლგზის ჩემპიონი სამთო-სათხილამურო სპორტში.

მონაწილეობდა და დაიჭრა აფხაზეთის ომში.

ბატონ გიორგის ჰყავს **მეუღლე – ქეთი შალუტაშვილი, შვილი – თეკლე** (1993).

30. გიორგი გაჩეჩილაძე

ფიზიკოსი, საქართველოს დამსახურებული პედაგოგი, ლენინის ორდენის კავალერი...

დაიბადა 1892 წლის 19 მაისს, ქუთაისში, გარდაიცვალა 1985 წლის 25 ოქტომბერს თბილისში. **მშობლები: ზარასპ იობას ძე გაჩეჩილაძე, მარიამ (ან ელენე) ერისთავი.**
1911 წელს დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია, 1914 წელს ოდესის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი. სტუდენტობის წლებში ოდესიდან თბილისში ჩამოვიდა და უკან გაბრუნდა ველოსიპედით. აღწერა ეს მოგზაურობა, თან დაურთო მარშრუტი მის მიერ შედგენილი რუკა და გამოაქვეყნა ოდესის გაზეთში.

სტუდენტობის დროსვე გიორგი გაჩეჩილაძემ საკუთარი ხარჯით,

ოდესის უნივერსიტეტის სახელით, მოაწყო ექსპედიცია ახალ მიწაზე (კუნძულები ჩრდ. ყინულოვან ოკეანეში).

1914 – 1918 წწ. მონაწილეობდა პირვ ელ მსოფლიო ომში. შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა და პორუჩიკად მსახურობდა მენშევიკურ არმიაში. მენშევიკების წასვლის შემდეგ ფიზიკოსი გახდა. მუშაობდა ჯერ ივ. ჯავახიშვილთან ერთად თსუ-ში, შემდეგ (დაახლ. 1923 წლიდან), მასწავლებლობდა თბილისის წმ. ნინოს სახ. სასწავლებელში.

1920-იან წლებში თბილისში დააარსა პირველი რადიომოყვარულთა ჯგუფი.

1943 – 1945 წწ. 71-ე საშუალო სკოლის დირექტორი იყო.

1945 – 1949 წწ. ცოლ-შვილთან ერთად ცხოვრობდა ქლუხორში, სადაც ერთსა და იმავე დროს მუშაობდა განათლების განყოფილების გამგედ, მუზეუმის დირექტორად და გაზეთის რედაქტორად.

1951 – 1956 წწ. მესამე (ქალთა) საშუალო სკოლაში ფიზიკას ასწავლიდა. მინიჭებული ჰქონდა საქართველოს დამსახურებული პედაგოგის წოდება. დაჯილდოებული იყო ლენინის ორდენით.

ბატონ გიორგის ჰყავდა **მეუღლე – გალინა ალექსანდრეს ასული გვათუა** - ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, პუშკინის სახ. პედინსტიტუტის

მასწავლებელი და შვილები: **თინათინი, ალექსანდრე (ალეკო*)** (1934 – 1998) და **ირაკლი** (დაბ. 1936).

31. გიორგი ზაქარიას ძე გაჩეჩილაძე (გუნდაეთელი)

ს. გუნდაეთის ეკლესიის მოძღვარი.

იხილეთ სტატია N 59[ა]

32. გიორგი გაჩეჩილაძე (ლობიო)



გამოჩენილი მოცეკვავე, მრავალი საერთშორისო კონკურსის პრიზიორი და გამარჯვებული.

დაიბადა 1987 წ. 2 ოქტომბერს, ქ. თბილისში, გამოჩენილი ქორეოგრაფების ოჯახში. **მშობლები: თენგიზ გაჩეჩილაძე, ლარისა (ქურდაძე) გაჩეჩილაძე,** და **– შორენა გაჩეჩილაძე,** ძმა – **რატი გაჩეჩილაძე**.

1993 წ. შეიყვანეს ქ. თბილისის მე-18 საშუალო სკოლაში. ცეკვავდა სამეჯლისო სპორტული ცეკვების სანიმუშო სტუდია "თელა"-ში. არისსაქართველოს და კავკასიის ჩემპიონი იუვენალებში და იუნიორებში. მრავალი საერთაშორისო კონკურსის მონაწილე და პრიზიორი.

2001 წ. ჩადის სტუმრად ზამთრის არდადეგებზე აშშ-ს ქ. დალასში, სადაც იწყებს ცეკვას ამერიკელ მოცეკვავე – ლუსი ვაილისთან.

იგი დარჩა ქ. დალასში და ამჟამად სწავლობს და ცეკვავს აშშ-ში. არის აშშ-ს მრავალი ტურნირის პრიზიორი და გამარჯვებული.

33. გიორგი (გიგლა) გაჩეჩილაძე (ოთიაშვილი)

საქართველოსა და საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ჭადრაკში. საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი...

დაიბადა 1914 წ., გარდაიცვალა 1994 წ., თბილისში. **მშობლები: ივანე ერასტის ძე გაჩეჩილაძე*, თამარ ვასილის ას. ლოსაბერიძე.**

ამ პიროვნებას კარგად იცნობდა, პატივს სცემდა და აფასებდა მთელი საჭადრაკო სამყარო. საქართველოს ჭადრაკის თითქმის 60-წლიანმა ისტორიამ მის თვალწინ გაიარა. უშუალოდ მის შრომით ბიოგრაფიას უკავშირდება მსოფლიო ჩემპიონატებში, საჭადრაკო ოლიმპიადებსა თუ საერთაშორისო შეჯიბრებებში ჩვენი სახელოვანი მოჭადრაკეების, განსაკუთრებით კი ქალების მიღწევები.

ახალგაზრდობაში თავადაც წარმატებით თამაშობდა ჭადრაკს. თსუ-ში კი, სადაც ექსპერიმენტული ფიზიკის ფაკულტეტზე სწავლობდა, ჭადრაკის მოყვარულ სტუდენტთა სექციას უძღვებოდა. მაშინ გატაცებული იყო ხელოვნებითაც – თითქმის 12 წელიწადი ამიერკავკასიის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლში გამოდიოდა. მისი ყველაზე დიდი სიყვარული მაინც ჭადრაკი იყო. 1951 წ. თბილისის საჭადრაკო-საშაშო კლუბის ხელმძღვანელობა მიანდეს. ორი წლის შემდეგ უკვე რესპუბლიკის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის მთავარი მწრთვნელია ჭადრაკში. მერე სპორტულ თამაშების განყოფილების გამგედ დააწინაურეს. პენსიაზე გასვლის შემდეგაც არ გაუწყვეტია ურთიერთობა ჭადრაკის სამყაროსთან. თითქოს, რაღაც სიმბოლური იყო იმაში, რომ 80 წელს მიღწეულმა, ჭადრაკის სასახლეში, ჭადრაკის დაფასთან დაასრულა სიცოცხლე.

იგი იყო შესანიშნავი ადამიანური თვისებებით დაჯილდოებული პიროვნება, დახვეწილი ინტელიგენტი, საქმისთვის თავდადებული მუშაკი.

გ. გაჩეჩილაძის ნაღვაწ-ნაამაგარზე ნათლად მეტყველებენ ის ტიტულები, წოდებები და ჯილდოები, რაც მას დამსახურებისათვის მიენიჭა. იგი იყო საქართველოსა და სსრკ დამსახურებული მწვრთნელი, საერთშორისო კატეგორიის მსაჯი, საერთაშორისო არბიტრი, საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკი. დაჯილდოებული იყო მედლით "შრომითი მამაცობისათვის", ბატონ გიგლას ჰყავდა **მეუღლე – ციალა ქარსელაძე, შვილები: დევი** და **ნინო.**

34. გიორგი გაჩეჩილაძე (ბელტიყლაპია)

სოფ. ამაშუკეთის ეკლესიის მოძღვარი.

დაიბადა 1879 წ., წევაში, გარდაიცვალა 1924 წ. დაკრძალულია წევის წმიდა გიორგის ეკლესიის ეზოში. მამა გიორგი ეკუთვნოდა მღვდლების მემკვიდრეობით შტოს. მისი **მამა იყო მღვდელი კონსტანტინე, ბაბუა – მღვდელი თევდორე, პაპის პაპა – დიაკვანი გრიგოლი.** ოჯახური გადმოცემის მიხედვით, მათ წინაპარ მღვდლებს, სახარების ოთხი მოციქულის სახელების შესატყვისად, ერქვათ: **მათე, მარკოზ, ლუკა და იოანე,** რომელთა მოღვაწეობის დროის თანმიმდევრობა დასადგენია. სხვა სახელები უცნობია.

(გაჩეჩილაძეთა ამ შტოს შთამომავლებს ჯანმრთელი, ზორბა ტანისა და მადის გამო, მეტსახელად "ბელტიყლაპიები" ეწოდათ. ოჯახური გადმოცემით, მათ საერთო წინაპრად სახელდება (ხახუტა?) გაჩეჩილაძე, რომელიც სოლომონ I-ის დროს შორაპნის მეციხოვნე ყოფილა[1]).

მღვდლად კურთხევამდე მამა გიორგი ქუთაისის დაწყებითი სკოლის მასწავლებელი იყო. პედაგოგიურმა პრაქტიკამ მიიყვანა იგი ღვთისმსახურებასთან დაკავშირების გადაწყვეტილებამდე. რაკი წევის წმიდა გიორგის ეკლესიაში სხვა მღვდელი წირავდა, ამიტომ იგი ამაშუკეთის ეკლესიაში ეკურთხა მღვდლად. თანამედროვეებს მამა გიორგი დაამახსოვრდათ მისი, საერო ფასეულობათა განსულიერების და სულიერ ფასეულობათა საბუნებისმეტყველო მეცნიერაბათა დონეზე გააზრების, სულისკვეთებით. გადმოცემის მიხედვით, იგი იყო თავისი მრევლის სულიერი მამა ეკლესიაში და ჭირისა და ლხინის უცვლელი თამადა ეკლესიის გარეთ, იღვწოდა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის...

მრევლის თვალში მამა გიორგის ისეთი ავტორიტეტი ჰქონდა, რომ გარდაცვალების შემდეგ, მისი მომსწრე მოხუცები მის სახელს უკავშირებდნენ ყველა არაკონიუნქტურულ აზრს, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ასეთი აზრი მთელ საქართველოში იყო გავრცელებული, მოხუცები მათ მაინც მამა გიორგის მიაწერდნენ. იმერული აქცენტით გაიძახოდნენ, - რავარც გიორგი მღვდელი იტყოდაო.

– მაგალითად, ათეისტ კომკავშირლებს ეკლესიიდან მაუზერების სამიზნედ გამოუტანიათ ხატები და იძახდნენ:

- თუ ღმერთი არსებობს, დაგვაკლოს რამეო!

მამა გიორგის უპასუხნია: - გადაურევიხართ, შვილო, და მეტი რა უნდა დაგაკლოთო!?

ერთი წეველი ბოლშევიკი აქტივისტი მრევლს არწმუნებდა, - ღმერთი არ არსებობსო!

მამა გიორგის გაუფრთხილებია: - დაისჯები. შვილოო!

მიდიოდა ეს აქტივისტი ზესტაფონში. ძირულა ყოფილა მოდიდებული და ბონდი მოუშლია. აქტივისტს გადაუწყეტია მდინარის ფონზე გასვლა. დასცდენია ფეხი, ჩავარდნილა წყალში და დამხრჩვალა. მორალი: - რავარც გიორგი მღვდელი იტყოდა: - იძახე ახლა – არ არის ღმერთიო!.. არავინ უწყის, მართლა თქვა თუ არა ეს მამა გიორგიმ, ალბათ არა, რადგანაც ამგვარ შემთხვევებს ადგილი ჰქონდა მამა გიორგის გარდაცვალების შემდეგ. მაგრამ, მთავარია არა ის, მართლა თქვა თუ არა მამა გიორგიმ ეს სიტყვები, არამედ ის, რომ ყველა ასეთ სიტყვას მრევლი უკავშირებდა მამა გიორგის ხსოვნას და ავტორიტეტს.

მამა გიორგის ჰყავდა **მეუღლე – აზნაურ ტიმოთე კიკნაძის ასული – ოლღა,** ოთხი ვაჟი და ორი ქალიშვილი. (ვაჟებს შორის უფროსი იყო **სიმონი*** - ცნობილი საზოგადო მოვაწე, მეცნიერი, ლიტურატურის თეორიის პირველი სახელმძღვანელოს შემქმნელი, პოეტი, იუმორისტი).

[ა] მასზე ყურადღება გაამახვილა ა.ბელიაშვილმა რომანში “ოქროს ჩარდახი” (ერთტომეული, გვ. 508, თბ., 1954).

35. გიორგი (გივი) გაჩეჩილაძე მატათეს ძე

იხილეთ ბიოგრაფია N 108[ა].

36. გიორგი გაჩეჩილაძე (ბელტიყლაპია)

ცნობილი ლიტერატორი, პოლიტოლოგი, საზოგადო მოღვაწე.

დაიბადა 1935 წ., თბილისში. **მამა** – ცნობილი ქართველი მწერალი, მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე **სიმონ გაჩეჩილაძე** (წეველი), **დედა – ქსენია დუმბაძე**.

1953 წ. დაამთავრა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. ვაჟთა მე-7 სკოლა, 1958 წ. - თსუ-ის ფილოლოგიის ფაკულტეტი.

1963 წ. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: "გ. ტაბიძის ლირიკის ძირითადი ტენდენციები". 1964 წლიდან მუშაობს რუსთაველის სახ. ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტში. გ. გაჩეჩილაძე ლიტერატურულ მოღვაწეობას იწყებს სტუდენტობიდან. 60-იანი წლებიდან სისტემატურად იბეჭდება ქართულ პერიოდიკაში. 1973 წ. ირჩევენ მწერალთა კავშირის წევრად. 1984 – 1985 წწ. ხელმძღვანელობდა მწერალთა კავშირის კრიტიკის სექციას.

გ. გაჩეჩილაძის შრომები ეხება ქართული კულტურის საკვანძო პრობლემებს. მის მიერ 1971 წ. გამოქვეყნებულმა ნაშრომი "ბაროკოს პრობლემა და ქართული ლიტმცოდნეობის ამოცანები" იქცა ქართულ ლიტერატურაში ბაროკოს მანამდე გაუაზრებელი სტილისა და ლიტერატურული სისტემის აღმოჩენად. ნაშრომმა "არასიტყვიერი კომუნიკაციის (დუმილის) პრობლემა ლიტერატურაში" 1971 – 1986 წწ. სათავე დაუდო ქართულ ლიტმცოდნეობაში აისბერგივით დაფარული უზარმაზარი პლასტის კვლევას უძველესი პერიოდიდან დღემდე. გ. გაჩეჩილაძის "მტანჯველ მოგონებათა გამოძახილი" (2002 წ.) იქცა კულტურის სისტემაში მოგონების მაკონსტრუირებელი მნიშვნელობის გარკვევის პირველ ცდად ქართულ ლიტერატურაში. პირველად გ. გჩეჩილაძის მიერ იქნა ჩამოყალიბებული "სირცხვილის" და "დანაშაულის" კულტურების კონტექსტში ქართული კულტურის გააზრების პრობლემა.

1990 წ-დან გ. გაჩეჩილაძე ექვსჯერ იყო მიწვეული აშშ-ის უნივერსიტეტებისა და ანალიტიკური ცენტრების მიერ. ქართული კულტურისა და პოლიტიკური პრობლემების შესახებ გ. გაჩეჩილაძის მოხსენებები მოსმენილ იქნა: ინდიანის, ჩიკაგოს, ჯორჯტაუნის უნივერსიტეტებში, აგრეთვე: კენანის ცენტრში (ვაშინგტონი), კარნეგის საერთაშორისო ურთიერთობის ცენტრში, ჰელსინკის კომისიაში, ამერიკის უცხოეთთან ურთიერთობის ცენტრში, ნიუ-იორკის საერთაშორისო ურთიერთობის ცენტრში, ამერიკის უშიშროების დაცვის აზროვნების ბანკში, ჰადსონის ინსტიტუტში, სენატში, კონგრესში.

გ. გაჩეჩილაძე 1989 წ. აირჩიეს რუსთაველის საზოგადოების "ერთაშორისი ურთიერთობების" კომისიის თავმჯდომარედ. მისი ინიციატივით "პირველად საქართველოში ჩამოყალიბდა საქართველოში მცხოვრებ დიასპორათა პოლიტიკური ორგანიზაციები, რომელთა მიზანი იყო ეროვნულ უმცირესობათა ჩართვა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. 1991 წელს გ. გაჩეჩილაძე მიწვეული იქნა საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მრჩევლად ერთაშორის ურთიერთობის საკითხებში.

1991 – 1992 წწ. მომხდარი სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ გ. გაჩეჩილაძე გამოდის ეროვნული თანხმობის იდეის განხორციელების ინიციატორად. მას ირჩევენ ეროვნული "თანხმობის დარბაზის" თავმჯდომარის მოადგილედ.

გ.გაჩეჩილაძის შრომები გამოქვეყნებულია ქართულ, რუსულ, ინგლისურ, ესპანურ, ლიტვურ ენებზე. 2003 წ. მიენიჭა ა. ყაზბეგის სახელობის ლიტერატურული პრემია.

ბატონ გიორგის ჰყავს **მეუღლე – მაია ანტიფოს ასული რაფავა*** და **შვილები: დუდანა*** და **მამუკა***.

36ᴬ. მაია ანტიფოს ას. რაფავა

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. გიორგი სიმონის ძე გაჩეჩილაძის მეუღლე.

1958 წ. დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტი.

1959 წ-დან მუშაობს სმაკ-ის კ.კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში.

1966 წ. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: "იოანე დამასკელის "დიალექტიკის" ქართულ-სომხური ვერსიები".

1985 წ. – სადოქტორო დისერტაცია: "ამონიოს ერმისის თხზულებები ქართულ მწერლობაში" იკვლევს ძველ ქართულ მწერლობას, ძველ ქართულ-სომხურ და ძველ ქართულ-ბიზანტიურ ლიტერატურულ ურთიერთობებს. აქვს საყურადღებო გამოკვლევები ძველ ქართულ ფილოსოფიაში, დოგმატიკასა და პოლემიკაში.

ამჟამად მუშაობს გრიგოლ ღვთისმეტყველის (IV ს. ბიზანტიელი მწერალი) თხზულებათა ქართულ თარგმანებზე. კვლევა მიმდინარეობს საერთაშორისო პროგრამით ლუვენის (ბელგია) კათოლიკურ უნივერსიტეტთან თანამშრომლობით.

მონაწილეობდა საერთაშორისო კონგრესებსა და კონფერენციებში თბილისში, ერევანში, ბაქოში, მოსკოვში. წაკითხული აქვს ლექციები პარიზის სორბონას უნივერსიტეტში, ბელგიის ლუვენის კათოლიკური უნივერსიტეტის ორიენტალისტიკის ფაკულტეტზე.

ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას სულხან-საბა ორბელიანის სახ. პედაგოგიურ უნივერსიტეტში, საპატრიარქოსთან არსებულ სასულიერო აკადემიაში, თბილისის დამოუკიდებელ ინსტიტუტ "რიტორიკაში". ხელმძღვანელობა გაუწია 5 ასპირანტს.

ავტორია 5 მონოგრაფიისა (3 - თანაავტორობით) და 60-მდე სტატიისა (მათ შორის რამდენიმე პუბლიკაციაა უცხოეთის სამეცნიერო ჟურნალებში).

ამჟამად არის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერი თანამშრომელი, ძველი ქართული ფილოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი.

წელიწადში სამი თვე ცხოვრობს წევაში შვილიშვილებთან (თაზოსა და ლუკასთან) ერთად. უზომოდ უყვარს წევა და წეველები. წეველებისთვისაც იგი საყვარელი და საამაყო რძალია.

ბატონი გოგისა და ქალბატონი მაიას **შვილების – დუდანასა*** და **მამუკას*** ბიოგრაფიები შეტანილია ამავე კრებულში...

37. გიორგი გაჩეჩილაძე

მსახიობი, შოუმენი (“უცნობი”).

დაიბადა 1966 წ. 13 მარტს, თბილისში. **მშობლები: ჯონდო ლევანის ძე გაჩეჩილაძე, ნანა გაჩეჩილაძე (თევზაძე).**

1983 წ. დაამთავრა თბილისის 55-ე საშუალო სკოლა.

ამავე წელს ჩაირიცხა თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტზე.

1987 წ. დაამთავრა თეატრალური ინსტიტუტი და ჩაირიცხა რუსთაველის სახელობის თეატრში (მცირე დასში).

1987 წ. გაზაფხულზე გაიმარჯვა ახალგაზრდა მსახიობთა მხატვრული კითხვის საკავშირო კონკურსზე ქ. ს. პეტერბურგში.

1991 წლიდან დროებით ჩამოშორდა სასცენო თეატრალურ მოღვაწეობას.

1992 – 1996 წწ. ცხოვრობდა საზღვარგარეთ.

1997 წ. დაბრუნდა სამშობლოში და გამოაქვეყნა ლექსების კრებული “ბედის წერა”.

1998 წ. იწყებს აქტიურ მოღვაწეობას ქვეყნის საესტრადო -მუსიკალურ ცხოვრებაში. წერს მუსიკას თავისსავე ლექსებზე და ასრულებს საკუთარ სიმღერებს.

1998 წლის დასაწყისში გამოდის მისი სიმღერების პირველი კომპაქტ-დისკი.

1999 წ. მართავს პირველად საქართველოში დიდ შოუ მიუზიკლს - “ქვეყანაშია ფერები მუქი”.

2000 – 2003 წწ. მრავალჯერ მონაწილეობს საეტსრადო-მუსიკალურ კონცერტებში და სატელევიზიო გადაცემებში.

2000 – 2003 წწ. დაჯილდოებულია საშემსრულებლო მოღვაწეობის სხვადასხვა ნომინაციებში: საუკეთესო კლიპი, საუკეთესო სიმღერა, აქტუალური თემატიკა.

მეუღლე: ძიძავა ნინო – გერმანული ენის სპეციალისტი.

ქალიშვილი – ირინა – სკოლის მოსწავლე.

38. გოჩა გრიგოლის ძე არონიშიძე

იხილეთ ბიოგრაფია № 114[ბ].

39. გრიგოლ (გიგლა) გაჩეჩილაძე (ლანჩავა)



ახალციხის რ. სოფ. ფერსის საშ. სკოლის ღვაწლმოსილი პედაგოგი.

დაიბადა 1939 წ., სოფ. წევაში. **მშობლები: ალექსანდრე (უშანგი) გრიგოლის ძე გაჩეჩილაძე** – ზიკილიის საშ. სკოლის დირექტორი, **თამარ გიორგის ას. გველესიანი** – პედაგოგი.

დაამთავრა: 1954 წ. სოფ. ზიკილიის რვაწლიანი სკოლა, 1956 წ. – აწყურის საშ. სკოლა, 1965 წ. – ქ. გორის ნ. ბარათაშვილის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის ქიმია-ბიოლოგიის ფაკულტეტი.

1966 წ-დან დღემდე მუშაობს სოფ. ფერსის (ყოფილი გიორგიწმინდა) საშ. სკოლაში ბიოლოგიის მასწავლებლად და ხელმძღვანელობს მოსწავლეთა შრომით საქმიანობას. იგი თავის საქმეზე შეყვარებული ადამიანია. ენთუზიაზმით იღვწის სკოლისა და სოფლის საკეთილდღეოდ. მისი ხელმძღვანელობით და უშუალო მონაწილეობით კეთილმოეწყო სკოლის შემოგარენი, გაშენდა ვრცელი ბაღი, რომელშიც ხარობს უამრავი ჯიშის მცენარე. მისივე ხელმძღვანელობით სკოლაში მოეწყო მეორე მსოფლიო ომში დაღუპულ მასწავლებელთა მემორიალური დაფა. ბატონი გიგლა სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობს მოსწავლეებს, კოლეგებსა და ნაცნობებს შორის.

მას ჰყვავს **მეუღლე – ნესტან ბალახაძე, ხუთი შვილი (ალექსანდრე, ხათუნა, მარინა, კახა და კობა)** და ცხრა შვილიშვილი.

40. გრიგორ (გია) გაჩეჩილაძე (კრეჭია)

რევმატოლოგი. მედიცინის მეცნ. კანდიდატი, აკად. ვ. წითლანაძის სახ. საქართველოს სამეცნიერო- პრაქტიკული რევმატოლოგიური ცენტრის მეცნ. თანამშომელი.

დაიბადა 1952 წ. 14 მაისს, ქ. ზესტაფონში, **მშობლები: დიმიტრი გრიგოლის ძე გაჩეჩილაძე, მარიამ დიმიტრის ას. სხილაძე.**

დაამთავრა ქ. სარატოვის სახელმწიფო სამედიცინო ინსტ. (1969-1976). იყო უვაროვის უბნის ექიმ-თერაპევტი, ქიმიური ქარხნის მედ. სან. ნაწილის ექიმი (1976-1980), სოფ. დილიკაურის (ზესტაფონის რ.) ამბულატორიის გამგე (1980 -1981), ზესტაფონის ცენტრალური რესპუბლიკური საავადმყოფოს სისხლის გადასხმის განყოფილების გამგე (1981-1982), თბილისის №1 მედ. სან. ნაწილის ექიმი -თერაპევტი

(1982-1983), რესპუბლიკური რევმატოლოგიური ცენტრის კლინიკური ორდინატორი (1988-1985), ართროლოგიური განყოფილების რევმატოლოგიური ცენტრის უმცროსი მეცნ. თანამშრომელი (1985-1987). საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა თემაზე. – "სისტემური სკლეროდერმიის ზოგიერთი ასპექტი საქართველოს რესპუბლიკაში". ავტორია 12 სამეცნიერო ნაშრომისა, რომლებიც ეხება შემაერთებელი ქსოვილის სისტემური დაავადებების გავრცელებას, ეპიდემოლოგიას (საქართველოში), სისტემური სკლეროდერმიის კლინიკურ ვარიანტებს, ბაზისური პრეპარატების ეფექტურობას. გამოქვეყნებული აქვს რევმატოლოგთა ცნობარი, "მეცნიერება", 1996. არის საქართველოს რევმატოლოგთა ასოციაციის წევრი.

ამჟამად ბ-ნი გრიგორი **მეუღლესთან, ნათელა (ნათია) შათირიშვილთან** ერთად, მოღვაწეობს თბილისში, სტომატოლოგიურ კლინიკა "დენტაში", რომლის მფლობელნიც თვითონ არიან (ნათია ამ კლინიკის პრეზიდენტია, გია-დირექტორი). მათ ჰყავთ **შვილი დიმიტრი** (20 წლის), რომელმაც დაამთავრა დემირელის სახ. კოლეჯი და ამჟამად სწავლობს თურქეთში, პანამის საერთაშორისო უნივერსიტეტში. ფლობს რუსულ, თურქულ და ინგლისურ ენებს.

ლიტ.: ვინ ვინაა თანამედროვე ქართულ სამედიცინო მეცნიერებაში. თანამედროვე ქართველ მედიკოსთა ბიოგრაფიული ენციკლოპედია, 2000.

41. გრიშა ერასტის ძე გაჩეჩილაძე (ოთიაშვილი)

იხილეთ ბიოგრაფია № 91ა

42. გრიგოლ გაჩეჩილაძე (ჭოლპოტი)

დამსახურებული ექიმი.

დაიბადა 1911 წელს, წევაში. **მამა – ექვთიმე გაჩეჩილაძე.**

1939 წ. დაამთავრა მოსკოვის პიროგოვის სახელობის სამედიცინო ინსტიტუტი, დაიწყო მუშაობა ქ. ორიოლში ექიმ თერაპევტად. მონაწილეობდა მეორე მსოფლიო ომში. შემდეგ, ოჯახით დაფუძნდა ქ. ხარკოვში.

დაჯილდოებულია მრავალი ორდენით და მედლით.

ბატონი გრიგოლი ამჟამად ცხოვრობს ქ. ხარკოვში. მას **ჰყავს შვილი სვეტლანა** და **შვილიშვილი გალინა,** რომლის მეუღლე ქართველია.

43. გრიგოლ გაჩეჩილაძე

რსფსრ დამსახურებული მასწავლებელი...

დაიბადა 1896 წ., სოფ. წევაში, გარდაიცვალა 1973 წ., ქ. ნალჩიკში, დაკრძალულია დ. სურამში.

მშობლები: მაკარ ეფრემის ძე გაჩეჩილაძე (წევის წმ. გიორგის ეკლესიის წინამძღვარი), **ანა ივანეს ას. არაბიძე.**

დაამთავრა წევის არასრ. საშ. სკოლა, ქუთაისის კლასიკური გიმნაზია. ყაზანის უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკ.. მუშაობდა: ახალდაბის სკოლაში დირექტორად, ქ. ხაშურის მე-12 სკოლაში – რუსული ენისა და ბიოლოგიის მასწავლებლად, ამავე დროს, განათლების განყოფილებაში – ინსპექტორად.

1941 წ. სექტემბერში გაიწვიეს ომში. ქერჩის მიდამოებში ჩავარდა ტყვედ. რუსულ და გერმანულ ენებს კარგად ფლობდა, ამიტომ, ტყვეთა ბანაკში, ამუშავებდნენ თარჯიმნად. გადასახლებული იყო სვერდლოვსკის ოლქში. 1945 წ., ომის დამთავრების შემდეგ, სვერდლოვსკში შედგა სასამართლო, რომელმაც იგი დამნაშავედ არ სცნო და გაათავისუფლა. იგი სვერდლოვსკში დარჩა საცხოვრებლად – ქ. ვილჩანკში. მუშაობდა მე-14 საშ. სკოლაში ბიოლოგიის მასწავლებლად, იქვე მიიღო რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლის წოდება.

1954 წ. გადმოვიდა საცხოვრებლად ქ. ნალჩიკში, სადაც მუშაობდა ბიოლოგიის მასწავლებლად.

ბატონ გრიგოლს დარჩა **ექვსი შვილი: გენადი, დოდო, ნოშრევანი, მირიანი, მილეტა, რუსიკო.**

44. გუგული გაჩეჩილაძე (წველა)

ღვაწლმოსილი პედაგოგი.

დაიბადა 1917 წ., ზესტაფონის რ. სოფ. წევაში, გარდაიცვალა 2004 წ., ზესტაფონში. **მშობლები: სანდრო გაჩეჩილაძე, მარიამ (ან სოფიო) სულაქველიძე.**

დაწყებითი განათლება მიიღო წევის სკოლაში. შემდეგ, დედა გარდაეცვალა და მამიდამ წაიყვანა ზესტაფონში, სადაც მან წარჩინებით დაამთავრა პირველი საშ. სკოლა. 1942 წ. მან ასევე წარჩინებით დაამთავრა ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიური ფაკულტეტი და მუშაობა დაიწყო ზესტაფონის რ. სოფ. ზედა საქარის შვიდწლიან სკოლაში, სადაც ხუთი წელი იმუშავა; შემდეგ-ფეროშენადნობთა ქარხნის მუშა-ახალგაზრდობის საშ. სკოლაში მასწავლებლად; 1954 წ-დან კი – ზესტაფონის III საშ. სკოლაში, სადაც იმუშავა პენსიაზე გასვლამდე.

ქალბატონი გუგული თავისი საქმის კარგი სპეციალისტი იყო, ყოველთვის პასუხისმგებლობითა და სიყვარულით ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას. შრომაც უფასდებოდა: იგი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა მოსწავლეებს, კოლეგებსა და ნაცნობებს შორის, მინიჭებული ჰქონდა უფროსი მასწავლებლის წოდება. სხვადასხვა დროს მიღებული ჰქონდა "წითელი დროშის" ორდენი, 7 მედალი, 3 სიგელი (მათ შორის ერთ – ერთი საკავშირო მნიშვნელობისა და "სახალხო განათლების წარჩინებულის სამკერდე ნიშანი".

45. დავით გაჩეჩილაძე (ღვირძლი)

პოეტი, დრამატურგი, მთარგმნელი.

დაიბადა 1902 წ. 19 ნოემბერს, ხარაგაულის რ. სოფ. ღორეშაში, გარდაიცვალა 1974 წ. აგვისტოში, თბილისში. **მამა – ალექსი გაჩეჩილაძე** – მჭედელი. დაწყებითი განათლება მშობლიურ სოფელში მიიღო, შემდეგ კი სწავლობდა ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში. 1924 წ. შევიდა თსუ ეკონომიურ ფაკ-ზე. ერთხანს ჭიათურის მაღაროებში მუშაობდა ჯერ მნგრეველად, შემდეგ ნორმადარად. შემდეგ დედაქალაქში გადმოსახლდა და ლიტერატურულ საქმიანობას შეუდგა. პირველი ლექსები 1919 წ. ჟ. "წინსვლის ემბლემაში" გამოაქვეყნა, პირველი პოეტური კრებული – 1941 წ. 20 -იან წლებში "ფუტურისტ-ლეფელების" ლიტერატურული დაჯგუფების აქტიური წევრი იყო, აქვეყნებდა ლექსებს ამ ჯგუფის ბეჭდვით ორგანოებში. ოციანი წლების მიწურულს კი თანმიმდევრულად დადგა რეალისტური ხელოვნების პოზიციებზე და ქართული კლასიკური მწერლობის ტრადიციების გამგრძელებლად გვევლინება. დ. გაჩეჩილაძის შემოქმედების ლაიტმოტივია პატრიოტიზმი; მის ლექსებში აისახა ჩვენი ხალხის გმირული წარსული და აწმყო. მან დიდი ღვაწლი დასდო თარგმნით ხელოვნებას. მაღალი ოსტატობით თარგმნა ქართულად რუსი, უკრაინელი, ბელორუსი და სსრკ სხვა ხალხთა არაერთი გამოჩენილი პოეტის ნაწარმოებები, აგრეთვე სოფოკლეს – "ოიდიპოს მეფე" და "ანტიგონე", კალდერონის "თავისი თავის დარაჯი", ნაზიმ ჰიქმეთის "ლეგანდა სიყვარულზე", ჩაპეკის "დედა" და სხვ.

დ.გ.-მ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული დრამატურგიის წინსვლაში. მისი ტრაგედიები "ბახტრიონი" და "ამირანი" წლების განმავლობაში იდგმებოდა ქართული თეატრების სცენაზე. მასვე ეკუთვნის ლიბრეტოები ოპერებისა "ყვავილთა სამყაროში" და "არსენა".

ღვაწლმოსილმა პოეტმა ბავშვებისთვისაც შექმნა მომხიბლავი პოეტური ნაწარმოებები: მისი "უშიშროების ანბანი", "ტყუილს მოკლე ფეხი აქვს" და სხვა საბავშვო წიგნები ნორჩი თაობის საყვარელ ნაწარმოებებად იქცა.

დ. გაჩეჩილაძე იყო სპეტაკი, პრინციპული, თავმდაბალი, გულისხმიერი ადამიანი. იგი დიდი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა თანამოქალაქეთა და თანამოღვაწეთა შორის.

მეუღლე – ელისაბედ (პაკუ) იოსელიანი. შვილი – მერაბ გაჩეჩილაძე

ლიტ.: გაზ. "კომუნისტი", 1974 წ. 29 აგვისტო.

გაზ. "Заря Востока", 1974 г. 29 авг.

46. დალი გაჩეჩილაძე (ოთიაშვილი)

ინჟინერ-ტექნოლოგი, თბილხილბოსტან-ვაჭრობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი მუშაკი 1979-1993 წლებში.

დაიბადა 1937 წ., 17 მარტს, ქ. ზესტაფონში. **მშობლები: იესე ალმასხანის – ძე გაჩეჩილაძე** (ხარაზი), **ნინო სოკრატის ას. გველესიანი – გაჩეჩილაძე.**

1955 წ. დაამთავრა ზესტაფონის № 2 საშ. სკოლა (ყოფილი ქალთა №2), შემდეგ კი ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი (ახლანდელი საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი) სოფლის მეურნეობის პროდუქტთა გადამუშავების ფაკულტეტი, ინჟინერ-ტექნოლოგის (მეღვინე) სპეციალობით.

1955-1975 წწ. მუშაობდა სამტრესტის ზესტაფონის ღვინის ქარხნებში სხვადასხვა თანამდებობაზე.

1979-1993 წწ. – თბილხილბოსტანვაჭრობის სისტემაში სხვადასხვა

თანამდებობაზე (განყოფილების უფროსი, წამყვანი სპეციალისტი, რაიგანყოფილების დირექტორი).

ქალბატონი დალი ამჟამად პენსიონერია.

47. დიმიტრი გაჩეჩილაძე (კრეჭია)

ინჟინერ- მექანიკოსი. სხვადასხვა დროს, რამდენიმე საწარმოს დირექტორი...

დაიბადა 1923 წ., ქ. ზესტაფონში. **მშობლები: გრიგოლ ზაქარიას ძე გაჩეჩილაძე** – მეჩექმე, **მარიამ გერასიმეს ას. მელქაძე** – დიასახლისი.

1940 წ. დაამთავრა ზესტაფონის მე -4 საშ. სკოლა. ამავე წელს სწავლა განაგრძო ქ. თბილისის ინდუსტრიულ ინსტიტუტში- მექანიკის ფაკულტეტზე. 1942 წ. იანვარში გაიწვიეს სამხედრო სასწავლებელში. იმავე წლის ივლისიდან 1943 წ. ბოლომდე მონაწილეობდა "დიდ სამამულო ომში". შემდეგ კი სხვადასხვა ჰოსპიტალში იშუშებდა მძიმე ჭრილებებს. დემობილიზებული იქნა 1946 წ. ბოლოს. ომის დროს გამოჩენილი მამაცობისათვის მიღებული აქვს ორი ორდენი და თოთხმეტი მედალი.

1947-1952 წწ. სწავლობდა სპი -ში, რომელიც დაამთავრა ინჟინერ-მექანიკოსის სპეციალობით და დაინიშნა "ახალციხშახტმშენის" ავტოსატრანსპორტო კანტორის დირექტორად, სადაც იმუშავა 1957 წ-მდე. 1957 წ. გადაიყვანეს შახტმშენის ახალციხის ცენტრალური ელექტრო-მექანიკური სახელოსნოების დირექტორად, შემდეგ, მაღაროების დახურვის გამო, მათ ბაზაზე დ.გ.-ს მონაწილეობით აშენდა ელექტრომრავების ქარხანა, რომელიც უშვებდა მუდმივი დენის შვიდი ტიპის ელექტრომრავებს. ამ ქარხნის დირექტორის თანამდებობაზე იმუშავა 1967 წ-მდე.

1967 წ. გადავიდა ქ. თბილის ში მიკრომრავების ქარხნის მთ. ინჟინრად. შემდეგ, გადაყვანილი იქნა "ელექტრონული ტექნოლოგიის ინსტიტუტის" დირექტორის

მოადგილედ და ზესტაფონის რაიონში, სადგურ სვირის მახლობლად, ააშენა "ელექროიონური" ტექნოლოგიის ქარხანა, რომელიც დღესაც ფუნქციონირებს.

1970 წ. დაინი შნა ზესტაფონის ადგილობრივი მრეწველობის სამმართველოს უფროსად. 1974 წ. გადაიყვანეს შორაპნის ელემენტების ქარხნის დირექტორად. 1980 წ. თავისი სურვილით დატოვა ქარხანა და დაინიშნა ქ. ზესტაფონის სატვირთო ავტოსაწარმოს დირექტორად.

1987-1993 წწ. მუშაობდა ზესტაფონის კ ომუნალური მეურნეობის კომბინატის დირექტორად.

1993 წ-დან პენსიონერია.

ბატონ დიმიტრის ჰყავს **მეუღლე – მარიამ ერმალოზის ას. სხილაძე** და **ორი შვილი**

დარეჯანი და გია (გრიგორი)* – ექიმები.

დარეჯანი ცხოვრობს და მუშაობს ბაღდადში. ჰყავს მეუღლე, ორი ქალიშვილი და ერთი ვაჟი.

გიას ბიოგრაფია შეტანილია ამავე კრებულში (№36).

48. დოსითეოს გაჩეჩილაძე (გუნდაეთელი).

საქართველოს მენშევიკური მთავრობის წევრი.

დაიბადა 18... წ., დაიღუპა 1924 წ. **მამა – ნიკოლოზ ანდროს ძე გაჩეჩილაძე, დედა – ეკატერინე (კატო) გველესიანი.**

ბატონი დოსითეოსი, წევიდან საცხოვრებლად ჭიათურის რ. სოფ. გუნდაეთში გადასულ, გაჩეჩილაძეთა შტოს წარმომადგენელი იყო. საქართველოს I დამოუკიდებელი რესპუბლიკის დროს (1918-1921 წწ.), იგი იყო საქართველოს საფოსტო მუშაკთა პროფსაბჭოს თავმჯდომარე, მენშევიკური პარტიის წევრი, ნოე ჟორდანიას მთავრობის აქტიური წევრი. საქართველოს მენშევიკთა ყრილობების ერთ-ერთი ორგანიზატორი და წამყვანი. ყველა ყრილობაზე ან თავმჯდომარე იყო, ან მდივანი. ერთ-ერთ ყრილობაზე მან წარადგინა საქართველოს აგრარული განვითარების კონცეფცია, რომელმაც ყრილობის დიდი აღიარება მოიპოვა...

როცა ბოლშევიკური გადატრიალება მოხდა, იგი მენშევიკურ მთავრობასთან ერთად სტამბოლში გაიქცა. 1924წლის დასაწყისში სამშობლოში დაბრუნდა. ზაფხულში მონაწილეობა მიიღო აჯანყებაში. სექტებმერში ბოლშევიკებმა დაიჭირეს და დახვრიტეს ნორიოში.

ბატონ დოსითეოსს ჰყავდა **მეუღლე – ეკატერინე ტერ-ახშარუმიანცი** (სომეხ სასულიერო პირთა და მეომართა ოჯახის შთამომავალი), მათ დარჩათ შვილები: **ირინა*** და **გივი***.

ბ-ნ დოსეთეოსის ძმები:

სერგო – 1924 წ. 17 წლის ასაკში გადაასახლეს ციმბირში. იქ შეირთო რუსი ქალი. შეეძინათ ვაჟი – ტარიელი. 1930 – იანი წლების ბოლოს, სერგო დახვრიტეს ციმბირში. მისი ცოლ-შვილის შესახებ ნათესავებმა არაფერი იციან.

ირაკლი – 1937 წ. დააპატიმრეს. ჰყავდა ლიტველი მეუღლე და ერთი შვილი. ქმრის დაპატიმრების შემდეგ, ქალმა ბვშვი ბალტიისპირეთში წაიყვანა და გვარი გამოუცვალა. ქმრის ნათესავებთან ურთიერთობა აღარ მოისურვა.

ამბროსი – კახეთის მთავარი აგრონომი იყო ნოე ჟორდანიას პრეზიდენტობის დროს. საბჭოთა ხელისუფლების დროს დახვრიტეს.

49. დუდანა გაჩეჩილაძე (ბელტიყლაპია)

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სხივური და ინტერვენციული დიაგნოსტიკის ინსტიტუტის ულტრაბგერითი დიაგნოსტიკისა და სისხლძარღვთა დოპლეროგრაფიის განყოფილების უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.

დაიბადა 1965 წ. 11 იანვარს, ქ. თბილისში. **მშობლები: გიორგი სიმონის ძე გაჩეჩილაძე** – ცნობილი ლიტერატორი, პოლიტოლოგი, საზოგადო მოღვაწე, **მაია ანტიფოს ას. რაფავა** ფილოლოგიის მეცნ. დოქტ. პროფესორი.

1981 წ. დაამთავრა თბილისის №1 ექსპერიმენტული სკოლა ოქროს მედლით.

1988 წ. ჩარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი..

1988-1992 წწ. მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტში უმცროსი მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობაზე;

1992 წლიდან დღემდე მუშაობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სხივური და ინტერვენციული დიაგნოსტიკის ინსტიტუტში ჯერ რეგიონული სისხლის მიმოქცევისა და ორგანოთა ულტრაბგერითი კვლევის განყოფილებაში უმცროსი მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობაზე, 2000 წლის 3 იანვრიდან – ულტრაბგერისა და სიხლძარღვთა დოპლეროგრაფიის განყოფილებაში უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობაზე.

1999 წ. დაიცვა საკანდიდატო დისერ ტაცია თემაზე “საძილე არტერიების ათეროსკლეროზულ დაზიანებათა დუპლექს-სონოგრაფიული კორელატები ასიმპტომური მიმდინარეობისა და იშემიური ინსტულის პირობებში”.

ამჟამად აგრძელებს სამეცნიერო კვლევებს თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის მოშლის პრობლემატიკაზე.

1994 და 1998 წლებში ევროპის რადიოლოგთა ასოციაციის სპეციალური გრანტით გაიარა სპეციალიზაცია ქ. გრაცის საუნივერსიტეტო კლინიკის ბაზაზე.

დ. გაჩეჩილაძე არის 87 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, 26 სტატია გამოქვეყნებულია რეცენზირებად გამოცემებში, მათ შორის საზღვარგარეთ.

სამეცნიერო კონფერენციებზე მოხსენებულია შრომები: თბილისში (1996, 1997, 1998, 1999, 2000, 2001, 2002, 2003წწ.) მოსკოვში (1998, 2000, 2003), ბაქოში (2002), გერმანიაში, მიუნხენში (1996 წ.), ინგლისში. – ლონდონში (1999 წ.), ჩეხეთში, – პრაღაში (1999 წ.), აშშ-ში, – ჩიკაგოში (1999 წ.), ავსტრიაში, ვენაში (1999, 2001, 2002, 2003 წწ.).

2000 წ. არჩეულია დიპლომისშემდგომი განათლების სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის ულტრაბგერითი დიაგნოსტიკის კათედრის ასისტენტად;

1995 წლიდან დღემდე არის საქართველოსა და ევროპის რადიოლოგთა ასოციაციის წევრი,

1999 წლიდან დღემდე არის საქართველოს ათეროსკლეროზის ასოციაციისა და ანგიოლოგთა ასოციაციის წევრი;

1998 წლიდან დღემდე არის ანგიოლოგთა საერთაშორისო ასოციაციის წევრი.

ჰყავს **მეუღლე - მიხეილ ჭოხონელიძე და ორი ვაჟიშვილი – თამაზი და ლუკა.**

50. ეკატერინე გაჩეჩილაძე (ლანჩავა)

ხელოვნებათმცოდნე, მოქანდაკე, “გაჩეჩილაძეთა, ჯაჭვაძეთა და წეველიძეთა საგვარეულო დარბაზის” ერთ-ერთი ხელმძღვანელი.

დაიბადა 1949 წ. 24 აგვისტოს (10 ოქტომბერს), თბილისში. **მშობლები: მიხეილ ნიკოლოზის ძე გაჩეჩილაძე** – საქართველოს დამსახ. ინჟინერი, არქიტექტორი*, **მარიამ პლატონის ას. ღიბრაძე** – ექიმი.

დაამთავრა: თბილისის 126 -საშ. სკოლა და მასთან არსებული მუსიკალური ათწლედი (1966);

თსუ ისტორიის ფაკ-ის ხელოვნების ისტორიისა და თეორიის სპეციალობა (1968-74);

თსუ საზოგადოებრივ პროფესიათა ფაკ-ის ფერწერის სპეციალობა (1971-76); ქანდაკების სპეციალობა (1972-77);

ფოტოხელოვნების სპეციალობა (1988 – 91);

თსსა ქანდაკების სპეციალობა (1981-86);

მუშაობდა: თბილისის 149 -ე სკოლასთან არსებულ მუსიკალურ შვიდწლედში – ფორტეპიანოს პედაგოგად (1966-73);

თსუ საზ. პროფესიათა ფაკ-ზე პრაქტიკის ხელმძღვანელად (1975-79), უცხო ენათა პედ. ინსტიტუტში – ხელოვნების ისტორიის ლექტორად (1995 – 96). 1978წ - დან დღემდე მუშაობს თსუ ხელოვნების ისტორიისა და თეორიის კათედრაზე უფრ. ლაბორანტად.

სამხატვრო გამოფენებში მონაწილეობს 1982 წ-დან. ჯერ სსრკ, შემდეგ კი საქართველოს მხატვართა კავშირის წევრია 1988 წ-დან. არის 30 სამეცნიერო ნაშრომის, მრავალი საგაზეთო სტატიის და სკულპტურული ნამუშევრის ავტორი.

ძირითადი ნაშრომები ხელოვნებათმცოდნეობაში: "ეკ. ბაღდავაძე", წიგნი – ალბომი, თბ., 1980;

"რადიშ თორდია", ჟ "ცისკარი", №7, 1980;"მოქანდაკე რ. გაჩეჩილაძის შემოქმედება", ჟ. Georgica, 1990-91, №13/14 (გერმან. ენაზე); "დაზგური პორტრეტის განვითარების ძირითადი ტენდენციები ქართველ მოქანდაკეთა 1960-იანი წლების თაობის შემოქმედებაში", – თსუ შრომები №326, თბ., 1998; "პეიზაჟი გ. თოიძის შემოქმედებაში", ჟ. Georgica №23. 2000 წ. (გერმან. ენაზე); "სკულპტურული პორტრეტი გ. პაპინაშვილის შემოქმედებაში", ჟ. "ხელოვნება", №1/2 2001;"პეიზაჟი მ. ახობაძის შემოქმედებაში", თსუ ხელოვნებათმცოდნეობის კათედრის შრომები, თბ., 2000...

ე. გაჩეჩილაძემ აღმოაჩინა გამორჩეულად ნიჭიერი თვითნასწავლი მხატვარი ირ. კვანჭახაძე და მოუწყო მას ორი პერსონალური გამოფენა 2000 წ. თსუ – ში, 2002 წ.- "ეროვნულ გალერეაში".

ძირითადი სკულპტურული ნამუშევრები: ხელოვნებათმცოდნეების: პროფესორ პ. ზაქარაიას, მ. გველესიანის, ლ. საგინაშვილის. ს. ქებურიას, ნმიქელაძის პ-ტები, მთარგმნელ ნ. იორდანიშვილის პ-ტი, მ. ნიკოლეიშვილის პ-ტი....

2001 წ. დეკემბერში ე.გ. საკუთარი ინიციატივით ჩაერთო "საგვარეულო დარბაზის" მუშაობაში. მან აღწერა წევის ეკლესიის ბიბლიოთეკა და ინვენტარი, დაიწყო გვარის წარმოშობის შესახებ ლეგენდების შეკრება, საგვარეულოს ისტორიის და წევის ეკლესიის არქიტექტურისა და კედლის მხატვრობის კვლევა. მისი ინიციატვით, მის მიერ მომზადდა წინამდებარე კრებული...

ე. გაჩეჩილაძეს ჰყავს **დები: ციალა (სიდონია)* და მარიამი*, სიძე – ნოდარ აფციაური**, დისშვილები და დისშვილიშვილები.

ლიტ.: "ვინ ვინაა თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში", 2000.

51. ემირ გაჩეჩილაძე (კვიცინა)

საქართველოს დამსახურებული აგრონომი.

დაიბადა 1935 წ. 13 ივნისს. **მშობლები: მიხეილ თეიმურაზის ძე გაჩეჩილაძე, ოლია ტარასის ას. ზიბზიბაძე.**

1958 წ. დაამთავრა საქართველოს სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტის აგრონომიული ფაკულტეტი.

1958-1962 წწ. მუშაობდა სოფ. წიფლავაკეში აგრონომად; 1962-1968 წწ. ზესტაფონში -კომკავშირულ და პარტიულ სამუშაოზე; 1969 წ-დან – 1980 წ-მდე სოფლის მეურნეობის სამინისტროში – სამმართველოს უფროსად; 1980 წ-დან მუშაობდა ხარგაულის რ. აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარედ და რაისაჭბოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ; 1991 წ. ივნისიდან სოფლის მეურნეობის და სურსათის სამინისტროს დეპარტამენტ "სამტრესტის" მევენახეობის სამმართველოს უფროსად. არის დამსახურებული აგრონომი (1989 წ). მიღებული აქვს "შრომის ვეტარანის" მედალი.

ბატონი ემირი "გაჩეჩილაძეთა, ჯაჭვაძეთა და წეველიძეთა საგვარეულო დარბაზის" წევრია 2001 წ-დან. მან შეადგინა წევის სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტი.

ბატონ ემირს ჰყავს **მეუღლე – მზია აბაიაძე** (1939) - ბიოლოგი და **შვილები: ხათუნა** (1965)- ბიოლოგი, **მიხეილი** (1967) –ჰიდრომელიორატორი.

52. ეფრემ გაჩეჩილაძე (ოთიაშვილი)

სოფ. აჭარის ღვთისმშობლის ეკლესიის წინამძღვარი.

დაიბადა XIX ს-ის პირველ ნახევარში, ს. წევაში – ცნობილი ქველმოქმედისა და მამულიშვილის **იესე (სესია) როსტომის ძე გაჩეჩილაძის** ოჯახში. **დედა ეფემია (ფეფენა) სიმონის ასულიც** წეველების შემწე და ღვთისნიერი ქალი იყო. დიდი, ღვთისმოსავი ოჯახის პატრონი იყო მამა ეფრემიც. შვიდი შვილი გაზარდეს მან და მისმა **ცოლმა ტელფა (ატატო) ბესარიონის ასულმა ჩანკვეტაძემ.** მორწმუნე მშობლებმა შვილები უფლისა და მოყვასის სიყვარულით, სამშობლოსადმი ერთგულების გრძნობით აღზარდეს. ცოდნა მათსავე სახლში ახლადგახსნილ დაწყებით სკოლაში მიაღებინეს და გარჯა-შრომასაც თავიდანვე მიაჩვიეს. მათი ხუთი ვაჟიდან ოთხი მღვდელი გახდა, რომელთაგან **მამა მაკარი** და **მამა კასიანე** წევაში, **მამა ეფთვიმე** – ილორის წმ. გიორგის ეკლესიაში, ხოლო **მამა ბელოვანი** ქუთაისში, საფიჩხიაზე მდებარე ეკლესიაში მოღვაწეობდნენ. მეხუთე ვაჟი, ბესარიონი პედაგოგი იყო. მოძღვარს ორი ქალიშვილი ჰყავდა, პიღასი და მაკრინე (მაკა). მაკრინემ ქუთაისის საქალაქო სასწავლებელი დაამთავრა ქუთაისში, მოწაფეობის პერიოდში იყო რეალური სასწავლებლის რეგენტი, შემდეგ სოფ. ჩიხაში გათხოვდა – მღვდელ აბიათარ იაკობაშვილზე.

მამა ეფრემი მღვდლად ბატონყმობის გაუქმების შემდეგ ეკურთხა. იგი ს. წევასთან ახლოს მდებარე ს. აჭარის ღვთისმშობლის ეკლესიის წინამძღვარი, ხალხში რწმენის განსამტკიცებლად იღვწოდა თავის შვილებთან ერთად, რომლებიც უკვე მღვდლები იყვნენ. მამა ეფრემი წირვა – ლოცვას წევის წმიდა გიორგის ეკლესიაშიც ატარებდა, სადაც მისი შვილი, დეკანოზი მაკარი მსახურებდა. თავიანთი მრევლის შემწეობით ისინი ერთობლივად მიაგებდნენ პატივს დიდ სიწმიდეებს და დახმარებას უწევდნენ ეკლესია-მონასტრებს.

მადლიან მოძღვართან სხვადასხვა სოფლებიდან მოდიოდნენ ახლობლები და ნათესავები დასალოცავად და კურთხევის მისაღებად. განსაკუთრებით კი ბავშვები მოჰყავდათ მოსანათლად.

სასულიერო პირთა აღმზრდელი, ღვაწლმოსილი მღვდელი ეფრემი გარდაიცვალა მეოცე საუკუნის დასაწყისში.

ტექსტი შეადგინეს **გოჩა არონიშიძემ** და **ნიკოლოზ შურღაიამ.**

53. ვარლამ გაჩეჩილაძე (ლანჩავა)

მილიციის მაიორი, "წითელი დროშისა" და "წითელი ვარსკვლავის" ორდენების და სხვა ჯილდოების კავალერი...

დაიბადა 1908 წ., სოფ. წევაში, გარდაიცვალა 1980 წ., თბილისში.

მშობლები: ნიკოლოზ ოქროპირის ძე გაჩეჩილაძე, ეკატერინე ყაფლანის ას. გელაშვილი.

დაამთავრა მილიციის სკოლა. 1935 წ-დან 26 წლის განმავლობაში მუშაობდა თბილისში – მილიციის ორგანოებში. ამ ხნის განმავლობაში, კარგი მუშაობისათვის ოცდახუთჯერ გამოეცხადა მადლობა (პირად საქმეში შეტანით) შვიდჯერ გადაეცა ფულადი ჯილდო და სამჯერ-ქების სიგელი.

დიდი სამამულო ომის წლებში მონაწილეობდა კავკასიის დაცვაში.

1944 წ. სსრკ უმაღლ. საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოვდა მედლით- "კავკასიის დაცვისათვის";

1945 წ. დაჯილდოვდა მედლით – "საბრძოლო დამსახურებისათვის";

1946 წ. დაჯილდოვდა მედლით – "1941-45 წლების დიდ სამამულო ომში მამაცური შრომისათვის".

1946 წელსვე დაჯილდოვ და მედლით – "1941-45 წლების დიდ სამამულო ომში გერმანიაზე გამარჯვებისათვის" ;

1949 წ. ნოემბერში დაჯილდოვდა "წითელი ვარსკვლავის" ორდენით.

1954 წ. შსს –ს ორგანოებსა და ჯარში უმწიკლო სამსახურისათვის დაჯილდოვდა "წითელი დროშის" ორდენით;

1967 წ. დაჯილდოვდა საიუბილეო მედლით "საბჭოთა მილიციის 50 წელი".

ბატონი ვარლამი გამოირჩეოდა ნათესავებისადმი განსაკუთრებული სიყვარულით და გულისხმიერებით. იგი იყო ყველას ჭირისა და ლხინის მოზიარე, ხანგრძლივ, გულითად მასპინძლობას და მზრუნველობას უწევდა რაიონებიდან თბილისში სასწავლებლად თუ სხვა მიზნით ჩამოსულ ბევრ ჩვენს ნათესავს. ამ საქმეში მას მხარს უბამდა **მეუღლე – ანიჩკა ხარატიშვილი** (1914-1996)

მათ დარჩათ **შვილები: ლილი (ლეილა)** (1943)*, **ზურაბი** (1945) და **ვახტანგი** (1949-1996).

54. ვახტანგ გაჩეჩილაძე

ქირურგიის ეროვნული სამეცნიერო ცენტრის უმაღლესი კატეგორიის ექიმი-ოფთალმოლოგი, უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, "ღირსების ორდენის" კავალერი...

დაიბადა 1947 წ. 6 აგვისტოს, თბილისში. **მშობლები: ვახტანგ გაჩეჩილაძე*** (1914-1991) – საქართველოს დამსახურებული ექიმი, **ნელი ჯავახიშვილი** (1924-2001).

1971 წ. თსსი -ს დამთავრებისთანავე, მუშაობას იწყებს თვალის რესპუბლიკურ კლინიკურ საავადმყოფოში – ექიმ ანესთეზიოლოგად. მუშაობდა: ექიმ-მეთოდისტად, ექიმ- ორდინატორად, კლინიკის განყოფილების გამგედ, რესპუბლიკის ოფთალმოლოგიური ცენტრის დირექტორის მოადგილედ, 1985 წლიდან – კ. ერისთავის

სახ. ქირურგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში – ექიმ-ოფთალმოლოგად, 1973 წლიდან დღემდე არის სახელმწიფო მრჩეველი.

1996 წლიდან დღემდე მუშაობს ქირურგიის ეროვნული სამეცნიერო ცენტრის ექიმ-ოფთალმოლოგად.

სხვადასხვა დროს მუშაობდა: საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს საორგანიზაციო – მეთოდური კომისიის ექიმად, საქართველოს სამხედრო კომისარიატის ცენტრალური სამედიცინო კომისიის ექიმად, არჩეული იყო თვალის რესპ. კლინიკური საავადმყოფოს ოფთალმოლოგიური ცენტრის ალკკ კომიტეტის და პარტიული კომიტეტის მდივნად, (სკკპ წევრი იყო 1966-1989 წწ. ამჟამად უპარტიოა) სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარედ, საექსპერტო კომისიის წევრად, საქართველოს ალკკ ორი ყრილობის და თბილისის ალკკ კონფერენციის ექვსი მოწვევის დელაგატად, კპ თბილისის I მაისის და კიროვის რაიონული ხუთი კონფერენციის დელეგატად, საქართველოს პროფკავშირის ყრილობის და სხვადასხვა ორგანიზაციის ხუთი ყრილობის დელაგატად.

დაჯილდოებულია: სსრკ ორი ორდენით, შვიდი მედლით, "ღირსების ორდენით", საკავშირო და რესპუბლიკური ალკკ ორგანიზაციის საპატიო სიგელებით და სამკერდე ნიშნებით.

ბატონ ვახტანგს ჰყავს **მეუღლე – ინა დუდუჩავა** (1965) – მუსიკის თეორიის პედაგოგი.

ინჟინერ-პატენტთმცოდნე და **შვილები: ნინო** (1973)- მუსიკოსი, **ვახტანგი**(1975) – უცხო ენების სპეციალისტი, **გიორგი** (1995) – საშ. სკოლის მოსწავლე.

ორი შვილი- ნინო და ვახტანგი, ცხოვრობენ აშშ-ში ქ. ვაშინგტონში და იქვე მუშაობენ.

55. ვახტანგ გაჩეჩილაძე

საქართველოს დამსახურებული ექიმი, თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე, სსრკ მრავალი ორდენისა და მედლის კავალერი, ქ. მოსკოვის და ქ. სმოლენსკის საპატიო მოქალაქე...

დაიბადა 1941 წ., თბილისში, გარდაიცვალა 1991 წ., თბილისში. **მშობლები: მაქსიმე გაჩეჩილაძე, ელისაბედ ბარამიძე.**

1938 წ. თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრებისთანავე გაიგზავნა მოსკოვის სამხედრო ჰოსპიტალში – უფროს ექიმად.

1941 წ -დან პოლკის სანიტარული-სამედიცინო ნაწილის უფროსია, II რანგის სამხედრო ექიმი, მედიცინის მაიორი.

1941 წ. 26 ივნისიდან – სმოლენსკის სამხედრო ჰოსპიტლის უფროსი.

გადაარჩინა 60-ზე მეტი დაჭრილი მეომარი. 1941წ. 24 ივლისს სამხედრო ჰოსპიტალი დაიბომბა. დაბომბვის დროს, ბატონმა ვახტანგმა მიიღო მძიმე ტრავმა, რის შედეგადაც დაკარგა მხედველობა ორივე თვალზე.

1943 წ. იგი დაინიშნა საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების თბილისის ორგანიზაციის დირექტორად. ამ საზოგადოების წევრთა მიერ შექმნილი თბილი ტანსაცმელი და ჯაგრისები იგზავნებოდა ფრონტზე, რითაც მათ თავიანთი წვლილი შეჰქონდათ გამარჯვებაში. 1950 წ. დაინიშნა საქართველოს უსინათლოთა საზ. თავმჯდომარის პირველ მოადგილედ, ხოლო 1955 წ. ამ საზოგადოების ყრილობამ აირჩია საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარედ. ამავე თანამდებობაზე აირჩიეს III-IV-V-VI-VII ყრილობებზეც – 1976 წლამდე.

1956-1976 წ -მდე იყო საქართველოს მთავრობის წევრი, ჯანმრთელების დაცვის სამინისტროს კოლეგიის წევრი, 1957-1978 წწ. – უსინათლოთა საკავშირო საზოგადოების პრეზიდიუმის წევრი.

საქართველოს უმაღლესი საბჭოს ორი მოწვევის, ქ. თბილისის საბჭოს თერთმეტი მოწვევის, კიროვის რაიონის თერთმეტი მოწვევის დეპუტატი;

საქართველოს კპ ცკ-ს წევრობის კანდიდატი (1958-1978), საქართველოს კპ თბილისის კომიტეტის წევრი (1956-1977), ქ. თბილისის კიროვის რაიკომის ბიუროს წევრი (1955-1976);

საქართელოს მშვიდობის დაცვის კომიტეტის პრეზიდუმის წევრი (1958-1985);

საქართველოს პროფკავშირის კომიტეტის წევრი (1959-1977);

საქართველოს ოფთოლმოლოგთა საზოგადოების პრეზიდუმის წევრი (1950-1995);

მსოფლიოს ინვალიდთა საერთაშორისო II-III-IV გენერალური ასამბლეის აღმასკომის წევრი (1964-1978);

საქართველოს დამსახურებული ექიმი;

საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი;

დაჯილდოებული იყო: ორი სიგელით -"სსრკ უმაღლესი მთავარსარდლის მადლობა";

ორდენებით: "წითელი დროშის", "შრომის წითელი დროშის", "დიდი სამამულო ომის I ხარისხის" ორი ორდენით, "ხალხთა მეგობრობის", "საპატიო ნიშნის" (ორი ორდენით);

სსრკ თექვსმეტი მედლით და უცხოეთის რვა სამხედრო მედლით, სსრკ სხვადასხვა სამინისტროს ექვსი საპატიო მედლით;

საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ხუთი საპატიო სიგელით;

სსრკ პარტიის, შრომის და ომის ვეტერანთა პრეზიდიუმის ხუთი საპატიო სიგელით;

იყო ქ. მოსკოვის და სმოლენსკის საპატიო მოქალაქე.

ვ. გაჩეჩილაძის ინიციატივით, უსინათლოთა საზოგადოების მიერ აშენდა: რესპუბლიკის ოფთალმოლოგიური ცენტრი, კიროვის რაიონის მოსწავლეთა სასახლე, საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების კულტურის სასახლე, თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში, თელავში, ფოთში, ჭიათურაში, ზესტაფონში, ზუგდიდში, ტყიბულში, ჭიათურაში, წყალტუბოში, გორში, რუსთავში, მცხეთაში და

სხვ. საცხოვრებელი სახლები, სამრეწველო და საყოფაცხოვრებო კომბინატები, ტურისტული და საკურორტო კომპლექსები.

საკავშირო, რესპუბლიკურ და საქალაქო ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებულია ასობით პუბლიკაცია მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

ბატონ ვახტანგს ჰყავდა **მეუღლე – ნელი ჯავახიშვილი** (1924-2001) – ფილოლოგი, ჟურნალისტი.

შვილები: თამაზი* (1938), **ირინე *** (1945), **ვახტაგი*** (1947).

56. ვახტანგ გაჩეჩილაძე (ჭიმატი)



ეკონომისტი, "გაჩეჩილაძეთა, ჯაჭვაძეთა და წეველიძეთა საგვარეულო დარბაზის" წარმომადგენელი ლაგოდეხის რაიონში.

დაიბადა 1927 წ. 15 თებერვალს, ლაგოდეხის რ. სოფ. კართუბანში. **მშობლები: ზოსიმე გრიგოლის ძე გაჩეჩილაძე, ვალენტი ბიჭიას ას. ნანიტაშვილი.** დაამთავრა კართუბნის საშ. სკოლა და სსსი-ს ეკონომიკის ფაკულტეტი. 1953-1960 წწ. მუშაობდა კართუბნის სოფსაბჭოს ფინანსურ განყოფილებაში. 1960-1976 წწ. მუშაობდა სოფსაბჭოში მოლარე-მოანგარიშედ. იყო ამავე საბჭოს მოწვევის დეპუტატი. მინიჭებული აქვს მედალი "შრომითი წარჩინებისათვის". 1976-1979 წწ. მუშაო ბდა კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილედ – პროდუქტების დამზადების დარგში. 1978-1922 წწ. – კოლმეურნეობის საწყობის გამგედ. ამჟამად პენსიონერია.

ბატონი ვახტანგი ცოცხალი, ინიციატივიანი ბუნების, კოლორიტული პიროვნებაა. იგი ლაგოდეხის რაიონში ყველასათვის პატივსაცემი ადამიანია2003 წ-დან იგი ჩვენი "საგვარეულო დარბაზის" აქტიური წევრია. ენთუზიაზმით ასრულებს "დარბაზის" ყველა დავალებას.

ბატონ ვახტანგს ჰყავს **მეუღლე – იზოლდა მიხეილის ას. რეხვიაშვილი** (1931), **შვილები: მაია** (1963) – პედაგოგი, **მზია** (1964) – ეკონომისტი, **ვასიკო** (1968) – ინჟინერი და შვილიშვილები.

57. ვლადიმერ გაჩეჩილაძე

ღვაწლმოსილი ექიმი-პედიატრი, მრავალი წიგნის ავტორი.

დაიბადა 1895 წ. ქ. ზესტაფონში, გარდაიცვალა 1957 წელს. **მამა – ბესარიონ გაჩეჩილაძე.**

სწავლობდა ქუთაისის ვაჟთა გიმნაზიაში, რომლის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა ოდესის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე. 1921 წელს დაიწყო მუშაობა ორდინატორად უნივერსიტეტის ჰოსპიტალურ კლინიკაში. 1922 წლიდან გადმოვიდა თბილისში და მუშაობდა ორდინატორად თსუ სამკურნალო ფაკულტეტთან არსებულ ბავშვთა სნეულებათა კლინიკაში. 1924-1937 წწ. მუშაობდა სკოლისა და უბნის პედიატრად თბილისში. 1937-1952 წწ. თბილისის ბავშვთა მე-15 კონსულტაციის გამგეა. 1952 წელს, ბავშვთა მე -15 კონსულტაციისა და ოქტომბრის რაიონის ბავშვთა პოლიკლინიკის გაერთიანების შემდეგ, ინიშნება ამ პოლიკლინიკის მთავარი ექიმის მოადგილედ. ვ. გაჩეჩილაძემ გამოსცა მრავალი წიგნი პედიატრიის საკითხებზე, მათ შორის: "ძუძუმწოვარი ბავშვის მოვლა" (1934-1948), "რაქიტი" (1949), "რჩევები ახალგაზრდა ექიმებს" (1949), "ბავშვთა კვება" (1951), "ავადმყოფი ბავშვის მოვლა" (1952), "ბავშვის აღზრდა ოჯახში" (1957) და სხვა.

ვ. გ. იყო მოსკოვისა და ლენინგრადის პედიატრთა საზოგადოებების პრეზიდიუმის წევრი, პედიატრთა საკავშირო ყრილობების აქტიური მონაწილე. დაჯილდოებული იყო ორდენებითა და მედლებით.

ბატონ ვლადიმერს **ჰყავდა მეუღლე – სალომე ანდრონიკაშვილი.**

მათი **შვილია ცინარა გაჩეჩილაძე*** – მედიცინის მეცნ. დოქტორი, პროფესორი. მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.

58. ზაზა გაჩეჩილაძე (ოთიაშვილი)

ფილოლოგიის მეცნ. დოქტორი, თსუ პროფესორი, ინგლისური ენის კათედრის გამგე, ჟურნალისტი.

დაიბადა 1947 წ. 4 აპრილს, თბილისში. **მშობლები: გივი რაჟდენის ძე გაჩეჩილაძე** – ლიტერატურათმცოდნე, მთარგმნელი, ფილოლოგიის მეცნ. დოქტორი, **ირინე კანდელაკი** – ექიმი. დაამთავრა საქართველოს სახ. უცხო ენათა პედაგოგიური ინ-ტის ინგლისური ენის ფაკულტეტი (1969). იყო თსუ ლაბორანტი, მასწავლებელი, დოცენტი.

1991 წ. დაი ცვა სადოქტორო დისერტაცია – "ჯეფრი ჩოსერი და ინგლისური აღორძინების განვითარების გზები". არის კათედრის გამგე, თსუ პროფესორი 1992 წლიდან. ინგლისურენოვანი გაზეთის - "ჯორჯიან ტაიმსის" თანადამფუძნებელი და მთავარი რედაქტორია 1994 წ – დან. არის 40-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის (მონოგრაფიები: "დილან ტომასის პოეზია" 1984, "ჯეფერი ჩოსერი" 1988, "ჩოსერიდან შექსპირისაკენ" 1991), საგაზეთო სტატიების და თარგმანების (შექსპირის "ტროილოსი და ქრისიდა", მოემის "შეჯამება" და სხვა.) ავტორი. არის თბილისის როტარი კლუბის წევრი, შავი, ეგეოსის და ბალტიის ზღვების ქვეყნების მწერალთა და მთარგმნელთა კავშირის კულტურული კომიტეტის წევრი.

ბატონ ზაზას ჰყავს **მეუღლე – მარინე აბესაძე** (1949) – ექიმი და **შვილები: გიორგი** (1969), **ნინო** (1969), **თამარი** (1990).

59, 59ᵃ, 59ᵇ. ზაქარია, გიორგი, ანდრია გაჩეჩილაძეები (გუნდაეთლები).

ჭიათურის რ. სოფ. გუნდაეთის წმიდა გიორგის ეკლესიის მოძღვრები.

მღვდელი ზაქარია მოღვაწეობდა სოფ. წევაში (XVIII ს-ში). შემდეგში იგი თავის შვილ, მღვდელ გიორგისთან ერთად საცხოვრებლად სოფ. გუნდაეთში გადავიდა. აქ მათ, მიწისძვრისაგან დანგრეული ხის ეკლესიის ნაცვლად, დაიწყეს წმიდა გიორგის ახალი – ქვის ეკლესიის მშენებლობა, რომელიც 1830-1840 – იან წლებში დაასრულა მამა გიორგის ვაჟმა – მღვდელმა ანდრიამ.

მღვდელთა ამ ოჯახმა გუნდაეთის მეურნეობის აღორძინებას დაუდო საფუძველი და დიდი წვლილი შეიტანა სოფლის აღმშენებლობაში.

მამა ანდრიას **ცოლად აბდუშელიშვილის ქალი ჰყავდა**. გუნდაეთში მათ ცხრა შვილი შეეძინათ: **ზაქარია, ნიკოლოზი, კოზმანი, თომა, ქრისტეფორე, ლავრენტი, დათა, ეკა და ლიდა.** ნიკოლოზს, თომას და ქრისტეფორეს ექვს-ექვსი შვილი შეეძინათ. სულ კი მამა ანდრიას ოცდაერთი შვილიშვილი ჰყავდა.

საინტერესოა, რომ გადმოცემის მიხედვით, მამა ანდრიამ და მისმა შვილებმა ზოგმა თითქმის ას წლამდე, ზოგმა კი ას წელზე მეტ ხანს იცოცხლა. დეკანოზი გახდა თომა*, ხოლო ქრისტეფორე* – დიაკონი.

ტექსტი შეადგინა **გოჩა არონიშიძემ.**

60. ზურაბ გაჩეჩილაძე (კუნკურახი)



მშენებელი ინჟინერ-კონსტრუქტორი, ხუროთმოძღვრული მემკვიდრეობის რესტავრაციის ცენტრის დირექტორი.

დაიბადა 1940 წ., წევაში. **მშობლები: გიორგი რაჟდენის ძე გაჩეჩილაძე, ფენია კარანაძე.**

მამამისი სამხედრო პირი იყო. ამიტომ, მათ ოჯახს მრავალჯერ მოუწია საცხოვრებელი ადგილის შეცვლა. ცხოვრობდნენ: გორში, ბორჯომში, გაგრაში, სოხუმში, ბოლოს ზესტაფონში, სადაც დაამთავრა რკინიგზის საშ. სკოლა. სამი წელი ჯარში სამსახურის შემდეგ, სპი-ს სამშენებლო ფაკულტუტზე ჩააბარა, თან მუშაობდა სამშენებლო ინსტიტუტ – "საქქალაქმშენსახპროექტში". მონაწილეობდა ისეთი მნიშვნელოვანი ნაგებობების პროექტების შექმნაში, როგორიცაა: ონკოლოგიური და რესპბულიკური საავადმყოფოები, სპი-ს მაღლივი კორპუსები, სამედიცინო ინსტიტუტი, რუსთაველის თეატრი, სახელმწიფო უნივერსიტეტის კორპუსები.

1979 წ-დან მუშაობს ძეგლთა დაცვის სისტემაში, ამჟამად – ხუროთმოძღვრული მემკვიდრეობის სარესტავრაციო ცენტრის დირექტორად.

პირადად აღდგენილი და რესტავრირებული აქვს: საფარის, ზარზმის, ჭულეს. კუმურდოს, წუღრუღაშენის, ბოლნისის, ბოდბის, ბაგრატის ტაძრის, გეგუთის, ლენტეხის, ალავერდის, მეფე ერეკლეს სასახლის, ხერთვისის, ვარძიის და მრავალი სხვა მნიშვნელოვანი ხუროთმოძღვრული კომპლექსი.

ამჟამად მუშაობს საქართველოს უდიდესი ტაძრის "სამების" მშენებლობაზე და რუსთაველის თეატრის რესტავრაციაზე. ბატონმა ზურაბმა თავისი წვლილი შეიტანა წევის ეკლესიის რესტავრირებაში, ელექტროფიცირებაში და ფოტოფიქსაციაში. მას ჰყავს **მეუღლე – გულნარა ხავთასი, შვილები გიორგი და ნიკოლოზი,** რძლები მაკა წიკლაური და მაკა ბუღაძე და შვილიშვილები რატი და ანდრია.

61. თამაზ გაჩეჩილაძე

ბავშვთა ქირურგი, მედიცინის მეცნ. დოქტორი, თსსუ ბავშვთა ქირურგიის კათედრის პროფესორი, საქართველოს მედიკო- ბიოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი...

დაიბადა 1938 წ. 26 სექტემბერს, თბილისში. **მშობლები: ვახტანგ მაქსიმეს ძე გაჩეჩილაძე – ნინა პლატონის ას. დაშნიანი.**

1962 წ. დაამთავრა თბილისის სა მედიცინო ინსტიტუტის პედიატრიული ფაკულტეტი. 1962-1965 წწ. განაწილებით მუშაობდა ქ. ჭიათურის საავადმყოფოში ქირურგად. 1965-1967 წწ. სწავლობდა კლინიკურორდინატურაში -ქ. მოსკოვის ექიმთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის ბავშვთა ქირურგიის კათედრაზე, ხოლო 1967-1969 წწ. მუშაობდა ამავე კათედრაზე ორდინატორის თანამდებობაზე, სადაც შეასრულა საკანდიდატო ნაშრომი და დაიცვა იგი 1969 წ. . 1969 წ. სექტემბრიდან მუშაობს თსსუ ბავშვთა ქირურგიის კათედრაზე ჯერ ასისტენტად, ხოლო 1985 წ. მარტიდან დოცენტად. 1988 წ. დაიცვა დისერტაცია მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად. 1989 წ. მაისიდან დღემდე კათედრის პროფესორია. ამავე დროს არის თსსუ პედიატრიული კლინიკის ქირურგიული ბლოკის ხელმძღვანელი.

თ.გ. გამოცდილი ბავშვთა ქირურგი, მაღალკვალიფიცირებული პედაგოგი და ლექტორია – პრაქტიკული მუშაობის 38 წლისა და პედაგოგიური მუშაობის 30 წლის სტაჟით. იგი აქტიურად მონაწილეობს როგორც სასწავლო, ასევე სამკურნალო პროცესის სრულყოფაში, – ნერგავს კლინიკაში პედაგოგიკისა და ოპერაციული მკურნალობის თანამედროვე მიღწევებს. სარგებლობს დამსახურებული ავტორიტეტით, როგორც პროფესორ-მასწავლებეთა, ასევე სტუდენტთა შორის.

თ.გ. ნაყოფიერ სამეცნიერო-კვლევით მუშაობას ეწევა, გამოქვეყნებული აქვს 103 სამეცნიერო ნაშრომი ბავშვთა ქირურგიის აქტუალურ საკითხებზე. 1998 წ. მისი თანაავტორობით გამოიცა სახელმძღვანელო პედიატრიული ფაკულტეტის სტუდენტთათვის –"ჩვილ ბავშვთა ქირურგია", ხოლო 2003 წ. – "ბავშვთა ქირურგია". მიღებული აქვს მოწმობა ორ გამოგონებაზე და ოთხ რაციონალიზატორულ წინადადებაზე.

თ.გ. აქტიურად მონაწილეობს ინსტიტუტის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. წლების განმავლობაში იყო პედიატრიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე. აღზრდილი ჰყავს ექიმ-პედიატრთა რამდენიმე თაობა. იგი არის საქართველოს მედიკო-

ბიოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ამერიკის პედიატრიული აკადემიის ნამდვილი წევრი, დაჯილდოებულია "ღირსების ორდენით".

ბატონ თამაზს ჰყავს **მეუღლე – დალი კუტივაძე** – ექიმი,

შვილები: ვახტანგი და თამარი – ექიმები,

შვილიშვილები: სოფიკო წიკლაური, გიორგი და ლადო გაჩეჩილაძეები.

62. თამარ ალექსანდრეს ას. ნემსაძე

გივი ალექსანდრეს ძე ოთიაშვილის მეუღლე.

იხილეთ ბიოგრაფია № 18ᵃ

63. თამარ (თაკო) გაჩეჩილაძე

თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის კონსერვა-ტორიის სტუდენტი, მრავალი მუსიკალური ფესტივალის მონაწილე და გამარჯვებული.

დაიბადა 1983 წ. 17 მარტს. **მშობლები: გივი გიორგის ძე და თინათინ გიორგის ას. გაჩეჩილაძეები.** დაამთავრა თბილისის მე-100 საშ. სკოლა და ზ. ფალი აშვილის სახ. სამუსიკო გიმნაზია თეორიული განხრით. ამჟამად არის საგუნდო სადირიჟორო ფაკ. მე-3 კურსის სტუდენტი, მრავალი მუსიკალური ფესტივალის მონაწილე და გამარჯვებული, მათ შორის:

2001 წ. -"ახალგაზრდა შემსრულებელთა საერთაშორისო საესტრადო სიმღერის VI ფესტივალი "იალტა – 2001" – I პრემია (გრან პრი არ გაუციათ); 2002 წ. -"ახალგაზრდა შემსრულებელთა სიმღერის XI საერთაშორისო ფესტივალი "სლავიანსკი ბაზარი – 2002" – I პრემია.

64. თამარ გაჩეჩილაძე (ოთიაშვილი)

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმოების ეკონომიკის და ორგანიზაციის კათედრის პროფესორი.

თ. გაჩეჩილაძე დაიბადა 1912 წ., გარდაიცვალა 1991 წელს. **მშობლები: – ივანე გაჩეჩილაძე, თამარ ლოსაბერიძე.** ცნობილი პედაგოგი და განმანათლებელი. მთელი თავისი ცხოვრება ქალბატონმა თამარმა მომავალი ინჟინრების მომზადებას შეალია და სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე საყვარელ საქმეს ემსახურებოდა.

1950 წ. , როდესაც ჩამოყალიბდა კონკრეტული ეკონომიკის კათედრა პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, ქალბატონი თამარი ამ კათედრის დამაარსებელთა შორის იყო. აქ გაიარა მან დიდი და მძიმე გზა ასისტენტიდან პროფესორამდე.

მიუხედავად არცთუ დალხინებული ცხოვრებისა, მარტოხელა ქვრივმა სამშობლოს შესანიშნავი ვაჟკაცი გაუზარდა.

ქალბატონი თამარის მოწაფეები და კოლეგები აღნიშნავენ, რომ მათ აოცებდათ ის სიყვარული და სითბო, რომელსაც იგი დაუნანებლად უნაწილებდა არა მარტო თავისი ოჯახის წევრებს და მეგობრებს, არამედ უკლებლივ ყველას, ვისაც ჰქონდა ბედნიერება ყოფილიყო პროფესორ თ. გაჩეჩილაძის სტუდენტი. ქალბატონი თამარი იყო შესანიშნავი აღმზრდელი და კეთილშობილი ადამიანი, იშვიათი სულიერი სილამაზისა და სიმდიდრის, დახვეწილი ქცევა-ჩვევების პიროვნება, ჭეშმარიტი ქართველი მანდილოსანი, მისი ცხოვრება და მოღვაწეობა ნათელი მაგალითი იყო მისი ახლობლებისა და ნაცნობებისათვის.

ქალბატონ თამარს ჰყავდა **მეუღლე – ემელიან მაჩალაძე,** მათ დარჩათ**შვილი – თენგიზ მაჩალაძე** – ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, რძალი თამარ ჯანდიერი და შვილიშვილები

ლიტ.: გაზ. “თბილისი”, 1991 წ. 28 ოქტომბერი.

65. თამარ იოსების ას. ქვლივიძე

(გაჩეჩილაძე-ოთიაშვილების რძალი)

იხილეთ სტატია №87ᵃ.

66. თამარ გაჩეჩილაძე

ღვაწლმოსილი პედაგოგი, ლენინის ორდენის კავალერი...

დაიბადა 1896 წ. ქ. გორში, გარდაიცვალა. 1981 წ. **მამა – სიმონ გაჩეჩილაძე.** გორის ქალთა გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, სწავლა განაგრძო ჯერ ქუთაისის პედაგოგიურ სასწავლებელში, შემდეგ თბილისის პედაგოგიურ ინსტიტუტში.

თ. გაჩეჩილაძემ პედაგოგიური მოღვაწეობა დაიწყო 1912 წ. ქუთაისის მაზრაში. 1915 წ -დან მუშაობდა ქ. გორსა და გორის რაიონში, სადაც აქტიურად იბრძოდა წერა - კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის. პარალელურად, ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა სკოლებში. შემდეგ, მუშაობა განაგრძო ჯერ ზესტაფონში, მერე კი თბილისის 89 – ე საშ. სკოლაში – რუსული ენისა და ლიტერატურის

მასწავლებლად. აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ საქმიანობაში. სხვადასხვა დროს არჩეული იყო ქ. გორის მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს წევრად, განათლების განყოფილებასთან არსებული მეთოდური ბიუროს გამგედ, გორის მაზრის შტატგარეშე ინსტრუქტორად, ქალთა სექტორის გამგედ და სხვ.

ნაყოფიერი პედაგოგიური და აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის იგი დაჯილდოებული იყო ლენინის ორდენით, მრავალი მედლით და სიგელით.

ლიტ.: გაზ. "სახალხო განათლება", 1981 წ. 8 ივლისი.

67. თეიმურაზ გაჩეჩილაძე (კვიცინა)

სოფლების: წევის, წიფლავაკის და სანახშირის მამასახლისი.

დაიბადა 1860 წ., წევაში. გარდაიცვალა 1947 წ., წევაში. **მშობლები: ბერიკ შაქარას ძე გაჩეჩილაძე, ტასია შერგელაშვილი.** 1917 წ. რევოლუციამდე მუშაობდა ზემოხსენებული სამი სოფლის მამასახლისად. კანცელარია იყო სოფ. ვაჭევში, დღევანდელი ღვინის ქარხნის ტერიტორიაზე.

თ.გ. იმ პერიოდისათვის შემლებული გლეხი იყო. მას ჰყავდა **მეუღლე– აღათი ალამასხანის ას. ხარატიშვილი** (1970, ღვერკი – 1953, წევა), **8 შვილი** – 6 ქალიშვილი და 2 ვაჟი, რომლებისგანაც შეეძინათ 30 შვილიშვილი და 22 შვილთაშვილი.

68. თეიმურაზ გაჩეჩილაძე (ოთიაშვილი).

საქართველოს დამსახურებული ინჟინერ-მექანიზატორი.

დაიბადა 1918 წ., თბილისში, გარდაიცვალა 1983 წ., თბილისში. **მშობლები: რაჟდენ ალფეზის ძე გაჩეჩილაძე, სოფიო ელიოზიშვილი.**

ბატონი თეიმურაზი პროფესიით მექანიზატორი იყო. იგი წლების განმავლობაში მუშაობდა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მექანიზაციის მთავარი სამმართველოს უფროსად.

მას დარჩა **შვილები: სერგო,** (1964), **ნელი** (1974 და **ლევანი** (1978)

69. თენგიზ გაჩეჩილაძე (გოგება)

საქართველოს დამსახურებული ინჟინერ-მშენებელი, ინჟინერ-მეტალურგი.

თ. გაჩეჩილაძე დაიბადა 1927 წ. 18 თებერვალს, ქ. ზესტაფონში. **მშობლები: ალექსანდრე ყარამანის ძე გაჩეჩილაძე, ოლია ივანეს ას. კაპანაძე.**

1949 წ. დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი – სამოქალაქო და სამრეწველო ობიექტების ინჟინერ-მშენებლის სპეციალობით. 1949 წ. სექტემბრიდან 1961 წ. მარტამდე მუშაობდა ქ. ტყვარჩელში, ტრესტ "ტყვარჩელმაღარომშენი"-ს სისტემაში. მისი უშუალო ხელმძღვანელობით აშენდა და ექსპლოატაციაში შევიდა იმ დროს მოქმედი ექვსი მაღაროდან სამის მიწისზედა ნაგებობები: № 5 მაღარო (1950 წ.), № 3 მაღარო (1951-1952 წწ.), № 6 მაღარო (1956 წ.); საბაგირო გზები, ქ. ტყვარჩელისა და ქ. ოჩამჩირის კულტურის სასახლეები, თევზის მაცივარი, ბოსტნეულის შესანახი, საცხოვრებელი სახლები, ტყვარჩელის კვეზანის დასახლების წყალსადენი და სხვა სამრეწველო და სამოქალაქო დანიშნულების ობიექტები.

1960 წლიდან ცხოვრობდა ქ. რუსთავში და მუშაობდა რკინაბეტონის ნაგებობათა კომბინატში; ხელმძღვანელობდა სამშენებლო კონსტრუქციების გამოშვებას საქ. სსრ მშენებლ. სამინისტროს ქ. რუსთავის №1 ტრესტში; ააშენა რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხნის ობიექტების კომპლექსი და რუსთავის ქიმიური კომბინატის სამრეწველო საქვაბე. 1962 წ. აპრილიდან მუშაობდა რუსთავის საპროექტო ინსტიტუტ "საქგიპრომეზის" მთ. ინჟინრად, დამპროექტებელთა ჯგუფის ხელმძღვანელად, სამშენებლო განყოფილების უფროსად (1963-1968). 1969წ -დან პროექტის მთავარ ინჟინრად – ინსტიტუტის მიერ დაპროექტებულ ობიექტებზე (მეტალურგიული ქარხნების სარემონტო – სამშენებლო სამმართველოების საწარმოო ბაზები რუსთავში, ზესტაფონში, სუმგაითში და რუსთავის ქარხანა "ცენტროლიტში"; რუსთავის მეტალურგ. ქარხნის და ქარხანა "ცენტროლიტის" პროფტექ. სასწავლებლები; კურსკის ოლქის მიხაილოვსკის სამთო გამამდიდრებელ კომბინატთან არსებული ფასონურად ჩამომსმხელი ქარხანა; საგარეჯოს მეურნეობა "უდაბნოს" მიწების სარწყავი სისტემა – რუსთავის სამრეწველო რაიონის და თბილისის გარდაბნის სრეს-ის სამრეწველო წყალმომარაგების სისტემასთან კომპლექსში).

1981 წ. თ.გ. -მ მეორადი უმაღლესი განათლება და ინჟინერ-მეტალურგის სპეციალობა მიიღო მოსკოვში სსრკ შავი მეტალურგიის დარგობრივ – "ფოლადის ინსტიტუტში" (Институт стали).

1981 წ-დან იყო რუსთავის მეტალურგიული ქარხნის გენ. პროეტის მთ. ინჟინერი. მისი უშუალო ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ობიექტების მშენებლობისა და ტექნ. გადაიარაღების დაპროექტება. თ.გ-ს ხელმძღვანელობით დამუშავდა რუსთავის მეტალურგ. ქარხნის პერსპექტიული განვითარების მასალები 2000 წ-მდე და ქარხნის განვითარების ტექნ. ეკონომიკური დასაბუთება, რომელიც ითვალისწინებს ფოლადის წარმოების პროგრესული მეთოდის გამოყენებას.

ძირითადი სამუშაოს პარალელურად, თ.გ. აქტიურად მონაწილეობდა და საზოგადოებრივ საწყისებზე ხელმძღვანელობდა რესპუბლიკისა და ქ. რუსთავის წამყვანი ორგანიზაციების მიერ "საქგიპრომეზი"-სათვის დავალებული პროექტების დამუშავებას (მაგ.: 1978-80 წწ. რუსთავის ატს-14-ის სამუშაო პროექტი; 1977 წ. რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მეღორეობის ფერმის სამუშაო პროექტი; 1981 წ. რუსთავში, საქართველოს ღვინის წარმოებისათვის საჭირო, ემალირებული ცისტერნების მწარმოებელი ქარხნის პროექტი; 1984-86 წწ. რუსთავის საბავშვო პოლიკლინიკის სამუშაო. პროექტი).

1984 წ. თ.გ-ს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული ინჟინრის წოდება.

საინჟინრო სამუშაოების გარდა, იგი აქტიურ კომკავშირულ და პარტიულ საქმიანობასაც ეწოდა, რისთვისაც 1983 წ. დაჯილდოვდა საქართველოს კპ ცკ -ს მედლით.

1972-81 წწ. თ.გ. რუსთავის საქალაქო სახალხო კონტროლის კომიტეტთან არსებული მშენებლობისა და კომუნალური მეურნეობის განყოფილების ხელმძღვანელია. აქტიური მუშაობისათვის, 1976 წ. აპრილ ში დააჯილდოვეს საქ. სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის საპატიო სიგელით.

კომკავშირულ ქალაქ ბორის ძნელაძის მშენებლობაში საზოგადოებრივ საწყისებზე მონაწილეობისათვის 1978 წ. საქართველოს ალკკ ცკ-ს მიერ დაჯილდოვდა მოქანდაკე მ. ბერძენიშვილის მიერ შესრულებული სამახსოვრო კომპოზიციით. თ.გ. სამჯერ იყო არჩეული "საქგიპრომეზის" პარტბიუროს მდივნის პირველ მოადგილედ, რვაჯერ – ამავე ორგანიზაციის პარტბიუროწევრად. 1978 წ. რუსთავის, სახალხო დეპუტატთა საბჭოსთან არსებული, ქარხნის მიკროსაბჭოს დეპუტატი იყო, ხოლო 1981 წ. ამავე საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე. რამდენიმეჯერ იყო დაჯილდოებული "საქგიპრომეზი"-ს პარტორგანიზაციის საპატიო სიგელებით, მრავალჯერ გამოეცხადა მადლობა.

თ.გ. არის საქართველოს რესპუბლიკის პერსონალური პენსიონერი. 2002 წლიდან იგი "გაჩეჩილაძეთა, ჯაჭვაძეთა და წეველიძეთა საგვარეულო დარბაზის" აქტიური წევრია. ბატონ თენგიზს დიდი წვლილი მიუძღვის "საგვარეულო დარბაზისათვის სხვადასხვა სახის დოკუმენტაციის მომზადებაში".

ბატონ თენგიზს ჰყავდა **მეუღლე – თამარ (თალიკო) კახელი** (1926-1986) – ინჟინერ – ქიმიკოსი.

ჰყავს **შვილები: მანანა** (1950) – ინჟინერ-ქიმიკოსი და **მარინა** (1957) – ექიმი-თერაპევტი. ორივე დაოჯახებულია. მარინა ქმარ-შვილთან ერთად ცხოვრობს მოსკოვის თანამგზავრ ქალაქ ჟუკოვსკოეში.

70. თენგიზ გაჩეჩილაძე (თომაშვილი)

გაზეთ "ლელოს" მთავარი რედაქტორი, გაჩეჩილაძეთა, ჯაჭვაძეთა და წეველიძეთა "საგვარეულო დარბაზის" დამფუძნებელი და პირველი პრეზიდენტი...

დაიბადა სოფ. წევაში 1939 წ. 28 აპრილს. **მშობლები: თომა გაჩეჩილაძე, ეკატერინე (ჯაფარიძე) გაჩეჩილაძე.** დაამთავრა ფიზიკური კულტურის ინ-ტი (1962), თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის ჟურნალისტიკის განყოფილება (1968). იყო თბილისის იპოდრომის მუშა (1958 – 60), "ლოკომოტივის" საცურაო აუზის დირექტორის მოადგილე და ამიერკავკასიის რკინიგზის წყალთა სახეობების სპორტული სკოლის დირექტორი (1963-74), ჟურნალ "მართვეს" რედაქტორის მოადგილე (1974-80), რედაქტორი (1980-84), გაზეთ "ლელოს" რედაქტორის მოადგილე (1984-87), მთავარი რედაქტორი 1987 წლიდან. იყო სეოკის შექმნის საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელი (1989) და ვიცეპრეზიდენტი (1989-96). არის შპს სააგენტო "გუმათეს" დირექტორი (1995 წლიდან); ავტორი წიგნებისა: "ცხენოსნობა", "ოლიმპიური შემოდგომის თექვსმეტი გაელვება", "ათი დამოუკიდებელი ნაბიჯი ოლიმპიურ მოძრაობაში", "პირველი ქართველი ქალი ოლიმპზე" და ბროშურებისა სპორტულ თემაზე. არის "წიგნი ღირსებისა"-ს (გამოვიდა 6 ტომი) გამოცემის ინიციატორი და ერთ-ერთი შემდგენელი. მიღებული აქვს მედალი "შრომითი წარჩინებისათვის» (1980) და "ღირსების ორდენი" (1998). იყო საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ფედარაციის პასუხისმგებელი მდივანი და თავმჯდომარე (1968-92), საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდიუმის წევრი (1992 წლიდან), სპორტულ ჟურნალისტთა საერთაშორი სო ასოციაციის წევრი (1967 წლიდან) საქართველოს პირველი დამოუკიდებელი ოლიმპიური მისიის ხელმძღვანელი ლილეჰამერში, ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე (1996). აკრედიტებული ჟურნალისტი იყო 10 ოლიმპიურ თამაშებზე. მისი რედაქტორობით 2003 წ. მოსკოვში გამოდიოდა გაზეთი "ფორტუნა ნიუსი".

ბატონი თენგიზისა და "საქართველოს გვარიშვილობის კავშირის" თაოსნობით 2001 წ. დეკემბერში დაარსდა "გაჩეჩილაძეთა, ჯაჭვაძეთა და წეველიძეთა საგვარეულო დარბაზი". მანვე 2002 წ. დაარსა გაჩეჩილაძეთა საგვარეულოს გაზეთი "ჯაჭვი". არის მისი გამომცემელი და რედაქტორი. ბატონი თენგიზის ოჯახის წევრები არიან: **მეუღლე – მედეა (ტარუაშვილი) გაჩეჩილაძე, შვილები: ბაქარი** (1966), **ვამეხი** (1968-1992), **რძალი** (ბაქარის მეუღლე) – **ირმა ჭანტურია – გაჩეჩილაძე, შვილიშვილები: თორნიკე და ცოტნე.**

ლიტ.: ვ'ინ ვინაა საქართველოში", 2001 -2002 (ქართული ბიოგრაფიული ლექსიკონი).

71. თენგიზ გაჩეჩილაძე (ლობიო)

გამოჩენილი ქორეოგრაფი, საქართველოში სამეჯლისო – სპორტული ცეკვების საკონკურსო მოძრაობის ფუძემდებელი, "საქართველოს სპორტული ცეკვების ეროვნული ფედერაციის" პრეზიდენტი, სპორტული ცეკვების სანიმუშო, საგაზო სტუდია "თელას" ხელმძღვანელი (მეუღლესთან ლ. გაჩეჩილაძესთან ერთად), საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი, "გაჩეჩილაძეთა, ჯაჭვაძეთა და წეველიძეთა საგვარეულო დარგაზის" ერთ-ერთი დამფუძნებელი და ხელმძღვანელი (თანაპრეზიდენტი)...

დაიბადა 1941 წ. 5 სექტემბერს თბილისში. **მშობლები: ივანე გაჩეჩილაძე*** – საქართველოს დამსახურებული ზოოვეტერინარი, ამიერკავკასიის ვეტარინარული სამმართველოს უფროსის მოადგილე, **ევგენია ნიორაძე – გაჩეჩილაძე** (1908-1992) – საქართველოს დამსახურებული პედაგოგი.

თ. გაჩეჩილაძე 1947 – 58 წწ. სწავლობდა თბილისის №1 რკინიგზის საშ. სკოლაში. 1975-80 წწ. – ლენინგრადის პროფკავშირების კულტურის ინსტიტუტში.

1969 წ. დაიწყო სამეჯლისო ცეკვების პედაგოგობა ქ. გორის ბამბეულის კომბინატის კ/ სახლში და გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში. შემდეგ მუშაობდა: თბილისის ი.ბ. სტალინის სახელობის კ/ სასახლეში (1970-77); თბილისის რკინიგზელთა კ/ სახლში (1975-1977); მ. გორკის სახელობის კ/სახლში; თბილისის ოფიცერთა საოლქო სახლში (1977-1980); 1979 წ. დეკემბრიდან დღემდე მუშაობს მუშთაიდის ბაღში სამეჯლისო სპორტული ცეკვების სანიმუშო სტუდია "თელას" ხელმღვანელად.
1972 წ -დან დღემდე ჩატარებული აქვს 700 – ზე მეტი სხვადასხა დონის ღონისძიება (ტურნირები, კონკურსები, შეჯიბრებები...) სამეჯლისოცეკვების ანსამბლმა "თელამ" 1986 წ. პირველ საკავშირო კონკურსში სამეჯლისო ცეკვების ანსამბლებს შორის (ფორმეიშენის კლასი) ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა; მისი აღზრდილი მოცეკვავე წყვილები საქართველოს და კავკასიის დონის ტურნირების, ასევე მრავლი საერთაშორისო ჩემპიონატის და ტურნირის გამარჯვებულები და ლაურიატები არიან (აშშ, იზრაელი, რუმინეთი, ავსტრია, ჩეხეთი, უკრაინა, ბელორუსია, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, მოლდავეთი...).

1974 – 80 წწ. მუშაობდა საქართველოს პროფსაბჭოს მხატვრული თვითმოქმედების რესპუბლიკურ სახლში სამეჯლისო ცეკვების მეთოდისტად; რეგულარულად ატარებდა სემინარებს და კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებს სამეჯლისო ცეკვების პედაგოგ – სპეციალისტებისათვის; გაზრდილი ჰყავს სამეჯლისო ცეკვების მრავალი პედაგოგი-სპეციალისტი, რომლებიც მუშაობდნენ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რაიონებსა და ქალაქებში; 1986 წ. პირადად მონაწილეობდა სამეჯლისო ცეკვების საკავშირო ასოციაციის შექმნაში (АБТ СССР); იყო მისი მთავარ ი კომიტეტის

წევრი და ხელმძღვანელობდა მის ერთ-ერთ განყოფილებას; იმავე წელს საქართველოს კულტურის სამინისტროსთან შექმნა სამეჯლისო ცეკვების რესპუბლიკური გაერთიანება, რომელიც 1991 წელს საქართველოს სამეჯლისო ცეკვების ასოციაციად გადაკეთდა და 1992 წ-დან გახდა სპორტული ცეკვების სერთაშორისო ფედერაციის (IDSF)-ის სრულუფლებიანი წევრი. დღეს ამ ასოციაციას ეწოდება "საქართველოს სპორტცეკვების ეროვნული ფედერაცია" (GNDSF), რომლის პრეზიდენტი, ისევე, როგორც ადრე არსებული გაერთიანებისა და ასოციაციის ხელმძღვანელი, თვითონ არის.

სხვადასხვა დროს კითხულობდა ლექციებს თბილისის თეატრალურ ინსტიტუტში, კულტურის ინსტიტუტში, ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწფო აკადემიაში, ს. ზაქარიაძის სახელობის კულტსაგანმანათლებლო სასწავლებელში, თბილისის საცირკო და საესტრადო ხელოვნების სასწავლებელში;

არის საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი, რეგულარულად მსაჯობს სხვადასხვა ქვეყანაში გამართულ ტურნირებს, ჩემპიონატებს, კონკურსებს (აშშ, საფრანგეთი, იტალია, გერმანია, ჩეხოსლოვაკია, რუმინეთი, იზრაელი, რუსეთი, უკრაინა, ბელორუსია, მოლდავეთი, ლიტვა. ლატვია, ესტონეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი...).

ბატონი თენგიზი სამუშაო პირობებს უქმნის "გაჩეჩილაძეთა, ჯაჭვაძეთა და წეველიძეთა საგვარეულო დარბაზს". საცეკვაო სტუდია "თელას" შენობაში უთმობს მას ფართობს კრებების ჩასატარებლად, შეძლებისდაგვარ ქველმოქმედებას ეწევა წევის ეკლესიის მიმართ (დააგო სამრეკლოს იატაკი, შესწირა ეკლესიას ხატი, სეიფები, სკამები, ხის კიბე და სხვა...)

ბატონ თენგიზს ჰყავს **მეუღლე – ლარისა (ქურდაძე) გაჩეჩილაძე და შვილები: შორენა, გიორგი და რატი.** ყველა მათგანის ბიოგრაფია შეტანილია წინამდებარე ცნობარში.

71ˢ. ლარისა (ქურდაძე) გაჩეჩილაძე

გამოჩენილი ქორეოგრაფი, სამეჯლისო სპორტული ცეკვების სანიმუშო სტუდია "თელას" სამხატვრო ხელმძღვანელი, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი, "საქართველოს სპორტცეკვების ეროვნული ფედერაციის" გენერალური მდივანი, ბატონ თენგიზ ივანეს ძე გაჩეჩილაძის მეუღლე.

დაიბადა 1950 წლის 19 მარტს, თბილისში. **მშობლები: გიორგი ქურდაძე, ეკატერინე ქურდაძე.**

1957-67 წწ. სწავლობდა ქ. თბილისის მე -16 საშუალო სკოლაში, 1967 -72 წწ. ქ. თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში. 1972 წ-დან მუშაობს ქ. თბილისის 129 საშ. სკოლაში დაწყებითი კლასების პედაგოგად და პარალელურად

სამეჯლისო ცეკვების შესწავლას იწყებს ი.ბ. სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის კულტურის სასახლეში თენგიზ გაჩეჩილაძესთან. 1974 წ. მონაწილეობს სამეჯლისო ცეკვების რესპუბლიკურ და საკავშირო კონკურსებში და იკავებს საპრიზო ადგილებს. 1975 წ-დან იწყებს მუშაობას თენგიზ გაჩეჩილაძესთან-თანამეწყვილედ ჯერ ი.ბ. სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის კულტურის სასახლეში და, 1976 წ- დან, ქ. თბილისის ოფიცერთა საოლქო სახლში, შემდეგ კი, 1979 წ-დან, "მუშთაიდის" ბაღის საცეკვაო დარბაზში, სადაც დღემდე მუშაობს სამეჯლისო სპორტული ცეკვების სანიმუშო სტუდია "თელას"-ს სამხატვრო ხელმძღვანელად. ამ წლების განმავლობაში თენგიზ გაჩეჩილაძესთან ერთად ჩაუტარებია 600 - ზე მეტი ადგილობრივი თუ საერთაშორისო ტურნირი. ტრადიციული "ოქროს საწმისი", "საახალწლო თბილისი", "კავკასიის თასი", აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ჩემპიონატები, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ჩემპიონატები INTERNATIONAL OPENდა IDSF OPEN რანგის ტურნირები, ლექციებს კითხულობდა საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტში, საცირკო და საესტრადო სასწავლებლებში, ს. ზაქარიაძის სახელობის კულტურულ საგანმანათლებლო სასწავლებელში, სპორტისა და ფიზიკური აღზრდის აკადემიაში, ამჟამად კითხულობს კულტურისა და ხელოვნების აკადემიაში.

არის საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი, ნამსაჯი აქვს უამრავი საერთაშორისო ტურნირი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში და მათ შორის რამდენიმეჯერ მსოფლიოს და ევროპის თასის გათამაშება; არის საქართველოს სპორტცეკვების ეროვნული ფედერაციის გენერალური მდივანი და საქართველოში ჩატარებული ყველა სერიოზული ტურნირის უცვლელი წამყვანი. მისი ხელმძღვანელობით 1986 წ. 18-20 აპრილს მოსკოვში სამეჯლისო ცეკვების ანსამბლებს შორის ჩატარებულ პირველ საკავშირო კონკურსზე ანსამბლი "თელა" ხდება ბრინჯაოს მედლის მფლობელი. მისი ხელმძღვანელობით აღზრდილი მოცეკვავე წყვილები და ანსამბლები მრავალი ქვეყნის ტურნირების გამარჯვებულნი და პრიზიორები არიან და, აგრეთვე, რეგულარულად გამოდიან სხვადასხვა კონცერტებზე და ტელევიზიით ქალბატონ ლარისას **მეუღლის – თენგიზ ივანეს ძე გაჩეჩილაძის და შვილების: გიორგის და რატის** ბიოგრაფიები წარმოდგენილია ამავე ცნობარში.

72. თინათინ გაჩეჩილაძე

ი.ბ. სტალინის სახლ-მუზეუმის ყოფილი დირექტორი.

დაიბადა 1921 წ. 31 მარტს, ქ. გორში, გარდაიცვალა 1982 წ. **მამა – შალვა გაჩეჩილაძე** - პედაგოგი.

გორის IV შრომის სკოლის წარჩინებით დასრულების შემდეგ, სწავლა განაგრძო თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც 1945 წ. დაამთავრა.

თ. გაჩეჩილაძემ 1946 წ. მუშაობა დაიწყო ი.ბ. სტალინის სახლ-მუზეუმში-ექსკურსიამძღოლად. 1953-64 წწ. იყო ამ სახლ -მუზეუმის დირექტორი. 1964-66 წწ. მუშაობდა გორის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო ნაწილში, ხოლო 1966 წ-დან 1981 წ. მაისამდე იგი კვლავ ი.ბ. სტალინის სახელმწიფო სახლ-მუზეუმის დირექტორია.

წლების განმავლობაში იგი იყო საქართველოს კპ გორის საქალაქო კომიტეტის წევრობის კანდიდატი და წევრი, არჩეული იყო სარევიზიო კომისიის წევრად.

1966-74 წწ. თავმჯდომარეობდა პარტიის გორის საქალაქო კომიტეტთან მოქმედ სკკპ რიგებში მიღებისა და კომუნისტთა პერსონალური საქმეების კომისიას, ხოლო 1974 წ-დან სკკპ რიგებში მიმღებ კომისიას. იყო გორის ქალთა საბჭოს აქტიური წევრი და კულტურის უნივერსიტეტის ლექტორი. მის მიერაა შედგენილი ი.ბ. სტალინის სახელმწიფო სახლ-მუზეუმის საექსპოზიციო გეგმა. ყველგან სადაც არ უნდა ყოფილიყო თ. გაჩეჩილაძე გამოირჩეოდა განსწავლულობით, პასუხისმგებლობის დიდი გრძნობით და ადამიანებისადმი სამაგალითო დამოკიდებულებით.

1960 წ. მას მიენიჭა საქართველოს სსრ კულტურ ის დამსახურებული მუშაკის წოდება.

73. თომა გაჩეჩილაძე (გუნდაეთელი)

ჭიათურის რ. მღვიმევის მაცხოვრის ეკლესიის დეკანოზი.

დაიბადა 1866 წ., სოფ. გუნდაეთში, გარდაიცვალა 1967 წ. 2 თებერვალს, თბილისში. დაკრძალულია საბურთალოს სასაფლაოზე. **მშობლები: ანდრია გიორგის ძე გაჩეჩილაძე*, (?) აბდუშელიშვილი.**
სასულიერო განათლება მიიღო, გაბრიელ ეპისკოპოსის მეთვალყურეობით, არქიდიაკონ ტყეშელაშვილთან, 1886-1926 წწ. მსახურობდა მედავითნედ გუნდაეთის ეკლესიაში. 1926 წ. ხელდასხმულ იქნა მთავარ დიაკვნად და მღვდლად მარგველი ეპსიკოპოსის ვარლამის მიერ.[ა]

1930-1945 წწ., ბოლშევიკური ტერორის გამო, ვეღარ ასრულებდა ღვთისმსახურებას და ოჯახში იყო, თუმცა, როგორც თვითონვე აღნიშნავს ავტობიოგრაფიაში, – არც მღვდელმოქმედება უარუყვია და არც ანაფორა გაუხდია. ომის შემდეგ ხელისუფლების ეკლესიისადმი დამოკიდებულება შეიცვალა და მამა თომასაც კვლავ მიეცა ღვთისმსახურების საშუალება.

1953 წ. 5 ნოემბერს გაენათელმა ეპისკოპოსმა გაბრიელმა (ჩაჩანიძემ) მამა თომა მღვდლად დანიშნა ჭიათურის რ. მღვიმევის მაცხოვრის ეკლესიაში (ყოფილ დედათა მონასტერში – ამავე ეკლესიის იღუმენის ელენე კიკნაძის განცხადების საფუძველზე. მოძღვარი ამ ეკლესიის ეზოშივე ცხოვრობდა, რამდენიმე წელიწადში იგი დეკანოზის ხარისხში აიყვანეს. [ა]

1966 წ. მამა თომას დაბადებიდან 100 წლის იუბილე გადაუხადეს თბილისში, გრიბოედოვის ქუჩაზე, მისი ქალიშვილის ოლიას ბინაში.

დეკანოზ თ.გ.-ს ახლო ურთიერთობა ჰქონდა ქუთათელ – გაენათელ ეპისკოპოს გაბრიელთან, ეპისკოპოს დავითთან (შემდგომაში სრულიად საქართველოს კათოლიკოს – პატრიარქი დავით V დევდარიანი), სხვა ცნობილ სასულიერო პირებთან და საზოგადო მოღვაწეებთან, რაზედაც მიგვითითებს საოჯახო არქივი. მამა თომას ჰყავდა **მეუღლე – ეკატერინე გამყრელიძე** და **ექვსი შვილი: მარიამი, ქსენია, თამარი. ოლია, გიორგი და ანდრია.**

ტექსტი შადგინა **გოჩა არონიშიძემ**.

[ა]) ინფორმაცია აღებულია საპატრიარქოს არქივში დაცული თ.გ-ს პირადი საქმიდან.

74. ია გაჩეჩილაძე (ოთიაშვილი)

სმაკ-ის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი.

დაიბადა 1931 წ. 26 ნოემბერს, ქ. თბილისში. **მშობლები: კონსტანტინე მაკარის ძე გაჩეჩილაძე** – ისტორიკოსი, ფილოლოგი, პედაგოგი, მწერალი, **თამარ იოსების ას. ჯაიანი** – გერმანული ენის სპეციალისტი, პედაგოგი.

1949 წ. დაამთავრა თბილისის 23 -ე საშ. სკოლა-ოქროს მედლით. 1949-1954 წწ. სწავლობდა თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტზე. 1954-1957 წწ. მუშაობდა სმაკ –ის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ლექსიკოლოგიის განყოფილებაში. მონაწილეობდა ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის გამოსაცემად მომზადებაში (იხ. ქართ. ენის განმ. ლექს., ტ. VI, VII). 1959 წ-დან დღემდე მუშაობს სმაკ-ის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში 1977 წ. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, არის 20-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი.

ჰყავდა **მეუღლე – არჩილ ილიას ძე ქადაგიძე** (1920-2000).

ჰყავს **ორი შვილი:**

1. დალი ქადაგიძე (1958) – აღმოსავლეთმცოდნე, სპარსული ენის სპეციალისტი, მუშაობს საქ. ნავთობკორპორაციაში;

2. მარინა ქადაგიძე (1961) – ისტორიკოსი, წყაროთმცოდნე, ისტ. მეცნ. კანდიდატი, 2 წიგნისა და 30-მდე სამეცნ. ნაშრომის ავტორი.

აღსანიშნავია, რომ **მარინა ქადაგიძე** დიდი სიყვარულით და მზრუნველობით მოეკიდა თავისი ბაბუის, – ისტორიკოსისა და მწერლის – კონსტანტინე გაჩეჩილაძის ნაღვაწს. უფრო ვრცლად ამის შესახებ იხილეთ ამავე კრებულში სტატია №90[ა].

75. იესე (სესია) გაჩეჩილაძე (ოთიაშვილი)

წევის ერთ-ერთი თავკაცი, დიდი ქველმოქმედი.

დაიბადა სოფ. წევაში, სავარაუდოდ, XVIII ს–ის მიწურულს ან XIX საუკუნის დასაწყისში. **მამა – როსტომ გაჩეჩილაძე.**

სესია გაჩეჩილაძის მიერ თავისი მხარისა და ქვეყნისათვის გაწეულ სიკეთეთაგან უმთავრესია ქვეყნის სტრატეგიული მნიშვნელობის საგზაო არტერიის – რიკოთის უღელტეხილზე გადამავალი სურამ-შორაპნის შარაგზის გაყვანა, რამაც საქართველოს

აღმოსავლეთი და დასავლეთი ნაწილები უმოკლესი გზით პირველად დააკავშირა ერთმანეთთან და ამით შეუწყო ხელი ერთიანი საქართველოს განვითარებას. ამ საქმეში მას ს. წავაში ქოჩოს სადგურზე მომსახურე ივანოვი ეხმარებოდა. "ბევრი ენერგია და პურმარილი დახარჯა სესიამ და ისე მიაღწია მიზანს". გზის მშენებლობაზე ბევრი ხელმოკლე ადამიანი დასაქმდა და სული მოითქვა.

1960 წ. წევაში ორშტატიან ეკლესიასთან ახალგახსნილი დაწყებითი სკოლა, შენობის უქონლობის გამო, მოათავსეს სესია გაჩეჩილაძე-ოთიაშვილის სახლის ზედა სართულზე და იქ ყოველგვარი ქირის გარეშე წლების განმავლობაში მოქმედებდა, რაც სესიას გადმოცემის თანახმად, მეტად ესახელებოდა.

რუსეთთან ჯერ აღმოსავლეთ საქართველოს და შემდეგ იმერეთის შეერთების მძიმე წლებში, როდესაც ხალხს საკვები და ჩასაცმელი ძალიან უჭირდა, მისი თაოსნობით შედგა სოფლის ყრილობა, რომელზეც მისი ხელმძღვანელობით გადაწყდა და დაიწყო სასურსათო და სამეურნეო გაჭირვებიდან გამოსვლა. სომხეთიდან – ალექსანდროპოლიდან (ახლა გიუმრიე, ადრე ლენინაკანი), შემოიტანეს მარილი, თრიალეთიდან – ხორცი და მატყლი და, როგორც სესიამ ურჩიათ, ერთი დუქანი გახსნეს და ეს და სხვა საქონელი იქ დააწყეს. შემდგომში სესიამ წევაში ააშენა სახლი. სადაც ქსოვილის დამამზადებელი წარმოება გახსნა, "დადგა დგიმი და საბარცხალი", ხოლო ქსოვილს ხის კანიდან დამზადებული საღებავით აღებინებდა თანასოფლელს. მიღებული ქსოვილიდან მოსახლეობამ ტანისამოსი შეიკერა და შეიმოსა. სესიამ შემოიღო იმერეთში ცხენის დაჭედვა, მანამდე ცხენს არ ჭედავდნენ. სესია ადამიანების შემწე და მოსარჩელე იყო: თავისი ნათლიის, დავით კორძაიას დახმარებით მან მრავალი გლეხი გადაარჩინა რუსების სასჯელისაგან – "გაროზგვისაგან", ტყვეობიდან გაათავისუფლებინა თრიალეთში მუხანათურად დაჭერილი თანასოფლელი.

ხალხმა, მათი ყოველნაირი გაჭირვებიდან მხსნელი, სესია თავის მეთაურად აირჩია. გლეხები დიდ პატივს სცემდნენ მას. მისი "წყალობით საწყალმა გაჭირვებულმა ხალხმა საარსებო გზა გაიკვლია," მისი "გულშემატკივრობით და მხნეობით, წევა თანდათან ფხიზლდებოდა და წინ მიიწევდა."

სესიას ცოლი ეფემია (ფეფენა) სიმონის ასულიც "კეთილი გულის და საწყალი ხალხის მოსარჩელე იყო", "ყოველ კარგ დღეს 3-4 გირვანქა ხორცს და ყოველგვარ სანოვაგეს ურიგებდა გაჭირვებულთ." 1890 წელს იგი შვილის – მღვდელ ეფრემისა და შვილიშვილის -მაკარ მღვდლის მრევლთან ერთად აგზავნის შეწირულობას "დავით აღმაშენებლის სამლოცველოს განსაახლებლად და წმ. მოწამეთა დავით და კონსტანტინეს კუბოს მოსაპოვებლად".

სესიას და ეფემიას ხუთი ვაჟი ჰყავდათ: მიხეილი, ალფეზი, სამსონი, სოლომონი და ეფრემი და სამი ქალიშვილი.

დიდი მადლი გადმოვიდა ხალხის მოყვასისა და ქვეყნის შემწე, სიკეთის მკეთებელ სესიას შთამომავლობაზე: წევის **წმიდა გიორგის ეკლესიისა და სხვა ეკლესიების მღვდლები გახდნენ მისი ორი ვაჟი: ეფრემი და სამსონი და ოთხი შვილიშვილი: მაკარი, ეფთვიმე, ბელოვანი და კასიანე.**

იესე (სესია) გაჩეჩილაძის შვილიშვილისშვილის, ექიმ ნიკოლოზ მაკარის – ძე გაჩეჩილაძის, გადმოცემით, მისი ერთ-ერთი წინაპარი კომერსანტი და დიდი ქონების პატრონი ყოფილა, რომელსაც გადაწყვეტილი ჰქონია აეშენებინა ქალაქის ტიპის

დასახლება, ამის შესახებ მას განუცხადებია ერთ-ერთ შეხვედრაზე და მაგიდაზე დიდი გროვა ოქროულობა დაუდია, რითაც დიდი შური გამოუწვევია დამსწრეთა შორის, ცოტა ხანში იგი გარდაცვლილა და სიმპტომების მიხედვით (თმების, წარბებისა და წამწამების გაცვენა), ექიმ ნ. გაჩეჩილაძის ვარაუდით, კომერსანტი მოწამლეს საწამლავით - "სულემათი". ეს კომერსანტი, ჩვენი აზრით, იყო იესე (სესია) გაჩეჩილაძე.

ტექსტი შეადგინეს **გოჩა არონიშიძემ და ნიკოლოზ შურღაიამ**.

ლიტ.: გაზ. "ჯაჭვი", 2002 წ. № 1.

76. ივანე გაჩეჩილაძე

სატყეო მეურნეობის ღვაწლმოსილი მუშაკი.

დაიბადა 1937 წ., ზნაურის (ყორნისის) რ. სოფ. ლოპანში, სადაც გაიზარდა და ცხოვრობს დღემდე. **მამა – ამბროსი გაჩეჩილაძე.**

დაამთავრა სოფლის რვაწლიანი სკოლა. იმსახურა ჯარში – კალინინგრადში. 3 წელი იყო მზარეული. ამ ხელობას დღემდე მისდევს ჯარიდან დაბრუნების შემდეგ, დაცოლშვილდა და მუშაობა დაიწყო მექანიკოსად ზნაურის რ. სატყეო მეურნეობაში, სადაც პატიოსანი და მუყაითი შრომით გარშემო მყოფთა პატივისცემა დაიმსახურა.

მაღალი შრომითი მაჩვენებლებისა და სახელმწიფო გეგმების შესრულებისათვის, ზემდგომმა ორგანოებმა არა ერთხელ დააჯილდოვეს ფასიანი საჩუქრებით, საპატიო სიგელებით და სამკერდე ნიშნებით. მაგ.: საქართველოს სსრ მინ. საბჭოს სახელმწ. სატყეო კომიტეტის და პროფკავშირების რკ-ს 1973 წ. 14 მარტის დადგენილებით დაჯილდოვდა ნიშნით – "1973 წლის სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული"; იმავე ორგანოების 1982 წ. 28 ნოემბრის დადგენილებით – ნიშნით "მეთერთმეტე ხუთწლედის დამკვრელი" და ა.შ.

ი. გაჩეჩილაძის მაღალკვალიფიციური შრომის წყალობით, ზნაურის რაიონის სატყეო მეურნეობა რამდენიმე წლის განმავლობაში პირველობდა საქართველოში. ბატონი ივანეს ღვაწლი არა ერთხელ აღინიშნა გაზეთ "საბჭოთა ოსეთის" ფურცლებზე. საუკეთესო პიროვნული თვისებების გამო, მას დიდი ავტორიტეტი აქვს რაიონის, როგორც ქართულ, ისე ოსურ მოსახლეობაში. მნიშვნელოვან წილად, სწორედ მისდამი ოსური მოსახლეობის პატივისცემამ განაპირობა, ქართულ-ოსური კონფლიქტის დროს, სოფელ ლოპანის უვნებლად გადარჩენა (14 ქართული სოფლიდან მხოლოდ ეს სოფელი გადარჩა უვნებლად).

ბატონ ივანეს ჰყავს **მეუღლე - ფენია გრიგოლის ას. სამხარაძე**.

შვილები: ელგუჯა (დ. 1959 25 – X), **ლარისა** (დ. 1964 5. IX) **ვიტალი** (დ. 1967 13. VI) და შვილიშვილები.

77. ივანე გაჩეჩილაძე (ოთიაშვილი)

ფიზიკოსი, თსუ პროფესორი, სსსი ფიზიკისა და მეტეოროლოგიის კათედრის გამგე. ჰიდრომეტეო -როლოგიური ინსტიტუტის დირექტორი... (პირველი წეველი პროფესორი)

დაიბადა 1884 წ. 1 სექტემბერს, სოფ. წევაში. გარდაიცვალა 1938 წ.. **მშობლები: ერასტი გაჩეჩილაძე, სასიკო დავითაია.** 1903 წ. დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია ოქროს მედლით. იმავე წელს შევიდა მოსკოვის უნივერსიტეტის ფიზიკა – მათემატიკის ფაკულტეტის მათემატიკის განყოფილებაზე. იყო კავკასიის სტიპენდიატი. 1905 წ. აქტიურად მონაწილეობდა სტუდენტთა რევოლუციურ მოძრაობაში. ჯერ მოსკოვში, შემდეგ დას. საქართველოში. ამასთან დაკავშირებით გარიცხეს უნივერსიტეტიდან. აღადგინეს 1907 წ.. 1909 წ. წარჩინებით დაამთავრა უნივერსიტეტი. დაინიშნა ყუბანის ოლქის ქ. ტემრიუკის რეალურ სასწავლებელში ფიზიკისა და კოსმოგრაფიის მასწავლებლად. 1913 წ. ის გადაიყვანეს ქუთაისის რელურ სასწავლებელში, სადაც მუშაობდა ჯერ მასწავლებლად და შემდეგ, 1917 წ. დირექტორად. 1924 წ. ი.გ. აირჩიეს თბილისის გეოფიზიკური ობსერვატორიის მეტეოროლოგიური დაკვირვების განყოფილებაში ფიზიკოსის თანამდებობაზე, 1925 წ. კი მეტეოროლოგიური განყოფ. გამგედ. 1929 წ. გეოფიზიკური ობსერვატორიის მეცნიერთა საბჭოს მიერ მას დაევალა კლიმატოლოგიური განყოფილების ორგანიზაცია. შემდეგ, ის დაინიშნა ამავე განყოფ. გამგედ. 1932 წ. მუშაობდა ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის მთ. სამმართველოს დირექტორის მოადგილედ, ამავე დროს, მეტეოროლოგიური ინსტიტუტის დირექტორად. 1924 წ-დან მუშაობდა უმაღლეს სასწავლებლებში, თსუ-ში ჯერ დოცენტის, შემდეგ კი პროფესორის თანამდებობაზე. ლექციებს კითხულობდა ფიზიკასა და მეტეოროლოგიაში. სიცოცხლის უკანასკნელ წლებში მუშაობდა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ფიზიკისა და მეტეოროლოგიის კათედრის გამგედ. მის კალამს ეკუთვნის 38 მეცნიერული ნაშრომი, ამათგან 7 სახელმძღვანელოა.

ბატონ ივანეს ჰყავდა **მეუღლე – თამარ ვასილის ას. ლოსაბერიძე და ხუთი შვილი: გიორგი (გიგლა), ნუნუ, თამარი, თათუშა, ალექსანდრე (ხითო)**

ლიტ.: ირ. ტატიშვილი, თ. დეკანოსიძე. “მოსკოვის უნივერსიტეტი და ქართველი ახალგაზრდობა”. თბ. 1960 წ.

ალ. გაჩეჩილაძე, პ. ნებიერიძე. “სახელოვანი მამულიშვილი”. გაზეთი “ლენინელი” (ზესტაფონი), 1983 წ. 1 სექტემბერი, გვ. 3.

78. ივანე გაჩეჩილაძე (ლობიო)

საქართველოს დამსახურებული ვეტექიმი.

დაიბადა 1903 წ., წევაში, გარდაიცვალა 1984 წ. დაკრძალულია წევაში.

მშობლები: იპოლიტე გაჩეჩილაძე, პოლინა მაღრაძე.

დაამთავრა გიმნაზია – ზესტაფონში, გამოდიოდა ახალგაზრდულ სამსახიობო დასში, რომელიც სოფელ-სოფელ მართავდა წარმოდგენებს. მსახიობად უმუშავია ზესტაფონის თეატრშიც. 25 წლისა დაოჯახდა. მეუღლესთან ერთად ცხოვრობდა ხაშურში. კარგა ხანს მუშაობდა ხაშურის თეატრის მსახიობად, მასწავლებლად – ჯერ სოფ. ვაყაში, შემდეგ ქვიშხეთში.

1936 წ. დაამთავრა საქართველოს ზოოვეტერინარული ინსტიტუტი (I გამოშვება), ამავე წლიდან მისი ოჯახი თბილისში გადმოდის საცხოვრებლად.

მონაწილეობდა დიდ სამამულო ომში. მივიდა ბერლინამდე და დაბრუნდა კაპიტნის წოდებით. სხვადასხვა წლებში მუშაობდა ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოში; იყო ნავთლუღის სატრანსპორტო სამმართველოს სამსახურის უფროსი; ამიერკავკასიის ვეტსამსახურის უფროსი.

ი. გაჩეჩილაძე იყო განათლებული ადამიანი, თავისი საქმის ბრწყინვალედ მცოდნე, ამასთანავე მეგობრების მოყვარული, კარგი მომღერალი, გამორჩეული თამადა. მას თვითონაც უყვარდა და შვილებსაც უნერგავდა წიგნის სიყვარულს.

იგი იყო კომპარტიის წევრი. ერთ დროს – პარტკომის მდივანიც.

ი. გაჩეჩილაძე დაჯილდოებული იყო წითელი ვარსკვლავის და სამამულო ომის მეორე ხარისხის ორდენებით და მრავალი მედლით.

ბატონ ივანეს ჰყავდა **მეუღლე – ევგენია ვასილის ას. ნიორაძე,**

მათ დარჩათ **შვილები: მერი, ქეთევანი, თენგიზი, ეთერი** და მათი შთამომავლობა.

79. ივანე გაჩეჩილაძე (ოთიაშვილი)

საქართველოს დამსახურებული ეკონომისტი.

დაიბადა 1901 წ., სოფ. წევაში. გარდაიცვალა 1983 წ., თბილისში.

მშობლები: კასიანე ეფრემის ძე გაჩეჩილაძე, (წევის ეკლესიის მოძღვარი), **ლეონინე იოსების ას. კალანდაძე.**

1919 წ. დაამთავრა ქ. ქუთაისის კლასიკური გიმნაზია და მუშაობა დაიწყო სოფ. ლაშეს დაწყებით სკოლაში მასწავლებლად. 1921 წ-დან ი. გაჩეჩილაძე ცხოვრობდა ქ. თბილისში და 1930 წ-მდე მუშაობდა ფინანსთა სახელმწიფო კომისარიატის ხაზით სხვადასხვა თანამდებობაზე. თბილისის საფინანსო – ეკონომიური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, 1934 წ-დან მუშაობდა, კვლავ, ფინანსთა სახელმწიფო კომისარიატის ორგანოებში. იყო შემნახველი სალაროს გამგე, რევიზორ – კონტროლიორი, ტრესტის ეკონომისტი.

იგი იყო პარტიისა და კომკავშირის ვეტერანი, სკკპ წევრი 1928 წ-დან, 1976 წ-დან პერსონალურ პენსიაზე გავიდა.

ბატონ ივანეს ჰყავდა **მეუღლე – მარიამ (მერცია) ირაკლის ას მიქაძე** (დამსახურებული პედაგოგი) და **ქალიშვილი – მერი.**

ლიტ.: გაზ. "სოფლის ცხოვრება", 1983 წ. 5 მარტი.

80. ივლიტა გაჩეჩილაძე

ფილოლოგიის მეცნ. კანდიდატი, შ. რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის უფროსი მეცნ. თანამშრომელი.

დაიბადა 1950 წ., ქ. თბილისში. **მშობლები: ამბერკი ნიკოლოზის ძე გაჩეჩილაძე, თამარ წერეთელი – გაჩეჩილაძე.** 1967 წ. დაამთავრა თბილისის 51-ე საშ. სკოლა, შემდეგ კი თსუ დას. ევროპული ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი ინგლისური ენისა და ლიტერატურის განხრით.

1971-1974 წწ. სწავლობდა სმაკ-ის ასპირანტურაში. 1975 წ-დან დღემდე მუშაობს შ. რუსთაველის სახ. ლიტერატურის ინსტიტუტის ქართულ საზღვარგარეთულ ურთიერთობათა განყოფილებაში ჯერ უმცროს, შემდეგ კი უფროს მეცნ. თანამშრომლად. 1983 წ. დაიცვა დისერტაცია თემაზე -"რომანტიზმი ლიტერატურულ ურთიერთობათა ასპექტში". გამოქვეყნებული აქვს 21 სამეცნ. ნაშრომი აღნიშნულ თემაზე. პარალელურად ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას: ტექნიკურ უნივერსიტეტში კითხულობდა ლექციებს ინგლისურ ენაში, მუშაობდა ინგლისური ენის მასწავლებლად ამერიკულ სკოლაში ("მომავლის სკოლა").

ქალბატონ ივლიტას ჰყავს **მეუღლე: რევაზ ცინცაძე და ვაჟი – დათო.**

81. ილია გაჩეჩილაძე (კრეჭია)

სახელგანთქმული მევენახე, სოციალისტური შრომის გმირი.

დაიბადა 1901 წ., სოფ. წევაში, გარდაიცვალა 1980 წ.. **მშობლები: ზაქარია გაჩეჩილაძე, ოლღა წიქარიშვილი.** წევის ორკლასიანი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ზესტაფონში დაეუფლა ხელოსნის პროფესიას. შემდეგ ალავერდის ს. ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი გახდა. ყურძნის უხვი მოსავლისათვის ბრძოლაში მიღწეული მაღალი, სტაბილური შედეგებისათვის მას, სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, 1949 წ. სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება მიენიჭა და გადაეცა ლენინის ორდენი და ოქროს ვარსკვლავი "ნამგალი და ურო".

იგი, როგორც თვალსაჩინო მევენახე, წარგზავნილი იყო დელეგატად კოლმეურნეთა სრულიად საკავშირო მესამე ყრილობაზე. არაერთხელ იყო სრულიად საკავშირო სასოფლო სამეურნეო გამოფენისა და სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მონაწილე.

საკოლმეურნეო შრომის ვეტერანი ი. გაჩეჩილაძე იყო საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი.

ბატონ ილიას ჰყავდა **მეუღლე – მართა ნიკოლოზის ას. ლომსაძე და რვა შვილი: გიორგი. ჟორა, თინა, მარგარიტა, ნაილი, ზაქარია, მერი, ამირანი.**

ოჯახის ყველა წევრი შრომის ფერხულში იყო ჩაბმული. ი.გ-ს ყველა შვილმა კარგი ოჯახი შექმნა.

(ბ-ნი ილიას **შვილიშვილი ლიანა ცოტაძე** სსრკ თასის სამგზის მფლობელი, სსრკ ხალხთა სპარტაკიადის ორგზის ჩემპიონი, ოლიმპიური თამაშების მე-3 პრიზიორია წყალში ხტომაში, ხოლო **შვილთაშვილი გიორგი მალხაზის ძე გაჩეჩილაძე** ცნობილი მოჭიდავეა (ქართულ ჭიდაობასა და ძიუდოში).

ლიტ.: გაზ. "სოფლის ცხოვრება", 1980 წ. 7 ოქტომბერი.

82. ირინა კანდელაკი

ექიმი- პედიატრი, გივი რაჟდენის ძე გაჩეჩილაძის მეუღლე.

იხილეთ სტატია № 23[ა]

83. ირინა გაჩეჩილაძე (გუნდაეთელი)

საქართველოს დამსახურებული მხატვარი-კერამიკოსი, თსსა დოცენტი.

დაიბადა 1921 წ. 31 დეკემბერს, თბილისში. **მშობლები: დოსითეოს გაჩეჩილაძე, ეკატერინე აშხარუმოვა.**

1948 წ. დაამთავრა თსსა -ის კერამიკის განყოფილება. სამხატვრო გამოფენებში მონაწილეობს 1949 წ-დან.

ძირითადი ნამუშევრები: "ქალის პორტრეტი" – ტერაკოტა (1955); დეკორატიული ვაზა "ცეკვა"(1962); "ლუდისა და თხილის კომპლექტი" (1962);დეკორატიული მარანი "ხორუმი", თიხა "1967", გამოფენები: ჩეხოსლოვაკია (პრაღა, 1962), საფრანგეთი (ვალორეხი, 1970); იტალია, ინდოეთი (1970); გამოყენებითი ხელოვნების საერთაშორისო – ნორვეგია, დანია, შვედეთი (1968); თურქეთი (1965); ირანი (1965).

მისი ნიმუშები დაცულია ინდოეთში, საბჭოთა კავშირის მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების ცენტრში, ჟენევის სამხატვრო აკადემიაში, მოსკოვის სამხატვრო ფონდში, თბილისის სამხატვრო გალერეაში. 1967 წ. მიენიჭა რესპუბლიკის დამსახურებული მხატვრის წოდება. საერთაშორისო გამოფენებზე მონაწილეობისათვის საფრანგეთსა და ჩეხოსლოვაკიაში დაჯილდოებულია დიპლომებით.

1969 წ -დან 2000 წ-მდე მუშაობდა თსსა კერემიკის კათედრაზე, იყო ამ კათედრის დოცენტი. ამჟამად პენსიონერია.

ქალბატონ ირინას ჰყავს **ორი ვაჟიშვილი: ზაქარია** (1958) და **გიორგი** (1960) ადიკაშვილები.

ლიტ.: ნ. კიკნაძე – "დეკორატიულ მონუმენტური კერამიკა 1950 – იან 1960 –იან წლებში; А. Какабадзе – "Современная Грузинская керамика; Библиографический словарь художников СССР, М. 1972 г.; Керамика и чеканка Грузии;"

"ვინ ვინაა თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში", თბ., 2000.

84. ირინა გაჩეჩილაძე

საქართველოს ი. ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის მუსიკალური განყოფილების მთავარი ბიბლიოთეკარი.

დაიბადა 1945 წ. 27 მაისს, თბილისში. **მშობლები: ვახტანგ გაჩეჩილაძე (1914-1991), ნელი ჯავახიშვილი (1924-2001).**

1962 წ. დაამთავრა დ. არაყიშვილის სახ. მუსიკალური სასწავლებელი - ფორტეპიანოს განხრით; 1968 წ. თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის ფრანგული ენის ფაკულტეტი.

1963 წ. მუშაობა დაიწყო თბილისის 39-ე საშ. სკოლასთან არსებულ მუსიკალურ სკოლაში ფორტეპიანოს პედაგოგად.

1968 წ-დან 1980 წ-დე იყო ამავე სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე.

1980 წლიდან დღემდე საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მუსიკალური განყოფილების მთავარი ბიბლიოთეკარია.

სხვადასხვა დროს არჩეული იყო: ინსტიტუტის, სასწავლებლის, სკოლის ორგანიზაციული – მეთოდური კომისიის წევრად, სახელმწიფო სალიცენზიო კომისიის წევრად. ქალბატონ ირინას ჰყავდა **მეუღლე – ზურაბ მჟავანაძე** (1941-2002), – თბილისის "მიონის" სამეცნიერო-კვლევითი ინსტ. უფრ. მეცნ. თანამშრომელი, განყ. გამგე.

მათი შვილები არიან: **ვლადიმერ მჟავანაძე** (1970) – ინჟინერი, მეცნ. თანამშრომელი, თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტი, **ნელი მჟავანაძე** (1970) - ფილოლოგი, ჟურნალისტი. ამჟამად ცხოვრობს და მუშაობს მოსკოვში.

85. ირინა გაჩეჩილაძე (ოთიაშვილი)
86.

რეჟისორი, მხატვარი.

დაიბადა 1977 წ. 12 ნოემბერს, თბილისში. **მშობლები: რევაზ გივის ძე გაჩეჩილაძე –** გეოგრაფიის მეცნ. დოქტორი, საქართველოს ყოფილი საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ისრაელის სახელმწიფოში... **მზია მარსაგიშვილი** – ისტორიის მეცნ. კანდიდატი.

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატი (1999); 2003 წ-დან სწავლობს მოსკოვის თეატრალური ინსტიტუტის მაგისტრატურაში.

მოღვაწეობს ხელოვნების სფეროში.

დადგა რამდენიმე პერფორმანსი.

ნახატების პერსონალური გამოფენა გამართა 2002 წ. ქ. კარმიელში (ისრაელი) გადაიღო მოკლემეტრაჟიანი ფილმი "ვაშლი" (2001), რომელმაც მიიღო

დიპლომი საქართველოს სტუდენტური ფილმების ფესტივალზე (2001), თესალონიკის (საბერძნეთი) მოკლემეტრაჟიანი ფილმების ფესტივალზე (2002), დსთ-ის და ბალტიის ქვეყნების ფილმების ფესტივალზე (ანაპა, რუსეთი, 2002).

2003 წელს გადაიღო ფილმი "შანთი", რომლის პრემიერა შედგა თელ -ავივში და თბილისში.

86. კარპო მიხეილის ძე გაჩეჩილაძე (ლანჩავა)

წევის კოლმეურნეობის თავმჯდომარე 1942-1943 წლებში.

ბატონ კარპოს ჰყავდა **ორი ქალიშვილი: თინა და ნადია.**

87. კასიანე გაჩეჩილაძე (ოთიაშვილი)

წევის წმიდა გიორგის ეკლესიის მოძღვარი.

დაიბადა 1879 წ., წევაში. გარდაიცვალა 1953 წ., წევაში.

მშობლები: ეფრემ იესეს ძე გაჩეჩილაძე – ზესტაფონის რ. სოფ. აჭარის ღვთისმშობლის ეკლესიის წინამძღვარი, **ტელფა (ატატო) ბესარიონის ას. გაჩეჩილაძე.**

კასიანე გაჩეჩილაძეს იმ დროს მოუწია წევის ეკლესიის მღვდლობა, როცა სასულიერო წოდების წარმომადგენლები იდევნებოდენ ხელისუფლების მიერ. 1920 -

იან წლებში მამა კასიანე გაუკრეჭიათ, მაგრამ იგი მაინც სიცოცხლის ბოლომდე აგრძელებდა მღვდელმსახურებას.

1915-1922 -1928 წლებში მას დიდი რისკის, შრომისა და წვალების ფასად ზესტაფონის საწყობიდან გამოუტანია და გადაურჩენია წევის ეკლესიისათვის მაშინდელი ხელისუფლებისაგან ჩამორთმეული ნივთები, რასაც იუწყებიან წევის საეკლესიო წიგნების ფურცლებზე მის მიერ გაკეთებული მინაწერები. ეს მინაწერები სხვა მრავალ საყურადღებო ცნობასაც გვაწვდიან.

მამა კასიანეს ჰყავდა **მეუღლე – ლეონინე იოსების ას. კალანდაძე** (1985-1963) და **ცხრა შვილი – ორი ქალიშვილი და შვიდი ვაჟი: ივანე, *თალიკო, პავლე, შალვა,* რაისა*, მიშა, ილია, პეტრე (ღუტო), გრიშა (ბახულა).**

87^. თამარ ქვლივიძე (გაჩეჩილაძე – ოთიაშვილების რძალი)

დაიბადა 1956 წ. 14 ივნისს. **მშობლები: იოსებ და ელიკო ქვლივიძეები.**

ქალბატონი თამარი, მრავალი წლის განმავლობაში, ჯერ როგორც ოფიციალური მცველი, შემდეგ კი საკუთარი ინიციატივით იცავდა და უვლიდა წევის ეკლესიას და ეკლესიის ინვენტარს. მისი ინიციატივით, წევის ეკლესიის ბიბლიოთეკა, რომელიც ინახებოდა ამ ეკლესიის ბოლო მღვდლის (XX საუკუნეში), კასიანე გაჩეჩილაძის, (ქ-ნი თამარის მამამთილის მამა) ოჯახში, ეკლესიას დაუბრუნდა.

ქალბატონმა თამარმა, ჩვენი ქვეყნისათვის უმძიმეს 1990- იან წლებში, გარკვეული წვლილი შეიტანა წევის სკოლის გადარჩენის საქმეში. ვინაიდან, ერთხანს, სკოლას არ ჰყავდა რუსული ენის სპეციალისტი, დაწყებით კლასებში ამ საგნის მასწავლებლობა, სამი წლის განმავლობაში, ქალბატონმა თამარმა იტვირთა. მანვე თავისი წვლილი შეიტანა სკოლის პედკოლექტივის მიერ, თანასოფლელების სულიერი გამხნევებისათვის, მოსწავლეთა ძალებით მოწყობილი კონცერტის მომზადებაში.

ქალბატონმა თამარმა მასპინძლობა და სათანადო დახმარება გაუწია "გაჩეჩილაძეთა, ჯაჭვაძეთა და წეველიძეთა საგვარეულო დარბაზის" წარმომადგენელს, ეკატერინე გაჩეჩილაძეს, წევის ეკლესიის და მისი ინვენტარის შესწავლის მიზნით წევაში სტუმრობის დროს.

სამი შვილის კარგად აღმზრდელი დედა, საუკეთესო დიასახლისი, გულისხმიერი, აქტიური, საზოგადო საქმეზე გულშემატკივარი ქალბატონი თამარი წევაში და გაჩეჩილაძეთა სანათესაოში ყველასთვის პატივსაცემი ადამიანია.

ქალბატონ თამარს ჰყავს **შვილები: გია, მაია, ლონდა**, სიძე და შვილიშვილი.

88. კოლა გაჩეჩილაძე

რევოლუციონერი.

გაზეთში "ჩვენი ცხოვრება"(1906 წ. № 8) გამოქვეყნებული ნეკროლოგი იუწყება:

“სადგურ აბაშაში “საერობო დარაჯებმა ვერაგულათ მოკლეს შრომით გაზრდილი, წვალებით ნასწავლი, ჭკუით სავსე კოლა გაჩეჩილაძე. მან პირველათ დაიწყო სწავლა რკინის გზის სასწავლებელში. შემდეგ ჩადგა რკინის გზის დეპოს ნაწილში. იქ მედგრათ იცავდა მუშათა ინტერესებს, მაგრამ პოლიციამ მას ფურცლები უნახა, დაიჭირეს მტარვალებმა და დაითხოვეს სამსახურიდან. მერე გადაიყვანეს თელავში ფოსტალიონათ. მაგრამ იქაც იძულებული გახდა დაენებებია თავი. შემდეგ ხან სოფლებში, ხან ჭიათურაში დადიოდა, რომ ჩაეგონებია ძმებისათვის, ვინ იყო მტერი, ვინ იყო მოყვარე...” “მას პოლიცია დაეძებდა” ... ბოლოს, – “ჯალათების ტყვიამ იმსხვერპლა”

89. კონსტანტინე გაჩეჩილაძე

საქართველოს საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს რესპუბლიკური გაერთიანება “საქტრანსექსპედიციის” სამოქალაქო თავდაცვის ინჟინერი.

დაიბადა 1906 წ., გარდაიცვალა 1989 წ. **მშობლები: არქიფო და ქსენია გაჩეჩილაძეები.**

დაამთავრა ულიანოვსკის უმაღლესი სატანკო სასწავლებელი. მუშაობდა მრავალ პასუხსაგებ თანამდებობაზე. დაჯილდოებული იყო “სამამულო ომის მეორე ხარისხის”, “წითელი დროშის” და “წითელი ვარსკვლავის” ორდენებით და მედლებით. მიღებული ჰქონდა სამკერდე ნიშანი “50 წელი სკკპ რიგებში”.

ბ-ნ კონსტანტინეს დარჩა **შვილი - ფარიდა,** შვილიშვილები: ლალი და დათო ჭანტურიები.

ლიტ.: გაზ. “თბილისი”, 1989 წ. 13 ივლისი.

90.კონსტანტინე გაჩეჩილაძე (ოთიაშვილი)



ისტორიკოსი, პოეტი, მწერალი, პედაგოგი.

დაიბადა 1899 წ. 24 ნოემბერს, სოფ. წევაში, გარდაიცვალა 1977 წ.. **მშობლები: მაკარ ეფრემის ძე გაჩეჩილაძე** – წევის ეკლესიის დეკანოზი, **ანა ივანეს ას. არაბიძე.**

დაწყებითი განათლება მიიღო მშობლიური სოფლის სკოლაში (რომლის გამგე და ყველა საგნის მასწავლებელი წლების განმავლობაში იყო მამამისი). შემდეგ, სწავლა

ქუთაისის გიმნაზიაში განაგრძო. 1918 წ. კ.გ. შევიდა თბილისის ახალგახსნილ უნივერსიტეტში სიბრძნის მეტყველების, მისი დამთავრების შემდეგ კი (1922 წ.), სიტყვიერების ფაკულტეტზე. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, ივ. ჯავახიშვილმა, რომელიც მისი ლექტორი იყო შესთავაზა კ.გ. –ს მასთან დარჩენა სამუშაოდ, მაგრამ კ.გ. იძულებული იყო უარი ეთქვა, რადგან არ გააჩნდა მატერიალური სახსარი და სკოლაში დაიწყო მასწავლებლობა. სხვადასხვა დროს, სხვადასხვა სკოლაში ასწავლიდა ქართულ ენასა და ლიტერატურას, რუსულს, ისტორიას, გეოგრაფიას. საშ. სკოლაში მუშაობასთან ერთად პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა მუშათა პოლიტექნიკუმში, 1939-1960 წ. ისტორიასა და ქართული ენის სწავლების მეთოდიკაში სალექციო კურსს კითხულობდა ცხინვალის პედინსტიტუტში.

1916 წ-დან, ჯერ კიდევ გიმნაზიაში სწავლისას, კ.გ. ბეჭდავდა თავის ლექსებსა და მინიატურებს ჟურნალ-გაზეთებში. ახლო მეგობრობა ჰქონდა ტერენტი გრანელთან.

ურთულესი წინააღმდეგობებით აღსავსე დროებამ ხელი შეუშალა კ.გ-ს თავისი ნიჭის, შესაძლებლობებისა და ცოდნის სრულად წარმოჩენაში. მისიმრწამსი, თვალთახედვა და მოსაზრებები, რომელიც მას ოჯახში ჩამოუყალიბდა და რომელსაც ის თავის შემოქმედებაში ამჟღავნებდა, იმ დროისათვის მიუღებელი აღმოჩნდა, რის გამოც ხშირად ზღუდავდნენ. თუმცა მისმა პედაგოგიურმა მოღვაწეობამ აღიარება მოიპოვა – იგი დაჯილდოებული იყო "შრომის წითელი დროშის" ორდენითა და მედლებით.

კ.გ–ს დარჩა მდიდარი არქივი, რომელიც დიდძალ საინტერესო ლიტერატურულ და ისტორიულ მასალას მოიცავს: მრავალ გამოუქვეყნებელ ლექსს, მოთხრობას, ნოველას, მინიატურას, ორ რომანს, ტერენტი გრანელთან დაკავშირებულ მრავალ მნიშვნელოვან ცნობას, ისტორიულ ნაშრომებს: ანტონ I კათალიკოსის შესახებ, ნიქოზის ეკლესიისა და ცხინვალის ისტორიის შესახებ, ვრცელ ნაშრომს შორაპანზე, წერილს წევის სკოლის ისტორიის შესახებ: – "წევის სკოლა 110 წლისაა" ("სკოლამდელი აღზრდა და დაწყებითი სკოლა" 1970 წ. №1) ისტორიულ საბუთებს, ფოტოებს...

(სასიხარულოა, რომ მის არქივს გამოუჩნდა მზრუნველი მისი შვილიშვილის – **მარინა ქადაგიძის** სახით იხილეთ ბიოგრაფია № 90ᵃ).

კ. გაჩეჩილაძეს ჰყავდა **მეუღლე – თამარ იოსების ას. ჯაიანი.**

მათ დარჩათ **შვილები: ქეთევანი (ლიანა) და ია.**

ლიტ.: გაზ. "სახალხო განათლება", 1937 წ. 25 თებერვალი;

მარინა ქადაგიძე, "მივიწყებული სახეები", გაზ. "ჯორჯიან ტაიმსის" ლიტერატურული დამატება –"ხომლი", 2003 წ., 24-27 IV.

90ᵃ. მარინა ქადაგიძე

ისტორიკოსი-წყაროთმცოდნე, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.

დაიბადა 1961 წ. **მშობლები: ია კონსტანტინეს ას. გაჩეჩილაძე (ოთიაშვილი), არჩილ ილიას ძე ქადაგიძე.**

დაამთავრა თსუ ისტორიის ფაკულტეტი. არის 2 წიგნისა და 30-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი.

აღსანიშნავია, რომ **მარინა ქადაგიძე** დიდი სიყვარულით და მზრუნველობით მოეკიდა თავისი ბაბუის – ისტორიკოსისა და მწერლის კონსტანტინე გაჩეჩილაძის ნაღვაწს. მან საფუძვლიანად შეისწავლა კ. გაჩეჩილაძის არქივი (რომელიც შეიცავს კ. გაჩეჩილაძის გამოუქვეყნებელ ლიტერატურულ ნაწარმოებებს და ისტორიულ გამოკვლევებს, მრავალრიცხოვან ისტორიულ საბუთებს, ფოტოებს და სხვა) და დიდი შრომა გასწია მის გამოსამზეურებლად. მან გამოსცა წიგნი – "სივრცეში დარჩენილი ფრაზები", რომელშიც ტერენტი გრანელის და მწერალ კონნე სპერელლის (კ. გაჩეჩილაძის) მეგობრობის ამსახველ მასალას აცნობს მკითხველს; აბრეშუმის გზისადმი მიძღვნილ I საერთაშორისო სიმპოზიუმზე (2003), რომელიც ჩატარდა სასტუმრო მეტეხში, მ. ქადაგიძემ წაიკითხა კ. გაჩეჩილაძის ნაშრომი "ქალაქი შორაპანი და მისი ეკონომიური და თავდაცვითი მნიშვნელობა 1801 წლამდე" (თეზისები დაიბეჭდა); გ. მელიქიშვილისადმი მიძღვნილ კრებულში იბეჭდება კ. გაჩეჩილაძის სტატია ანტონ კათალიკოსის შესახებ; ისტორიის ინსტშრომების კრებულში –"ანალები" იბეჭდება კ. გაჩეჩილაძის ნაშრომი ცხინვალის შესახებ; მ. ქადაგიძემ კ. გაჩეჩილაძის ნაშრომები გამოაქვეყნა მრავალრიცხოვან ჟურნალ-გაზეთებშიც და კვლავ განაგრძობს მათ პუბლიკაციას.

მარინა ქადაგიძე გათხოვილია აფციაურზე. ჰყავს ორი ვაჟიშვილი.

91, 91ᵃ. ლაზარე, გრიშა და რაჟდენ გაჩეჩილაძეები

რევოლუციონერები (XX საუკ. დასაწყისი)

ანტონ კელენჯერიძის წიგნში "გურჯები"(თბ., 1975 წ.), რომელშიც განხილულია ქართველების მონაწილეობა ირანის 1905-1911 წლების რევოლუციაში. არის ცნობები წეველი რევოლუციონერების **ლაზარე, გრიშა და რაჟდენ გაჩეჩილაძეების** შესახებ. ეს ცნობები მისთვის მიუწოდებია **დ.პ. გაჩეჩილაძეს**, ა. კელენჯერიძის მიერ 1971 წ. 24 დეკემბერს გაზ. "კომუნისტში" გამოქვეყნებული წერილის პასუხად.

დ.პ. გაჩეჩილაძე იტყობინებოდა, რომ: - ლაზარე მისი "მახლობელი და მეზობელი იყო ზესტაფონის რაიონის სოფ. ზედა წევაში. ლაზარე უღარიბესი გლეხის შვილი იყო, ადრე დაობლდა მამით, ობლად დარჩენილ ორ მცირეწლოვან ძმას და დაქვრივებულ დედას ნათესავები და მეზობლები უწევდნენ მზრუნველობას.

სოფ. წევა ყოფილ შორაპნის მაზრაში გამოირჩეოდა თავისი მიუდგომელი მდებარეობით, რასაც პირველი რევოლუციის დროს მოხერხებულად იყენებდნენ მეფის რეჟიმის წინააღმდეგ შეთქმული მებრძოლები. აქ ხშირად იკრიბებოდნენ რევოლუციონერები საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან: გურიიდან, სამეგრელოდან, აჭარიდან. თვით იმერეთიდან. აწყობდნენ ფარულ კრებებს, ადგენდნენ საბრძოლო გეგმებს და წყვეტდნენ ხელისუფლების საწინააღმდეგო გამოსვლების პრაქტიკულ საკითხებს. ცნობისმოყვარე პატარა ლაზარე გაჩეჩილაძე მათ შორის ტრიალებდა. ერთხელ, ლაზარე დაიკარგა, გავრცელდა ხმა წითელ რაზმელებს გაჰყვაო. დიდმა ხანმა გაიარა და სოფელში მივიდა წერილი და სურათი. ლაზარე კუბოში წევს, თავს სამი კაცი და ერთი თმაგაშლილი ქალი დასტირის, წერილში კი ეწერა ტიფით გარდაიცვალაო და

დედას ანუგეშებდნენ, თქვენმა შვილმა სასახელო საქმეები გააკეთა, მომავლისათვის დასდო თავიო.”

უფრო ვრცელი ცნობები მიუწოდებია ჭიათურის რაიონის სოფ. ეწერში მცხოვრებ პენსიონერ პედაგოგს **შალვა ისმაილის ძე კუპატაძეს,** “რომელსაც დედა წეველი გაჩეჩილაძის ქალი ყოლია, თვითონაც დედულეთში გაზრდილა და ახსოვს ის ამბავი, რაც იქ 1905-1906 წლებში ხდებოდა:

“შორაპნის მაზრაში სოფელი წევა გამოირჩეოდა მის მახლობელ სოფლებს შორის პროგრესული ადამიანებითა და ინტელიგენციით. ძლიერი იყო ამ სოფელში რევოლუციისათვის მებრძოლი ჯგუფები და რაზმები, რომლებსაც **გრიშა და ლაზარე გაჩეჩილაძეები** ედგნენ სათავეში.

წევაში ეწყობოდა ერთთვიანი ბაზრობა პირველი ივლისიდან პირველ აგვისტომდე. --- აქ შემოდიოდნენ ხელოსნები და ვაჭრები საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან. გრიშა, ლაზარე და ზეინკალი რაჟდენ გაჩეჩილაძეები მათ შორის ავრცელებდნენ პროკლამაციებს.

გრიშას კავშირი ჰქონდა დამყარებული თავის ძმასთან, შემდეგში ცნობილ **პროფესორ ივანე ერასტის ძე გაჩეჩილაძესთან,** რომელიც მაშინ სტუდენტი იყო, სწავლობდა რუსეთში და აწვდიდა ძმას მუშათა კლასის ბრძოლებისა და აჯანყებების ამბებს.

როდესაც რევოლუციური აჯანყების ალი საქართველოსაც მოედო, გრიშა და ლაზარე გაჩეჩილაძეებს მჭიდრო კავშირი ჰქონდათ დამყარებული **აფრასიონ მერკივლაძესთან** (შორაპნის მაზრის წითელი რაზმის მეთაური იყო – ა.კ.), წევასა და წიფლავაკეში (სოფელია ზესტაფონის რაიონში – ა.კ.). წითელი რაზმელების ძლიერი ჯგუფი მოქმედებდა **გრიშა და ლაზარე გაჩეჩილაძეების** ხელმძღვანელობით. ისინი მონაწილეობას ღებულობდნენ რთულ ოპერაციებში, როგორიც იყო: ზესტაფონის ხაზინასა და პოლიციაზე თავდასხმა, წიფაში პლასტუნ-კაზაკების განიარაღება და მთელი რიგი სხვა.

როცა რეაქციამ გაიმარჯვა, ეს რაზმებიც დაიშალა, **ცნობილ ჯალათს ლავრენტი მახარაძეს** (ზესტაფონის პრისტავი იყო – ა.კ.) ყველგან ყავდა მაზრაში თავისი ჯაშუშები და ერთ მშვენიერ დღეს, ჯაშუშ **ტარიელა გაჩეჩილაძის** (მეტსახელად “მწარე კვახი”) დაბეზღებით, დააპატიმრეს ლაზარე გაჩეჩილაძე, რომლის მოკვლა გზაშივე უნდოდათ, მაგრამ ვერ გაბედეს, ტერორისა შეეშინდათ. ლაზარე გაასამართლეს **პავლე საყვარელიძესთან, არსენ ქარსიძესთან, ანდრია აბაშიძესთან, ვასო კიკნაძესთან, მიხეილ პოდკოლზინთან, საშა (ალექსანდრე) სტეფანოვთან, სიმონ ჟღენტთან, მარკოზ და დიანოზ ცერცვაძეებთან** და სხვებთან ერთად და კატორღა-გადასახლება მიუსაჯეს სხვადასხვა ვადით.

ლაზარე გაჩეჩილაძე გადასახლებიდან გამოიპარა და პოლიციის თვალის ასახვევად წევაში გამოგზავნა ზემოხსენებული ფოტოსურათი. ეს ფოტო ხელიდან ხელში გადადიოდა და პოლიციის აგენტებისათვისაც გახდა ცნობილი. ლ. მახარაძემაც გაიგო ეს ამბავი და მანაც მკვდრად ჩათვალა ლაზარე.

სინამდვილეში, ლაზარე გადასახლებიდან ბაქოში ჩადის და ებმება არალეგალურ რევოლუციურ მუშაობაში. აქედან კი 1908 წლის აგვისტოში ირანს იგზავნება შაჰის

ჯარების წინააღმდეგ მებრძოლი რევოლუციონერის სათარ-ხანის დასახმარებლად 30 სხვა ქართველ რევოლუციონერთან ერთად.

როგორც ცნობილია, **ლაზარე გაჩეჩილაძე** ირანშივე დაიღუპა (ყვავილის სახადმა იმსხვერპლა).

ინტერესმოკლებული არ არის ამხ. კუპატაძის მოგონების ის ნაწილიც, რომელიც რეაქციის პერიოდს შეეხება.

იმ დროს, როცა ირანში რევოლუცია ბობოქრობდა, ჩვენში ალიხანოვ-ავარსკის შავბნელი ძალები ნადირობდნენ ცოცხალ ადამიანებზე. სახრჩობელაზე კიდებდნენ რევოლუციონერებს და ცეცხლის ალში ახვევდნენ დაბა-სოფლებს.

ლაზარეს თანამებრძოლი **გრიშა ერასტის ძე გაჩეჩილაძე** არალეგალურად ცხოვრობდა. გაჩნდნენ პროვოკატორები, რომლებიც ძარცვავდნენ ხალხს და ხმას ავრცელებდნენ, თითქოს ამას მერკვილაძისა დაგაჩეჩილაძის ჯგუფები აკეთებდნენ, რათა სახელი გაეტეხათ რევოლუციონერებისათვის, კერძოდ, გრიშა გაჩეჩილაძის ჯგუფისათვის.

რევოლუციონერები ყოველნაირად ცდილობდნენ აღეკვეთათ ასეთი პროვოკაციები, ხელთ ეგდოთ პროვოკატორები. ერთ დღეს გრიშამ შეიტყო, რომ საწაბლესა და შროშაში (სოფლებია ზესტაფონის რაიონში – ა.კ.) მოხდა თავდასხმები მისი სახელით. გრიშა სასწრაფოდ გაეშურა იქ თავისი მცირე რაზმით, შეიპყრო ყაჩაღთა ერთი ჯგუფი, რომელსაც სათავეში ედგა ვიღაც **ტალახაძე.** გრიშამ ეს შავრაზმელი ბანდიტები, რომლებიც 4 კაცისაგან შესდგებოდა, შეკოჭილები ჩამოიყვანა წევაში. მეორე დღეს შექმნა სახალხო სასამართლო და უნდოდა მათი ფიზიკურად მოსპობა. მაგრამ **ერასტი გაჩეჩილაძე** (გრიშას მამა) აღუდგა წინ.

დაჩოქილები ემუდარებოდნენ გრიშას პატიებას. გრიშამ მათ ხელები გაუხსნა, თითო-ოროლა მათრახი უჭირა, იარაღი აყარა და გაუშვა, ტალახაძეს კი ზურგზე ქაღალდი მიაწება – წარწერით "ჩვენ ვყაჩაღობდით და არა წითელრაზმელებიო".

ეს ამბავი მთელმა მაზრამ გაიგო. გრიშასაც აღარ უცოცხლია დიდხანს. 1907 წლის ზაფხულში ისიც ხსენებულმა ჯაშუშმა **ტარიელა გაჩეჩილაძემ** გასცა. გრიშა პოლიციელებმა მოკლეს პრისტავ **კოლია ნემსაძის** მეთაურობით. ჯაშუშ ტარიელას კი ერთ დღეს პოლიციის ტანსაცმელში გადაცმული ორი წითელრაზმელი მიადგა სახლში და დაარწმუნა, რომ მას იწვევდა ზესტაფონის მაზრის უფროსი ჯილდოს მისაცემად, ტარიელაც გაჰყვა. სახლიდან ცოტა მოშორებით, ღორღნალში ჩააძაღლა გამცემი გრიშა გაჩეჩილაძის რაზმელმა ლავრენტი მუმლაძემ, რომელსაც შემდეგში სამუდამო კატორღა მიუსაჯეს, პრისტავი ნემსაძე კი უფრო გვიან, 1912 წელს ზესტაფონში მოკლეს იონა ლორთქიფანიძის რაზმელებმა. "

92. ლარისა გიორგის ას. ქურდაძე – გაჩეჩილაძე

გამოჩენილი ქორეოგრაფი...

თენგიზ ივანეს ძე გაჩეჩილაძე – ლობიოს მეუღლე.
იხილეთ სტატია № 71[ა].

93. ლედი გაჩეჩილაძე

პათოლოგანატომი, მედიცინის მეცნ. კანდიდატი, უმცროსი მეცნ. თანამშრომელი.

დაიბადა 1933 წ. 6 იანვარს, თბილისში. **მშობლები: ფილიმონ ფილიმონის ძე გაჩეჩილაძე, სოფიო ნიკოლოზის ას. კუკულაძე.**

დაამთავრა თსსი სანჰიგიენური ფაკულტეტი (1951-57); მუშაობდა: ტუბერკულოზის ს/კ რესპუბლიკურ ინსტიტუტში (1958-60), საქ. მეცნიერებათა აკადემიის ალ. ნათიშვილის სახ. ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტში (1966-68), სახ. სამედიცინო უნივერსიტეტის რეანიმატოლოგიისა და ანეს თეზიოლოგიის კათედრასთან არსებულ საპრობლემო ლაბორატორიაში (1968-96), 1996წ -დან დღემდე მუშაობს აკადემიკოს ალ. ნათიშვილის სახ. ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტში; დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია (1965); ავტორია 91 სამეცნიერო ნაშრომისა, რომლებიც ეხება დისჰორმონულ სიმსივნეთა მორფოლოგიას. მწვავე სისხლდენის შედეგად ტერმინალური მდგომარეობით გამოწვეული მორფოლოგიური ცვლილებების შესწავლას. მათ შორისაა ორი მონოგრაფია: "თავის ტვინის დიდი ჰემოსფეროების შუბლის მიდამოს ქერქის ნატიფი ციტოარქიტექტონიკის შესწავლისათვის ფილოგენეზში", 1963. "სარძევე ჯირკვლებისა და საკვერცხეების სტრუქტურული და ჰისტოქიმიური თავისებურებანი სინესტროლის ინექციების დროს " (ექსპერიმენტული გამოკვლევა)" – 1967; არის საქართველოს პათოლოგანატომთა სამეცნიერო საზოგადოებისა და თბილისის ანატომთა, ჰისტოლოგთა და ემბრიოლოგთა სამეცნიერო საზოგადოების წევრი.

ქალბატონ ლედის ჰყავს **მეუღლე – ნოდარ ჭიჭინაძე და შვილები: კონსტანტინე და მარიამი.**

ლიტ.: ვინ ვინაა თანამედროვე ქართულ სამედიცინო მეცნიერებაში, თანამედროვე ქართველ მედიკოსთა ბიოგრაფიული ენციკლოპედია 2000.

94. ლევან გაჩეჩილაძე

საქართველოს დამსახურებული ინჟინერ-ენერგეტიკოსი.

დაიბადა 1905 წ., ზესტაფონში, გარდაიცვალა 1981 წ. **მამა – სამსონ გაჩეჩილაძე.**

დაამთავრა ზესტაფონის საშუალო სკოლა და ტექნიკუმი. 1931 წ. წარჩინებით დაამთავრა ამიერკავკასიის ენერგეტიკული ინსტიტუტი ინჟინერ-ელექტრომექანიკოსის

სპეციალობით. 1932 წ-დან 1933 წ-მდე მუშაობდა ქ. გორკის ოლქის ბალაშიხის "გოგრესის" მორიგე ინჟინრად. 1933 შემოდგომაზე გადაყვანილი იქნა საქენერგოს სისტემაში ზესტაფონის ქვესადურის უფროსად. 1936 წლიდან 1947 წლის ბოლომდე მუშაობდა რიონჰესის ჯერ მთავარ ინჟინრად, შემდეგ დირექტორად. 1948 წ-დან გადაიყვანეს ხრამჰესის დირექტორად, საიდანაც 1959 წ. დააწინაურეს საქმთავარენერგოს მთავარ ინჟინრად. 1961წ. იგი, როგორც დარგის გამოჩენილი სპეციალისტი, მიიწვიეს საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში პროფესორის მოვალეობის შემსრულებლად და ერთდროულად ავტომატიკის და გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტის დეკანად. 1963 წ. გადაიყვანეს ენგურჰესის კასკადის მშენებლობის დირექციის დირექტორად. 1971 წ-დან ავადმყოფობის გამო გავიდა პენსიაზე.

არის საქართველოს დამსახურებული ინჟინერი.

დაჯილდოებულია: ორი "წითელი დროშის ორდენით", "მეგობრობის ორდენით", "საპატიო ნიშნის ორდენით";

აგრეთვე მედლებით: "შრომითი წარჩინებისათვის", "კავკასიის დაცვისათვის", "1941-1945 წწ. წარჩინეული შრომისათვის", "ვ.ი. ლენინის დაბადების 100 წლ. საიუბილეო მედლით" და საკავშირო – "ფრიადოსანი-ენერგეტიკოსის" სამკერდე ნიშნით;

რამდენიმეჯერ არჩეული იყო ადგილობრივი საბჭოების დეპუტატად (ქუთაისში, წალკაში).

ჰყავდა **მეუღლე: თინა ვლადიმერის ასული აბაშიძე.**

შვილები: ჯონდო გაჩეჩილაძე – რესპუბლიკის დამს. ინჟინერი,

მარინა გაჩეჩილაძე – მუსიკის მასწავლებელი.

სამი შვილიშვილი: **ლევანი** – პარლამენტარი, "GWS" –ის პრეზიდენტი,

გიორგი – მსახიობი, – "უცნობი",

მანანა კანდელაკი – ინგლისური ენის სპეციალისტი.

95. ლევან გაჩეჩილაძე

ცნობილი ბიზნესმენი, თბილისის ვაკის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი.

დაიბადა 1964 წ. 20 ივლისს, თბილისში. **მშობლები: ჯონდო ლევანის ძე გაჩეჩილაძე, ნანა თევზაძე-გაჩეჩილაძე.**

1970 წ -დან სწავლობდა ქ. თბილისის 55-ე საშ. სკოლაში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1981 წ. იმავე წელს ჩაირიცხა თსუ საინჟინრო-ეკონომიკურ ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1986 წ. ეკონომისტ-მათემატიკოსის სპეციალობით.

1986-1988 წწ. უნივერსიტეტის კათედრის ლაბორანტია.

1988-1991 წწ. სავაჭრო -ინდუსტრიული ფირმა "ლილო"-ს კომერციული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე.

1990 წ. სწავლა განაგრძო ლიუვენის (ბელგია) ბიზნეს-სკოლაში.

1991-1993 წწ. სპორტის დეპარტამენტის კომერციული განყოფილების უფროსის მოადგილეა.

1993 წ. აფუძნებს "საქართველოს ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანიას" (GWS) და ხდება ამ კომპანიის გენერალური დირექტორი.

1997 წ. ირჩევენ შპს "GWS" –ის პრეზიდენტად.

1999 წ. ასახელებენ საქართველოს საუკეთესო ბიზნესმენად,

ამავე წელს ამტკიცებენ პარლამენტის ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარედ.

2002 წ. დასაწყისში თავისი განცხადების თანახმად ტოვებს პარლამენტს.

2002 წ. მაისში თანამოაზრეებთან ერთად აფუძნებს "ახალი მემარჯვენეების" პარტიას.

2002 წ. არჩეულია თბილისის საკრებულოს წევრად.

2003 წ. ნოემბერში იმარჯვებს ვაკის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის არჩევნებში.

მეუღლე: მიქელაძე ნინო – ექიმი-პედიატრი.

შვილები: რატი (1986), **გიორგი** (1989) და **კონსტანტინე (კოტო)** (1996) – მოსწავლეები.

96. ლევან გაჩეჩილაძე – ოთიაშვილი (პატარა ოთიას შთამომავალი)

წევის სკოლის ყოფილი დირექტორი.

დაიბადა 1914 წ., გარდაიცვალა 1988 წ. **მამამისი - აკაკი ოთიას ძე გაჩეჩილაძე** – რუსული ენის პედაგოგი ყოფილა.

თვითონ ბატონი ლევანი ჯერ ძირულას საშ. სკოლაში გეოგრაფიას ასწავლიდა, 1972-75 წლებში კი წევის რვაწლიანი სკოლის დირექტორი იყო.

მას დარჩა **შვილები: ოთარი** (1944), **იზა** (1946), **დალი** (1948), **აკაკი** (1953).

ლიტ.: გაზ. "ჯაჭვი", 5 მაისი, 2003 წ. დალი გაჩეჩილაძე, "ცოტა რამ სოფელ წევის შესახებ".

97. ლია გაჩეჩილაძე

მუსიკის მასწავლებელი, დირიჟორი, მსახიობი, ღირსების ორდენის კავალერი.

ლ. გაჩეჩილაძე დაიბადა 1936 წ. 15 ივნისს, დ. ხარაგაულში. **მშობლები: ვარლამ იოკიმეს ძე გაჩეჩილაძე** (დაიღუპა მეორე მსოფლი ომში), **მარიამ სამსონის ას აბულაძე – გაჩეჩილაძე**

დაწყებითი განათლება მიიღო ხარაგოულის I საშ. სკოლაში, შემდეგ კი ქალთა საშ. სკოლა დაამთავრა. მე-7 კლასიდან მუშაობდა ხარაგაულის სიმღერისა და ცეკვის სახელმწ. ანსამბლში, სადაც ხელფასს იღებდა. სკოლაში სწავლის პერიოდშივე იგი ხელმძღვანელობდა I და II საშ. სკოლების მოსწავლეთა გაერთიანებულ მომღერალთა და მოცეკვავეთა გუნდს, წარმატებით მონაწილეობდა საქართველოში გამართულ ბავშვთა თვთშემოქმედებით ოლიმპადებზე, რისთვისაც მრავალჯერ დაჯილდოვდა. ზაფხულის არდადეგებზე მუშაობდა პიონერხელმძღვანელად და კულტმუშაკად ზვარეს, სურამის, ახალდაბის, გუდაუთის და სხვა პიონერთა ბანაკებში, სადაც იღებდა ხელფასს, რითაც ფინანსურად ეხმარებოდა თავის უმამოდ დარჩენილ ოჯახს. იგი მე-11 კლასში სწავლობდა, როცა მათ რაიონს ესტუმრენ კონსერვატორიის პროფესორები გრ. კილაძე, ვ. ქაშაკაშვილი და ხელოვნების სამმართვ. უფროსი ვალ. დოლიძე. მათ მოიწონეს ლ. გაჩეჩილაძის მუსიკალური მონაცემები და წამოიყვანეს იგი სასწავლებლად თბილისში – ნიჭიერ ბავშვთა მუსიკალურ ათწლედში, სადაც ჩაირიცხა საგუნდო-სადირიჟორო განყოფილებაზე.

1959 წ. დაამთავრა ზემოხსენებული ფაკულტეტი და ჩააბარა თბილისის კონსერვატორიაში. სტუდენტობის წლებში მუშაობდა 44-ე, 29-ე, 117-ე, 24-ე საშ. სკოლებში და გარდაბნის სკოლა – ინტერნატში სიმღერისა და გუნდის მასწავლებლად; კულტურის სახლებში: კოოპერაციის, ვაჭრობის, ძერჟინსკის სახ, გარდაბნის; ხალმძღვანელობდა პარფიუმერიისა და საიუველირო ქარხნების გოგონათა ვოკალურ ანსამბლს. თბილისის № 5 საავადმყოფოს ექიმებისა და ექთნების გაერთიანებულ მომღერალთა გუნდს; მუშაობდა შოკოლადის ქარხნის კლუბის გამგედ; თბილისის 1500 წლისთავის ზეიმზე წარმატებით უხელმძღვანელა I მაისის რაიონის მომღერლებს, რისთვისაც დაჯილდოვდა პირველი ხარისხის დიპლომით. ამავე დროს, მონაწილეობდა ყვავილებისა და სიმღერის დღესასწაულებზე; მუშაობდა ძერჟინსკის სახ. კულტურის სახლში შს სამინისტროს ვოკალურ ანსამბლ "იავნანას " ხელმძღვანელად. კონცერტებით შემოვლილი აქვს საქართველოს თითქმის ყველა ქალაქი და სოფელი.

1961 წ. ჩაა ბარა სახელმწ. თეატრალური ინსტიტუტის საოპერეტო ფაკულტეტზე. ჰქონდა ძლიერი ხმა (მეცო სოპრანო), მაგრამ ვინაიდან ბევრს მუშაობდა და ყელი მუდამ გადაღლილი ჰქონდა, გადავიდა სამსახიობო ფაკულტეტზე. სწავლის პერიოდში მუშაობდა მსახიობად სახ. ფილარმონიაში.

1961 წ. დაიწყო მუშაობა თბილისის 24 –ე საშ. სკოლაში მუსიკის მასწავლებლად და მომღერალთა გუნდის ხელმძღვანელად, ამავე სკოლის მუსიკალური ათწლედის ვოკალურ – ინსტრუმენტული ანსამბლის ხელმძღვანელად და თეორია –სოლფეჯიოს მასწავლებლად, აქ მუშაობს დღემდე (2004 წ.)

1969 წ. ექსტერნად ჩააბარა პირველ საშ. სკოლასთან არსებულ მუსიკ. ათწლედში ფორტეპიანოს განხრით. აღზრდილი ჰყავს მრავალი ნიჭიერი მუსიკოსი, მომღერალი: პ. ბურჭულაძე, გ. დოლიძე, ნ. გლუნჩიძე, ზ.მამალაძე, ნ. გაბაშვილი, ო. ტატიშვილი და სხვა... მისი წარმატებული მოღვაწეობა მრავალი სხვადასხვა სახის ჯილდოთი აღინიშნა. 2002 წ. კი 55 წლის ნაყოფიერი, დაუღალავი შრომისათვის "ღირსების ორდენით" დაჯილდოვდა.

ქალბატონ ლიას ჰყავს **მეუღლე – ნიკოლოზ დიმიტრის ძე აფციაური და ქალიშვილი – ქეთევანი,** რომელიც სწავლობს აშშ-ში ნიუჯერსის შტატში, თან მუშაობს მუსიკის მასწავლებლად.

98. ლილი გაჩეჩილაძე (ლანჩავა)

უნივერმაღ "თბილისის" პარფიუმერია-საათების ჯგუფის უფროსი საქონელმცოდნე...

დაიბადა 1943 წ. 2 მარტს, თბილისში. **მშობლები: ვარლამ ნიკოლოზის ძე გაჩეჩილაძე, ანიკო ხარატიშვილი.**

1960 წ. დაამთავრა თბილისის მე -3 საშ . სკოლა ვერცხლის მედალზე. იმავე წელს ჩაირიცხა თსუ ეკონომიკის ფაკ-ზე, რომელიც დაამთავრა 1965 წ.- უმაღლესი კატეგორიის საქონელმცოდნისა და ორგანიზატორის სტატუსით. მუშაობა დაიწყო თბილისის ცენტრალურ უნივერმაღში-საქონელმცოდნედ. მუშაობდა ჯერ სექციის გამგის მოადგილედ, 1966 წ-დან ფასების ეკონომისტად, 1968 წ-დან პარფიუმერია – საათების უფრ. საქონელმცოდნედ. აქტიურად მონაწილეობდა უნივერმაღის პროფკავშირულ და კომკავშირულ საქმიანობაში. იყო პროფკავშირის ადგილკომის თავმჯდომარე, ალკკ მდივნის მოადგილე, პროპაგანდისტი. საუკეთესო მუშაობისათვის 1968 წ. გაგზავნილი იქნა ტურისტული საგზურით უნგრეთში.

იყო მომღერალი უნივერმაღის თვითშემოქმედებით კოლექტივში, – მონაწილეობდა დარგის რესპუბლიკურ და საკავშირო ოლიმპიადებში; იყო უნივერმაღის ფრენბურთელთა გუნდის კაპიტანი, მონაწილეობდა დარგის სპარტაკიადებში ქალაქისა და რესპუბლ. მასშტაბით.

1974 წ. გადაიყვანეს ახალგახსნილ უნივერმაღ "თბილისში" - ჯგუფის უფრ. საქონელმცოდნედ. მიღებული აქვს მედლები, პრემიები, გარდამავალი ვიმპელები – საქონელბრუნვის გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის. იყო უნ. "თბილისის" ალკკ მდივნის მოადგილე, პროპაგანდისტი. მუშაობდა ვაჭრობის უფრ. ინსპექტორად. შრომის მეცნიერული ორგანიზაციის უფრ. ეკონომისტად, ფასების უფრ. საქონელმცოდნედ, (1968-1979), უფრ. ბუღალტრად (1987-2003).

1990 წ. არჩეული იქნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სახალხო მსაჯულად, ამ საქმიანობას აგრძელებს დღემდე.

ქალბატონ ლილის ჰყავს **მეუღლე – გურამ ჩიქოვანი.**

შვილები: ლევანი და დათო, რძალი და შვილიშვილები.

99. მაია ანტიფოს ას. რაფავა

ფილოლოგიის მეცნ. დოქტორი.

გიორგი სიმონის ძე გაჩეჩილაძე-ბელტიყლაპიას მეუღლე.
იხილეთ ბიოგრაფია № 36[ა]

100. მაკარ გაჩეჩილაძე (ოთიაშვილი)

დეკანოზი, წევის წმიდა გიორგის ეკლესიის წინამძღვარი, ღვაწლმოსილი პედაგოგი.

დაიბადა 1859 წ. 5 იანვარს, სოფ. წევაში (მოინათლა 15 იანვარს, ნათლია და მიმქმელი- მღვდლები შიო გაჩეჩილაძე და ლუკა ქიოტიშვილი)[ბ]. გარდაიცვალა 1943წ. 10 იანვარს, თბილისში. დაკრძალულია კუკიის სასაფლაოზე.

მის **მშობლებს: ეფრემ იესეს ძეს** * (შორაპნის მ. სოფ. აჭარის ეკლესიის წინამძღვარი) და **ტელფა (ატატო) ბესარიონის ას. ჩანკვეტაძეს** შვიდი შვილი ჰყავდათ, რომელთაგან მამა მაკარის გარდა, კიდევ სამი გახდა მღვდელი.

1876 წ. დაასრულა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი. 17 წლისამ დაიწყო მასწავლებლობა თავისი ბაბუის – იესეს (სესიას) სახლში 1860 წ. გახსნილ სკოლაში, სადაც 41 წ. იმსახურა. 1902 წ.-მდე იგი 27 წელი ასწავლიდა ყველა საგანს, ხოლო 1902 წ-დან 1917 წ-მდე სკოლის გამგე იყო.

ღვთისმსახურება დაიწყო 1880 წ. – მედავითნედ შორაპნის მ. სოფ. ილემის წმ. გიორგის ეკლესიაში. 1881 წ. ხელდასხმულ იქნა მთ. დიაკვნად ყვირილის (ქ. ზესტაფონის) ნათლისმცემლის ეკლესიაში, 1884 წ. კი მღვდლად – წევის წმიდა გიორგის ეკლესიაში. 1923 წ. აიყვანეს დეკანოზის ხარისხში, ხოლო 1929 წ. დაამტკიცეს წევის წმ. გიორგის ეკლესიის მთავარ ხუცესად (წინამძღვრად)[ა].

მ.გ. ცნობილი იყო როგორც ღვთისმოშიში, განსწავლული და პიროვნულად ძლიერი მოძღვარი, რომელიც მოსახლეობაში რწმენის განმტკიცებისათვის და სოფლის გაძლიერებისათვის იღვწოდა. 1890 წ. მან, მისმა მამამ – მღვდელმა ეფრემმა და მღვდელმა ლუკა მაღრაძემ, თავიანთი მრევლის შეწევნით, ერთობლივად გაგზავნეს ფულადი შეწირულობა "დავით აღმაშენებლის სამლოცველოს განსაახლებლად და წმიდა მოწამეთა დავითისა და კონსტანტინეს კუბოს მოსაპოვებლად"[ბ]. მამა მაკარს კავშირი ჰქონდა ათონის მონასტერში მცხოვრებ ქართველ ბერებთან, რომელთაც იგი მატერიალურად ეხმარებოდა.[ბ]

მაშინ, როცა ბოლშევიკების ათეისტური რეჟიმის რეპრესიების გამო, თითქმის შეუძლებელი გახდა მღვდელმოქმედება, უფლის, სამშობლოსა და მოყვასის სიყვარულით გულანთებული მოძღვარი თავდადებით ემსახურებოდა წმიდა სალოცავს. მისთვის სარწმუნოება და სიკეთის კეთება განუყოფელი იყო. წევის ეკლესიის კედლების საიდულმო საცავებში, სადაც ძნელბედობისას სიწმიდეებს მალავდნენ. მან ბოლშევიკებისაგან დევნილნი გადამალა და მრავალი ადამიანის სიცოცხლე იხსნა, თვითონაც განსაცდელში მყოფი, მისმა ყოფილმა მოწაფეებმა გადაარჩინეს დაღუპვას. სწორედ სარწმუნოებისათვის თავდადებისა და პატიოსანი ღვთისმსახურებისათვის დაიმსახურა მან აღიარება და მაღალი ხარისხის სამღვდელო ჯილდოები: 1889 წ. იგი საგვერდულით დაჯილდოვდა, 1908 წ. – სკუფიით, 1916 წ. – კამილავკით, 1923 წ. – სამკერდე ჯვრით, ხოლო 1930 წ. – ენქერით; როგორც უკვე აღვნიშნეთ, იგი აყვანილი იქნა დეკანოზისა და მთავარხუცესის ხარისხებში.[ა]

1923 წ. მ.გ -მ თავის შვილს, ექიმ ნიკოლოზს, კათოლიკოს ამბროსი ხელაიას მეგობარს, დაუტოვა ანდერძი, რომ მის შვილებს, დედ-მამის გარდაცვალების შემდეგ, მათი სულების მოსახსენებლად შესაწირავი ეგზავნათ ისეთ მონასტერში, სადაც "ნიადაგი წირვა-ლოცვა იქნება..."

1930-იანი წლების მორიგი რეპრესიების დროს, შვილებმა მოძღვარი გამოარიდეს გარდაუვალ განსაცდელს და წევიდან თბილისში გადმოიყვანეს, სადაც სიცოცხლის ბოლომდე აგრძელებდა ღვთისმსახურებას ჩუღურეთის (კუკიის) წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში. მ.გ-ს ამ ეკლესიაში გადმოყვანის შესახებ თბილისის ოლქის მთავარხუცესმა დეკანოზმა – იოანე ცქიტიშვილმა მისწერა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, კალისტრატე ცინცაძეს: – "სრული იმედი მაქვს, რომ --- დეკანოზი მაკარი, რომელიც მცირე შემოსავალს არ უშინდება და ეკლესიაში ცხოვრების მოსურნეც არის, --- როგორც ღირსებული მოძღვარი, ფხიზელი, საღვთო წერილის საკმაოდ მცოდნე ---

მიუხედავად მოხუცებულობისა, ჯერ კიდევ ენერგიით სავსე, შესძლებს ეკლესიის მოვლას და მის გამოცოცხლებას”[ა].

წევის ეკლესიის დატოვებას ვერ შეგუებული მამა მაკარი ერთი წლის შემდეგ წერილობით ატყობინებს კათოლიკოს პატრიარქს, რომ ტოვებს თბილისში სამსახურს და სთხოვს მას შუამდგომლობას ქუთათელ მიტროპოლიტ სიმეონთან, რომ – “აღმადგინოს ისთევე --- წევის წმიდა გიორგის ეკლესიაზე იმ წესით, როგორც ვიყავით ადრე”[ა]. – კათოალიკოს- პატრიარქმა იგი თბილისში, ჩუღურეთის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში შტატგარეშე მღვდლად დატოვა და მისცა მას წევაში ყოფნის დროს ღვთისმსახურების შესრულების უფლება. ამის შემდეგ მ.გ. ყოველ ზაფხულს ჩადიოდა წევაში, უვლიდა ეკლესიას და თავის კარ-მიდამოს.

დიდი სამამულო ომის პირველ წლებშიც იმდენად შეზღუდული იყო მოძღვრისა და საერთოდ მორწმუნეთა ყოფა, რომ მამა მაკარს 1942 წ. კათოლიკოს-პატრიარქის სპეციალური ნებართვა დასჭირდა, რათა ეკურთხა მიცვალებულების საფლავი ვაკის და წმ. ნინოს ეკლესიის სასაფლაოებზე. წევიდან თბილისში გადმოსული მამა მაკარი სიცოცხლის ბოლომდე ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას რკინიგზის სკოლაში.

მაკარ გაჩეჩილაძეს ჰყავდა **მეუღლე – ანა ივანეს ას. არაბიძე და შვიდი შვილი: ნიკოლოზი**, * **დავითი, გრიგოლი, კონსტანტინე,* ვერა, გალინა და მარიამი.** პედაგოგმა მღვდელმა თითოეულ მათგანს უმაღლესი განათლება მიაღებინა.

ტექსტი შადგინეს **გოჩა არონიშიძემ და ნიკოლოზ შურღაიამ**.

ა. ინფორმაცია ამოღებულია საპატრიარქოს არქივში დაცული მ.გ.-ს პირადი საქმიდან.

ბ. 1890 წ. გაზ. “მწყემსი”.

გ. მარინა ქადაგიძე – “თუ ადამიანს რაიმე მართლა სწამს ის ძნელი ცხოვრებით ცხოვრობს”.

გაზ. “საპატრიარქოს უწყებანი”, 2003 წ. 10 (217) 14-20 მარტი.

101. მამუკა გაჩეჩილაძე (ბელტიყლაპია)

საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის განყოფილების უფროსი.

დაიბადა 1969 წ. 3 ნოემბერს, ქ. თბილისში. **მშობლები: გიორგი სიმონის ძე გაჩეჩილაძე*** – ცნობილი ლიტერატორი პოლიტოლოგი, საზოგადო მოღვაწე. **მაია ანტიფოს ას. რაფავა** * – ფილოლოგიის მეცნ. დოქტორი, პროფესორი.

1986 წ. დაამთავრა თბილისის №1 ექსპერიმენტული სკოლა. 1991 წ. დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი ინჟინერ-ქიმიკოს-ტექნოლოგის სპეციალობით.

1991 წ. დაამთავრა თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტის საზღვარგარეთ მისავლინებელ პირთათვის უცხო ენების შემსწავლელი კურსები; 1992 წ. – თბილისის მენეჯერთა სკოლა.

1993-94 წწ. მუშაობდა თბილისის მეწარმეთა საქალაქო კორპორაციაში მთავარ ექსპერად.

1995 წ. ინგლისში გაიარა მაღალი ინტენსივობის ინგლისური ენის კურსები ლონდონის Anglocontinental-ის სკოლაში.

მ. გაჩეჩილაძე მუშაობს საქართველოს სოფლის მეურნეობის და სურსათის სამინისტროში. იყო საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის წამყვანი სპეციალისტი, საერთაშორისო დახმარების კოორდინაციის სამმართველოს უფროსი.

1997 წ. მ. გაჩეჩილაძე იყო გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ჯგუფის უფროსი. 1998-2000 წწ. მუშაობდა გაეროს ირიგაციისა და დრენაჟის რეაბილიტაციის საცდელი პროექტის კოორდინატორად. 1999-2001 წწ. იყო გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის მევენახეობისა და მეღვინეობის რეაბილიტაციის პროექტის კოორდინატორი.

მ. გაჩეჩილაძე მონაწილეობდა სოფლის მეურნეობის და სურსათის პრობლემებისადმი მიძღვნილ მრავალ სემინარსა და კონფერენციაში. იყო სამთავრობო დელეგაციების წევრი იტალიაში, იაპონიაში, ესტონეთში.

მ. გაჩეჩილაძე დღემდე არის სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის განყოფილების უფროსი.

102. მანანა გაჩეჩილაძე (ლანჩავა)

ინჟინერ-ეკონომისტი, სააქციო საზოგადოება "დუღაბი-94"-ის დირექტორის მოადგილე.

დაიბადა 1953 წ. 16 მაისს, სოფ. ზიკილიაში. **მშობლები: ალექსანდრე (უშანგი) გაჩეჩილაძე*** – ზიკილიის საშ. სკოლის დირექტორი, **ელენე ქურციკიძე** – ამავე სკოლის პედაგოგი.

1969 წ. დაამთავრა ზიკილიის საშ. სკოლა, 1980 წ. თსუ საინჟინრო ეკონომიკის ფაკ. – ინჟინერ ეკონომისტის სპეციალობით.

1974 წ -დან მუშაობდა თბილისის №15 ტრესტის სახლმშენებელ ქარხანაში აღმრიცხველად, 1975 წ-დან იქვე – ინჟინერ-ეკონომისტად, ხოლო 1986-1994 წწ. – საგეგმო განყ. უფროსად.

1994 წ. აღნიშნული ორგანიზაცია გარდაიქმნა ს/ს "დუღაბი -94" – ად, სადაც მუშაობს დღემდე დირექტორის მოადგილედ ეკონომიკის დარგში.

103. მარიამ გაჩეჩილაძე (ჭიმატი)

ღვაწლმოსილი პედაგოგი, საგანმანათლებლო საქმის ორგანიზატორი.

მ. გაჩეჩილაძე დაიბადა 1920 წ., გარდაიცვალა 1977 წ. 2 ოქტომბერს.

მშობლები: ზოსიმე გრიგოლის ძე გაჩეჩილაძე (მდიდარი აზნაური), **ვალენტი ბიჭიას ას. ნანიტაშვილი.**

1929 წ. მათი ოჯახი განაკულაკეს. შრომისმოყვარე ოჯახმა ყველა (რვა) შვილს მისცა უმაღლესი განათლება. მარიამმა 1938 წ. წარჩინებით დაამთავრა ს. ყარსუბნის საშ. სკოლა. როგორც მოწინავე კომკავშირელი, საქართველოს ალკკ-ს მიერ მივლინებული

იყო პიონერხელმძღვანელთა რესპუბლიკურ კურსებზე, რომლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ყარსუბნის საშ. სკოლაში უფროს პიონერხელმძღვანელად.

1945 წ. დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტი. 1953 წ. ხელმეორედ დაამთავრა იგივე ფაკულტეტი.

მ. გაჩეჩილაძე პედაგოგიურ მუშაობას ეწეოდა ყარსუბნის, ვარდისუბნის, გიორგეთის, ფიჩხიბოგირის და ცოდნის სკოლებში.

1946 წ-დან 1953 წ-მდე მუშაობდა ფიჩხიბოგირის სკოლის დირექტორად.

1953 წ-დან 1968 წ-მდე ს. ცოდნის სკოლის დირექტორად.

1968 წ -დან 1977 წ-მდე მუშაობდა ლაგოდეხის სკოლა-ინტერნატისა და ილ. ჭავჭავაძის სახ. №1 სკოლაში ლოგოპედად.

იგი გამოირჩეოდა საქმისადმი ერთგულებით და საზოგადოებრივ შრომაში თავდადებით, რითაც მოსწავლეების და თანამშრომლების სიყვარულსა და პატივისცემას იმსახურებდა. მუშაობდა პარტორგანიზაციის მდივნად. სხვადასხვა დროს იყო აგიტკოლექტივის ხელმძღვანელი, საზოგადოება "ცოდნის" ხელმძღვანელი, საარჩევნო უბნის თავმჯდომარე, ნდობით აღჭურვილი პირი, სახალხო მსაჯული, ამხანაგური სასამართლოს თავმჯდომარე და სხვა.

იგი დაჯილდოებულია საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის მიერ სიგელით და მედლით: "1942-1945 წლების დიდი სამამულო ომის "ზურგში" თავდადებული "შრომისათვის" და "უმწიკლო შრომისათვის"

მარიამ გაჩეჩილაძეს ჰყავდა **მეუღლე: - იასონ სიმონის ძე გობეჯიშვილი და სამი შვილი**.

104. მარიამ (ნანა) გაჩეჩილაძე (ოთიაშვილი)

ექიმი - მეან-გინეკოლოგი.

დაიბადა 1927 წ. 3 იანვარს, ქ. ზესტაფონში, გარდაიცვალა 1990 წ.

მშობლები: იესე ალმასხანის ძე გაჩეჩილაძე, ნინო სოკრატეს ას. გველესიანი – გაჩეჩილაძე. 1944 წ. დაამთავრა ზესტაფონის №2 საშ. სკოლა. 1944 -1951 წწ. სწავლობდა თსსი-ს სამკურნალო ფაკულტეტზე, რომლის დამთავრებისთანავე მუშაობა დაიწყო ექიმ ორდინატორად ზესტაფონის სამშობიარო სახლში, სადაც იმუშავა სიცოცხლის ბოლომდე.

ზესტაფონის რაიონში მიჩნეული იყო ერთ-ერთ წარჩინებულ მეან-გინეკოლოგად, გამორჩეულ ექიმ-დიაგნოსტიკოსად. თავის მოღვაწეობას თვითონაც თვლიდა წარმატებულად, რადგან მას მუშაობის 40 წლის განმავლობაში არ დაღუპვია არცერთი მშობიარე და არცერთი ბავშვი. ეს კი იმის შედეგი იყო, რომ იგი სისტემატურად იმაღლებდა კვალიფიკაციას: მრავალჯერ გაიარა ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის

კურსები. მჭიდრო კავშირი ჰქონდა კ. ჩაჩავას სახელობის სამეცნ.-კვლევით ინსტიტუტთან, ყოველთვის ეცნობოდა სიახლეებს და იყენებდა პრაქტიკულ საქმიანობაში.

ქალბატონ მარიამს დარჩა მეუღლე, ორი შვილი და შვილიშვილი.

105. მარიამ (მარინე) გაჩეჩილაძე (ლანჩავა)

ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა კანდიდატი.

დაიბადა 1954 წ. 14 აპრილს, ქ. გორში. **მშობლები: მიხეილ ნიკოლოზის ძე გაჩეჩილაძე*** – საქართველოს დამსახ. ინჟინერი, არქიტექტორი **მარიამ პლატონის ას. ღიბრაძე** – ექიმი. 1976 წ. დაამთავრა თსსა ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტი და მუშაობა დაიწყო სმაკ-ის გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტში ჯერ ლაბორანტის, შემდეგ კი უმცრ. მეცნიერ მუშაკის თანამდებობაზე. ამასთანავე, მუშაობს პედაგოგად დიდი დიღმის ხელოვნების კოლეჯში.

მ. გაჩეჩილაძის ძირითადი მეცნიერული ნაშრომებია: "ნ. ბარათაშვილის პოეზიის გრაფიკული ინტერპრეტაცია ლადო გრიგოლიას შემოქმედებაში", ჟ.- "საბჭოთა ხელოვნება", №4, 1979; ლ. გრიგოლიას წიგნის გრაფიკა", ქართული ხელოვნების IV საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები, თბ., 1983; "ლ. ქუთათელაძე" კატალოგი, წინასიტყვაობა თბ., 1984; "მხატვრის გახსენება" (ლ. გრიგოლია), ჟ. "საბჭოთა ხელოვნება", №5, 1987; "ქართული ექსლიბრისი" (წინასიტყვაობა გერმ. და ინგლ. ენებზე) თბ., 1990; "გრიგოლ ტატიშვილის შემოქმედება", კრებული "მწიგნობარი", 1990; "ლ. გრიგოლიას წიგნის გრაფიკა" "არს გეორგიკა", ტ. 12, 1991; "ქართული დაზგური გრაფიკისა და ექსლიბრისის ოსტატები" (ვ. ქუთათელაძე, მ. თუშმალიშვილი), "დილის გაზეთი" 30. V. 1997…

მ. გაჩეჩილაძე მონაწილეობდა ქართული ხელოვნების IV (თბ. 1983) და VI (თბ. 1989) საერთაშორისო სიმპოზიუმებში.

1997 წ. მან დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე "ქართული ექსლიბრისის ხელოვნება". ჯერ სსრკ და შემდეგ საქართველოს მხატვართა კავშირის წევრია 1983 წლიდან.

მ. გაჩეჩილაძეს ჰყავს **მეუღლე – ნოდარ აფციაური** მხატვარი (1951), **ორი ვაჟიშვილი: დემური** (1975) და **გიორგი** (1979), რძალი და შვილიშვილები.

ლიტ.: "ვინ ვინაა თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში", 2002 წ.

106. მარიამ გაჩეჩილაძე

საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი, ლენინისა და "შრომის წითელი დროშის" ორდენის კავალერი.

დაიბადა 1897 წ., ბათუმში. გარდაიცვალა 1977 წ. **მამა – ქსენაფონტე გაჩეჩილაძე.**

ქუთაისის ქალთა გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ექსტერნად ჩააბარა გამოცდები უმაღლესი დაწყებითი სკოლის მასწავლებლის წოდების მოსაპოვებლად. მუშაობდა ოზურგეთის მაზრის სოფ. ბახვში უმაღლესი დაწყებითი სკოლის რუსული ენისა და გეოგრაფიის მასწავლებლად. იმავე თანამდებობაზე ზესტაფონის იმავე ტიპის სასწავლებელში. 1928 წ-დან იყო სკკპ წევრი. 1933 წ. თსუ ფილოლოგიური ფაკულტეტის წარმატებით დამთავრების შემდეგ მუშაობდა თელავში – პირველ და მე-2 საშ. სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად, სასწავლო ნაწილის გამგედ, დირექტორად, სასკოლო ინსპექტორად, პედაგოგიურ კაბინეტთან არსებული ქართული ენისა და ლიტერატურის მეთოდური სექციის ხელმძღვანელად. იყო განათლების მუშაკთა პროფკავშირის თელავის რაიკომის წევრი და სათავეში ედგა მისი საწარმოო-მასობრივი კომისიის საქმიანობას. იყო მასწავლებელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი რაიონული და რესპუბლიკური კურსების ლექტორი, რაიონული საბჭოს ოთხი მოწვევის დეპუტატი. თავმჯდომარეობდა რაისაბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების მუდმივ კომისიას. იყო თელავის კპ რაიკომის მოწინავე პროპაგანდისტი, სასამართლო მსაჯული და შემცვლელი მოსამართლე, მეცნიერული და პოლიტიკური ცოდნის გამავრცელებელი საზოგადების თელავის ფილიალის წევრი. ლექციებს კითხულობდა თელავის რ. საწარმოო-დაწესებულებებში… დაჯილდოებული იყო ლენინისა და შრომის წითელი დროშის ორდენებით და მედლებით. იყო პერსონალური პენსიონერი.

ლიტ.: გაზ. "სახალხო განათლება", 1977 წ. 10 ივნისი.

107. მარინა არჩილის ას ქადაგიძე

გაჩეჩილაძე – ოთიაშვილების შთამომავალი,
იხილეთ სტატია № 90 ᵃ.

108. მატათე გაჩეჩილაძე (ოთიაშვილი)

მწერალი, ადვოკატი.

108[ა]. გიორგი (გივი) გაჩეჩილაძე (ოთიაშვილი)

ექიმი.

მატათე გაჩეჩილაძე დაიბადა 1922 წ. 30 აგვისტოს, თბილისში, დამსახ. ექიმის **ნიკოლოზ მაკარის ძე გაჩეჩილაძისა და ანა გერმანეს ასულ მებურიშვილის** ოჯახში.

დაამთავრა თბილისის 47-ე საშუალო სკოლა, თბილისის აგროტექინსტიტუტი-იურიდიული განხრით, 1952 წ-დან იგი იურისკონსულტი იყო თბილისის ოლქის აღმასკომში, 1954 წ. საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის წევრი გახდა.

პარალელურად ეწეოდა ლიტერატურულ მუშაობას. 1949 წ. გადმოაქართულა ფონვიზინის კომედია "უმწიფარა", რომელიც დაიდგა ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახ. თეატრში ვასო ყუშიტაშვილის მიერ.

1952 წ -დან 1957 წ-მდე თბილისის თოჯინების თეატრში იდგმებოდა მისი ორიგინალური პიესა "ჭკუა და გამოცდილება", დაწერა ვოდევილი "ფეხბურთის მოყვარული და მონადირე", რომელიც მრავალი წლის განმავლობაში იდგმებოდა ხალხური შემოქმედების სცენაზე. საქართველოს ფილარმონია სარგებლობდა მის მიერ შედგენილი სკეტჩებით.

1963 წ. გამოსცა საბავშვო წიგნი "მე ვცხოვრობ ქ. თბილისში". დაწერა პატარა მოთხრობები და იგავები, რომლებიც იბეჭდებოდა ჟურნალებში: "ნიანგი", "დროშა", გაზეთებში: "თბილისი", "ახალგაზრდა კომუნისტი", "ზარია ვოსტოკა". თარგმნიდა და გაზეთებში სერიალების სახით აქვეყნებდა ლევ შეინინის დეტექტურ მოთხრობებს. ნიჭიერი, ერთობ გონებამახვილი და ანამოსწრებული მწერალი გარდაიცვალა 2001 წ. 18 აპრილს. დაკრძალულია ვაკის სასაფლაოზე მშობლების და შვილის **გივი მატათეს ძე გაჩეჩილაძის** გვერდით, რომელიც პროფესიით ექიმი-თერაპევტი გახლდათ. იგი, თავის დროზე იუნიორ წყალბურთელთა ნაკრების წევრი, ხოლო ფიზკულტურის ინსტიტუტში სწავლის დროს რესპუბლიკის პრიზიორი იყო თარჯრბენში.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ექიმად. გარდაიცვალა 1991 წ. 43 წლის ასაკში.

ტექსტი შეადგინეს **ნიკოლოზ შურღაიამ და გოჩა არონიშიძემ.**

109. მაყვალა გაჩეჩილაძე (ოთიაშვილი)

ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის წამყვანი მეცნ. თანამშრომელი.

დაიბადა 1928 წ. 1 აპრილს, წევაში. **მშობლები: ალექსანდრე გაჩეჩილაძე** – პედაგოგი, **თამარ მაჩაბელი** – დიასახლისი.

1947 წ. დაამთავრა თბილისის 24-ე საშ. სკოლა. 1947-52 წლებში სწავლობდა თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტზე. 1952 წ-დან მუშაობდა პედაგოგად ზუგდიდის რ. სოფ. ორულუს საშ. სკოლაში; პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში; საქართველოს სსრ სათეატრო მუზეუმში – ბიბლიოთეკის გამგედ; 1972 წ-დან სმაკ-ის სამეცნიერო ინფორმაციის სექტორში – უფრ. მეცნ. თანამშრომლად.

1971 წ. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე "მე-19 მე-20 საუკუნეთა მიჯნის ქართული დრამატურგია". 1981 წ-დან მუშაობს რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში – უფრ. მეცნ. მუშაკის თანამდებობაზე; 1998 წ. 5 V-დან ამავე ინსტიტუტის წამყვანი მეცნ. თანამშრომლის თანამდებობაზე.

ძირითადი ნაშრომები: წიგნები:

1) ვახტანგ კოტეტიშვილი (ცხოვრება და მოღვაწეობა) 1990 წ.

2) გაზეთი "ცნობის ფურცელი". (მონოგრაფია) თბ., 1990 წ;

3) საქართველო გერმანულ ენოვან წყაროებში. ბიბლიოგრაფია ქართულ და გერმანულ ენებზე. თბ, 1991 წ. ;

4) სამაჩაბლოს ოსების ყოფა-ცხოვრება, ზნე-ჩვეულება, კულტურა, მეცნიერება, თბ., 1996 წ.;

5) ესტონეთ -საქართველოს კულტურული ურთიერთობის ისტორია (ბროშურა) 1964 წ.;

6) 1978წ. ფილოლოგიის დარგში გამოცემული ლიტერატურის რეფერატული მიმოხილვა.

1979 წ. (რუს. ენაზე); 40 -ზე მეტი სტატია, რომელთა დიდი ნაწილი გამოქვეყნებულია ჟურნალებში: "საბჭოთა ხელოვნება", "მაცნე", "კრიტიკა" "Литературная Грузия", ლიტერატურის ინსტიტუტის კრებულში "ქართული ჟურნალისტიკა" და სხვადასხვა გაზეთებში.

გარდა ჟურნალისტიკის საკითხებისა, მისი ნაწერების ძირითადი თემატიკა დაკავშირებულია ი. ჭავჭავაძისა და ა. წერეთლის შემოქმედებასთან, პროფესიული და სახალხო თეატრის და საქართველოს დემოგრაფიის საკითხებთან.

ქალბატონ მაყვალას ჰყავს **შვილი – თამარ სულხანის ას. გაჩეჩილაძე** და ორი შვილიშვილი.

110. მეგი გაჩეჩილაძე

ქირურგი, მედიცინის მეცნ. კანდიდატი.

დაიბადა 1948 წ. 20 ივნისს, თბილისში, **მშობლები: გიორგი არჩილის ძე გაჩეჩილაძე** – ინჟინერი. **თამარ თომას ას. ფერაძე** – პედაგოგი.
დაამთარა თსსი სამკურნალო ფაკულტეტი (1966-1972); იყო რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მედიკო-სანიტარული ნაწილის პოლიკლინიკა-საავადმყოფოს გაერთიანების ექიმი-ტრავმატოლოგი (1972-1974), თბილისის პროფესორ ნ. კახიან ის სახ. რკინიგზის კლინიკური საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების ექიმი – ორდინატორი (1974-1991), თსს-ი საფაკულტეტო ქირურგიის კათედრის ასპირანტი (1980-1984), 1991 წლიდან კათედრის ასისტენტია. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია: "პანკრეასის ფუნქციონალური მდგომარეობა ნაწლავთა გარეთა ფისტულების დროს (1988). ავტორია 47 სამეცნიერო ნაშრომისა ქირურგიის აქტუალურ საკითხებზე. არის თბილისის გრ. მუხაძის სახ. ქირურგიული საზოგადოების წევრი.

ქალბატონ მეგის ჰყავს **მეუღლე – კარლო ამბაკოს ძე კვაჭაძე და შვილები: მაია, თამთა, დავითი.**
ლიტ.: ვინ ვინაა თანამედროვე ქართულ სამედიცინო მეცნიერებაში. თანამედროვე ქართველ მედიკოსთა ბიოგრაფიული ენციკლოპედია, 2000.

111. მეგი გაჩეჩილაძე (ოთიაშვილი)

ელექტროქიმიურ წარმოებათა ტექნოლოგი, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის სამმარ-თველოს განყოფილების უფროსი…

დაიბადა 1933 წ. 23 თებერვალს, ქ. ზესტაფონში. **მშობლები: იესე ალმასხანის ძე გაჩეჩილაძე** – ხარაზი. **ნინო სოკრატეს ას. გველესიანი** – დიასახლისი. 1951 წ. დაამთავრა ზესტაფონის №2 საშ. სკოლა (შემდგომში №2 ქალთა) ოქროს მედლით. 1956 წ. წარჩინებით დაამთავრა სპი-ს ქიმიური ტექნოლოგიის ფაკულტეტი – ელექტროქიმიურ წარმოებათა ტექნოლოგის სპეციალობით. მუშაობა დაიწყო თბილისის ქარხანა "ელექტროგამშვებში" ინჟინრად. 1957-1982 წწ. მუშაობდა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში №3 ელექტროლიტური მანქანების საამქროში – ცვლის უფროსად, უფროს ოსტატად, საამქროს უფროსის მოადგილედ. 1982 წ-დან 1989 წ-მდე მუშაობდა იმავე ქარხნის სამმართველოში განყოფილების უფროსად, შემდეგ ქარხნის

ცენტრალური ლაბორატორიის (სადაც მუშავდება ახალი ტექნოლოგიები) სამეცნიერო-კვლევითი ჯგუფის უფროსად. 1993 წ. სექტებმერში ავადმყოფობის გამო გავიდა პენსიაზე.

წარჩინებული მუშაობისათვის მიღებული აქვს მრავალი მადლობა და ჯილდო. მინიჭებული აქვს "ოქროსხელებიანი ოსტატის" წოდება. 10 წლის განმავლობაში არჩეული იყო უზენაესი სასამართლოს მსაჯულად.

112. მელერი გაჩეჩილაძე (ღიღინა)

ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, ქუთაისის ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, "გაჩეჩილაძეთა, ჯაჭვაძეთა და წეველიძეთა საგვარეულო დარბაზის" ქუთაისის განყოფილების ხელმძღვანელი.

დაიბადა 1937 წ. სოფ. წევაში. **მშობლები: ვარლამ გაჩეჩილაძე, სონია კიკნაძე**.

1952 წ. დ აამთავრა წევის რვაწლიანი, ხოლო 1955 წ. ძირულის საშ. სკოლა – ვერცხლის მედლით, 1965 წ. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი – წარჩინებით.

1973 წ. დაამთავრა დ.ი. მენდელეევის სახ. ქიმიურ ტექნოლოგიური ინსტიტუტის ასპირანტურა (ქ. მოსკოვი) და დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – "ნატიფი ორგანული სინთეზის პროდუქტების ტექნოლოგია".

1965-1970 მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობებზე ხონის პოლიმერკონტეინერის ქარხანაში, ხოლო 1973 -1997 წწ. იყო მთავარი ინჟინერი. 1976 წ-დან მუშაობს ქუთაისის ნ. მუსხელიშვილის სახ. ტექნიკურ უნივერსიტეტში დოცენტად, 2002 წ-დან – პროფესორად.

გამოქვეყნებული აქვს 52 სამეცნიერო და 10 საგაზეთო სტატია.

ბატონ მელერის ჰყავს **მეუღლე: ნაილი აპოლონის ას. წვერავა და ვაჟი – ზვიადი.**

113. მერი გაჩეჩილაძე-ჯანდიერი (ოთიაშვილი)

ხელოვნებათმცოდნე, შ. ამირანაშვილის სახ. საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ღვაწლმოსილი მუშაკი.

დაიბადა თბილისში, 1935 წ. 17 თებერვალს. **მშობლები: ივანე კასიანეს ძე გაჩეჩილაძე, მარიამ (მერცია) ირაკლის ას. მიქაძე.**

1953 წ. დაამთავრა ქ. თბილისის №8 საშ. სკოლა, ხოლო 1958 წ. თსუ ისტორიის ფაკ-ის ხელოვნებათმცოდნეობის სპეციალობა. სტუდენტობის დროს, აკად. შ. ამირანაშვილის ხელმძღვანელობით მუშაობდა არქეოლოგიურ ექსპედიციებში (ეშერა, თეთრიწყარო), 1956-58 წწ. ხელმძღვანელობდა თსუ ხელოვნებათმცოდნეობის სპეციალობის სტუდენტთა პრაქტიკულ მეცადინეობებს მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის მუზეუმების და კულტურის ძეგლების გასაცნობად.

1959 წ -დან დღემდე მუშაობს შ. ამირანაშვილის სახ. საქართველოს ხელოვნების სახელმწ. მუზეუმში უფროს მეთოდისტად, ამასთანავე კითხულობს ქართულ და მსოფლიო ხელოვნების ისტორიის კურსს თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში: თსუ-ში – ისტორიის ფაკ. ხელოვნების ისტორიისა და თეორიის განყოფილებაზე და ხელოვნების საზ. პროფესიათა ფაკულტეტზე (1967-75 წწ), სამედიცინო ინსტიტუტში, სტომატოლოგიურ ინსტიტუტში, პოლიციის აკადემიაში.

1960-64 წწ. სწავლობდა თსუ ხელოვნების ისტორიისა დ ა თეორიის კათედრის ასპირანტურაში, ამავე პერიოდში მუშაობდა "საქართველოს უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოების" სახვითი ხელოვნ. განყოფილებაში, სადაც მონაწილეობდა იუნესკოს მიერ დადგენილ ხელოვნების მოღვაწეთა საერთაშორისო იუბილეების (ვ. ვან-გოგის. პ. გოგენის, პ. რუბენსის…) აღსანიშნავი ღონისძიებების მოწყობაში და იქვე გამართულ ქართველ მხატვართა გამოფენების განხილვაში.

ხელოვნების მუზეუმში იგი მონაწილეობდა აკად. შ. ამირანაშვილის მიერ მოწყობილ არქეოლოგიურ ექსპედიციებში (უფლისციხე 13 სეზონი), სვანეთის, ქართლის ძეგლები – როგორც საველე სამუშაოებში, ისე მოპოვებული მასალის კამერალურ დამუშავებაში. მონაწილეობდა მუზეუმში დაცული საგანძურის აღრიცხვა – პასპორტიზაციაში, საქართველოს არქიტექტურის ძეგლების აზომვა – აღწერაში.

გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნიერო და პოპულარული სტატია საქართველოში და მის საზღვრებს გარეთ, მათ შორის "ერთი ქართული ნაქარგობა ინგლისში", ჟურნ. "საბჭოთა ხელოვნება" 1964 წ., №3. სტატიები ქართველი ფერმწერების: ა. ციმაკურიძის, დ. კაკაბაძის, ე. ახვლედიანის, ა. ვარაზის და სხვათა შემოქმედების შესახებ.

მ. გაჩეჩილაძეს დიდი ღვაწლი მიუძღვის ხელოვნების მუზეუმში დაცული ქართული და მსოფლიო ხელოვნების ძეგლების პოპულარიზაციის საქმეში. მრავალი წელია იგი მაღალკვალიფიციურ მეგზურობას უწევს ამ საგანძურის დამთვალიერებლებს და მკვლევარებს. მის მიერ ჩატარებული ლექცია-საუბრები და კონსულტაციები გამოირჩევა შინაარსის სიღრმით და პატრიოტული შემართებით.

2001 წლის დეკემბრიდან ქალბატონი მერი "გაჩეჩილაძეთა, ჯაჭვაძეთა და წეველიძეთა საგვარეულო დარბაზის" წევრია.

მ. გაჩეჩილაძეს ჰყავს **ორი შვილი – ქეთევან ირაკლის ას**. (1972) **და დავით ირაკლის ძე** (1975) **ჯანდიერები.**

114. მზეთამზე (მზია) გაჩეჩილაძე (ოთიაშვილი)

სულხან საბა ორბელიანის სახ. პედაგოგიური უნივერსიტეტის ინგლისური ენის კათედრის უფრ. მასწავლებელი.

დეკანოზ მაკარის შვილიშვილი, მზეთამზე (მზია) გაჩეჩილაძე, დაიბადა 1926 წ. 30 აპრილს, ქ. თბილისში, დამსახურებული ექიმის **ნიკოლოზ მაკარის ძე გაჩეჩილაძის და ანა გერმანეს ას. მებურიშვილის** ოჯახში.

მოინათლა მათსავე სახლში კათოლიკოს – პატრიარქ ამბროსი ხელაიას მიერ, მიტროპოლიტ კალისტრატე ცინცაძის (შემდგომში კათოლიკოს პატრიარქის) და ეპისკოპოს დიმიტრი ლაზარიშვილის მონაწილეობით, რომლებიც ოჯახის მეგობრები იყვნენ. მიმქმელი იყო ნინო ბარათაშვილი – ზაალ ბარათაშვილის შვილიშვილი.

მორწმუნე ექიმი ოთხივე შვილს, რომელთაგან მზია უმცროსია, მართლმადიდებლურად ღზრდიდა... პატარაობიდანვე სათნო ბუნების გოგონას მამის მეგობარმა შიო "მღვიმელმა" (ქუჩუკაშვილი) ლექსი დაუწერა:

"სახელად მქვია მზეთა მზე,
რადგან თბილი ვარ გულითა,
მერცხლებს და ჩიტებს ვუმზერი
სულ მუდამ სიყვარულითა.

არაფერს ვერჩი როდესაც
ჩემს ახლოს ჩამოსხდებიან.
იმათ რომ დევნა დავუწყო,
როგორღა გამრავლდებიან?

ფისიკოც მიყვარს, სწორედ ვთქვა,
არც ცუგოს ვეტყვი უარსა.
სიტყვას ვიძახი ბეჯითსა,
მართალს და მოუტყუარსა.

დღე ვთამაშობ თოჯინებთან,
დროს არ ვკარგავ წოლაში,
როდესაც ვადა მომივა,
წავცუნცულდები სკოლაში”.

დაამთავრა თბილისის 47-ე საშ. სკოლა (ყოფილი მე-8) და 1 სამუსიკო სასწავლებელი, 1950 წ. – თსუ დას. ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკ. და მუშაობა დაიწყო სულხან საბა ორბელიანის სახ. პედ. უნივერსიტეტში ინგლისური ენის კათედრაზე – უფრ. მასწავლებლად. გამოქვეყნებული აქვს შრომები ინგლისური ენის სწავლების მეთოდიკის სფეროში.

თითქმის 55 წლიანი პედაგოგიური მოღვაწეობის დროს, უცხო ენასთან ერთად, მრავალ ახალგაზრდას ეკლესიის გზაც ასწავლა. ზოგი მათგანი თვითონ მონათლა. მორწმუნე პედაგოგი შეძლებისდაგვარად ქველმოქმედებასაც ეწეოდა ხელმოკლე სტუდენტთა და სხვათა მიმართ. მაშინაც კი, როცა მორწმუნეებს დევნიდნენ, განსაკუთრებით კი პედაგოგებს, იგი არ აცდენდა წირვა-ლოცვას. ახალგაზრდობიდანვე ყოველ წელს დადის სალოცავად გაჩეჩილაძეთა საგვარეულო სალოცავში – წევის წმინდა გიორგის სასწაულმოქმედ ეკლესიაში და განსაკუთრებულად დიდი მადლის მიღებად ტაძრამდე ფეხით ასვლას თვლის. იგი მოთავეა და მნიშვნელოვანი წვლილი გაიღო წევის ეკლესიისათვის ახალშენაწირი ვერცხლის ბარძიმ-ფეშხუმის გაკეთებაში. მონაწილეობა მიიღო წინამდებარე კრებულისათვის გაჩეჩილაძე-ოთიაშვილების შესახებ მასალების მომზადებაში.

განსაკუთრებული სიყვარული აქვს ქალბატონ მზიას გაჩეჩილაძეების მიმართ. მათდამი ასეთივე სიყვარული გადასცა თავის **შვილებს: – ნიკოლოზ შურღაიას და გოჩა არონიშიძეს.**

114ª. ნიკოლოზ არსენის ძე შურღაია

გეოგრაფი, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტის დოცენტი.

დაიბადა -1945 წ.

114ᵇ. გოჩა გრიგოლის ძე არონიშიძე

ქვაშუეთის წმიდა გიორგის ეკლესიის მორჩილი, გარემოსა და ბუნების რესურ-სების დაცვის სამინისტროს მთავარი სპეციალისტი.

დაიბადა -1958 წ.

ნიკოლოზი და გოჩა ყოველ წელს ადიან წევის ეკლესიაში სალოცავად. გოჩა "გაჩეჩილაძეთა საგვარეულო დარბაზის" აქტიური წევრია. მისი წარდგინებით სრულიად საქართველოს კათოლიკოს – პატრიარქმა ილია II-მ დალოცა გაჩეჩილაძეთა საგვარეულო სიონის საკათედრო ტაძარში. მარგველი ეპისკოპოსის, ვახტანგის, კურთხევით იგი ცდილობს, რომ წევის წმიდა გიორგის ეკლესიაში, გაჩეჩილაძეთა დახმარებით, აღდგეს წირვა-ლოცვა. იგი ზრუნავს წევის ეკლესიის ინვენტარის განახლებისათვის. მანვე სახელმწიფო არქივში და შთამომავალთა ოჯახებში მოიძია სასულიერო სფეროში მოღვაწე გაჩეჩილაძეების შესახებ მასალები და გამოაქვეყნა გაზ. "ჯაჭვსა" და წინამდებარე კრებულში.

ნიკოლოზ შურღაია იკვლევს წევის ისტორიას. მან მოამზადა და გაზ. "ჯაჭვში" გამოსაქვეყნებლად წარადგინა სტატია წევის მიმდებარე ისტორიული გზის შესახებ. **ნიკოლოზმა და გოჩამ** ერთად შეადგინეს ამ კრებულში შეტანილი რამდენიმე მათი ახლობელი გაჩეჩილაძის ბიოგრაფიის ტექსტი.

ნიკოლოზი და გოჩა დაოჯახებულნი არიან. **ორთავეს ჰყავთ ვაჟიშვილები: ნიკოლოზს – ნიკოლოზი და შოთა, გოჩას – გრიგოლი და ზვიადი.**

115. მიხეილ გაჩეჩილაძე (ღიღინა)

აგრონომი, სოფ. წიფლავაკის კოლმეურნეობის თავმჯდომარე...

დაიბადა 1926 წ., გარდ. 2002 (ან 2001წ.). **მამა-გიორგი გაჩეჩილაძე.**

ომის დროს მუშაობდა ორთქმავლის მემანქანედ. იყო აგრონომი, სოფ. წიფლავაკის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოფ. წევის ერთ-ერთი თავკაცი, ყველასათვის საპატივცემულო ადამიანი.

ბატონ მიხეილს ჰყავდა **მეუღლე – ნორა შარიქაძე**. მათ დარჩათ **შვილები: ეთერი და სოსო.**

116. მიხეილ გაჩეჩილაძე (კვიცინა)

სოფ. წევის კოლმეურნეობის თავმჯდომარე (1938-1940 წწ.)

დაიბადა 1912 წ., წევაში. 1943 წ. დაიკარგა უგზო-უკვლოდ II მსოფლიო ომის ფრონტზე.

მშობლები: თეიმურაზ ბერიკის ძე გაჩეჩილაძე, აღათი ალმასხანის ას. ხარატიშვილი.

დაამთავრა ზესტაფონის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი, მუშაობდა ზედა წევის კოლმეუნეობის ბუღალტრად. 1938-1940 წწ. იყო ამავე კოლმეურნეობის თავმჯდომარე. 1940 წ. გაიწვიეს სავალდებულო სამხედრო სამსახურში. 1941 -43 წლებში იბრძოდა გერმანელი ფაშისტების წინააღმდეგ.

ბატონ მიხეილს ჰყავდა **მეუღლე – ოლია ზიბზიბაძე**, მათ დარჩათ **შვილები: ემირი* და თეიმურაზი.**

117. მიხეილ გაჩეჩილაძე (ლანჩავა)

საქართველოს დამსახურებული ინჟინერი, არქიტექტორი, ქ. გორის მთავარი არქიტექტორი 1948-1959 წლებში…

დაიბადა 1911 წ., სოფ. წევაში, გარდაიცვალა 1990 წ., თბილისში. **მშობლები: ნიკოლოზ ოქროპირის ძე გაჩეჩილაძე, ეკატერინე ყაფლანის ას. გელაშვილი.**

1927 წ. დაამთავრა ძირულის შვიდწლიანი შრომის სკოლა და 1933 წ-მდე მუშაობდა, ჯერ ძირულის ცეცხლგამძლე აგურის ქარხანაში, შემდეგ კი ჭიათურის მაღაროებში დამხმარე მუშად.

1933 წ. დაამთავრა ჭიათურის სამთო -სამრეწველო პროფტექნიკური სასწ. მარკშეიდერის სპეციალობით და მუშაობდა "მარგანტრესტის" №1 მაღაროში მარკშეიდერად;

1937 წ. შევიდა თბილისის სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკ-ზე.

1941 წლის 22 ივნისიდან 1942 წლის ოქტომბრამდე მონაწილეობდა "დიდ სამამულო ომში". დაბრუნდა მრავალი ჭრილობით.

1943 წ. დაამთავრა საქართველოს კიროვის სახ. ინდუსტრიული ინსტიტუტი არქიტექტორ-მშენებლის სპეციალობით, და, სამამულო ომის დამთავრებამდე, მუშაობდა გასამხედროებულ ქარხნებში.

1945 წ. დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია არქიტექტორის სპეციალობით.

1947- 48 წწ. მუშაობდა - მ. თოიძის სახ. №11 პროფტექნიკურ სამხატვრო – სახელოსნო სასწავლებელში დირექტორის მოადგილედ სასწავლო ნაწილის დარგში.

1948-59 წწ. მუშაობდა ქ. გორის მთავარ არქიტექტორად. 1949 წ. მის ი მონაწილეობით შედგა და ხორციელდებოდა ქ. გორის რეკონსტრუქციისა და დაგეგმარების 15 წლიანი გენერალური პროექტი. ამ წლებში აშენდა გორის ბამბეულის ქსოვილების კომბინატი, სტალინის მუზეუმი, სასტუმრო "ინტურისტი", ლენინის ძეგლი, სტალინის მონუმენტი, ადმინისტრაციული სახლი, სავაჭრო ცენტრი. კავშირგაბმულობის სახლი, ახალი ხიდი მტკვარზე, მრავალი ახალი საწარმო, საცხოვრებელი სახლი და ქუჩა.

1959-60 წწ. მუშაობდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ "საქმთავარკოლმშენში" საპროექტო დაგეგმვის სამუშაოთა განყოფილების უფროსად.

1969-76 წწ. – საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროში კოლმეურნეობებში მშენებლობის სამმართველოს უფროსის მოადგილე – მთ. ინჟინრად.

1971 წ. მიენიჭა საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდება.

1977 წ –დან იყო პერსონალური პენსიონერი. ამავე წლიდან სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა რესპუბლიკურ გაერთიანება "საქკოლმეჯანმრთელობაში" ჯერ ინსპექტორად და მთავარ სპეციალისტად, შემდეგ კი კაპიტალური მშენებლობის განყოფილების გამგედ.

1932 წ-დან სიცოცხლის ბოლომდე იყო სკკპ წევრი. სხვადასხვა წლებში 8-ჯერ იყო არჩეული პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივნად.

საბრძოლო და შრომითი დამსახურებისათვის მიღებული აქვს მთავრობის მრავალი ჯილდო.

მ. გაჩეჩილაძეს ჰყავდა **მეუღლე – მარიამ პლატონის ას. ღიბრაძე** (1924-1966) – ექიმი.

მათ დარჩათ სამი **ქალიშვილი: ეკატერინე,* ციალა* (სიდონია) და მარიამი*.**

118. მიხეილ გაჩეჩილაძე (ღველფიანი)

მწიგნობარი, გამომცემელი, ბუკინისტი.

დაიბადა 1877 წ. 11 ნოემბერს, სოფ. წევაში, გარდ. 1958 წ., თბილისში. **მამა – სპირიდონ გაჩეჩილაძე** – შეძლებული გლეხი.

1887 წ. მიხეილი შეიყვანეს დ. ზესტაფონის ორკლასიან ნორმანულ სასწავლებელში, სადაც ხუთი თვის განმავლობაში უაღრესად განათლებულმა პედაგოგებმა – ო. იოსელიანმა, თ. ხუსკივაძემ და დეკანოზმა დავით ღამბაშიძემ გაუღვივეს ქართული ენისა და წიგნის სიყვარული.

1893 წელს 16 წლის მიხეილი გაემგზავრა ბათუმში, სადაც დააარსა ქართული ბეჭდვის ამხანაგობა "გლეხი". აქვე შეისწავლა საგამომცემლო საქმე და თავისი პირველი წიგნი – ფრანსუა კოპპეს "შენდობა" დაბეჭდა კოწია თავართქილაძის სტამბაში. მიხეილმა ბათუმში გაიცნო დიდი მწიგნობარი და გამოჩენილი მოღვაწე ზაქარია ჭიჭინაძე. ისინი ერთად შეუდგნენ ქართული წიგნის გავრცელების საქმეს. მან გააცნო მიხეილს ილია ჭავჭავაძე თბილისში, "ივერიის" რედაქციაში. მიხეილმა დაბეჭდა წიგნები: "ილია ჭავჭავაძე როგორც ქართველი ერის მღაღადებელი", თ. ხუსკივაძის მოთხრობა "ყაჩაღი" და სხვ.

1898 წ. ბათუმში მიხეილმა დააარსა არალეგალური სტამბა, სადაც თავისივე ხელით აწყობილ ხის დანადგარზე ბეჭდავდა პატრიოტულ ლექსებსა (ა. წერეთელის "ხანჯალი"...) და პროკლამაციებს.

1898 წ. მიხეილი გადადის ზესტაფონში და ხსნის წიგნის მაღაზიას, ხოლო 1900 წ. მან დააარსა პირველი ქართული სტამბა ზესტაფონში. აქ გამოსცა "ი. ჭავჭავაძის ბიოგრაფია", "სახალხო კალენდარი" (მიხეილ ჯაჭვაძის ფსევდონიმით, რადგან ფარულად იბეჭდებოდა ცარიზმის საწინააღმდეგო ლექსები და წერილები), ზ.

ჭიჭინაძის “საქართველოს მეფე და ორი გლახა” და სხვ.. წიგნებს თვითონვე ავრცელებდა სოფელ-სოფელ უსასყიდლოდ და მართლაც ხალხის დაინტერესება ქართული წიგნის მიმართ თანდათან იზრდებოდა. ამ დროიდან მიხეილი, ვალერიან გუნიასთან ერთად, აქტიურად მონაწილეობს “ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში”. ამ დროს ქუთაისში მიხეილმა გაიცნო აკაკი წერეთელი, რომელმაც წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა მასზე.

ამ დროიდან, მ. გაჩეჩილაძე კულტურულ-საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწევა. 1901 წ. მისი თაოსნობით დააარსდა და აშენდა ზესტაფონის სახალხო თეატრი, სადაც იმართებოდა სპექტაკლები და ხშირად სტუმრობდა ქუთაისის ლადო მესხიშვილის ცნობილი თეატრალური დასი. (მასალა “თეატრის ისტორიისათვის საქართველოში”, თეატრის მუზეუმი, მ. გაჩეჩილაძე). ეს შენობა იქცა იმდროინდელი ინტელიგენციის შეხვედრების ადგილად. თეატრის შენობაშივე მიხეილმა დააარსა სამეურნეო ბანკი, ბიბლიოთეკა და ოთხ-კლასიანი სამოქალაქო სასწავლებელი (შემდგომში ცხრაწლედი).

ამ პერიოდში, ესერთა პარტიის პროგრამით მოხიბლული, მიხეილი აქტიურად ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში. მან 1904 წელს შეკრიბა ორი რაზმი და ზესტაფონში ჩამოაყალიბა ესერთა ორგანიზაცია. მიხეილმა და მისმა მეგობრებმა თეატრის შენობის საიდუმლო სარდაფში ყუმბარების დამზადება და იარღის შეგროვება დაიწყეს, ამ საქმეს სათავეში ივ. არდიშვილი იდგა.

არალეგალური სტამბა, ესერების თხოვნით, მიხეილმა ქუთაისშიც, არქიელის გორაზე გამართა. სადაც პროკლამაციები იბეჭდებოდა. მაგრამ მალე ჟანდარმერიამ ხელთ იგდო სტამბის შრიფტი (მადერის ქარხანაში მიხეილის მიერ შეძენილი) და სტამბა გაანადგურეს. თვითონ მიხეილი ძლივს გადაურჩა დაჭერას (მადერმა არ გასცა) და იძულებული იყო თბილისში გადმოსულიყო ზ. ჭიჭინაძესთან.

1907 წ. მიხეილმა დააარსა საქართველოში პირველი “ჟურნალ -გაზეთების აგენტურა”, რომლის საშუალებითაც მთელ საქართველოში აგენტების მეშვეობით ვრცელდებოდა ყველა ჟურნალ-გაზეთი. ამან დიდად შეუწყო ხელი მაშინდელი პერიოდული გამოცემების ფეხზე დაყენებას. სტამბა “სორაპანში” დაიბეჭდა უამრავი წიგნი და ჟურნალ-გაზეთი. მათ შორის “ხუმარა” (აკ. წერეთლის რედ.), “ნიშადური” (ვ. გუნიას რედ.), “ჩვენი დროება” (ვ. ბოლქვაძის რედ.). თვითონ მიხეილის რედაქტორობით გამოვიდა: “მასხარა”, “ოხუნჯი”, “ბზიკი”, “ზურნა”, “ინდუსტრია”, “დროშა”, “მათრახი”, და სხვ..

რაც შეეხება წიგნებს, თითქმის ორასი დასახელების წიგნი გამოსცა: სოფოკლეს “ანტიგონე”, შილერის “ყაჩაღები”, ბ. ჯორჯაძის “სამზარეულო”, მ. გაჩეჩილაძის ორტომეული “ახალი ჩანგი”, ივ. გომელაურის ოთხ-ტომეული “ქართველი მწერლები”, ბოკაჩჩოს “მონასტრის ამბები”, “ჯოჯოხეთის ამბები”, ი. გრიშაშვილის ლექსების კრებულები, “აკაკის მოსწრებული სიტყვები” (ი. გრიშაშვილის რედ.) და მრავალი სხვა.

1907 წ. სტამბიდან საბეჭდი მანქანის “ამერიკანკას” მოპარვის გამო (ინციატორი ი. სტალინი იყო) მ. გაჩეჩილაძე დაიჭირეს და ორი თვე ციხეში იჯდა. შემდეგ ეს უსაფუძვლო ბრალდება მოეხსნა (ქურდის ვინაობა არ გასცა) და გაათავისუფლეს.

1921 წელს, გასაბჭოების შემდეგ, მიხეილს მთელი უძრავ -მოძრავი ქონება ჩამოერთვა – ნაციონალიზაციის სახით. მან “ცაკ” –ის ნებართვით და მწერლების

მხარდაჭერით შემლო გაეხსნა ბუკინისტური წიგნის მაღაზია (ჯორჯაძის №5-ში), რომელიც გამომცემლობას არ ჩამოუვარდებოდა.

1936 წლიდან ბუკინისტური მაღაზიის არსებობა აიკრძალა და მიხეილი იძულებული გახდა მაღაზია დაეხურა.

საქართველოს მწიგნობრობის ვეტერანს მ. გაჩეჩილაძეს, უკვე ხანდაზმულს, აუკრძალეს წიგნების გაყიდვაც. უპენსიოდ, ყოველგვარ მატერიალურ სახსარს მოკლებულმა მოხუცმა მთელი თავისი სიცოცხლე საქართველოსა და წიგნების სიყვარულში გალია.

ბატონ მიხეილს დარჩა გამოუქვეყნებელი ნაშრომები: "თეატრის ისტორიკოსისათვის საქართველოში", რომელიც ხელნაწერის სახით ინახება საქართველოს თეატრის, მუსიკისა და კინოს სახელმწიფო მუზეუმში და მოგონებათა წიგნი, რომელიც ინახება მისი შვილიშვილის ოჯახში.

მიხეილ გაჩეჩილაძეს ჰყავდა **მეუღლე: მარიამ სულხანიშვილი, შვილები: ვახტანგი** (უნიჭიერესი ენათმეცნიერი, დაიღუპა 27 წლის ასაკში)
და **რუსუდანი*** (1914-1999).

მათი ოჯახიდან ამჟამად დარჩა რუსუდანის ქალიშვილი ნინო გაჩეჩილაძე (რომელმაც მოგვაწოდა ზემოთ მოყვანილი სტატია) და მისი ოჯახი.

ლიტ.: გაზ. "ლიტერატურული გაზეთი", 1957 წ. 16 მაისი.
გაზ.: "ჯაჭვი", №1, 3 ნოემბერი, 2003 წ. გვ. 3.

119. ნელი გაჩეჩილაძე (ლანჩავა)

ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, მოლეკულური ბიოლოგიისა და ბიოლოგიური ფიზიკის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი, ზემოლეკულური სისტემების და უჯრედის ბიოლოგიური ფიზიკის ლაბორატორიის ხელმძღვანელი.

დაიბადა 1937 წ., სოფ. წევაში. **მშობლები: ალექსანდრე (უშანგი) გრიგოლის ძე გაჩეჩილაძე, თამარ გიორგის ას. გველესიანი.**

1944 წ. მათი ოჯახი სოფ. წევის მოსახლეობასთან ერთად ჩასახლებული იქნა ახალციხის რ. სოფ. ზიკილიაში, 1953 წ. დაამთავრა ზიკილიის რვაწლიანი, შემდეგ კი ბორჯომის ქალთა საშ. სკოლა (1955 წ.).

1960 წ. წარჩინებით დაამთავრა გორის ნ. ბარათაშვილის სახ. სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი ბიოლოგ-გეოგრაფის სპეციალობით.

1960-61 წწ. მუშაობდა სოფ. ზიკილიის საშ. სკოლაში საწარმოო სწავლების ხელმძღვანელად.

1962 წ -დან სმაკ-ის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის ბიოფიზიკის სექტორში ჯერ უფროსი ლაბორანტის, შემდეგ კი მეცნ. მუშაკის თანამდებობაზე.

1975 წ. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: "ჩონჩხის კუნთის სინთეზური აქტომიოზინის შეკუმშვის მექანო-ქიმია".

1986 წ -დან მუშაობს მოლეკულური ბიოლოგიისა და ბიოლოგიური ფიზიკის ინსტიტუტში წამყვანი მეცნ. თანამშრომლის თანამდებობაზე.

2001 წ -დან ზემოლეკულური სისტემების და უჯრედის ბიოლოგიური ფიზიკის ლაბორატორიის ხელმძღვანელია. მისი მეცნიერული კვლევა ეხება კუნთის შეკუმშვის მექანო ქიმიის საკითხებს.

კუნთის შეკუმშვის პროცესის შესწავლას ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა აქვს, რადგან კუნთი, სითბური მანქანებისაგან განსხვავებით, წარმოადგენს ისეთ სისტემას, რომელშიც ქიმიური ენერგია უდანაკარგოდ გარდაიქმნება მექანიკურ ენერგიად.

ნ. გაჩეჩილაძის უშუალო მონაწილეობით შექმნილია დანადგარი, სადაც ერთდროულად, ერთსა და იმავე სინჯში შეიძლება განისაზღვროს ფერმენტული აქტივობა და მექანიკური ეფექტი. მის მიერ მიღებულია შეკუმშვადი ცილების, ჩონჩხის კუნთის მიოზინის და გლუვი კუნთის აქტინის სუფთა პრეპარატები. ნაჩვენებია, რომ ბაყაყის ემბრიონალური განვითარების პროცესში, მორფოლოგიური ცვლილებების გარდა, ადგილი აქვს სტურუქტურულ ძვრებს, რომელიც დადასტურებულია გელ-ელექტროფორეზის მეთოდით. მისი მონაწილეობით მიღებულია კუნთის გიგანტური ცილა-ტიტინის ზესუფთა, ნატიური პრეპარატი, რომლის შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს კუნთის შეკუმშვის მექანიზმის ახსნისათვის.

ნ. გაჩეჩილაძე 48 მეცნიერული ნაშრომის ავტორია. იგი კუნთის შეკუმშვის ბიოქიმიისა და ბიოფიზიკის საკითხებისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური და საერთაშორისო სიმპოზიუმებისა და კონფერენციების აქტიური მონაწილეა.

2001 წლიდან იგი არის "გაჩეჩილაძეთა, ჯაჭვაძეთა და წეველიძეთა საგვარეულო დარბაზის" აქტიური წევრი. კოორდინაციას უწევს "დარბაზის" საინფორმაციო ჯგუფს და სოფელ ზიკილიასთან ურთიერთობას.

ქალბატონ ნელის ჰყავს **მეუღლე – თენგიზ ბაციაშვილი**, **ძმები: გიგლა*, არკადი* და და – მანანა*.**

120. ნიკოლოზ არსენის ძე შურღაია

გაჩეჩილაძე-ოთიაშვილების შთამომავალი.

121. ნიკოლოზ გაჩეჩილაძე (ლულია)

სხვადასხვა დროს საქართველოს სამი რაიონის მთავარი აგრონომი, სოფ. ზიკილიის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენის და ათი მედლის კავალერი…

დაიბადა 1907 წ. 15 აგვისტოს, სოფ. წევაში, გარდაიცვალა 1989 წ. 17 თებერვალს, ზიკილიაში. **მამა- ვიქტორ გაჩეჩილაძე.**

დაწყებითი განათლება მიიღო წევის რვაწლიან სკოლაში. შემდეგ, დაამთავრა ს. ძირულის საშ. სკოლა და მუშაობა დაიწყო ზესტაფონის რ. სოფ. ქანდარის თიხის საბადოში.

1931-35 წწ. სწავლობდა სსსი-ს აგრონომიული ფაკულტეტის სუბტროპიკულ სპეციალობაზე. პარალელურად გაიარა კურსები ჰიდრომეტეოროლოგიურ სასწავლებელში. 1935-37 წწ. მუშაობდა ქუთაისის აეროდრომზე – ამინდის ბიუროს გამგედ.

1937 წ. გადაყვანილი იქნა სვანეთში, მესტიაში, ბეჩოს სასოფლო სამეურნე ო ტექნიკუმის დირექტორად, 1939 წ. კი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში – მიწგანის მთავარ აგრონომად, სადაც იმუშავა 1942 წლის მარტამდე. 1942 წლის მარტში გაიწვიეს საბჭოთა არმიაში, ჯერ ოფიცერთა მოსამზადებელ კურსებზე–ურალში. კურსების დამთავრების შემდეგ კი, ლეიტენანტის წოდებით, გაიგზავნა ომში. 1944 წ-მდე იბრძოდა კავკასიის ფრონტზე, სადაც სამი ჭრილობა მიიღო. იყო სამამულო ომის მეორე ჯგუფის ინვალიდი, სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენის და ათი საბრძოლო მედლის კავალერი.

უმაღლესი მთავრსარდლის, სტალინის ბრძანებით, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები გათავისუფლდნენ ფრონტიდან, რადგან მაშინდელ სოფლის მეურნეობას ესაჭიროებოდა სათანადო სპეციალობის კადრები. ნ. გაჩეჩილაძემ მუშაობა დაიწყო ზესტაფონის რ. მიწგანის მთავარ აგრონომად.

1944 წლის დეკემბერში ბატონი ნიკოლოზის ოჯახი, სოფ. წევის მოსახლეობასთან ერთად, ჩაასახლეს ახალციხის რ. სოფ. ზიკილიაში. ბატონი ნიკოლოზი დაინიშნა ახალციხის რ. მიწგანის მთავარი აგრონომის თანამდებობაზე. შემდგომში იგი მუშაობდა სოფ. ზიკილიის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ, (1945-1949 წწ.), ახალციხის რ. თესლის საკონტროლო ლაბორატორიის გამგედ, უბნის მთავარ აგრონომად. სადაც კი უმუშავია, ყველგან სარგებლობდა კარგი ავტორიტეტით.

ბატონ ნიკოლოზს დარჩა **ორი შვილი: ანზორი** (დამსახურებული აგრონომი, ამჟამად პენსიონერი) და **ციური** (თბილისის №40 აფთიაქის მთავარი ბუღალტერი).

122. ნიკოლოზ გაჩეჩილაძე (ოთიაშვილი)

ცნობილი მკურნალი და მკვლევარი, რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი (1946 წ-დან).

დაიბადა 1881 წ. 5 აპრილს, ს. წევაში, გარდაიცვალა 1959წ. 8 ოქტომბერს, თბილისში. **მშობლები:** წევის წმიდა გიორგის ეკლესიის წინამძღვარი, დეკანოზი **მაკარ ეფრემის ძე გაჩეჩილაძე, ანა ივანეს ას. არაბიძე.**

ს. წევის დაწყებითი სკოლის დამთავრების შემდეგ, 1896 წ. ჩააბარა და 1902 წ. წარჩინებით დაამთავრა ქუთაისის სასულიერო სემინარია. ამავე წელს ჩააბარა ყაზანის საიმპერატორო უნივერსიტეტში სამკურნალო ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1910 წ. (მან პირველმა გაჩეჩილაძეების გვარიდან შეაღო უნივერსიტეტის კარი). იგი, პროფ. კაზიმბერგის მოთხოვნით, დატოვებული იქნა კათედრაზე, მაგრამ, ოჯახური მდგომარეობის გამო, დატოვა ყაზანი და დაიწყო მუშაობა ჯერ აზერბაიჯანში, განჯის მაზრაში, შემდეგ ახალციხის მაზრაში – აწყურში. 1994 წ -დან მუშაობდა გორში ჯერ საავადმყოფოს, შემდეგ ჰოსპიტლის (ლაზარეთის) მთავარ ექიმად და ემსახურებოდა ცხინვალის ჩათვლით მთელი შიდა ქართლის მოსახლეობას, ასევე – რკინიგზელებს თბილისიდან-ხაშურამდე. ასწავლიდა ლათინურ ენას გორის საოსტატო სასწავლებელში. 1920 წლის ზამთარში, გორის მიწისძვრის დროს, მან თავად შეიძინა კარვები და იქ განათავსა მიწისძვრით დაზარალებულნი, ასევე, საკუთარი სახსრებით შემოსა გორის გიმნაზიის მოსწავლეები. ეს ამბავი აღწერილია წიგნში "გორელები" (თბილისი 1999 წ.). 1921 წ-დან ცხოვრობდა თბილისში. მუშაობდა ქალაქის სამკურნალო დაწესებულებებში. საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებაში მრავალი წლის განმავლობაში ამზადებდა მედდებს და უხელფასოდ ემსახურებოდა რესპუბლიკის პროფკავშირებს. განსაკუთრებით ზრუნავდა ბავშვების გაჯანსაღებაზე, უსასყიდლოდ მკურნალობდა და მატერიალურად ხელს უმართავდა გაჭირვებულ და ხელმოკლე ავადმყოფებს.

ექიმი, რომელიც მოსახლეობაში ცნობილი იყო სახელით – დოქტორი გაჩეჩილაძე, კურნავდა კულტურისა და შემოქმედებითი ინტელიგენციის სახელოვან მოღვაწეებს და მეგობრობდა მათთან. მწერალმა კ. მაყაშვილმა მას დააარსებინა მწერალთა, კომპოზიტორთა და მხატვართა კავშირის პოლიკლინიკა, რომლის ექიმი-კონსულტანტი

იყო ორ ათეულ წელზე მეტ ხანს. 1927 წ. მისივე მონაწილეობით დაარსდა ჯანდაცვის სამინისტროს სანკულტურის თეატრი.

ბატონი ნიკოლოზი ეკლესიის თანამდგომი იყო ყველაზე ძნელ წლებშიაც. მისი მეგობრები იყვნენ და მის სახლში სტუმრობდნენ საქართველოს კათოლიკოს – პატრიარქები: ამბროსი ხელაია (რომელმაც 1926 წ. მას ქალიშვილი მოუნათლა მისსავე სახლში), კალისტრატე ცინცაძე, ეპისკოპოსები: ხარიტონ დევდარიანი (შემდგომში კათოლიკოს-პატრიარქი დავით V), დიმიტრი ლაზარაშვილი და სხვა სასულიერო პირნი. მას 1934 წ. მიღებული აქვს კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატესაგან სამადლობელი სიგელი, სიონის საკათედრო ტაძრისათვის დახმარების გაწევისათვის. ეკლესიასთან ასეთი დამოკიდებულებისათვის, და ამბროსი ხელაიას თანადგომისათვის". ნ"ვდ" -მ იგი 1937 წ. დააპატიმრა ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობის ბრალდებით. შემორჩენილი ჩხრეკების ორდერების მიხედვით, წაუღიათ ოჯახის წერილები, სახარება, მრავალი ხატი, დაულუქავთ ყველა კარადა, საწერი მაგიდა. ოჯახს საერთოდ გასახლება დაუპირეს. ინტელიგენციის ჩარევით უდანაშაულო ექიმი მალევე გაათავისუფლეს. ნ.გ. მუდამ უწევდა დახმარებას შეწირულობებით წევის წმიდა გიორგის ეკლესიას, რომლის წინამძღვარიც მისი მამა, დეკანოზი მაკარი, მეტად შევიწროვებული იყო ბოლშევიკური ხელისუფლებისაგან. 1940-იანი წლების ბოლოს მან, თავისი მეგობრის, აკადემიკოს შ. ამირანაშვილის თანადგომით, წევის ტაძარი გადაახურვინა.

ნიკოლოზ მაკარის ძე გაჩეჩილაძე დაჯილდოებული იყო მთავრობის ჯილდოებით, 1946 წ. მიენიჭა რესპუბლიკის დამსახურებული ექიმის წოდება, იყო პერსონალური პენსიონერი.

ბ-ნ ნიკოლოზს ჰყავდა **მეუღლე – ანა გერმანეს ას. მებურიშვილი** და **ოთხი შვილი.** მისი შვილებიდან (**გივი-გიორგი, ანდრია*, მატათე*** გარდაიცვალნენ) მამისეულ სახლში დღეს მისი ქალიშვილი **მზეთამზე (მზია) გაჩეჩილაძე*** ცხოვრობს შვილებთან ერთად.

ტექსტი შეადგინეს: **ნიკოლოზ შურღაიამ** და **გოჩა არონიშიძემ**.
ა. გაზ. "ლაშარის გორი", 1922 წ. 10 ივლისი.

123. ნუნუ გაჩეჩილაძე

საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-საკვლევი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ვეტერინარულ მეცნ.კანდიდატი.

დაიბადა 1922 წ., ქ. ზესტაფონში, გარდაიცვალა 1974 წელს. **მამა – ვიქტორ გაჩეჩილაძე.**

1942 წ. დაამთავრა საქართველოს ზოოტექნიკურ -სავეტერინარო სასწავლო-საკვლევი ინსტიტუტის სავეტერინარო ფაკულტეტი, რის შემდეგ, 1951 წ-მდე მუშაობდა ხულოსა და წითელწყაროს რაიონებში ვეტექიმად. 1951 წ-დან მუშაობდა საქართველოს ზოოვეტერინარულ სასწავლო-საკვლევ ინსტიტუტში ჯერ უმცროსი, ხოლო შემდეგ უფროსი მეცნიერმუშაკის თანამდებობაზე. 1972 წ. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია

და მიენიჭა ვეტერინარულ მეცნ. კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. გამოქვეყნებული ჰქონდა რამდენიმე სამეცნიერო ნაშრომი.

ლიტ.: გაზ. "სოფლის ცხოვრება", 1974 წ. 22 აგვისტო.

124. ოთარ გაჩეჩილაძე

ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, თსუ დოცენტი...

დაიბადა 1929 წ., ჭიათურის რ-ნის სოფ. დიდ კაცხში, გარდაიცვალა 1993 წ.. დაკრძალულია თბილისში. **მშობლები: სერგო გალაქტიონის (რომანის) ძე გაჩეჩილაძე, ვალენტინა იაკინთეს ას ბუჭუხიშვილი.**

ფილოლოგიური განათლება მიიღო ქ. გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში. ამ პერიოდში, ფოლკლორით გატაცებული, მღეროდა მარო თარხნიშვილის გუნდში. მას შესანიშნავი ტენორი ჰქონდა.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ქართულის მასწავლებლად და სასწავლო ნაწილის გამგედ სოფლებში – კაცხა და ხრეითში.

1960 წ -დან მოღვაწეობდა თსუ-ში ჯერ ჟურნალისტიკის, შემდეგ კი ქართული ენის კათედრაზე. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე "შორისდებული ქართულში" (ლექსიკონითურთ) თსუ გამომც. 1979 წ.. 1978 წ-დან ო. გაჩეჩილაძე ქართული ენისა და ლიტერატურის მეთოდიკათა კათედრის დოცენტი და წამყვანი მეცნიერ თანამშრომელი იყო. კითხულობდა ქართული ენისა და მისი სწავლების მეთოდიკის კურსს. ბატონი ოთარის ხანგრძლივი პედაგოგიური გამოცდილების შედეგია რამდენიმეჯერ გამოცემული მისი სახელმძღვანელო – "ქართული ენა", განკუთვნილი აბითურიენტებისა და მოსამზადებელი განყოფილების მსმენელთათვის.

ო. გაჩეჩილაძეს დარჩა **მეუღლე – ალექსანდრა (შურა) ლობჟანიძე, შვილები ლელა (1961) და ნოდარი (1960) და ოთხი შვილიშვილი (გაჩეჩილაძეები)**.

ლიტ.: გაზ. "თბილისი", 1993 წ. 2 სექტემბერი.

125. პლატონ გაჩეჩილაძე

1907-1908 წლებში გამოდიოდა ყოველკვირეული იუმორისტულ -პოპულარული ჟურნალი "ეკალი", რომლის რედაქტორ-გამომცემელი იყო პლატონ გედევანის ძე გაჩეჩილაძე.

126. პოლიევქტ (კოტე) გაჩეჩილაძე

ენათმეცნიერი, ლექსიკოლოგი, საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი.

დაიბადა 1914 წ. 26 ივნისს (8 ივლისს), მაიაკოვსკის რ. სოფ. ობჩაში, გარდაიცვალა 1970 წ.. **მამა – ლუკა გაჩეჩილაძე.**

თსუ-ს ფილოლოგიური ფაკულტეტის დამთავრებისთანავე, 1039 წ. ჩაირიცხა ასპირანტურაში ძველი ქართული ენის კათედრაზე.

დიდი სამამულო ომის წლებში მსახურობდა შინსახკომის ჯარების გარნიზონის უფროსად, შემდეგ ქართული დივიზიის ათასეულის შტაბის უფროსად. იყო სკკპ წევრი 1944 წლიდან. 1947 წ. დაამთავრა ასპირანტურა და მიიღეს ენათმეცნიერები ს ინსტიტუტის უმცრ. მეცნ. თანამშრომლად. 1953 წ. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. 1958 წ -დან გარდაცვალებამდე იყო ამ ინსტიტუტის ლექსიკოლოგიის განყოფილების უფროსი მეცნ. თანამშრომელი. გამოქვეყნებული აქვს 30-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი. მათ შორის წერილები: "იმერული დიალექტის ხანურ-ზეგნური მეტყველება" (1965), "ქართული ლექსიკოლოგიის ისტორიისათვის" (1959), ცალკე წიგნად – "იმერული დიალექტის სალექსიკონო მასალა", თბ., 1976.

პ. გაჩეჩილაძე მონაწილეობდა "ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის" (ტ. 1-8, 1950-64) მომზადებაში (VII ტომის ერთ-ერთი რედაქტორია), რისთვისაც მიენიჭა საქ. სსრ სახელმწიფო პრემია (1971).

წლების განმავლობაში, გარდაცვალებამდე იყო ენათმეცნიერების ინსტიტუტის პარტბიუროს მდივანი და პარტიის კალინინის რაიკომის წევრი.

პ. გაჩეჩილაძე დაჯილდოებული იყო მედლებითა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

ბატონ პოლიევქტს ჰყავდა **მეუღლე – ბაბო წერეთელი.**

ლიტ.: ქსე, ტ. III, თბ., 1978 წ.

127. რაისა გაჩეჩილაძე-მანჯგალაძე (ოთიაშვილი)

რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი-პედიატრი.

დაიბადა 1910 წ., სოფ. წევაში. გარდაიცვალა 1992 წ., თბილისში. **მშობლები: კასიანე ეფრემის ძე გაჩეჩილაძე*** (წევის ეკლესიის მოძღვარი), **ლეონინე იოსების ას. კალანდაძე.**

სწავლობდა ჯერ ქუთაისის ეპარქიალურ, ხოლო შემდეგ თბილისის რკინიგზის საშ. სასწავლებელში. 1934 წ. წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო-პროფილაქტიკური ფაკულტეტი.

მუშაობა დაიწყო თბილისის ვერის უბანში განლაგებულ რამდენიმე ბაგა-ბაღის პედიატრად. თავი გამოიჩინა ბავშვთა კვების და პროფილაქტიკურ ღონისძიებათა ახალი მეთოდების დანერგვით.

სიმპათიური გარეგნობითა და უაღრესი გულისხმიერებით გამორჩეული ბავშვთა ექიმი დღისით თუ ღამით, ნებისმიერ ამინდში მზად იყო დახმარებოდა პატარებს. იგი იყო რესპუბლიკის პერსონალური პენსიონერი.

ქ-ნ რაისას ჰყავდა **მეუღლე – ნიკოლოზ მანჯგალაძე.** მათ დარჩათ **შვილები: მერაბ და ჯემალ მანჯგალაძეები.**

ლიტ.: გაზ. “თბილისი”, 1992 წ. 20 ივლისი.

128. რაჟდენ გაჩეჩილაძე (ოთიაშვილი)

დამსახურებული რკინიგზელი.

დაიბადა 1875 წ., სოფ. წევაში. გარდაიცვალა 1947 წ., თბილისში. **მამა – ალფეზ გაჩეჩილაძე.**

პროფესიით იყო რკინიგზელი. წლების განმავლობაში მუშაობდა ამიერკავკასიის რკინიგზის სხვადასხვა სადგურის უფროსად. მინიჭებული ჰქონდა დამსახურებული რკინიგზელის წოდება.

ბატონ რაჟდენს ჰყავდა **მეუღლე – სოფიო ელიოზიშვილი** (დ. 1879 წ.) და **შვილები: ნელი** (1900-1965), **რევაზი*** (1901-1937), **გივი*** (1914-1974), **თეიმურაზი*** (1918-1983).

129. რაჟდენ გაჩეჩილაძე (კუნკურახი)

1905-1907 წლების რევოლუციური მოძრაობის მონაწილე.

დაიბადა 1874 წ., გარდაიცვალა 1952 წ. ზესტაფონში.

ანტონ კელენჯერიძის წიგნში “გურჯები” (თბ. 1975 წ.), წეველ რევოლუციონერთა შორის, მოხსენიებულია ზეინკალი რაჟდენ გაჩეჩილაძე. რევოლუციონერობისათვის იგი ციმბირში გადაუსახლებიათ. გადასახლებიდან დაბრუნებულა და დაოჯახებულა.

რ. გაჩეჩილაძის ინიციატივისა და აქტიური ზრუნვის შედეგად გაუკეთებიათ რკინიგზის პლატფორმები წევასა და ზიკილიაში.

მეუღლე – ქრისტინე მაჭავარიანი. შვილები: გიორგი, გრიგორი (გრიშა) და სიმონი.

130. რატი გაჩეჩილაძე (ლობიო)



გამოჩენილი მოცეკვავე, მრავალი საერთაშორისო ტურნირის პრიზიორი და გამარჯვებული თავის ასაკობრივ ჯგუფში.

დაიბადა 1992 წლის 6 თებერვალს, ქ. თბილისში.

მშობლები: თენგიზ გაჩეჩილაძე*, ლარისა (ქურდაძე) გაჩეჩილაძე*. და – შორენა გაჩეჩილაძე*, ძმა – გიორგი გაჩეჩილაძე*. 1998 წელს შედის ქ. თბილისის მე-18 საშუალო სკოლაში, სადაც სწავლობს ამჟამადაც.

რატი 6 წლის ასაკიდან ცეკვავს სამეჯლისო ცეკვების სტუდია “თელა”-ში. არის საქართველოს და კავკასიის ჩემპიონი და თასის მფლობელი იუვენალებს შორის. მრავალჯერ მიუღია მონაწილეობა საერთაშორისო კონკურსებში, თავის ასაკობრივ ჯგუფში და გამხდარა ტურნირების პრიზიორი.

131. **რევაზ გაჩეჩილაძე** (პაპუჩელა, ხბოსთავა)

ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

დაიბადა 1928 წ. 21 სექტემბერს, ზესტაფონში. **მშობლები: ანდრო გაჩეჩილაძე, ვერა კოპაძე.**

დაამთავრა ზესტაფონის საშ. სკოლა (1984), თბილისის აგრარული უნივერსიტეტი (1954).

1955-56 წწ. მუშაობდა საქარის სტაროსელსკის სახელობის მევენახეობა - მეღვინეობის საცდელი სადგურის ბაზაზე – მცენარეთა დაცვის განყოფილების ლაბორანტად. აქ მუშაობის დროს შეისწავლა მევენახეობისათვის უცნობი მავნებელი - ვაზის ჭიჭინობელა.

1957 წ. მუშაობდა ოკამის მევენახეობა -მეღვინეობის საბჭოთა მეურნეობაში – ენტომოლოგად; 1958 წ-დან – საქართველოს მეხილეობის, მევენახეობის და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სკრის საცდელი სადგურის მცენარეთა დაცვის განყოფილებაში – ენტომოლოგად, უმცროს, 1970 წ-დან კი უფროს მეცნიერ თანამშრომლად. შეისწავლა ხეხილის ბაღებში გავრცელებული მავნებლები, დაამუშავა მათთან ბრძოლის (შხამ ქიმიკატებით, აგროტექნიკური, ბიოლოგიური საშუალებებით) ღონისძიებები და წარმოებას გადასცა პრაქტიკული მუშაობისათვის საჭირო ინსტრუქციები.

1972 წ. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – "საქართველოს ხეხილის სანერგეების მავნებლები და მათთან ბრძოლა". გამოავლინა 81 სახეობის მავნებელი, ამათგან შეისწავლა ხუთი ძირითადი სახეობა და მათთან ბრძოლა. ამ მასალის საფუძველზე შემუშავებული ინსტრუქციები გადასცა წარმოებას.

მეხილეობის სკრის საცდელ სადგურში მუშაობის (1958-დან 1990 წლამდე) პერიოდში დაამუშავა და გამოსცა 20 სამეცნიერო შრომა.

კითხულობს ლექციებს ბიოლოგიის საკითხებზე გორისა და თბილისის უნივერსიტეტებში. არის დოცენტი, ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადმიის წევრ-კორესპონდენტი. დაჯილდოებულია შრომის ვეტერანის მედლით.

2001 წლიდან რ.გ. "გაჩეჩილაძეთა, ჯაჭვაძეთა და წველიძეთ ა საგვარეულო დარბაზის" წევრია.

ბატონ რეზოს ჰყავს **მეუღლე – კეკლუცა ჭუმბურიძე** – დამსახურებული ჟურნალისტი, **შვილები: მარინე** (პროფესიით ქიმიკოს-ტექნოლოგი. მუშაობს თავდაცვის სამინისტროში) და **მამუკა** (ეკონომისტი, ცოლ-შვილთან ერთად ცხოვრობს შვედეთში).

132. რევაზ გაჩეჩილაძე (ოთიაშვილი)

გეოგრაფიის მეცნ. დოქტორი, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ისრაელის სახელმწიფოში (1998 წ-დან 2004 წ-მდე)...

დაიბადა 1943 წ. 4 მაისს, თბილისში. **მშობლები: გივი რაჟდენის ძე გაჩეჩილაძე*** – ლიტერატურათმცოდნე, მთარგმნელი, ფილოლოგიის მეცნ. დოქტორი, **ირინე კანდელაკი** – ექიმი.

დაამთავრა თსუ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი (1965) სპეციალობით – აღმოსავლეთმცოდნე, გეოგრაფი.

გეოგრაფიის მეცნ. დოქტორი (1990), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი (1992), თსუ სოციალურ ეკონომიკური და პოლიტიკური გეოგრაფიის კათედრის გამგე (1977-1980 და 1993-1998); 1980-1987 წწ. იყო საქ. კპ თბილისის საქალაქო კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებლების განყოფილების გამგე და საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებლების განყოფილების გამგის მოადგილე, 1987-1998 წწ. იყო საქ. მეცნიერებათა აკადემიის სოციოლოგიური კვლევის ცენტრის დირექტორი, დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე. 1997-1998 წწ. იყო საგარეო საქმეთა სამინისტროში დეპარტამენტის დირექტორი. 1998 წლიდან 1004 წლამდე იყო ისრაელში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი.

არის სამეფო გეოგრაფიული საზოგადოების [ლონდონი] საპატიო უცხოელი წევრი, ოქსფორდის უნივერსიტეტის მიწვეული პროფესორი, საქართველოს საბუნებისმეტყველო აკადემიის წევრი, საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.

არის 150-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. მათ შორის მონოგრაფიებისა: “დიდი ბრიტანეთი” (1973), “ახლო აღმოსავლეთი” (1977), “დამნაშავეობის გეოგრაფიის საკითხები” (1982; ა. გაბიანთან თანაავტორობით), “თურქეთი” (რუსულ ენაზე; მოსკოვი, 1983), “საქართველოს სოციალური ატლასი” (1990), “ინგლისის გეოგრაფია, ისტორია და კულტურა” (1994), “The Hew Georgia: Space, Society, Politics” (London 1995), “საქართველოს მოსახლეობის მიგრაცია და მისი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები” (1997), “ახლო აღმოსავლეთი: სივრცე, ხალხი და პოლიტიკა” (2003) და სხვ. თარგმნა “ამერიკული დემოკრატია” (1995).

ბატონ რევაზს ჰყავს **მეუღლე – მზია მარსაგიშვილი** (1950) – ისტორიის მეცნ. კანდიდატი; **შვილები: გივი** (1973) და **ირინა** (1977).

ლიტ.: "ვინ ვინაა საქართველოში" 2001-2002. ქართული ბიოგრაფიული ლექსიკონი.

133. რევაზ გაჩეჩილაძე (ოთიაშვილი)

ეკონომისტი.

დაიბადა 1901 წ., თბილისში, 1937 წ. რეპრესირებული – დახვრეტილი იქნა. რეაბილიტირებულია 1965 წ.

მშობლები: რაჟდენ ალფეზის ძე გაჩეჩილაძე (1875-1947), **სოფიო ელიოზიშვილი** (დ. 1879).

პროფესიით – ეკონომისტი (თბილისის უნივერსიტეტის პირველი გამოშვება). 1921 წ. თებერვალში მოხალისედ წავიდა და ებრძოდა მე-11 წითელ არმიას.

მუშაობდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში ხელმძღვანელ პოსტებზე.

134. როსტომ გაჩეჩილაძე (კვიცინა)

ღვაწლმოსილი ინჟინერ-ენერგეტიკოსი. "გაჩეჩილაძეთა, ჯაჭვაძეთა და წეველიძეთა საგვარეულო დარბაზის" პრეზიდენტის მოადგილე.

დაიბადა 1927 წ. 10 თებერვალს, წევაში. **მშობლები: გალაქტიონ როსტომის ძე გაჩეჩილაძე, ანა ალმასხანის ასული ხარატიშვილი.**

1951 წ. დაამთავრა საქართ ველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი "ჰიდროტექნიკური მშენებლობის" სპეციალობით და გაიგზავნა სამუშაოდ ტრესტ "საქჰიდროენერგომშენის" სისტემაში.

1951-53 წლებში მუშაობდა სიონის წყალსაცავის მშენებლობაზე.

1953-60 წლებში – ტყიბულჰესის მშენებლობაზე, საიდანაც აქტიურად მონაწილეობდა გუმათჰესისა და ლაჯანურჰესის მშენებლობებზე.

1960 წლიდან უბნის უფროსი იყო თბილსრესის მშენებლობაზე.

1978-80 წლებში ხელმძღვანელობდა ტრესტ "საქჰიდრომშენის" მე -2 რიგის სამუშაოებს ირანში –რამინის თბოელექტროსადგურის მშენებლობაზე.

1980 წლიდან კვლავ თბილსრესის მშენებლობაზეა.

დაჯილდოებულია ოქტომბრის რევოლუციის ორდენით.არის ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის საკავშირო სამინისტროს საპატიო ენერგეტიკოსი.

2001 წლის დეკემბრიდან რ. გაჩეჩილაძე არის "გაჩეჩილაძეთა, ჯაჭვაძეთა და წეველიძეთა საგვარეულო დარბაზის" აქტიური წევრი. იგი ავტორია ბროშურისა "წეველი ზიკილიელები" თბ., 2003 წ.

ბატონ როსტომს ჰყავდა **მეუღლე –ციციკო გიორგის ასული ბუჯიაშვილი.** ჰყავს **სამი ქალიშვილი: მარინე** (ექიმი გინიკოლოგი), **მაია** (უცხო ენების სპეციალისტი), **ნინო** (ინჟინერ-ტექნოლოგი), შვილიშვილები და შვილთაშვილი.

135. რუსუდან გაჩეჩილაძე

ცნობილი მოქანდაკე, თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორი.

დაიბადა 1936 წ. 22 აგვისტოს, თბილისში. **მშობლები: ვახტანგ პიმენის ძე გაჩეჩილაძე, მარიამ სამსონაძე.**

1963 წ. დაამთავრა თსსა ქანდაკების ფაკულტეტი. გამო ფენებში მონაწილეობს 1965 წ-დან.

ძირითადი ნამუშევრები: "შუშანა" (1964), "მოსავალი" (1966), "ციტრუსები" (1972, "უკანასკნელი ბარიერი" (1974), "ბიჭის პორტრეტი", "მშვილდოსანი" (1979), "შირაქის ველი" (1975), "ანეტა" (1976), "მეხრე", "მოფარიკავე" (1978), "მეჯინიბე" (1980-81);

პორტრეტები: "ალდე კაკაბაძე", "ოთარ ჭილაძე", "ბესიკ ხარანაული" (1984), "მურაზ ჯაფარიძე" (1986), "იუზა" (1985), "თათია" (1986), "დ. ჯმუხაძე", "დ. ვაჩნაძე".

გამოფენები: ქართული დაზგური ქანდაკება თბ. სეგ (1991), საქართველოს სსრ სახვითი ხელოვნება, მოსკოვი (1987), ამიერკავკასიის რესპუბლიკების მხატვართა ბიენალე (გრან-პრი, 1986). მისი ნამუშევრები დაცულია სეგ-ში, საქართველოსა და რუსეთის კულტურის სამინისტროების ფონდებში, ე. შევარდნაძის ფონდში. მიღებული აქვს საქართველოს მხატვართა კავშირის მედალი და პრემია, პრიზები წლის საუკეთესო ნამუშევრებისათვის (1966, 1978). პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა თსსა ხატვის კათედრაზე. არის ამ კათედრის პროფესორი, საქართველოს დამსახურებული მხატვარი (1974), საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი (1965).

ლიტ.: ს. იოსელიანი – "რუსუდან გაჩეჩილაძე – პორტრეტისტი". ალმანახი "სპექტრი " № 1. 1990.

ე. გაჩეჩილაძე – "დაზგური პორტრეტის განვითარების ტენდენციები ქართველ
მოქანდაკეთა 60-იანი წლების თაობის შემოქმედებაში".
თსუ შრომები. კრებული № 326. თბილისი. 1998 წ.

ე. გაჩეჩილაძე – “მოქანდაკე რუსუდან გაჩეჩილაძის შემოქმედება”. ჟურნ. “Georqica” №13\14 1990\91 წლები. კონსტანცის უნივერსიტეტის გამომცემლობა (გერმანულ ენაზე).

კრებული “ვინ ვინაა თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში”. 2000...

136. რუსუდან გაჩეჩილაძე (ღველფიანი)

თსუ დოცენტი, ინგლისური ენის კათედრის გამგე 1954-1987 წლებში.

დაიბადა 1914 წ. 17 თებერვალს, თბილისში, გარდაიცვალა 1999 წ. 1 მარტს, თბილისში.

მშობლები: მიხეილ სპირიდონის ძე გაჩეჩილაძე – მწიგნობარი-გამომცემელი, ბუკინისტი, **მარიამ სულხანიშვილი.**

1930 წელს წარჩინებით დაამთავრა ქ. თბილისის პირველი საცდელ-საჩვენებელი შრომის სკოლა (ქ. თბილისის I გიმნაზია).და სწავლა განაგრძო თბილისის “უცხოურ ენათა უმაღლეს კურსებზე” ინგლისური ენის განხრით.

1931 წ. ჩააბარა თსუ-ის ფილოლოგიის ფაკულტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის განყოფილების ინგლისური ენის სექტორზე, სადაც მარტო უცხო ენებს კი არ ასწავლიდნენ, არამედ ინტელიგენტი და განათლებული ადამიანის აღზრდის საქმეს ეწეოდნენ ბატონი ერეკლე ტატიშვილი (დ\ე ენებისა და ლიტერატურის კათედრის გამგე) და რუთ ჯონსონი-მეგდისოვა (ინგლისელი მასწავლებელი). რუსუდანმა უნივერსიტეტის წარჩინებით დამთავრებისათვის მიიღო სათანადო ჯილდო საუკეთესო სადიპლომო შრომისათვის (იხ. გაზეთი “მუშა”, 1936 წ. 9 ივლისი, გაზეთი “ბოლშევიკური კადრებისათვის”, №13(72).

რ. გაჩეჩილაძე შრომით საქმიანობას ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში შეუდგა. 1936 წ -დან იგი პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა ჯერ “უცხოურ ენათა უმაღლეს კურსებზე”, შემდგომ ა. პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში.

1938 წ. ბატონმა ერეკლე ტატიშვილმა თავისი ღირსეული მოწაფე, რუსუდან გაჩეჩილაძე, მიიწვია თსუ-ის უფროსი მასწავლებლის თანამდებობაზე. ამ დროიდან სიცოცხლის ბოლომდე უანგაროდ ემსახურებოდა ახალგაზრდების სწავლა-განათლებას.

1944 წ. რ. გაჩეჩილაძე “ამიერკავკასიის ფრონტის” თარჯიმნად მსახურობდა. მონაწილეობდა “თეირანის მოლაპარაკებაში”, რის გამოც მიღებული აქვს მთავრობის რამდენიმე ჯილდო და მედალი – “За доблестный труд в Великой Отечественной Войне 1941-1945гг.” (1946 წ).

1952 წ. დაიცვა დისერტაცია (აკად. ა. შანიძის ხელმძღვანელობით) ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად, ხოლო 1954-1987 წწ. (33 წლის

განმავლობაში) დოცენტი რ.გ. თსუ ინგლისური ენის კათედრის გამგეა (აღსანიშნავია, რომ იგი არ იყო კომპარტიის წევრი...).

1987 წ -დან სიცოცხლის ბოლომდე ეწეოდა როგორც პედაგოგიურ, ისე მეცნიერულ მოღვაწეობას, ხელმძღვანელობდა ასპირანტთა და მაძიებელთა მომზადებას ინგლისურ ენაში. იგი არის ინგლისური ენის არაერთი სახელმძღვანელოს (როგორც უმაღლესი სასწავლებლისათვის, ასევე საშუალო სკოლისათვის) ავტორი. გამოქვეყნებული აქვს უამრავი სამეცნიერო ნაშრომი და სტატია, რომელიც შესულია "თსუ შრომებში".

მას დარჩა **ქალიშვილი – ნინო გაჩეჩილაძე** (თსუ ინგლისური ენის კათედრის მასწავლებელი). ნინოს ჰყავს მეუღლე **ირაკლი ჭანტურია** და ორი ვაჟიშვილი.

137. სევასტი გაჩეჩილაძე (ოთიაშვილი)

ცნობილი ფოლკლორისტი.

დაიბადა 1863 წ., სოფ. წევაში, გარდაიცვალა 1943 წ., თბილისში. დაკრძალულია კუკიის სასაფლაოზე.

მამა – მიქელ როსტომის ძე გაჩეჩილაძე.

ქუთაისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, ჯერ პარიზის უნივერსიტეტში უსწავლია, შემდეგ კი ბრიუსელის უნივერსიტეტის აგრონომიული და სამთამადნო ფაკულტეტები დაუმთავრებია (დაახლ. 1906 წ.). ამავე უნივერსიტეტში გაუცვნია პოლონელი სტუდენტი – ნატალია ვინეცკაია და ცოლად შეურთავს. სამშობლოში დაბრუნებულს, ერთხანს წევაში უცხოვრია, მაგრამ, ვინაიდან იქ, რევოლუციური მოძრაობის მხარდაჭერისათვის, ხელისუფლება სდევნიდა, თავი თბილისისათვის შეუფარებია. აქ მებაღეობას მისდევდა (საბურთალოზე დიდი ბაღი გაუშენებია), თან განაგრძობდა ქართული ზეპირსიტყვიერების შეკრებას, რაც მას საზღვარგარეთ გამგზავრებამდე კარგა ხნით ადრე დაუწყია.

ახლო ურთიერთობა ჰქონია აკაკი წერეთელთან. ყოფილა "საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრი". მის მიერ შეკრებილი ფოლკლორული მასალები გამოქვეყნებულია: ჟურნალ "აკაკის კრებულში", 1899 წ. № 2,4

და კრებულში “ძველი საქართველო”, ტ. I, 1909; ტ. IV, 1915; 1903 წ. ცალკე წიგნად გამოიცა მის მიერ შეკრებილი ხალხური ზღაპრები. საბჭოთა ხელისუფლების წლებში მისი ფოლკლორული ჩანაწერები დაიბეჭდა ქართული ზეპირსიტყვიერების რამდენიმე კრებულში.

როგორც ს.გ-ს შემორჩენილი ხელნაწერებიდან ირკვევა, ფოლკლორისტული ჩანაწერების გარდა, მას დარჩენია მდიდარი საკუთარი შემოქმედებაც: მხატვრული, მემუარული და კვლევითი ხასიათისა (იკვლევდა ქართველი ხალხის ისტორიას და ფილოსოფიას-ფოლკლორის მასალების საფუძველზე).

მისი ფოლკლორისტული ჩანაწერების ერთი ნაწილი და მოგონებანი რევოლუციამდელ საქართველოში შემკრებლობითი მუშაობის შესახებ, ასევე, მისი კვლევითი ხასიათის ნაშრომების ნაწილი დაცულია შ. რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში (ნაწილი ნაშრომებისა, რომლებიც რეგისტრირებულია ინსტიტუტის არქივში – დაკარგულია). ს.გ-ს ხელნაწერების ნაწილი დარჩენილია, აგრეთვე, მისი შვილიშვილების: დავით პეტრეს ძე ახრახაძის, ენოლფ (იოლიკა) ფლორას ძე (ცხოვრობს მოსკოვში) და ნათელა ფლორას ას. გაჩეჩილაძეების ოჯახებში ბ-ნი დ. ახრახაძის თქმით: – მას და დედამისს ბ-ნი სევასტის ხელნაწერების დიდი ნაწილი (დაახლ. რამდენიმე ათასი გვერდი) 1951-53 წლებში ჩაუბარებიათ ქართული ლიტერატურის მუზეუმში, მუზეუმის მაშინდელი დირექტორის – გიორგი ლეონიძისათვის – პირადად. ამჟამად, ეს ნაწერები მუზეუმში არ ინახება და არც საინვენტარო წიგნშია რეგისტრირებული.

დაკარგულია, აგრეთვე, ბ-ნი სევასტის ნაშრომების სია, რომელიც ყოფილა, მუზეუმში დაცულ, სერგი გორგაძის არქივში აღმოჩენილ ბ-ნი სევასტის რამდენიმე ხელნაწერს შორის.

ბ-ნი სევასტის ორი ხელნაწერი წიგნი დ. ახრახაძისათვის გამოურთმევია ერთ-ერთ მკვლევარს და აღარ დაუბრუნებია...

თუ ს.გ-ს ფოლკლორისტული ჩანაწერების უმეტესი ნაწილი გამოქვეყნებულია, მისი საკუთარი შემოქმედება სრულებით შეუსწავლელია, დაუდგენელია მისი მხატვრული და სამეცნიერო ღირებულება.

ვერცერთი მკვლევარი, ვინც გადაწყვეტს სოფ. წევის და გაჩეჩილაძეთა საგვარეულოს ისტორიის შესწავლას, გვერდს ვერ აუვლის ბ-ნი სევასტის ნაშრომებს, ვინაიდან იგი პირველია, ვინც მრავალმხრივი და ვრცელი ინფორმაცია დაგვიტოვა სოფ. წევისა და წეველების შესახებ (მანამდე წევა ორიოდე სიტყვით ნახსენებია მხოლოდ რამდენიმე სამართლებრივ დოკუმენტში, ვახუშტი ბატონიშვილის “აღწერა სამეფოსა საქართველოსა”-ში და, საეკლესიო აქტების სარეგისტრაციო დავთრებში).ჩვენს მიერ მოძიებულმა მისმა ნაშრომებმა დაგვარწმუნა, რომ წევისა და წეველების შესახებ ინფორმაცია გაფანტულია, არა მხოლოდ უშუალოდ წევისადმი მიძღვნილ, არამედ მის სხვა ნაშრომებშიც, ამიტომ, და საზოგადოდაც, საინტერესოდ და აუცილებლად გვეჩვენება, რომ ვინმე, სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირმა, სასურველია ჩვენმა მოგვარემ, მოიძიოს, შეისწავლოს და გამოამზეუროს ბ-ნი სევასტის ლიტერატურული მემკვიდრეობა.

სევასტი გაჩეჩილაძეს ჰყავდა **ორი შვილი: ფლორა** (ვაჟი) და **რაისა**. ამჟამად მისი მემკვიდრეებიდან დარჩენილია ზემოხსენებული სამი შვილიშვილი, მათი და მეოთხე შვილიშვილის – ნესტორ ახრახაძის შთამომავლები.

ეკატერინე გაჩეჩილაძე. 2004 წ. 28 ივნისი.

ლიტ.: ქსე, ტ. III, თბ., 1978 წ.

მ. ჩიქოვანი. "ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია" ტ. I, თბ., 1975 წ.

138. სიმონ გაჩეჩილაძე (წეველი) (ბელტიყლაპია)

ცნობილი ქართველი მწერალი, სატირიკოს-იუმორისტი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი, საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში ლიტერატურის ისტორიის სწავლების ფუძემდებელი და პირველი ქართული სახელმძღვანელოების შემქმნელი დაიბადა 1898 წ., სოფ. წევაში. გარდაიცვალა 1981 წ. დაკრძალულია საზოგადო მოღვაწეთა საბურთალოს პანთეონში. **მამა – გიორგი კონსტანტინეს ძე გაჩეჩილაძე,** იყო სოფ. ამაშუკეთში მღვდელი, დედა – **აზნაურ ტიმოთე კიკნაძის ასული – ოლღა** – დიასახლისი.

ს. გაჩეჩილაძემ 1917 წ. დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია, ხოლო 1922 წ. თსუ-ის ფილოლოგიის ფაკულტეტი. ლიტერატურული მოღვაწეობა დაიწყო გიმნაზიაში სწავლის პერიოდში. ახლო ურთიერთობა ჰქონდა გ. ტაბიძესთან, ნათესაური კავშირი – გრ. რობაქიძესთან და პ. იაშვილთან – გამზრდელი ბებია ატატო იაშვილის მხრიდან.

1923 წ -დან 1944 წ-მდე მუშაობდა ჟურნალ "ნიანგის" რედაქციის გამგედ, რედაქტორის მოადგილედ, რედაქტორად. "ნიანგის" დაარსებამდე მისი სატირულ-იუმორისტული ნაწარმოებები ქვეყნდებოდა ჟურნ. "ტარტაროზის" ფურცლებზე. სატირაში ს. გაჩეჩილაძის ფსევდონიმი იყო "მედუზა" და "სიმი".

1937 წ. რეპრესიების დროს, როდესაც საზოგადოება "დანოსომანიის" ფსიქოზმა მოიცვა, ს. გაჩეჩილაძემ გამოაქვეყნა მამხილებლური ხასიათის ლექსები: "რაცხა-ვინცხა" და "საცხა-რაცხა", როგორც სატირა ეჭვისა და დასმენის მანიით შეპყრობილი საზოგადოების მიმართ.

1937-1947 წწ. ს. გაჩეჩილაძე კითხულობს ლიტერატურის თეორიის კურსს თსუ-ში. ამ პერიოდში შექმნა მან "ლიტერატურათმცოდნეობის" სახელმძღვანელო უმაღლესი სკოლებისათვის, ხოლო "ლიტერატურის თეორია" – საშუალო სკოლებისთვის. ამ წიგნებმა გაუძლეს დროის ულმობელ გამოცდას და დღემდე ასრულებენ თავიანთ ფუნქციას. ფაქტიურად მათზე აღიზარდნენ და ეზიარნენ ლიტერატურის საიდუმლოებას 40-იანი წლების შემდეგ ლიტერატურულ ასპარეზზე გამოსული ქართველი მწერლები.

ს. გაჩეჩილაძის კალამს ეკუთვნის მრავალი საბავშვო ლექსი და პოემა. მათ შორის გამორჩეული ადგილი უკავია ხალხური პოეზიის მოტივებზე შექმნილ პოემას "რწყილი და ჭიანჭველა". ს. წეველის ლექსს "წვიმა" მღეროდნენ დები იშხნელები, რომლებსაც მან გაუხსნა ასპარეზი საქართველოს რადიო-მაუწყებლობაში.

ს. გაჩეჩილაძემ 1962 წ. დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. 50-იანი წლებიდან მუშაობდა გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში, სადაც სიკვდილამდე იყო ლიტერატურის კათედრის გამგე.

ს. გაჩეჩილაძე, როგორც კეთილშობილი და ორიგინალური პიროვნება, არის ოთარ ჩხეიძის ბიოგრაფიული რომანის "ჩემი სავანის" ერთ-ერთი პერსონაჟი.

ბატონ სიმონს ჰყავდა **მეუღლე – ქსენია დუმბაძე** (გარდაიცვალა 2002 წ.). მათი შვილია ცნობილი ლიტერატორი და საზოგადო მოღვაწე **გიორგი გაჩეჩილაძე.**

139. ფილიმონ გაჩეჩილაძე

საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს კაპიტალური მშენებლობის განყოფილების უფროსი, დამსახურებული ინჟინერი...

დაიბადა 1906 წ., გარდაიცვალა 1980 წ. **მამა ფილიმონ გაჩეჩილაძე**.

პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ სხვადასხვა დროს მუშაობდა თბილისის საქალაქო საბჭოს ბინათმშენებლობის სამმართველოს მთ. ინჟინრად, პროფსაბჭოს, საქართველოსა და სომხეთის სსრ საკურორტო მშენებლობის მთ. ინჟინრად, 25 წელზე მეტხანს მუშაობდა საქართველოს ქვანახშირის სისტემაში და იყო კომბინატის უფროსის მოადგილე მშენებლობის დარგში. 1973 წლიდან გარდაცვალებამდე მუშაობდა საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს კაპიტალური მშენებლობის განყოფილების უფროსად.

თვალსაჩინო სპეციალისტი ფ. გაჩეჩილაძე არჩეული იყო პარტიის ტყიბულის რაიკომის ბიუროს წევრად, ტყიბულის საქალაქო საბჭოს დეპუტატად. დაჯილდოებული იყო მედლებით. იგი თავის მდიდარ გამოცდილებას ახმარდა ახალგაზრდა კადრების აღზრდასა და პროფესიულ დაოსტატებას.ბატონი ფილიმონი იყო დიდი სამამულო ომის მონაწილე, სკკპ წევრი 1944 წლიდან; რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი.

მას ჰყავდა **მეუღლე – სოფიო, შვილები: ლედი და ნანი.**

ლიტ.: გაზ. "თბილისი", 1980 წ. 16 მაისი, გვ. 4.

140. ქეთევან გაჩეჩილაძე (ოთიაშვილი)

ცნობილი მოჭადრაკე.

დაიბადა 1957 წ., თბილისში, გარდაიცვალა 1991 წ. დაკრძალულია თბილისში, ვაკის სასაფლაოზე.

მშობლები: ანდრია ნიკოლოზის ძე გაჩეჩილაძე (1918-1997) – ცნობილი ექიმი, **მარინე ჯანდიერი** – ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრის კონცერტმაისტერი (ამჟამად პენსიონერი).

ქ.გ. იყო სპორტის ოსტატობის კანდიდატი, მოზრდილებში საკავშირო პირველობის პრიზიორი, საქართველოს პრიზიორი ქალებში, საერთაშორისო ტურნირების მონაწილე, "ჩემპიონთა რისხვა" – ასე უწოდებდა ქეთევანს რესპუბლიკური პრესა და ამაში არაფერი ყოფილა გადაჭარბებული, მართლაც, ოფიციალურ შეჯიბრებებში მას, სხვადასხვა დროს, ჩვენი რესპუბლიკიდან ორივე მსოფლიო ჩემპიონი ქალისთვის მოუგია შეხვედრა, დაუმარცხებიოსტატები და დიდოსტატები. გამოირჩეოდა კომბინაციური თამაშის სტილით. მიღებული აქვს პრიზები, სიგელები და სხვა ჯილდოები. საჭადრაკო სამყაროში მას იცნობდნენ, როგორც უაღრესად კეთილსინდისიერ, შრომისმოყვარე და პერსპექტიულ მოჭადრაკეს. მაგრამ... ბედმა სულ სხვა ინება. ქ. გაჩეჩილაძე 33 წლის ასაკში წავიდა ამ ქვეყნიდან.

მას დარჩა **შვილი – ვახტანგ ავთანდილის ძე კეკელიძე** – სტუდენტი.

ტექსტი შეადგინეს **ნიკოლოზ შურღაიამ და გოჩა არონიშიძემ.**

ლიტ.: გაზ. "ლელო", 1991 წ., 18 აპრილი.

141. ქეთევან გაჩეჩილაძე

ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, თსუ დოცენტი.

დაიბადა ქ. ზესტაფონში 1904 წ., გარდაიცვალა 1975 წ. **მამა – არჩილ გაჩეჩილაძე.**

1934 წ. დაამთავრა თსუ საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი – ბიოლოგიის განხრით და ამავე წელს დაიწყო პედაგოგიური და სამეცნიერო მუშაობა უნივერსიტეტის ბოტანიკის კათედრაზე. 1945-1950 წწ. მუშაობდა თბილისის ბოტანიკურ ბაღში დენდროლოგიური განყოფილების გამგედ. 1950-1953 წწ. უფროსი მეცნიერ თანამშრომელი იყო ბოტანიკური ბაღის მეყვავილეობა-მებაღეობის განყოფილებაში.

1945 წ. წარმატებით დაიცვა დისერტაცია მეცნ იერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად.

1948 წ -დან გარდაცვალებამდე მუშაობდა თსუ-ის ბოტანიკის კათედრაზე დოცენტად – კითხულობდა მცენარეთა მორფოლოგიის კურსს. არის 35 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, მეცნიერულ მუშაობასთან ერთად, ეწეოდა აქტიურ საზოგადო მოღვაწეობას. 1948-1955 წწ. არჩეული იყო თბილისის სამი მოწვევის საქალაქო საბჭოს დეპუტატად. მიღებული ჰქონდა მთავრობის ჯილდოები.

ლიტ.: გაზ. "სახალხო განათლება", 1975 წ. 24 იანვარი.

142. ქეთევან (ლიანა) გაჩეჩილაძე (ოთიაშვილი)

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ბაქტერიოფაგის ინსტიტუტის ფაგების სელექციისა და ტაქსონომიის განყოფილების გამგე.

დაიბადა 1928 წ. 30 ივნისს, თბილისში.

მშობლები: კონსტანტინე მაკარის ძე გაჩეჩილაძე – ისტორიკოსი, ფილოლოგი, პედაგოგი, მწერალი, **თამარ იოსების ასული ჯაიანი** – გერმანული ენის სპეციალისტი, პედაგოგი 1945 წ. დაამთავრა თბილისის მე -6 საშ. სკოლა, 1951 წ. კი თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი და მუშაობა დაიწყო ბაქტერიოფაგის ინსტიტუტში.

1964 წ. მოსკოვში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, 1982 წ. მოსკოვშივე დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. იმუშავა მრავალ კომპლექსურ თემაზე მოსკოველ, გერმანელ და აშშ-ს მეცნიერებთან ერთად. გამოქვეყნებული აქვს 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი.

ქალბატონ ქეთევანს ჰყავს **მეუღლე – ვახტანგ ჭიჭინაძე** – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ელექტროტექნიკის დარგში.

შვილები: ელისო ჭიჭინაძე (1958) – ბიოლოგი, **რევაზ ჭიჭინაძე** (1958) – პროგრამისტი.

143. ქრისტეფორე გაჩეჩილაძე (გუნდაეთელი)



ჭიათურის რ. სოფ. გუნდაეთის წმიდა გიორგის ეკლესიის დიაკონი.

დაიბადა 1862 წ. სოფ. გუნდაეთში, გარდაიცვალა 1960 წ.

მშობლები: ანდრია გიორგის ძე გაჩეჩილაძე*, (?) **აბდუშელიშვილი.**

მოღვაწეობდა სოფ. გუნდაეთის ეკლესიაში. ათეისტური რეჟიმის პერიოდში მისი ოჯახი "განაკულაკეს" – უძრავი ქონება და საქონელი ჩამოართვეს. მამა ქრისტეფორე ეცადა მეურნეობა აღედგინა, – ხარები შეიძინა, მაგრამ კვლავ ჩამოართვეს. არც ეს აკმარეს და ორი წელი ციხეში ამყოფეს.

მამა ქრისტეფორეს პირველ ცოლისაგან, **ყიფშიძის** ქალისაგან ჰყავდა ერთი **ქალიშვილი – შუშანა,** ხოლო მეორე ცოლისაგან – **პიღასი ყარამანის ას. ჩხეიძისაგან** – **ხუთი შვილი: ალექსანდრე, ელენე, ილია, გიორგი და შოთა.**

ტექსტი შეადგინა **გოჩა არონიშიძემ**.

144. შალვა გაჩეჩილაძე

საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი. ლენინისა და შრომის წითელი დროშის ორდენების კავალერი.

დაიბადა 1897 წ., სოფ. წევაში, გარდაიცვალა 1985 წ. **მამა – გიორგი გაჩეჩილაძე.**

ყვირილას სამოქალაქო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სწავლა გორის საოსტატო სემინარიაში განაგრძო, რომელიც 1919 წ. დაამთავრა. იმავე წლიდან დაიწყო პედაგოგიური მოღვაწეობა. სხვადასხვა დროს მუშაობდა გორის უმაღლეს დაწყებით სასწავლებელში, მშენებელთა არტელში, განათლების განყოფილების გამგის მოადგილედ, გამგედ, განათლების მუშაკთა პროფკავშირის გორის სამაზრო გამგეობის თავმჯდომარედ.

შ. გაჩეჩილაძემ დაუსწრებლად მიიღო უმაღლესი განათლება და მუშაობა დაიწყო ამიერკავკასიის რკინიგზის ზესტაფონის საშ. სკოლის სასწავლო ნაწილის გამგედ. 1952 წ. დაინიშნა, რკინიგზის თბილისის მე-10 საშ. სკოლის ისტორიის მასწავლებლად, შემდეგ კი სასწავლო ნაწილის გამგედ. წლების განმავლობაში ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა მე-3 საშ. სკოლაში.

შ. გაჩეჩილაძე იყო რესპუბლიკის პერსონალური პენსიონერი. დაჯილდოებული იყო ორდენებით და მედლებით.

ლიტ.: გაზ. "სახალხო განათლება", 1985 წ. 15 მაისი.

145. შალვა გაჩეჩილაძე

ექიმი, ზესტაფონის პოლიკლინიკის გამგის მოადგილე.

დაიბადა 1921 წ., გარდაიცვალა 1992 (ან 1993 წ.) **მამა – იასონ გაჩეჩილაძე.**

დაამთავრა თსი. მონაწილეობდა დიდ სამამულო ომში.მუშაობდა ტყიბულში, შემდეგ ზესტაფონში – პოლიკლინიკის გამგის მოადგილედ – გარდაცვალებამდე.

ჰყავდა **მეუღლე – ქეთევან თუთბერიძე** იურისტი. მათ დარჩათ **ვაჟი – უჩა.**

146. შალვა გაჩეჩილაძე (ოთიაშვილი)

გამოჩენილი ინჟინერ-მშენებელი.

დაიბადა 1906 წ., წევაში. გარდაიცვალა 1973 წ., თბილისში.

მამა – კასიანე ეფრემის ძე გაჩეჩილაძე – წევის წმიდა გიორგის ეკლესიის მოძღვარი, **დედა – ლეონიდე კალანდაძე-გაჩეჩილაძე** – დიასახლისი, 9 შვილის აღმზრდელი.

დაამთავრა: ქუთაისის კლასიკური გიმნაზია, ელიავას სახელობის სამშენებლო ტექნიკუმი, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი ინჟინერ-მშენებლის სპეციალობით.

მუშაობა დაიწყო შორაპანში – რკინიგზაში. 1930-იან წლებში მისი ხელმძღვანელობით აიგო წყალსაქაჩი მდინარე ძირულაზე და რამდენიმეშენობა რკინიგზელთათვის.

1932-42 წწ. თბილისში ააგო ლიმონათის ქარხანა – კლარა ცეტკინის (ამჟამად წინამძღვრიშვილის) ქუჩაზე; ნაძალადევში, – იმდროინდელ ამიერკავკასიაში უდიდესი, ტრიკოტაჟის კომბინატი.

1937-39 წწ. იყო თბილისის ლენინის რაიონის მთავარი ინჟინერ - მშენებელი.უხელმძღვანელა თბილისში დინამოს სტადიონის მშენებლობას.

1941-44 წწ. სამხედრო ინჟინერია. ქუთაისის და სოხუმის აე როდრომები გადააკეთა მძიმე ბომბდამშენების მისაღებად. მიენიჭა ინჟინერ-პოლკოვნიკის წოდება.

1944-47 წწ. უხელმძღვანელა რუსთავში მეტალურგიული კომბინატის უდიდესი ბლუმინგის საგლინავი საამქროს მშენებლობას.

1947-54 წწ. იყო ლენინის რაიონის სარემონტო სამმართველოს მთავარი ინჟინერი.

1954-69 წწ. თიანეთის რაიონის სოკოლმშენის მთავარი ინჟინერი.

ქ. თიანეთში ააგო სასტუმრო, რამდენიმე საცხოვრებელი სახლი, კულტურისა და დასვენების პარკი, ხიდები, სკოლები.

1969-72 წწ. თბილისის მთავარი არქიტექტორის, ქურდიანის, მიწვევით გადააკეთა დინამოს სტადიონი.

ბატონ შალვას დარჩა **სამი შვილი: ელენე, ლეილა და შალვა (გურამი).**

ლიტ.: გაზ. თბილისი, 1973 წ., №142.

147. შალვა ლევანტის ძე გაჩეჩილაძე

რკინიგზის ტრანსპორტის ღვაწლმოსილი ინჟინერი.

დაიბადა 1920 წ.23 აპრილს, ზესტაფონის რ. სოფელ შროშაში.

მშობლები: ლევანტი სპირიდონის ძე გაჩეჩილაძე (გ. 1937), **ერმონია გველესიანი.**

1940 წ. დაამთავრა თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ტექნიკუმი – მატარებელთა მოძრაობის და სატვირთო მუშაობის ტექნიკოსის სპეციალობით და მუშაობა დაიწყო რკინიგზის სადგურ "ნავთლუღში".

1948 წ. დაამთავრა ქ. ხარკოვის რკინიგზის ტრანსპორტის საინჟინრო ინსტიტუტი. 60 წელზე მეტ ხანს იმუშავა რკინიგზის სხვადასხვა დაწესებულებებში, მათ შორის: რკინიგზის საკვანძო, სამგზავრო და სატვირთო სადგურებში – დისპეჩერად,

თბილისის რკინიგზის სამგზავრო სადგურის უფროსის უფროს თანაშემწედ,

თბილისის რკინიგზის სამაცივრო ტრანსპორტის რევიზორადთბილისის რკინიგზის სამგზავრო განყოფილების უფროსის მოადგილედ და სხვა.

1979 წ -დან 2000 წ-მდე მუშაობდა ამიერკავკასიის რკინიგზის სამშენებლო სამონტაჟო ტრესტის მთავარ დისპეტჩერად.

რკინიგზის ტრანსპორტზე ტვირთების გადაზიდვის სახელმწიფო გეგმების წარმატებით შესრულებაში შეტანილი წვლილისათვის მიღებული აქვს ფულადი პრემიები, როგორც ადგილობრივი რკინიგზის ხელმძღვანელობისაგან, ისე საკავშირო გზათა მიმოსვლის მინისტრისაგან.

დაჯილდოებულია მედლით "შრომითი მამაცობისათვის".

შ. გაჩეჩილაძე არის ომისა და შრომის ვეტერანი, პერსონალური პენსიონერი. მიღებული აქვს სამამულო ომის მეორე ხარისხის ორდენი და მედლები. 2002 წ-დან იგი გაჩეჩილაძეთა "საგვარეულო დარბაზის" საინფორმაციო ჯგუფის აქტიური წევრია.

ბატონ შალვას ჰყავდა **მეუღლე თინა ივანეს ას. მეგრელიშვილი** (1926-1995) – ექიმი თერაპევტი, ჰყავს **შვილი – მარინე გაჩეჩილაძე** (1961) – ექიმი-თერაპევტი და შვილიშვილები - თინათინ (1994) და გიორგი (1995) იასეშვილები.

148. შალვა გაჩეჩილაძე (ოთიაშვილი)



1928-1933 წლებში საქართველოს მთავლიტის უფრ ოსი, 1933-1934 წლებში საქართველოს კპ ცკ ხელოვნებისა და მხატვრული ლიტერატურის სექტორის გამგე, პარტიული მუშაკი...

დაიბადა 1898 წ., სოფ. წევაში, გარდაიცვალა 1974 წ., დეკემბერში.

მშობლები: ტარასი გაჩეჩილაძე, დესპინე გაჩეჩილაძე.

სწავლობდა გორის სამასწავლებლო სემინარიასა და თსუ სოციალურ – ეკონომიურ ფაკულტეტზე.

1919 წ -დან იყო სკკპ წევრი. 1921 წ. მუშაობდა კომკავშირის გორის სამაზრო კომიტეტის ორგანიზაციული განყოფილების გამგედ. ხოლო 1922 წ-დან პარტიის გორის სამაზრო კომიტეტის ინსტრუქტორად. 1927-28 წწ. – პარტიის მანგლისის რაიკომის მდივანი იყო.

1928-1933 წწ. საქართველოს მთავლიტის უფროსად მუშაობდა. 1933 -34 წწ. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელოვნებისა და მხატვრული ლიტერატურის სექტორის გამგე და გაზეთ "საბჭოთა ხელოვნების" რედაქტორი იყო. 1935-36 წწ. კოლხეთის დ აშრობის გრანდიოზული სამუშაოების დაწყებასთან დაკავშირებით, პარტიის მიერ გაგზავნილი იქნა ფოთში, გაზეთ "მგზნებარე კოლხიდელის" რედაქტორად. 1936 წ. იგი პოლიტიკური რადიომაუწყებლობის რედაქტორი იყო. 1958 წ-დან კი პერსონალური პენსიონერი.

ლიტ.: გაზ. თბილისი, 1974 წ. 24 დეკემბერი, გვ. 4.

149. შალვა (გურამ) გაჩეჩილაძე (ოთიაშვილი)

ინჟინერ-მექანიკოსი, გამომგონებელი.

დაიბადა 1938 წ. 15 სექტემბერს. **მშობლები: შალვა კასიანეს ძე გაჩეჩილაძე**- ცნობილი ინჟინერ – მშენებელი, **მერი ჩიტაძე.**

1961 წ. დაამთავრა სასოფლო სამ ეურნეო ინსტიტუტის მექანიზაციის ფაკულტეტი.

1968-84 წწ. ხელმძღვანელობდა საქართველოს მექანიზაციისა და ელექროფიკაციის სამეცნ. კვლევითი ინსტიტუტის საკონსტრუქტორო განყოფილებას, იქვე, 1970-88 წწ. იყო ახალი ტექნიკის გამოცდის და დანერგვის განყოფილების ხელმძღვანელი.

1988-2000 წწ. იყო ფირმა "ეკოლოგიის" საინჟინრო – ეკონომიური ცენტრის დირექტორი.

გამოქვეყნებული აქვს 7 სამეცნიერო შრომა და შვიდი გამოგონება (მათ შორის ორზე მიღებული აქვს საავტორო მოწმობა № 296509, გაცემული 1970 წ. 14 დეკემბერს სსრკ გამოგონებისა და აღმოჩენების კომიტეტის მიერ) და № 483961 (გაცემული 1975 წ. 22 მაისს, იგივე კომიტეტის მიერ).

წერს მცირე ზომის ლიტერატურულ ნაწარმოებებს. მათ შორის სოფ. წევაზეც.

ამჟამად მუშაობს საქართველოს თამბაქოს წარმოებაში კონსტრუქტორად.

ჰყავს **მეუღლე-ლიანა ჭკუასელი** (1940) – ფილოლოგი და **ვაჟი ზვიადი** (1981) – ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტი.

150. შოთა გაჩეჩილაძე (ბღოჭიალა)

ღვაწლმოსილი ინჟინერ-მექანიკოსი.

დაიბადა 1924 წ. 5 აგვისტოს, ქ. ზესტაფონში, გარდაიცვალა 1999 წ., თბილისში. **მშობლები: ალექსანდრე გაჩეჩილაძე, ანა პერანიძე.**

1930 წ. შევიდა და 1941 წ. დაამთავრა ქ. ზესტაფონის საშუალო სკოლა.

1942-45 წწ. მუშაობდა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში, სადაც დაჯილდოებული იქნა მედლით "შრომითი მამაცობისათვის 1941-1945 წწ. დიდ სამამულო ომში".

1946 წ. შევიდა და 1951 წ. დაამთავრა კიროვის სახ . საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი "ავტომობილები და საავტომობილო მეურნეობის" სპეციალობით და მიეკუთვნა ინჟინერ მექანიკოსის კვალიფიკაცია.

1956-75 წწ. მუშაობდა ტრესტ საქჰიდროენერგომშენში სხვადასხვა

თანამდებობებზე. მონაწილეობდა ხრამჰესის, ტყიბულჰესისა და ენგურჰესის მშენებლობაში.

1951 -56 წწ. იყო ტყიბულჰესის ავტოსატრანსპორტო კოლონის უფროსი;

1956-65 წწ. № 4 ავტოსატრანსპორტო კოლონის მთავარი ინჟინერი;

1965-75 წწ. № 3 ავტოსატრანსპორტო კოლონის მთავარი ინჟინერი;

1975-81 წწ. სოფლის მეურნეობის მშენებლობის სამინისტრ ოს სისტემაში მექანიზაციისა და ტრანსპორტის ცენტრალური ბაზის მომარაგების უფროსი.

1981 წ -დან მუშაობდა ტრესტ საქსოფმშენტრანსის №1 ავტოსატრანსპორტო გაერთიანების მომარაგების უფროსად.

1986 წ -დან პენსიაზე გასვლადმე მუშაობდა აგრომშენტრანსის № 1 ავტოსატრანსპორტო გაერთიანების მომარაგების განყოფილების უფროსად.

არის ნოველებისა და ათამდე პიესის ავტორი. იბეჭდებოდა რამდენიმე ლიტერატურულ გამოცემაში. მისი პიესები დადგმულია ზესტაფონის, ქობულეთისა და ოზურგეთის სახალხო თეატრებში.

ბატონ შოთას დარჩა **მეუღლე – ანერი ვლადიმერის ას. გურული და შვილები: ქეთევან და პაატა გაჩეჩილაძეები** – იურისტები.

ბატონი შოთას ქალიშვილი **ქეთევანი** "გაჩეჩილეძეთა საგვარეულო დარბაზის" იურიდიულ კომისიის თავმჯდომარე და საინფორმაციო ჯგუფის წევრია.

151. შორენა გაჩეჩილაძე (ლობიო)

გამოჩენილი ქორეოგრაფი.

დაიბადა 1971 წ. 4 მარტს, თბილისში. **მშობლები: თენგიზ გაჩეჩილაძე** – სამეჯლისო სპორტული ცეკვების სპეციალისტი, სანიმუშო ანსამბლ "თელას" ხელმძღვანელი, საქართველოს სპორტცეკვების ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი, **ვალენტინა ბაგდასაროვა.**

შ. გაჩეჩილაძე 1977 წ. შევიდა თბილისის 112 – ე საშ. სკოლაში. შემდეგ სწავლა განაგრძო შ. მილორავას სახელობის საესტრადო ხელოვნების სასწავლებელში, რომელიც ვადამდე წარჩინებით დაამთავრა 1989 წ. და იმავე წელს წარმატებით ჩააბარა გამოცდები თეატრალურ ინსტიტუტში.

იგი 6 წლის ასაკიდან იწყებს სამეჯლისო ცეკვების შესწავლას. სხვადასხვა დროს იმარჯვებს საქართველოს, კავკასიის, რუსეთის, უკრაინის, ბელორუსიის, ბალტიისპირა და სხვა ქვეყნების ჩემპიონატებსა და ტურნირებში.

1988 წ. გათხოვდა თავის თანამეწყვილე **გოჩა ჩერტკოევზე**. მათ შეეძინათ შვილი – ლევანი.

1990 წ. შორენა და გოჩა, როგორც მაღალი დონის სპეციალისტები აშშ-ის ქ. დალასში მიიწვიეს, სადაც ამჟამადაც ცხოვრეობენ, ცეკვავენ და ასწავლიან ამერიკის წამყვან (სამეჯლისო ცეკვებში) წყვილებს. ისინი არიან
ამერიკის მრავალგზის ჩემპიონები ლათინურამერიკულ ცეკვებში.

მათ მიერ ტურნირებსა და ჩემპიონატებზე მოპოვებული გამარჯვებების ჩამონათვალი ასეთია: პირველი ადგილები ფლორიდაში, სოუტვერტენში, ჰავაიზე (“ვარსკვლავთა მეჯლისი”), ნიუ-ორკში, სან-ფრანცისკოში, ოჰაიოში (აქ ტარდება აშშ და კანადის ჩემპიონატი), ჰიუსტონში, თვით დალასში, ლოს- ანჟელესში, მაიამიში, მანჰეტენზე; არიან მსოფლიოში უდიდესი ტურნირის ფინალისტები (ქ. ბლექპული) “ამომავალი ვარსკვლავების” კლასში; არიან ამერიკის ნაკრები გუნდის წევრები მსოფლიოს ჩემპიონატზე და მრავალი სხვა.

დიდი წარმატებით გამოდიან მათი აღზრდილები მოსფლიოს სხვადასხვა ტურნირებში და ა.შ.

152. ციალა (სიდონია) გაჩეჩილაძე (ლანჩავა)

საეკლესიო მხატვარი, ჟურნალ “რწმენა და ცოდნას” მხატვრული რედაქტორი...

დაიბადა 1952 წ. 9 აპრილს (15 ივნისს), თბილისში. **მშობლები: მიხეილ ნიკოლოზის ძე გეჩეჩილაძე –** საქართველოს დამსახ. ინჟინერი, არქიტექტორი,* **მარიამ პლატონის ას. ღიბრაძე** –ექიმი.

1975 წ. წარჩინებით დაამთავრა თსსა გამოყენებითი გრაფიკის ფაკულტეტი, შემდეგ კი თსუ საზოგადოებრივ პროფესიათა ფაკულტეტის ფოტოხელოვნების სპეციალობა.

1975-88 წწ. წარმატებით მოღვაწეობდა საერო მხატვრობის სფეროში: გაფორმებული აქვს მრავალი წიგნი, შესრულებული აქვს მრავალი პლაკატი, სათეატრო

და საესტრადო აფიშა, მონაწილეობდა მრავალ საქალაქო, რესპუბლიკურ და საკავშირო გამოფენაში, ჯერ სსრკ, შემდეგ საქართველოს მხატვართა კავშირის წევრია 1989 წ-დან.

ც. გაჩეჩილაძე არის ეროვნული ხატწერის სკოლის აღორძინების ერთ-ერთი ფუძემდებელი. 1988-92 წწ. იგი ხელმძღვანელობდა თბილისის სასულიერო აკადემიის ხატწერის სახელოსნოს. მის მიერ შესრულებული ხატები მოთავსებულია თბილისის ტაძრებში, შემოქმედის მონასტერში, სვანეთისა და იმერეთის ეკლესიებში.

1993 წ-დან იგი ცხოვრობს და მოღვაწეობს თეთრიწყაროს რ. სოფ. ასურეთში. წერს ხატებს, აფორმებს სასულიერო შინაარსის ლიტერატურას, მუშაობს ბიბლიისა და სახარების მინიატურებზე. არის ჟურნალ "რწმენა და ცოდნა"-ს მხატვრული რედაქტორი. მონაწილეობს სასულიერო მხატვრობის გამოფენებზე. არის საპატრიარქოსთან არსებული საქველმოქმედო საზოგადება "ბეთლემის" წევრი. მის მიერ შესრულებული ესკიზებით უნდა მოიხატოს ს. ასურეთის მახლობლად მშენებარე "ალგეთისპირა წმიდა გიორგის " ტაძარი.

ციალა (სიდონია) გაჩეჩილაძეს ჰყავს **დები – ეკატერინე* და მარიამი*, სიძე – ნოდარ აფციაური,** დისშვილები და დისშვილიშვილები.

ლიტ.: "ვინ ვინაა თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში", 2000.

153. ცინარა გაჩეჩილაძე

ექიმი-ციტოლოგი, ჰისტოლოგი, ემბრიოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.

დაიბადა 1928 წ. 9 აგვისტოს, თბილისში. **მშობლები: ვლადიმერ გაჩეჩილაძე** – ექიმი, **სალომე ანდრონიკაშვილი.** დაამთავრა თსსი სამკურნალო ფაკულტეტი (1945-51). იყო ტუბერკულოზის რესპუბლიკური ს/კ ინსტიტუტის პათომორფოლოგიური განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელი (1953- 58), ი. ჟორდანიას სახ. ქალის ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის ს/კ ინსტიტუტის მორფოლოგიისა და ემბრიოლოგიის ლაბორატორიის მეცნიერ–თანამშრომელი (1958-68), 1968წ -დან თსსუ ჰისტოლოგიის, ციტოლოგიის და ემბრიოლოგიის კათედრის დოცენტი, 1970 წ-დან – ამავე კათედრის პროფესორი. 1976-2001 წწ. კათედრის გამგე. ავტორია 157 სამეცნიერო ნაშრომისა. შედგენილი აქვს 6 სახელმძღვანელო ემბრიოლოგიის, ჰისტოლოგიის და ციტოლოგიის

საკითხებზე. მისი ხელმძღვანელობით დაცულია 3 საკანდიდატო დისერტაცია. ცინარა გაჩეჩილაძე დაჯილდოებულია ღირსების ორდენით.

მას ჰყავს **მეუღლე – გიგო ბუაჩიძე და ქალიშვილი – მანანა.**

154. ხათუნა გაჩეჩილაძე (კვიცინა)

ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

დაიბადა 1965 წ. 8 ოქტომბერს, გორში. **მშობლები: ემირ მიხეილის ძე გაჩეჩილაძე, მზია აბაიაძე.**

1989 წ. დაამთავრა თსუ ბიოლოგიის ფაკულტეტი. მუშაობს თსსუ-ს მიკრობიოლოგიის კათედრაზე მეცნიერ მუშაკად. 2002 წ. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: "ჰოსპიტალიური ინფექციების აღმოცენებასა და განვითარებაში არამაფერმენტირებელი გრამუარყოფითი მიკროორგანიზმების როლის და პრევალენტობის შესწავლა". არის რამდენიმე მეცნიერული ნაშრომის ავტორი: ხ. გაჩეჩილაძე, დ. ჩიკვილაძე – "ჰოსპიტალური ინფექციების პრევალენტობის შესწავლა ქ. თბილისის კლინიკებში";

ხ. გაჩეჩილაძე, დ. ჩიკვილაძე – "არაფერმენტული გრამუარყოფითი ბაქტერიების როლის შესწავლა – ჰოსპიტალური ინფექციების ჩამოყალიბებაში;

ხ. გაჩეჩილაძე – "ფსევდომონას აკინეტობაქტერის და გორაქსელას ჰოსპიტალური შტამების ბიოლოგიური თვისებების შესწავლა";

ხ. გაჩეჩილაძე, დ. ჩიკვილაძე – "პიგმენტ პიოციანინის "ბაქტერიოციდული" მოქმედების როლის შესწავლა";

ხ. გაჩეჩილაძე – "არაფერმენტირებული გრამუარყოფითი ბაქტერიების ეტიოლოგიური მნიშვნელობა ქირურგიული პროფილის კლინიკებში".

ხ. გაჩეჩილაძე, დ. ჩიკვილაძე – "აეროგიპოსას როლის შესწავლა ჰოსპიტალური ინფექციების ჩამოყალიბებაში".

155. ჯონდო გაჩეჩილაძე

საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი...

დაიბადა 1933 წ., საჩხერეში. მშობლები: **ლევან სამსონის ძე გაჩეჩილაძე, თინა ვლადიმერის ას. აბაშიძე.**

1940-1947 წწ. სწავლობდა ზესტაფონის (ფეროს) საშუალო სკოლაში. 1947 წ -დან სწავლა განაგრძო თბილისის მე-4 საშუალო სკოლაში, რომელიც დაამთავრა 1952 წ.

1953 წ. ჩაირ იცხა საქ. პოლიტექნიკურ ინსტიტუტში (სპი) ენერგეტიკის ფაკულტეტზე. ინსტიტუტი დაამთავრა 1959 და მიიღო ინჟინერ-ელექტრიკოსის დიპლომი.

1959-1971 წწ. მუშაობდა ხელსაწყოთა და ავტომატიზაციის საშუალებათა სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში სხვადასხვა თანამდებობაზე.

1971 წ -დან გადაიყვანეს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტში განყოფილების უფროსად, შემდეგში სამმართველოს უფროსად.

1987 წ. მიენიჭა რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინრის წოდება. 1988 წ -ს გადაიყვანეს სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება ანალიზხელსაწყოს "საინჟინრო-კომერციული ცენტრის" დირექტორად, სადაც 1998 წ-მდე იმუშავა.

1990 წ-ს მიენიჭა შრომის ვეტერანის წოდება.

1998 წ-დან არის პენსიონერი.

მეუღლე – თევზაძე ნანა – ინჟინერი (პენსიონერი).

შვილები: ლევანი – ბიზნესმენი, პოლიტიკოსი,

გიორგი – მსახიობი, შოუმენი.

წეველიძეთა ბიოგრაფიები

156. ტეზრელი წეველიძეები

*(სოფ. ტეზრისა და იქაური წეველიძეების შესახებ მასალა მოგვაწოდა **მერაბ სიმონის ძე წეველიძემ)***

ჩვენს მიერ შეკრებლი საგვარეულო ლეგენდებიდან ირკვევა, რომ წეველიძედ გვარი გადაუკეთებია რამდენიმე გაჩეჩილაძეს, რომლებიც სხვადასხვა დროს (XIX ს. ბოლოდან XIXს. დასაწყისამდე) სხვადასხვა მიზეზით წასულან წევიდან და დასახლებულან საქართველოს სხვადასხვა ადგილას.

ორი ძმა გაჩეჩილაძე XVIII ს. ბოლოს ჩასახლებულა ხაშურის რ. ერთ-ერთ ლამაზ სოფელ ტეზერში. რომელიც მდებარეობს ხაშურიდან 7 კმ-ზე, ლიხის მთის აღმოსავლეთ კალთაზე. ზღვის დონიდან 800 მ. სიმაღლეზე და ზემოდან დაჰყურებს ჩრდ. აღმოსავლეთით სურამს და ჩრდ. დასავლეთით – ქვიშხეთს. ვახუშტი ბატონიშვილი ასე ახასიათებს ამ მხარეს: "ადგილნი ესენი არიან მოსავლიანი, თვინიერ ბრინჯ-ბაბმისა, ვენახით, ხილით და ყოვლითა მარცვლითა… ჰავით მშვენიერი და ამო. სასმელი და საჭმელი აქაური უმეტეს გემოიანი სხვა ადგილთაგან.[1]

მერაბ წეველიძე სოფლის შექმნის და მისთვის სახელის შერქმევის ისტორიას ასე წარმოგვიდგენს: "შუა საუკუნეებიდან მოყოლებული, ამ ადგილას იყო საბრძოლო კოშკი. რომელსაც "მტერმზერს" ეძახდნენ – მისი დანიშნულების გამო. კოშკზე კოცონის ანთებით გუშაგები მეზობელ სოფლებსა და ქალაქებს მტრის მოახლოებას ამცნობდნენ. ამ კოშკის გარშემო მე-18 საუკუნის დასაწყისისათვის ჩამოყალიბდა სოფელი, რომელსაც ტეზერი (მტერმზვერი ერქვა)".

ვ. და ლ. აბრამიშვილები კი. თავიანთ ბროშურაში "ტეზერი", სოფლის სახელს უკავშირებენ მის ტერიტორიაზე მდებარე კოშკისა და ხახუტის ტაძრებს... (ეს სახელები ავტორთა აზრით წარმომდგარია ოშკისა და ხახულის დიდებული ტაძრების (ამჟამად თურქეთის საზღვრებშია) სახელებიდან... მკვლევარებს ყურადღება გაუმახვილებიათ იმაზე, რომ ძველ წერილობით წყაროებში, გარდა ამჟამად დამკვიდრებული სახელისა, "ტეზერი" "ტეძერადაც" მოიხსენება. მათ მოჰყავთ ზ და ძ ასოთა მონაცვლეობის მაგალითები ისტორიული წყაროებიდან და ასკვნიან, რომ სიტყა ტეზერი (ტეძერი) ნიშნავს ტაძარს...

ტეზერში ჩასახლებულ ძმებს, თავისი ძველი სოფლის ხსოვნის შესანარჩუნებლად გვარად წეველიძე მიუღიათ. დღეისათვის მათი შთამომავლები ცხოვრობენ თბილისში, გორში, ხაშურში და საქართველოს სხვა ადგილებში. თვით ტეზერში ცხოვრობს 15 კომლი. მე-20 საუკ. დასაწყისში ტეზერში უცხოვრია **პავლე ზაალის ძე წეველიძეს,** რომელიც მუშაობდა იმერეთის რკინიგზის მშენებლობაზე, იმდროინდელი თქმით - ფოდრადჩიკად (პოდრიადჩიკად) ანუ მოიჯარადედ. მის და მისი **მეუღლის – მარიამ ელისაშვილის** ოჯახში დაიბადა და აღიზარდა **6 შვილი – 4 ვაჟი და 2 ქალი. წარმოგიდგენთ ამ ოჯახის ვაჟების ბიოგრაფიებს:**

(1. ციტატა აღებულია ვაჟა და ლევან აბრამიშვილების ბროშურიდან “ტეზერი”, გორი, 2003. გვ. 6).

156ª. სიმონ წეველიძე

ქ. თბილისის მე-4 საავეჯო ფაბრიკის ყოფილი დირექტორი...

დაიბადა 1911 წ., სოფ. ტეზერში. გარდაიცვალა 1993 წ.. დაკრძალულია თბილისში.

წარმატებით დაამთავრა ხაშურის საშ. სკოლა და სწავლა განაგრძო ბორჯომის სატყეო ტექნიკუმში. შემდეგ კი თბილისის ყოფილ სატყეო ტექნიკურ ინსტიტუტში (რომელიც შემდეგ სსსი-ს შეუერთდა), რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1939 წ. “ხის მექანიკური დამუშავების ტექნოლოგ-ინჟინრის” სპეციალობით. იმავე წელს მუშაობა დაიწყო თბილისის ადგილობრ. მრეწველობის სისტემაში – საავეჯო საამქროების მთ. ინჟინრად.

დიდი სამამულო ომის დროს მუშაობდა ქ. კრასნოიარსკის სამხედრო აკადემიაში – ასწავლიდა მფრინავებს. ომის დამთავრების შემდეგ დაუბრუნდა თავის საყვარელ საქმიანობას. დაინიშნა ქ. თბილისის მე-4 საავეჯო ფაბრიკის დირექტორად, რომელიც შემდეგ სასკოლო ინვენტარის ფაბრიკად გადაკეთდა. წლების განმავლობაში იყო ქალაქის დეპუტატი. სახალხო მსაჯული.

წარმატებული შრომისათვის დაჯილდოებული იყო სიგელებით და მედლებით. ასევე დაჯილდოებული იყო ომში გამოჩენილი მამაცობისათვის. იყო პერსონალური პენსიონერი. პენსიაზე გასვლის შემდეგაც მუშაობდა საავეჯო ფაბრიკა “განთიადი”-ს მომარაგება – გასაღების განყ. უფროსად.

ბატონ სიმონს ჰყავდა **მეუღლე – მარიამ სოლომონის ას. ჭყოიძე** (გ. 1989 წ.). მათ დარჩათ **სამი ვაჟი: მერაბი, თამაზი და ზურაბი.**

157. იოსებ წეველიძე

საქართველოს დამსახურებული რკინიგზელი.

დაიბადა 19... , სოფ. ტეზერში, გარდაიცვალა 1997 წ., სოფ. ტეზერში. დაამთავრა ელმავლის ტარების კურსები და მთელი ცხოვრების განმავლობაში მოღვაწეობდა რკინიგზაზე – საქართველოს ტერიტორიაზე სამგზავრო მატარებლების და სატვირთო ვაგონების გადაზიდვის სფეროში. მიღებული აქვს მრავალი ჯილდო და სიგელი, მინიჭებული ჰქონდა საქართველოს დამსახურებული რკინიგზელის წოდება.

ბატონ იოსებს დარჩა **მეუღლე – ქ-ნი ვენერა და სამი შვილი: ვიქტორი, ნანა და მანანა.**

158. ვიქტორ წეველიძე

ტეზრის სასოფლო საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე – სამამულო ომში დაღუპული.

დაიბადა 19 ... სოფ. ტეზერში, დაიღუპა 1943 წ. დაკრძალულია ბელორუსიაში, ვიტბსკის ოლქში. ომის დაწყებამდე მუშაობდა ჯერ სოფ. ტეზრის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარედ, შემდეგ ხაშურის რაიაღმასკომში. ომის დაწყებისთანავე მოხალისედ ჩაეწერა. სათავეში ჩაუდგა ხაშურის მაშინდელ ახალგაზრდობას და წავიდა საომრად ისე, რომ ოჯახის შექმნა ვერ მოასწრო.

ერთხანს ახლობლებს პატრიოტიზმით გამსჭვალულ წერილებს უგზავნიდა, მაგრამ 1943 წ. მიწურულს წერილები შეწყდა. 30 წლის განმავლობაში ოჯახმა არ იცოდა მისი ასავალ-დასავალი. ძმების დაჟინებული ძებნის შემდეგ, 1973 წ. მისი სახელი აღმოაჩინეს ბელორუსიის რესპ. ვიტებსკის ოლქის, გორდოკსკის რ-ში, ბრძოლის დროს დაღუპულ მეომართა სასაფლოს ნუსხაში. მისი სამივე ძმა გაემგზავრა აღნიშნულ მისამართზე ძმის ნეშტის სამშობლოში გადმოსასვნებელად, მაგრამ იგი დაკრძალული აღმოჩნდა ერთიან “ძმათა საფლავში” და მისი გადმოსვენება შეუძლებელი იყო. ამდენად, ვიქტორ პავლეს ძე წეველიძის ნეშტი სამუდამოდ დარჩა ბელორუსიის მიწაში.

159. ილია წეველიძე

ლენინგრადის საპატიო მოქალაქე.

დაიბადა 1919 წ., სოფ. ტეზერში, გარდაიცვალა 1991 წ.. დაკრძალულია სოფ. ტეზერში. სულ ახალგაზრდა წავიდა ჯარში. მოუწია ბრძოლა თეთრ ფინელებთან – მანერჰეიმის ხაზზე. დიდი სამამულო ომის დროს იგი კვლავ ფრონტის მოწინავე ხაზზეა. გერმანელების მიერ ლენინგრადის ბლოკადის დაწყებიდან საბჭოთა ჯარების მიერ მის განთავისუფლებამდე იგი ქალაქის გმირ დამცველთა შორის იყო. რისთვისაც დაჯილდოვდა "წითელი ვარსკვლავის" ორი ორდენით, მედლებით: "მამაცობისათვის" და "ლენინგრადის დაცვისთვის".

ომის დამთავრებას იგი კენინგსბერგში შეხვდა. მოგვიანებით, ლენინგრადის დაცვის დროს გამოჩენილი პირადი მამაცობისათვის, ლენინგრადის საპატიო მოქალაქედ იქნა არჩეული.

ომიდან დაბრუნებული იგი ხაშურის სამხედრო კომისარიატში მუშაობდა. შემდეგ კი ბორჯომისა და ხაშურის რკინიგზის სხვადასხვა განყოფილებაში.

ბატონ ილიას ჰყავდა **მეუღლე – თინა ბეროზაშვილი**. მათ დარჩათ **ორი ვაჟი: პავლე და გივი.**

ჯაჭვაძეთა ბიოგრაფიები

60. აკაკი (შოთა) ჯაჭვაძე

სამხედრო ინჟინერ-მექანიკოსი, გადამდგარი პოლკოვნიკი...

დაიბადა 1945 წ. 30 აპრილს, გურჯაანის რ. სოფ. ჭერემში. **მშობლები: ალექსი ჯაჭვაძე, მანანა ქევხიშვილი.**

1956 წ. მისი ოჯახი გადასახლდა გარდაბნის რ. სოფ. გამარჯვებაში, სადაც 1962 წ. დაამთავრა საშ. სკოლა. 1965 წ. დაამთავრა თბილისის საარტილერიო სასწავლებელი ლეიტენანტის წოდებით. 1965-70 წწ. მსახურობდა ბათუმის, თბილისის და ახალქალაქის გარნიზონებში.

1970-75 წწ. სწავლობდა და დაამთავრა უმაღლესი საარტილერიო – საინჟინრო სასწავლებელი – სამხედრო ინჟინერ-მექანიკოსის კვალიფიკაციით.

1975-1988 წწ. მსახურობდა სხვადასხვა საინჟინრო – სამეთაურო თანამდებობაზე (პოლონეთში, უკრაინაში, რუსეთში). ყველა სამხედრო წოდებას იღებდა თავის დროზე. ბოლო-პოლკოვნიკის წოდება მიიღო 1985 წ.. 1988 წ. აპრილში დაინიშნა თბილისის სამოქალაქო თავდაცვის შტაბის უფროსად. სისტემის გაუქმების გამო, 1992 წ. გადავიდა თადარიგში.

1992-1994 წწ. თბილისის მერიის სამოქალაქო თავდაცვის სამმართველოს უფროსი იყო.

1998-2001 წწ. – თავდაცვის სამინისტროს შეიარაღების მთავარი სამმართველოს შტაბის უფროსი.

2001-2004 წწ. თავდაცვის მინისტრის კონსულტანტთა ჯგუფშია.

ბატონ აკაკის (შოთას) ჰყავს **მეუღლე – ნინო ჯაჭვაძე, შვილები: დავითი** (1969) და **მანანა** (1974) და **შვილიშვილები: ალექსი და შოთიკო ჯაჭვაძეები**.

161. გიგა ჯაჭვაძე

სოფ. გამარჯვების აგრონომი.

დაიბადა 1931 წ. 7 სექტემბერს, გურჯაანის რ. სოფ. ჭერემში, გარდაიცვალა 2000 წ.. **მშობლები: ვასილ ჯაჭვაძე, ნინა ხორბალაძე.**

14 წლისამ ფრიადზე დაამთავრა ჭერემის შვიდწიანი სკოლა. ამ პერიოდში გარდაეცვალა მამა. დედამ ყოველნაირად შეუწყო ხელი შვილს გადაწყვეტილების, – ესწავლა ბაკურციხის სასოფლო – სამეურნეო ტექნიკუმში, განხორციელებაში. 1948 წ. ფრიადზე დაამთავრა ტექნიკუმი. შესთავაზეს სწავლის გაგრძელება კიევის ტიმირიაზევის სახ. სასოფლო-სამეურნეო აკადემიაში, მაგრამ ოჯახს არ ჰქონდა ამის საშუალება და 17 წლის გიგამ მუშაობა დაიწყო ჭერემის კოლმეურნეობის ბრიგადირად 1953 – დან დაიწყო ხალხის ჩამოსახლება გარდაბნის რ. სოფ. გამარჯვებაში. გიგა დედასთან ერთად გამარჯვებაში დასახლდა და მუშაობა დაიწყო, ჩამოყალიბების პროცესში მყოფ, მებოსტნეობა – მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში აგრონომად. იგი აქტიურად მონაწილეობდა სოფლის მშენებლობაში. 1961 წ. დაოჯახდა. ამავე წელს წარმატებით ჩააბარა გამოცდები სსსი-ს აგრონომიულ ფაკ-ზე. პარალელურად მუშაობდა და თან ხელმძღვანელობდა სოფლის პარტორგანიზაციას. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, მუშაობა განაგრძო აგრონომ-ენტომოლოგად. ორგანიზატორული ნიჭით დაჯილდოებული, მთელი სიცოცხლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციას. რამდენიმეჯერ შესთავაზეს უფრო მაღალი

თანამდებობა, მაგრამ უარი თქვა, ვინაიდან კარგად იცოდა, მაღალ თანამდებობაზე მუშაობისას მოუწევდა საკუთარ პრინციპებზე უარის თქმა... რაც მას არ შეეძლო. ამიტომ, უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა სოფელსა და რაიონში. მისი აქტიური, სინდისიერი ცხოვრება სამაგალითო იყო, როგორც საზოგადოებისათვის, ისე მისი ოჯახისათვის, სადაც ცოდნისმოყვარეობა და შრომისადმი პატივისცემა იყო გაბატონებული. მისმა შვილებმა გამორჩეულ მოსწავლეებად და სტუდენტებად დაამთავრეს ჯერ სკოლა, შემდეგ კი უფროსმა – თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი, დანარჩენებმა – თბილისის სახ. უნივერსიტეტი. ისინი ცდილობენ ღირსეულად განაგრძონ მამისეული ტრადიციები...

ბატონ გიგას დარჩა **მეუღლე – ესმა ჯავახიშვილი, შვილები: მანანა, ლალი, ნინო და ქართლოსი.**

162. გივი ჯაჭვაძე

შინაგან საქმეთა ორგანოების ღვაწლმოსილი მუშაკი, მაიორი.

დაიბადა 1940 წ. 21 აგვისტოს, თბილისში. **მშობლები: ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ჯაჭვაძე, ნინო გიორგის ას. ექვთიმიშვილი.**

მამის ომში გაწვევის გამო, ერთი წლის ასაკიდან იზრდებოდა ს. ჭერემში ბებიასთან. იქვე დაიწყო სკოლაში სწავლა. 1950 წ., ბებიის გარდაცვალების შემდეგ, დედამ თბილისში გადმოიყვანა, სადაც სწავლა განაგრძო 77-ე საშ. სკოლაში.

დედის ავადმყოფობის გამო, 15 წლისამ მუშაობა დაიწყო თბილისის მექანიკურ ქარხანაში ზეინკლად და სწავლა განაგრძო მუშა-ახალგაზრდობის სკოლაში, რომელიც დაამთავრა 1957 წ.

1959 წ -დან სამხედრო სამსახურში იყო, ხოლო 1963 წ., შესაბამისი განათლების მიღების შემდეგ, მუშაობა დაიწყო სახ. უშიშროების კომიტეტში, შემდეგ კი გადავიდა შსს ორგანოებში, სადაც მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობაზე. მონაწილეობა აქვს მიღებული მრავალი საპასუხისმგებლო ოპერატიული ღონისძიების განხორციელებაში წარმატებული მუშაობისათვის მრავალჯერ აქვს გამოცხადებული მადლობა (პირად საქმეში შეტანით). 1976 წ. სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 25 მაისის ბრძანებულებით დაჯილდოებულია მედლით "შრომითი წარჩინებისათვის;

სსრკ შ.ს. მინისტრის 1984 წ. 10 ნოემბრის ბრძანებულებით დაჯილდოებულია მედლით "უმწიკლო სამსახურისათვის" (III ხარისხის);

სსრკ. შ.ს. მინისტრის 1988 წ. 5 ოქტომბრის ბრძანებულებით – მედლით
" უმწიკლო სამსახურისათვის" (II ხარისხის).

1991-1992 წწ. მონაწილეობდა საქართველოს ერთიანობისათვის ცხინვალ –ჯავის ტერიტორიაზე წარმოებულ ბრძოლებში.

1993 წ. გავიდა პენსიაზე მაიორის ჩინით.

ბატონ გივის ჰყავს **მეუღლე – ლამარა ნიკოლოზის ას. ჯაჭვაძე და შვილები: ნანა** (1966) (3 შვილის დედა დიასახლისი) და **გოჩა** (1972) (იურისტი, მუშაობს შინაგან ჯარში-ლეიტენანტის ჩინით), **რძალი – ნათია ანტონიშვილი და შვილიშვილები გივი** (1996) და **ვერიკო** (2002) **ჯაჭვაძეები.**

163. დავით ჯაჭვაძე

მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, მაიორი.

დაიბადა 1969 წ., სოფ. გამარჯვებაში. მშობლები: **აკაკი (შოთა) ალექსის ძე ჯაჭვაძე, * ნინო ჯაჭვაძე.**

მუშაობს ქ. სანკტ პეტერბურგის სამხედრო-სამედიცინო აკადემიის საერთო ქირურგიის კათედრაზე მასწავლებლად.

ბატონ დავითს ჰყავს **მეუღლე – ნინო ქიტუაშვილი და შვილები: ალექსი და შოთიკო.**

164. დიმიტრი ჯაჭვაძე

საქართველოს დამსახურებული ეკონომისტი.

დ. ჯაჭვაძე დაიბადა 1930 წ., გურჯაანის რ. სოფ. ჭერემში. გარდაიცვალა 1996 წ. 27 მარტს, ს. გამარჯვებაში. **მამა ლევან ჯაჭვაძე.**

1944 წ. სწავლობდა სოფ. ჭერემის არასრულ საშ. სკოლაში. 1946 წ. დაამთავრა სოფ. კაკაბეთის საშ. სკოლა, 1954 წ. კი მოსკოვის ეკონომიურ – სტატისტიკური ინსტიტუტი.

შრომითი საქმიანობა დაიწყო 1955 წ-დან ბადიაურის ღვინის ქვის სიმჟავის ქარხანაში, 1959 წ. გადავიდა ბადიაურის ღვინის ქარხანაში უფროს ეკონომისტად. შემდეგ, სახელმწიფო ინსპექტორად გარდაბნის რ-ნის დამზადების ინსპექციაში. 1965-76 წწ. მუშაობდა მეფრინველეობის სამმართველოში საგეგმო-ეკონომიკური განყოფილების უფროსად. 1978-82 წწ. მშენებლობის სამინისტროში, ტრესტის მმართველის მოადგილედ. 1982-86 წწ. ხილბოსტნეულის სამინისტროში საფინანსო სამმართველოს უფროსად. 1987 წ-დან 1995 წ -მდე მუშაობდა ფინანსთა სამინისტროში სოფლის მეურნეობის, კვების მრეწველობისა და გარემოს დაცვის ღონისძიებათა დაფინანსების სამმართველოს უფროსად.

პარალელურად კითხულობდა ლექციებს სასოფლო-სამეურნეო და ზოოვეტ ინსტიტუტებში.

გამოქვეყნებული აქვს მონოგრაფია "მეფრინველეობა სამრეწველო საფუძვლებზე".

დაჯილდოებულია მთავრობის ჯილდოებით.

ბატონ დიმიტრის დარჩა **მეუღლე –ციალა კახნიძე** (1935), **შვილები: გივი** (1957), **ნაირა** (1958)და **მარინა** (1968).

165. ივანე ჯაჭვაძე

სოფ. ჭერემის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოფ. გამარჯვების ერთ-ერთ ფუძემდებელი.

დაიბადა 1918 წ. 15 სექტემბერს, გურჯაანის რ. სოფ. ჭერემში, გარდაიცვალა 1994 წელს 31 მაისს. **მშობლები: ზაქარია ჯაჭვაძე, ანა პაპაშვილი.**

დაწყებითი განათლება მშობლიურ სოფელში მიიღო. 1939 წ. წარჩინებით დაამთავრა თბილისის საფინანსო ეკონომიკური ტექნიკუმი. ამავე წლის ნოემბერში წითელი არმიის რიგებში გაიწვიეს. ჩარიცხეს 348-ე მსროლელი დივიზიის უმცროს მეთაურთა სკოლაში, რომლის დამთავრების შემდეგ ათეულის მეთაურად დაინიშნა. დიდმა სამამულო ომმა ჯარში ყოფნის დროს მოუსწრო. იგი გმირულად იბრძოდა, ორჯერ დაჭრისა და განკურნების შემდეგ კვლავ ბრძოლაში ჩაება. მესამედ, 1943 წ, მძიმედ დაიჭრა და მშობლიურ სოფელს დაუბრუნდა. ჭრილობები მოიშუშა და ახლა შრომის ფრონტს მიაშურა.

ომგამოვლილი 26 წლის ახალგაზრდა ჭერემელებმა კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩიეს.

XX ს. 50-იან წლებში დაისვა საკითხი უნაყოფო, გამოუყენებელი ადგილების, მორწყვის მეშვეობით, ნაყოფიერ მიწებად გადაქცევის და აქ მცირემიწიანი ზონებიდან მოსახლეობის ჩამოსახლების შესახებ. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ

ასეთი რჩევით ჭერემელებსაც მიმართა. 1952 წ. სოფლის დელეგაცია ბატონი ივანეს ხელმძღვანელობით ამ ადგილებს ეწვია. ჭერემელებმა იქ დასახლება გადაწყვიტეს. პირველ ხანებში ზოგიერთებს გული გაუტყდათ ადგილის უწყლობის გამო, მაგრამ, მოგვიანებით, მასობრივად ჩამოსახლდნენ და, საქართველოს სხვა რაიონიდან ჩამოსულებთან ერთად, შეუდგნენ ახალი სოფლის (რომელსაც შემდეგ "გამარჯვება" უწოდეს) შენებას.

თავდადებული ბრძოლისა და შრომისათვის ბატონმა ივანემ მთავრობის მრავალი ჯილდო მიიღო, მაგრამ განსაკუთრებული ჯილდოა ხალხის სიყვარული და აღიარება, რასაც მოწმობს მისდამი მიძღვნილი ლექსები, რომლებშიც მას უწოდებენ: "ფოლადად გამოწრთობილ", "გამარჯვების ფუძის ჩამყრელ", "სოფლის განმამტკიცებელ", "მომავლისკენ საიმედო ხიდის გამდებ", "ხალხისათვის დაფერფლილ" ადამიანს –

"ყველა კუთხის ქართველები
ვინც ერთურთს ძმად შეაყვარა
გული დასდო ჩვენს ველ-მინდვრებს,
ააყვავა, გაახარა".

ბატონ ივანეს დარჩა **მეუღლე – მარიამ კუპრაშვილი, შვილი – მანოლი**. სიძე დათო მეთოფიშვილი და შვილიშვილები: ანა, მარიამ, ნინო და გიორგი მეთოფიშვილები.

ლიტ.: გიორგი ყურაშვილი, "ძმათა სისხლით", თბ., 1972 წ.

166. იზა ჯაჭვაძე

პოეტი, პუბლიცისტი, გაბრიელ ჯაბუშანურის და ნიკო ნიკოლაძის პრემიების ლაურეატი.

დაიბადა 1945 წ. 7 მარტს, თელავის რ. სოფ. ფშაველში. **მშობლები: ზაქარია (შაქრო) ჯაჭვაძე** (ეკონომისტი, პედაგოგი, პოეტი, საზოგადო მოღვაწე), **ნატო არზუმანიძე** (დიასახლისი).

ფშავლის საშ. სკოლის დამთავრების შემდეგ, 1964 წ. ჩაირიცხა თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტზე. მისი დამთავრების შემდეგ, მუშაობდა გაზ. "აზალგაზრდა კომუნისტის" რედაქციაში – შტატგარეშე კორესპონდენტად. შემდეგ, გაზეთ "კომუნისტში" ჯერ ტექნიკურ თანამშრომლად, შემდეგ კი კორესპონდენტად. მას შემდეგ მუშაობს ამ გაზეთში, რომელსაც დღეს "საქართველოს რესპუბლიკა" ეწოდება.

1977 წ -დან საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის წევრია, 1995 წ-დან საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი.

2001 წელს აღიარეს წლის საუკეთესო ჟურნალისტად. ამავე წლის აგვისტოში კი გაბრიელ ჯაბუშანურის სახელობის პრემიის ლაურეატი გახდა.

გამოცემული აქვს ორი პოეტური და სამი მხატვრულ – პუბლიცისტური კრებული.

მთიან სოფელში გაზრდილი. მთაზე უსაზღვროდ შეყვარებული ქალბატონი იზა ხან ავტომობილით, ხან ცხენით, ხან ფეხით, გამუდმებით მოგზაურობს საქართველოს მთიან რეგიონებში და თავის სტატიებშ მრავალმხრივად, მწვავედ წარმოაჩენს მთიელთა სატკივარს, ცდილობს საზოგადოების ყურადღების მობილიზებას მთის მცხოვრებთა პრობლემების გადასაწყვეტად.

2004 წ. მას, პუბლიცისტური სტატიების კრებულისათვის "ნისლივით მთასა ვკიდივარ...", ნიკო ნიკოლაძის სახ. პრემია მიენიჭა, (საქართველოში, ჟურნალისტიკის დარგში, ეს უმაღლესი პრემიაა) .

2004 წ. 27 მაისს მწერალთა კავშირში მოწყობილ ამ წიგნის პრეზენტაციაზე სიტყვით გამოსულმა მწერლებმა, ჟურნალისტებმა და სხვა დარგების წარმომადგენელმა ინტელიგენციამ ქალბატონი იზა დაახასიათა, როგორც ღირსეული მამულიშვილი, რომელიც შეუპოვრად იბრძვის, რათა მთიელებს მიეცეთ ნორმალური ცხოვრების საშუალება და ჩვენი ქვეყნის მთიანი რეგიონები არ დაიცალოს ქართველი მოსახლეობისაგან.

ახლახან ქალბატონმა იზამ დაარსა გაზეთი "კავკასია", რომლის მთავარი რედაქტორი თვითონ არის. ამ გაზეთში უფრო გლობალურად იქნება წარმოჩენილი კავკასიის რეგიონის პრობლემატიკა.

ქალბატონ იზას ჰყავს **შვილი – ლაშა სულხანის ძე კრავეიშვილი, ორი ძმა და ორი და: ირაკლი, ანზორ, რენო და ზოია ჯაჭვაძეები.**

167. მართა ჯაჭვაძე

დაიბადა 1895 წ. 15 ოქტომბერს, თელავის რ. სოფ. ფშაველში, გარდაიცვალა 1977 წ. 17 იანვარს.

მშობლები: გიორგი ალექსანდრეს ძე ჯაჭვაძე, ანა ლაზარეს ას. პავლიაშვილი.

მართას მამა მეტად მშრომელი კაცი ყოფილა. მისი ახოვანი აღნაგობის და ღონიერი მარჯვენის გამო, მას, თურმე, "ხომალდს" ეძახდნენ. ამბობენ: – "დღიურ ყანას მარტო მკიდაო..." (თორმეტდღიური მიწა ჰქონია). მართას სამი წლის ასაკში დედა გარდაცვლია, მამას სხვა ცოლი აღარ შეურთავს. სოფ. ფშაველში 1896 წ-დან სკოლის გამგე-მასწავლებელი ყოფილა ეთნოგრაფი და ფოლკლორისტი, ძმები რაზიკაშვილების

მიმდევარი, გრიგოლ აფშინაშვილი. იგი თავისი ოჯახით სკოლის შენობაშივე დასახლებულა. ჯაჭვაძეები სკოლის მეზობლად ცხოვრობდნენ, დედით ობოლი გოგონა მიჰკედლებია გრიგოლის მეუღლეს, ნინოს, – მეტად სათნო ქალბატონს, რომელიც მას საკუთარ შვილებში არ არჩევდა.

აფშინაშვილებთან სიახლოვემ მისთვის ხელმისაწვდომი გახადა გრიგოლის მდიდარი ბიბლიოთეკა, იგი კითხვას დაეწაფა. მართას ნაკითხობით გაოცებული დარჩენილა მისი ტოლი სემინარიელი, მომავალში მისი მეუღლე, სოლომონ იორდანიშვილი (ენათმეცნიერი და ლიტერატურის ისტორიკოსი).

ფშავლის ოთხკლასიანი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, მართამ სწავლა თელავის საშ. სკოლაში განაგრძო. მას შესანიშნავი მუსიკალური სმენა ჰქონია. უკრავდა გიტარაზე და მღეროდა. ცეკვაც სანიმუშო სცოდნია, სცენის მოყვარულიც ყოფილა. საზაფხულო არდადეგებზე ფშაველშ ჩადიოდნენ სასწავლებლად წასული ახალგაზრდები, რომელთა ძალებით დადგმულ წარმოდგენაში მართას, ავქსენტი ცაგარელის “ხანუმაში”, ხანუმას როლი შეუსრულებია. სხვა პიესებშიც მონაწილეობდა. ხოლო თელავში, მეათე კლასში სწავლისას, მას მოსწავლეთა ძალებით დადგმულ “დედა და შვილში” დედის როლი ისეთი დრამატიზმით განუსახიერებია, რომ ქართულის მასწავლებელ ია ეკალაძეს (იაკობ ცინცაძე) აღტაცება ვერ დაუფარავს და რჩევა მიუცია, რომ მას სწავლა აუცილებლად თეატრალურ ფაკულტეტზე განეგრძო.

1916 წ. მ. ჯაჭვაძეს, ს. იორდანიშვილის დავალებით, სოფ. ფშაველში ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშების შეკრება დაუწყია. ჟურნ. “თეატრსა და ცხოვრებაში”, (1916 წ. N1) რუბრიკაში “ხალხური შემოქმედება” დაბეჭდილია მართა ჯაჭვაძის მიერ სოფ. ფშაველში ჩაწერილი სიმღერები.

სოლომონი თვითონაც, 1915 წ-დან, თანამშრომლობდა პერიოდულ გამოცემებში ს. კაეშნიშვილის ფსევდონიმით. იგი მართაში ხედავდა მეგობარს და ლექსებსაც უძღვნიდა მას.

მართას სამედიცინო ფაკულტეტზე სურდა სწავლის გაგრძელება. სოლომონი ურჩევდა, რომ, სამედიცინო მეცნიერების უკეთ დაუფლებისათვის, გერმანული ენა შეესწავლა. მართა შესულა გერმანული ენის კურსებზე, მაგრამ მამის გარდაცვალებას შაუშლია ხელი… შემდეგ, მას თელავში გაუვლია სამასწავლებლო კურსები. ერთხანს პედაგოგად უმუშავია, მაგრამ, გათხოვების შემდეგ, 1926 წ. ყველაფერს ჩამოშორდა, ოჯახის ბურჯად იქცა და მთელი თავისი ნიჭი და ენერგია ოჯახსა და შვილების აღზრდას შეალია.

მართა ჯაჭვაძეს ეყოლა **ორი შვილი: ლალი და სულა (გიორგი). იორდანიშვილები. ლალი** – არნოლდ ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნ. ტერმინოლოგიის განყოფილების წამყვანი მეცნ. – თანამშრომელი, ფილოლოგიის მეცნ. კანდიდატი (აკადემიკოს შ. შათირიშვილის მეუღლე).

სულა (გიორგი) – ბიოლოგიის მეცნ. დოქტორი, ეკოლოგიურ მეცნ. აკადემიის აკადემიკოსი. რადიაციული ეკოლოგიის სამეცნიერო ცენტრის რადიაციული ბიოქიმიის ლაბორატორიის გამგე.

168. ზაქარია (შაქრო) ჯაჭვაძე

ეკონომისტი, პედაგოგი, პოეტი, საზოგადო მოღვაწე.

დაიბადა 1908 წ. 2 იანვარს, თელავის რ. სოფ. ფშაველში. გარდაიცვალა 1972 წ. 25 სექტემბერს. **მშობლები: სიმონ ჯაჭვაძე, ნატო ძუძუნაშვილი.**

ზ. ჯაჭვაძეს წლინახევრის ასაკში დედა გარდაეცვალა. მამის- სიმონის (სიკოს) ხელშეწყობით გაზარდა ბიძაშვილმა – მართა გიორგის ას. ჯაჭვაძემ (ცნობილი ენათმეცნიერის, ლიტერატურის ისტორიის მკვლევარის, მთარგმნელისა და საზოგადო მოღვაწის – სოლომონ იორდანიშვილის მეუღლემ) თელავში ვაჟთა გიმნაზია დაამთავრა და 1930 წ. ჩაირიცხა თსუ

ეკონომიკის ფაკ-ზე, რომლის დამთავრების შემდეგ დაუსწრებლად სწავლობდა მაშინდელ პუშკინის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე. ბავშვობიდანვე წერდა ლექსებს...

ჯარში გაწვევამდე მასწავლებლობდა ჯერ თელავის რ. სოფ. ვანთაში, შემდეგ ახმეტის რ. სოფლებში: დუისში, ჯოყოლოში, ბოლოს – სოფ. ფშაველში. ამ სოფლებში იგი პირველი უმაღლესდამთავრებული მასწავლებელი იყო, ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა და სასწავლო ნაწილს განაგებდა.

1941 წ. მოხალისედ წავიდა ფრონტზე, იბრძოდა ჩრდ. კავკასიაში – ნალჩიკთან, 1944 წ. დაიჭრა. ომში მონაწილეობისათვის მიღებული აქვს მთავრობის ჯილდოები. ომის დამთავრების შემდეგ კახეთის ზონის მატყლის დამზადების უფროსი იყო. შემდეგ, მუშაობდა ს. ფშაველის ხე-ტყის სახერხი ქარხნის ბუღალტრად, ფოსტის გამგის მოადგილედ. წლების განმავლობაში კულტურის ძეგლთა დაცვის განყოფილებას თავმჯდომარეობდა. პარალელურად თანამშრომლობდა რაიონულ გაზეთ "ალაზნის განთიადის", გაზეთების – "კომუნისტი", "სოფლის ცხოვრება" და სხვა ჟურნალ-გაზეთების რედაქციებთან. აქვეყნებდა წერილებს ძეგლთა დაცვისა და მოვლა პატრონობის შესახებ, მდ.სტორზე საკალმახის მოწყობის შესახებ და სხვ.

შ. ჯაჭვაძე სწავლობდა და მფარველობდა კულტურის ძეგლებს. მისი თაოსნობით აღადგინეს ს. ფშავლის "კოხტა ღვთისმშობლის" ტაძარი (მე-8 მე-9 სს.).

სამწუხაროდ, იგი ვერ მოესწრო საკუთარ პოეტურ კრებულს – "მე სხვა არაფერი მინდა" (თუმცა, მას არასდროს უზრუნია წიგნის გამოცემაზე...).

ბატონ ზაქარიას ჰყავდა **მეუღლე – ნატო არზუმანიძე**, მათ შეეძინათ **ხუთი შვილი: ირაკლი, რენო, იზა,* ზოია და ანზორ ჯაჭვაძეები.**

XX საუკუნის ომებში დაღუპულ გვარიშვილთა სია

(სია არასრულია შეივსება და დაზუსტდება საგვარეულო წიგნის შემდგომ გამოცემებში)

I მსოფლიო ომში დაღუპულები:

1. გიორგი ზაქარიას ძე გაჩეჩილაძე (კრეჭია) დაიღუპა 1914 წ. რუსეთ-ოსმალეთის ფრონტზე.

1941-1945 წლების "დიდ სამამულო ომში" დაღუპული გაჩეჩილაძეები:

ა. სოფ. წევიდან

(სია მოგვაწოდა როსტომ გალაქტიონის ძე გაჩეჩილაძე-კვიცინამ)

№	სახელი	მამის სახელი	გვარის მეტსახელი	შენიშვნა	
1	ჟორჟიკა	ანთიმოს ძე	კვიცინა	უცოლშვილო	
2	ლევან	გალაქტიონის ძე	კვიცინა	უცოლშვილო	
3	მიხეილ	თეიმურაზის ძე	კვიცინა	ცოლშვილიანი	
4	ნენია	გიორგის ძე	ბუღაშვილი	ჰყავდა ცოლი შვილი არა	
5	გრიშა	მიხაკოს ძე	ბუღაშვილი	უცოლშვილო	
6	კალენიკე	ივანეს ძე	ძაღლუა	ცოლშვილიანი	
7	გრიგოლ	ივანეს ძე	ძაღლუა	ცოლშვილიანი	
8	საშიკო	ივანეს ძე	ძაღლუა	ცოლშვილიანი	
9	პავლე	ივანეს ძე	ძაღლუა	ცოლშვილიანი	
10	პანტელ	ილარიონის ძე	ხრაკი	ჰყავდა ცოლი შვილი არა	
11	დავით	ბაგრატის ძე	ნოღა	ცოლშვილიანი	
12	ღუტო	ნიკოლოზის ძე	ნოღა	უცოლშვილო	

13	შალვა	იოსების ძე	ცეტი	ცოლშვილიანი	
14	ბორის	იასონის ძე	ხბოსთავა	უცოლშვილო	
15	მიხეილ	ზოსიმეს ძე	ჭიმატი	უცოლშვილო	
16	კუკური	სანდროს ძე	კვაწაპა	უცოლშვილო	
17	თედიკო	ერმინეს ძე	კრეჭია	უცოლშვილო	
18	პეტრე უცოლოყ	ნიკოლოზის ძე	ლანჩავა	იყო მფრინავი	
19	დათიკო	ნიკოლოზის ძე	ჭიჭილი	უცოლშვილო	
20	შალვა		სუქსუქი	უცოლშვილო	
21	ერმინე		უწვავი	ცოლშვილიანი	
22	პეტრე	ალექსანდრეს ძე	უწვავი	უცოლშვილო	
23	დავით	იპოლიტეს ძე	ლობიო	უცოლშვილო	
24	შოთა	სერგოს ძე	ხმელი	უცოლშვილო	
25	გრიგოლძე	კირილეს	პუწკიტა	ცოლი ჰყავდა	
26	შალვა		რერო	ცოლშვილიანი	
27	ვანო		უთო	ცოლშვილიანი	
28	ანდრო		უთო	ცოლშვილიანი	
29	პავლე	ვენედიქტეს ძე	ჩიჩინა	უცოლშვილო	
30	კაკო	ლავრენტის ძე	ჩიჩინა	უცოლშვილო. დაიკარგა უგზო-უკვლოდ	
31	კოლია	ერმინეს ძე	კრეჭია	უცოლშვილო	
32	ლევან	გიორგის ძე	ღიღინა	უცოლშვილო	

ბ. ზნაურის (ყორნისის) რ. სოფ. ლაპანიდან
(სია მოგვაწოდა ელგუჯა ივანეს ძე გაჩეჩილაძემ)

№	სახელი	გვარი	მამის სახელი	შენიშვნა
1	სევერიან		თომას ძე	დ. 1909 წ.
2	ივანე.		ოლიფანტეს ძე	დ. 1912 წ

3	გრიგოლ		პარმენის ძე	დ. 1913 წ.
4	გოგია		იასონის ძე	დ. 1916 წ
5	აფრასიონ		იასონის ძე	დ. 1918 წ
6	გიორგი		მიხეილის ძე	დ. 1918 წ.
7	ბეჟან		მიხეილის ძე	დ. 1919 წ.

გ. ლაგოდეხის რაიონიდან
(სია მოგვაწოდა ვახტანგ ზოსიმეს ძე გაჩეჩილაძე-ჭიმატმა)

1	ვასილ	ზოსიმეს ძე	ჭიმატი	დაიბადა1916 წ. წევაში. დაამთავრა ლაგოდეხის რ. სოფ. კართუბანში შვიდი კლასი, ლაგოდეხში – აგრონომიული ტექნიკუმი. მუშაობდა აგრონომად კოლმეურნეობაში. 1934 წ. დაამთავრა კრასნოდარის საავიაციო სასწავლებელი, შემდეგ კი, წარჩინებით, – უმაღლესი აგრონომიული სასწავლებლის მეთამბაქოეობის ფაკ. ომის დაწყებისთანავე გაიწვიეს ჯარში. დაამთავრა ექვსთვიანი სამეთაურო კურსები. იბრძოდა ჯერ ლეიტენანტის, შემდეგ მაიორის ჩინით. უკანასკნელი წერილი მოვიდა 1943 წ. 24 მაისს.
2	მიხეილ	ზოსიმეს ძე	ჭიმატი	დაიბადა 1918 წ. 1939 წ. გაიწვიეს სავალდებულო სამხედრო სამსახურში. 1941 წ. დაიკარგა ფრონტზე უგზო-უკვლოდ.
3	ვანო	თეოფილეს ძე		ომში გაიწვიეს 1941 წ. იბრძოდა ქერჩში. დაიღუპა 1942 წლის აპრილში.
4	მიშა	ალექსანდრეს ძე		იბრძოდა სტალინგრადის ფრონტზე. 1943 წ. დაიკარგა უგზო-უკვლოდ.
5	ალიოშა	მაკარის ძე		ომში გაიწვიეს 1941 წ. იბრძოდა მოსკოვის მისადგომებთან. დაიკარგა უგზო-უკვლოდ.
6	პავლე	გიორგის ძე		ომმა მოუსწრო სავალდებულო სამხედრო სამსახურში ყოფნისას. დაიღუპა 1941 წ. ბრესტში.
7	არჩილ	პროლილეს ძე		იბრძოდა ქერჩში. დაიღუპა 1942 წ.
8	გიორგი	იასონის ძე		იბრძოდა ნოვოროსიისკის ფრონტზე. 1943. დაიკარგა უგზო-უკვლოდ.

დ. ბაღდათის რაიონის სოფ. როხიდან

1	დავით	ალექსანდრეს ძე		დ. 1922 წ.
2	კოლია	ალფეზის ძე		დ. 1915 წ.
3	მიხეილ	ვარლამის ძე		დ. 1918 წ.
4	ალექსანდრე	სერგოს ძე		დ. 1918 წ.

დ. საქართველოს სხვადასხვა ადგილებიდან

1	შალვა	პიმენის ძე		ფრონტზე წავიდა თბილისიდან. ინჟინერ-ჰიდროლოგი იყო. ცოლი ჰყავდა. შვილი არა. დაიკარგა უგზოუკვლოდ.
2	რაჟდენ	ზაქარიას ძე	კრეჭია	დ.1906წ. ფრონტზე წავიდა ზესტაფონიდან. დაიღუპა 1942 წ. ქერჩთან. დარჩა **მეუღლე- დომნა სიმონის ას. აბესაძე და შვილები: ნათელა (1930), კარლო (1932), გურამი(1934), ნელი (1942).**
3	ვარლამ	იოკიმეს ძე		ფრონტზე წავიდა ხარაგაულიდან. იყო ოცმეთაური. დაიღუპა ქერჩთან . დარჩა **მეუღლე - მარიამ სამსონის ას. აბულაძე და შვილები: ლია˚, ლამარა, ბახვა.**
4	გერონტი	სერგოს ძე		დ.1907 წ. იყო თადარიგის ოფიცერი 1941 წ. მოხალისედ წავიდა ფრონტზე. დაიღუპა 1942 (თუ 43 წ.) დარჩა შვილები: ნელი და იზოლდა. (ცხოვრობენ თბილისში).

<u>ე. "დიდ სამამულო ომში" დაღუპული წეველიძეები და ჯაჭვაძეები</u>

(სია არასრულია შეივსება საგვარეულო წიგნის შემდგომ გამოცემებში)

№	გვარი	სახელი	მამის სახელი	შენიშვნა
1	წველიძე	ვიქტორ	პავლეს ძე	ფრონტზე წავიდა ხაშურის რ. სოფ. ტეზრიდან. უცოლშვილო დაიღუპა 1943 წ. დასაფლავებულია ბელორუსიაში ვიტებსკის ოლქის გორდოკსკის რაიონში - გერმანელ ფაშისტებთან ბრძოლის დროს დაღუპულ მეომართა საძმო საფლავში.
2	ჯაჭვაძე	ალექსანდრე	ნიკოლოზის ძე	დ. 1912 წ. დაიღუპა 1944 წ. 21 დეკემბერს. დასაფლავებულია უნგრეთში - ბალატონზე - ეკლესიასთან, სკვერში. დარჩა შვილები: კლიმენტი და გივი˚.

სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის 1992-1994 წლებში წარმოებულ ბრძოლებში დაიღუპნენ:

1. **გაჩეჩილაძე თეიმურაზ** – თავდაცვის სამინისტროს 21-ე მოტომსროლელი ბრიგადის საჯარისო სამსახურის უფროსის თანაშემწე. სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა_ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით.

2. გაჩეჩილაძე ვამეხ თენგიზის ძე დაბადებული 1968 წელს.
ეროვნული გვარდიის საცხენოსნო ესკადრონის მეთაურის მოადგილე. სპორტის ოსტატი ცხენოსნობაში. საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების კაპიტანი. დაიღუპა 1992 წლის 30 მარტს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს.

3. ჯაჭვაძე ზურაბ – თავდაცვის სამინისტროს უშიშროების სამმართველოს სადესანტო მოიერიშე ბატალიონის შტაბის უფროსის მოადგილე, კაპიტანი. სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის – შემდგომში პრეზიდენტის,
ე. შევარდნაძის ბრძანებულებები და განკარგულებები 1992-2002 წლებში გაჩეჩილაძეების და ჯაჭვაძეების სახელმწიფო ჯილდოებით დაჯილდოების შესახებ (ტექსტი მოგვყავს შემოკლებით).

საქართველოს სახელმწიფო მეთაურის ბრძანებულება №37,
1993 წლის 10 აპრილი, ქ. თბილისი.

სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი გმირობისა და თავდადებისათვის საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს განსაკუთრებული დანიშნულების ბატალიონის სამსახურის უფროსი ლეიტენანტი **ანდრო გაჩეჩილაძე** დაჯილდოვდეს ღირსების ორდერით.

("წიგნი ღირსებისა" I, თბ., 2000).

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულება№ 64,
1993 წლის 31 მაისი, ქ. თბილისი.

სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი გმირობის, მამაცობისა და თავგანწირვისათვის საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს ოპერატიული სამმართველოს გამოთვლითი ცენტრის უფროსი, კაპიტანი **კონსტანტინე გაჩეჩილაძე**-დაჯილდოვდეს მედლით "საბრძოლო დამსახურებისათვის".

("წიგნი ღირსებისა" I, თბ., 2000).

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულება №223
1995 წლის 7 ივნისი, ქ. თბილისი.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მოტო-სამანევრო ჯგუფის სადაზვერვო საგუშაგოს პირველი ათეულის ინსტრუქტორი, ზემდეგი **გიორგი გაჩეჩილაძე** დაჯილდოვდეს მედლით "საბრძოლო დამსახურებისათვის".

("წიგნი ღირსებისა" I, თბ., 2000).

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება № 605,
1996 წლის 16 სექტემბერი ქ. თბილისი.

სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისა და თავდადებისათვის, კრიმინალური ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლაში პროფესიული მოვალეობის პირნათლად შესრულებისათვის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების_II ოპერატიული ბრიგადის ტექნიკური ნაწილის გამშვები პუნქტის უფროსი, ზემდეგი **ბორის გაჩეჩილაძე** დაჯილდოვდეს მედლით "მხედრული მამაცობისათვის".

("წიგნი ღირსებისა" I, თბ., 2000).

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება № 637,
1996 წლის 23 სექტემბერი, ქ. თბილისი.

სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისთვის ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისა და თავდადებისათვის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 21-ე მოტომსროლელი ბრიგადის საჯარისო სამსახურის უფროსის თანაშემწე **თეიმურაზ გაჩეჩილაძე** დაჯილდოვდეს ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით **(სიკვდილის შემდეგ).**

("წიგნი ღირსებისა" I, თბ., 2000).

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება№317,
1998 წლის 13 მაისი, ქ. თბილისი.

ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარების, მისი პოპულარიზაციის საქმეში შეტანილი დიდი წვლილისა და ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის, სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი **დავით გაჩეჩილაძე** დაჯილდოვდეს ღირსების მედლით.

("წიგნი ღირსებისა" III, თბ., 2001).

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება №357,
1998 წლის 1 ივლისი, ქ. თბილისი.

საქართველოში სპორტის განვითარების , მაღალკვალიფიციურ სპორტსმენთა აღზრდის საქმეში შეტანილი პირადი დიდი წვლილისა და ნაყოფიერი ჟურნალისტური მოღვაწეობისათვის გაზეთ "ლელოს" მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე** დაჯილდოვდეს ღირსების ორდერით.

("წიგნი ღირსებისა" III, თბ., 2001).

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება №864,
1998 წლის 24 ნოემბერი, ქ. თბილისი.

ქართული პროფესიული სამუსიკო ხელოვნების განვითარებისა და მის პოპულარიზაციაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისა და ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის თბილისის კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სამუსიკო ნაწილის გამგე, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, კომპოზიტორი **გივი გაჩეჩილაძე** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

("წიგნი ღირსებისა" III, თბ., 2001).

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება №517,
1998 წლის 18 აგვისტო, ქ. თბილისი.

სტუდენტი ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში შეტანილი პირადი დიდიწვლილისა და ნაყოფიერი მუშაობისათვის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტის შემთხვევით პროცესთა თეორიის კათედრის დოცენტი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი **თამაზ გაჩეჩილაძე** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

("წიგნი ღირსებისა" III, თბ., 2001).

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება №191,
1999 წლის 17 მარტი, ქ. თბილისი.

განსაკუთრებით საშიშ ბოროტმოქმედთა დაკავებისას გამოჩენილი მამაცობის, თავდადებისა და მაღალი პროფესიონალიზმისათვის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სადესანტო-მოიერიშე ბრიგადის ოპერატიული განყოფილების მებრძოლი – ინსპექტორი **ჯამბულატ გაჩეჩილაძე**__დაჯილდოვდეს მედლით "მხედრული მამაცობისთვის".

("წიგნი ღირსებისა" IV, თბ., 2002).

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება №15,
2001 წლის 10 იანვარი,
ქ. თბილისი.

საქართველოში ომისა და შრომის ვეტერანთა მოძრაობის განვითარებაში, ახალგაზრდა თაობების სამხედრო-პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისა და ნაყოფიერი საზოგადოებრივი საქმიანობისათვის, საქართველოს ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო დეპარტამენტის ქ. თბილისის სამმართველოს იურიდიული კომისიის წევრი **ბაჭუა გაჩეჩილაძე** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება № 413,
2001 წლის 8 მაისი, ქ. თბილისი.

საქართველოში საკომუნიკაციო სისტემის დანერგვა-განვითარებისა და საბიუჯეტო შენატანების სტაბილურ ზრდაში შეტანილი პირადი წვლილისა და მაღალი პროფესიონალიზმისათვის, ნაყოფიერი სამეურნეო და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "მაგთი კომის" გენერალური დირექტორის პირველი მოადგილე **დავით გაჩეჩილაძე** დადაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

("წიგნი ღირსებისა" VI, თბ., 2003).

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება № 389,
2002 წლის 5 მაისი, ქ. თბილისი.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვაში შეტანილი პირადი დიდიწვლილისათვის, ჯანმრთელობის დაცვის სისტემის რეორგანიზაციის პროცესში აქტიური მონაწილეობისა და მაღალი პროფესიონალიზიმისათვის ქირურგიის ეროვნულ სამეცნიერო ცენტრის უმაღლესი კატეგორიის ექიმი-ოფთალმოლოგი **ვახტანგ გაჩეჩილაძე** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება № 643,
2001 წლის 20 ივნისი, ქ. თბილისი.

საქართველოში ბავშვთა ქირურგიის განვითარებაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისათვის ჯანდაცვის სისტემის რეორგანიზაციის პროცესში აქტიური მონაწილეობის და მაღალი პროფესიონალიზმისათვის, ნაყოფიერი სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პედიატრიული კლინიკის ქირურგიული ბლოკის ხელმძღვანელი, ბავშვთა ქირურგიული კათედრის პროფესორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი **თამაზ გაჩეჩილაძე** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

("წიგნი ღირსებისა" VI, თბ., 2003).

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება
2002 წლის 1 ოქტომბერი, ქ. თბილისი.

ქართული კულტურის განვითარებასა და პოპულარიზაციაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისათვის, ნაყოფიერი პედაგოგიური, შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის თბილისის №24 საშუალო სკოლის მუსიკის მასწავლებელი **ლია გაჩეჩილაძე** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

გაზ. "საქართველოს რესპუბლიკა" № 241, 3 ოქტომბერი. 2002 წელი.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულება №379, 1994 წლის 4 დეკემბერი, ქ. თბილისი.

სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვ

ის ბრძოლაში გამოჩენილი გმირობის, მამაცობისა და თავდადებისათვის საქართველოს რესპ. თავდაცვის სამინისტროს უშიშროების სამმართველოს ცალკეული სადესანტო-მოიერიშე ბატალიონის შტაბის უფროსის მოადგილე კაპიტანი **ზურაბ ჯაჭვაძე** დაჯილდოვდეს ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით **(სიკვდილის შემდეგ).**

("წიგნი ღირსებისა" II, თბ., 2000).

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება № 300,
1996 წლის 30 აპრილი, ქ. თბილისი.

სამშობლოს დაცვის საქმეში განსაკუთრებული წვლილისა და საბრძოლო მომზადებაში მიღწეული წარმატებებისათვის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მაიორი **გიორგი ჯაჭვაძე** დაჯილდოვდეს ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით.

("წიგნი ღირსებისა" I, თბ., 2000).

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება№ 457,
2001 წლის 21 მაისი, ქ. თბილისი.

ქართული არმიის აღმშენებლობაში შეტანილი პირადი წვლილისათვის, უმწიკლო სამსახურისა და მხედრული ვალის მოხდისათვის საქართველოს თავდაცვის

სამინისტროს გაფართოებული სამხედრო საბჭოს სამდივნოს ოფიცერი, პოლკოვნიკი **აკაკი ჯაჭვაძე** დაჯილდოვდეს მედლით "საბრძოლო დამსახურებისათვის".

("წიგნი ღირსებისა" VI, თბ., 2003).

გაჩეჩილაძეთა, ჯაჭვაძეთა და წეველიძეთა "საგვარეულო დარბაზის" პირველი შემადგენლობა

(2001-2005 წლები)

1. **გაჩეჩილაძე თენგიზ თომას ძე** – გაზ. "ლელოს" მთავარი რედაქტორი, "საგვარეულო დარბაზის"დამფუძნებელი და პირველი პრეზიდენტი, გაზ. "ჯაჭვის" რედაქტორი და გამომცემელი...
2. **გაჩეჩილაძე თენგიზ ივანეს ძე** – გამოჩენილი ქორეოგრაფი, სპორტული ცეკვების სანიმუშო სტუდია "თელას" ხელმძღვანელი, "საგვარეულო დარბაზის" ერთ-ერთი დამფუძნებელი, თანაპრეზიდენტი და სამუშაო ბაზის "გამგე"…
3. **გაჩეჩილაძე როსტომ გალაქტიონის ძე** – ღვაწლმოსილი ინჟინერ-ენერგეტიკოსი, "საგვარეულო დარბაზის" პრეზიდენტის მოადგილე, საგვარეულოს ისტორიის ერთ-ერთი მკვლევარი...

4 **გაჩეჩილაძე ეკატერინე მიხეილის ას.** – ხელოვნებათმცოდნე, მოქანდაკე, "საგვარეულო დარბაზის" ერთ-ერთი ხელმძღვანელი. ს. წევის, მისი ეკლესიის და გაჩეჩილაძეთა საგვარეულოს ისტორიის მკვლევარი…

5 **არონიშიძე გოჩა გროგოლის ძე** – ქვაშუეთის წმ. გიორგის ეკლესიის მორჩილი, გარემოსა და ბუნების რესურსების დაცვის სამინისტროს მთავარი სპეციალისტი. გაჩეჩილაძეთა "საგვარეულო გაერთიანების" ეკლესიასთან ურთიერთობის კოორდინატორი…

6 **გაჩეჩილაძე თენგიზ ალექსანდრეს ძე** –საქართველოს დამსახურებული ინჟინერ-მშენებელი, ინჟინერ-მეტალურგი. გაჩეჩილაძეთა საგვარეულოს წარმომადგენელი საქართველოს გვარიშვილობის კავშირში, საგვარეულოს დოკუმენტაციის პროექტების ერთ-ერთი ავტორი.

7 **გაჩეჩილაძე ნელი ალექსანდრეს (უშანგის) ას.** -ბიოლოგიის მეცნ. კანდიდატი. მოლეკულური ბიოლოგიისა და ბიოლოგიური ფიზიკის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი. "საგვარეულო დარბაზის" ზიკილიელ გაჩეჩილაძეებთან ურთიერთობის კოორდინატორი, საინფორმაციო ჯგუფის წევრი.

8. **გაჩეჩილაძე ემირ მიხეილის ძე** – საქართველოს დამსახურებული აგრონომი. "საგვარეულო დარბაზის" კოორდინატორი აგრარულ საკითხებში…

9. **გაჩეჩილაძე რევაზ ანდროს ძე** – ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი. ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი...

10. **გაჩეჩილაძე შალვა ლევანტის ძე** – რკინიგზის ტრანსპორტის ღვაწლმოსილი მუშაკი, "საგვარეულო დარბაზის" საინფორმაციო ჯგუფის წევრი... 11. **გაჩეჩილაძე მერი ივანეს**

ას. –ხელოვნებათმცოდნე, შ. ამირანაშვილის სახ. საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ღვაწლმოსილი მუშაკი...

12. **გაჩეჩილაძე ქეთევან შოთას ას**. –იურისტი, "საგვარეულო დარბაზის" იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელი და საინფორმაციო ჯგუფის წევრი.

13. **გაჩეჩილაძე ვახტანგ ზოსიმეს ძე** – ეკონომისტი. "საგვარეულო დარბაზის" წარმომადგენელი ლაგოდეხის რაიონში.

14. **გაჩეჩილაძე ელგუჯა ივანეს ძე** – ეკონომისტი, "საგვარეულო დარბაზის" წარმომადგენელი სოფ. ლოპანში.

15. **გაჩეჩილაძე აზა აკაკის ას.** – წევის სკოლის პედაგოგი, "საგვარეულო დარბაზის" წეველებთან ურთიერთობის კოორდინატორი.

16. **გაჩეჩილაძე მელერი ვარლამის ძე** – ქიმიის მეცნ. დოქტორი, ქუთაისის ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, "საგვარეულო დარბაზის" წარმომადგენელი ქუთაისში.

17. **წეველიძე მერაბ სიმონის ძე –** მშენებელი.

18. **ჯაჭვაძე გივი ალექსანდრეს ძე** – შინაგან საქმეთა ორგანოების ღვაწლმოსილი მუშაკი, გადამდგარი მაიორი.

19. **ჯაჭვაძე გივი დიმიტრის ძე** – პროვიზორი.

20. **ჯაჭვაძე გიორგი დავითის ძე** – იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი.

"საგვარეულო დარბაზის" მუშაობაში ეპიზოდურად მონაწილეობდნენ:

გივი სერგოს ძე (ღვირძლი), **ნათელა რაჟდენის ას.** (კრეჭია), **მეგი იესეს ას.** (ოთიაშვილი), **შალვა (გურამ) შალვას ძე** (ოთიაშვილი), **რუსუდან მირიანის ას.** (ოთიაშვილი) და სხვა გაჩეჩილაძეები.

დარბაზის წევრების გარდა, წევის ეკლესიას სხვადასხვა სახის შემწეობა აღმოუჩინეს:

ზურაბ რაჟდენის ძე (კუნკურახი), **მზეთამზე (მზია) ნიკოლოზის ას.** (ოთიაშვილი), **იური ნიკოლოზის ძე, რევაზ გივის ძე** (ოთიაშვილი), **ემირ ნოდარის ძე** (უწვავი) და სხვა გაჩეჩილაძეებმა.**ხოლო წევის სკოლას: - ზაზა გივის ძე* (ოთიაშვილი), გიორგი ზაზას ძე * (ოთიაშვილი), დავით გურამის ძე გაჩეჩილაძეებმა.**

ბიოგრაფიების ტექსტებში ნახსენების გარდა, "საგვარეულოს დარბაზის" წევრებს მუშაობაში თანადგომა და მასპინძლობა გაუწიეს სოფლებში: ზიკილიაში, ლოპანში, და წევაში მცხოვრებმა: **გიორგი ივანეს ძე** (ჩიჩინა, მაღალი), **ივანე ამბროსის ძე*, დავით** (ღუტო) **ვარლამის ძე** (ღიღინა), **ალექსანდრე (ბუტო) გივის ძე*** (ოთიაშვილი) **გაჩეჩილაძეების,მერი ფანქველაშვილი – გაჩეჩილაძის** (ხიხინა), **ლილი გაჩეჩილაძე – კობერიძის** ოჯახებმა, წევის სკოლის დირექტორმა **მერაბ ფერაძემ** და სხვა მრავალმა ადამიანმა, რისთვისაც ყოველ მათგანს მადლობას ვუხდით!

წიგნში წარმოდგენილი ბიოგრფიების ნუსხა
გაჩეჩილაძეები

სახელი	მამის სახელი	გვარის მეტსახელი	ბიოგრაფიის N
1	2	3	4
ავთანდილ	გივის ძე	გუნდაეთელი	1
აზა	აკაკის ას.	ლობიო	2
ალექსანდრე (ბუტო)	გივის ძე	ოთიაშვილი	3
ალექსანდრე (ალეკო)	გიორგის ძე		4
ალექსანდრე (უშანგი)	გრიგოლის ძე	ლანჩავა	5
ალექსანდრე	ვარლამის ძე		6
ალექსანდრე (ხითო)	ივანეს ძე	ოთიაშვილი	7
ალექსანდრე	ლავრენტის ძე		8
ალექსანდრე (საშა)	ტარასის ძე	ოთიაშვილი	9
ამბერკი	ნიკოლოზის ძე		10
ანდრია	გიორგის ძე	გუნდაეთელი	11 (59*)
ანდრია	ნიკოლოზის ძე	ოთიაშვილი	12
ანზორ	გრიგოლის ძე	სუქსუქი	13
ანზორ	ნიკოლოზის ძე	ლულია	14
არკადი	ალექსანდრეს (უშანგის) ძე	ლანჩავა	15
ბაჭუა	დავითის ძე	ბელგიყლაპია	16
ბესარიონ	ზაქარიას ძე	კრეჭია	17
გივი	ალექსანდრეს ძე	ოთიაშვილი	18
გივი	გიორგის ძე		19
გივი	დოსითეოსის ძე	გუნდაეთელი	20
გივი	ვახტანგის ძე		21
გივი	რევაზის ძე	ოთიაშვილი	22
გივი	რაჟდენის ძე	ოთიაშვილი	23
გივი	სერგოს ძე	ღვირძლი	24
გივი	შალვას ძე	თხაჭამია	25
გიორგი	ალექსანდრეს ძე		26
გიორგი	ამბერკის ძე		27
გიორგი	არჩილის ძე		28
გიორგი	ზაზას ძე	ოთიაშვილი	29
გიორგი	ზარასპის ძე		30
გიორგი	ზაქარიას ძე	გუნდაეთელი	31 (59*)
გიორგი	თენგიზის ძე	ლობიო	32
გიორგი (გიგლა)	ივანეს ძე	ოთიაშვილი	33
გიორგი	კონსტანტინეს ძე	ბელგიყლაპია	34
გიორგი (გივი)	მატათეს ძე	ოთიაშვილი	35 (108*)
გიორგი	სიმონის ძე	ბელგიყლაპია	36
გიორგი	ჯონდოს ძე		37
გოჩა	გრიგოლის ძე	არონიშიძე (ოთიაშვილების შთამომავალი)	38 (114*)
გრიგოლ (გიგლა)	ალექსანდრეს ძე	ლანჩავა	39
გრიგოლ (გია)	დიმიტრის ძე	კრეჭია	40

სახელი	მამის სახელი	გვარის მეგსახელი	ბიოგრაფიის N
1	2	3	4
გრიშა	ერასტის ძე	ოთიაშვილი	41 (91*)
გრიგოლ	ექვთიმეს ძე	ჭოლპოგი	42
გრიგოლ	მაკარის ძე	ოთიაშვილი	43
გუგული	სანდროს ას	წველა	44
დავით	ალექსის ძე	ღვირძლი	45
დალი	იესეს ას.	ოთიაშვილი	46
დიმიტრი	გრიგოლის ძე	კრეჭია	47
დოსითეოს	ნიკოლოზის ძე	გუნდაეთელი	48
ლუდანა	გიორგის ას.	ბელტიყლაპია	49
ეკატერინე	მიხეილის ას.	ლანჩავა	50
ემირ	მიხეილის ძე	კვიცინა	51
ეფრემ	იესეს (სესიას) ძე	ოთიაშვილი	52
ვარლამ	ნიკოლოზის ძე	ლანჩავა	53
ვახტანგ	ვახტანგის ძე		54
ვახტანგ	მაქსიმეს ძე		55
ვახტანგ	ზოსიმეს ძე	ჭიმატი	56
ვლადიმერ	ბესარიონის ძე		57
ზაზა	გივის ძე	ოთიაშვილი	58
ზაქარია		გუნდარეთელი	59
ზურაბ	გიორგის ძე	კუნკურახი	60
თამაზ	ვახტანგის ძე		61
თამარ	ალექსანდრეს ას.	ნემსაძე (ოთიაშვილების რძალი)	62 (18*)
თამარ	გივის ას.		63
თამარ	ივანეს ას.		64
თამარ	იოსების ას.	ქვლივიძე (ოთიაშვილების რძალი)	65 (87*)
თამარ	სიმონის ას.		66
თეიმურაზ	ბერიკის ძე	კვიცინა	67
თეიმურაზ	რაჟდენის ძე	ოთიაშვილი	68
თენგიზ	ალექსანდრეს ძე	გოგება	69
თენგიზ	თომას ძე	თომაშვილი	70
თენგიზ	ივანეს ძე	ლობიო	71
თინათინ	შალვას ას.		72
თომა	ანდრიას ძე	გუნდაეთელი	73
ია	კონსტანტინეს ას.	ოთიაშვილი	74
იესე	როსტომის ძე	ოთიაშვილი	75
ივანე	ამბროსის ძე		76
ივანე	ერასტის ძე	ოთიაშვილი	77
ივანე	იპოლიტეს ძე	ლობიო	78
ივანე	კასიანეს ძე	ოთიაშვილი	79
ილიტა	ამბერკის ას.		80
ილია	ზაქარიას ძე	კრეჭია	81
ირინა	ილიას ას.	კანდელაკი (ოთიაშვილების რძალი)	82 (23*)
ირინა	დასითეოსის ას.	გუნდაეთელი	83
ირინე	ვახტანგის ას.		84
ირინა	რევაზის ას.	ოთიაშვილი	85
კარპო	მიხეილის ძე	ლანჩავა	86

სახელი	მამის სახელი	გვარის მეტსახელი	ბიოგრაფიის N
1	2	3	4
კასიანე	ეფრემის ძე	ოთიაშვილი	87
კოლა			88
კონსტანტინე	არქიფოს ძე		89
კონსტანტინე	მაკარის ძე	ოთიაშვილი	90
ლაზარე			91
ლარისა	გიორგის ას.	ქურდაძე (ლობიოების რძალი)	92 (71ბ)
ლედი	ფილიმონის ას.		93
ლევან	სამსონის ძე		94
ლევან	ჯონდოს ძე		95
ლია	ვარლამის ას.		96
ლევან	აკაკის ძე	ოთიაშვილი	97
ლილი	ვარლამის ას.	ლანჩავა	98
მაია	ანგიფოს ას.	რაფავა (ბელგიყლაპიების რძალი)	99 (36ბ)
მაკარ	ეფრემის ძე	ოთიაშვილი	100
მამუკა	გიორგის ძე	ბელგიყლაპია	101
მანანა	ალექსანდრეს (უშანგის) ას.	ლანჩავა	102
მარიამ	ზოსიმეს ას.	ჭიმაგი	103
მარიამ (ნანა)	იესეს ას.	ოთიაშვილი	104
მარიამ	მიხეილის ას.	ლანჩავა	105
მარიამ	ქსენოფონტეს ას.		106
მარინა	არჩილის ას.	ქადაგიძე (ოთიაშვილების შთამომავალი)	107 (90ბ)
მაგათე	ნიკოლოზის ძე	ოთიაშვილი	108
მაყვალა	ალექსანდრეს ას.	ოთიაშვილი	109
მეგი	გიორგის ას.		110
მეგი	იესეს ას.	ოთიაშვილი	111
მელერი	ვარლამის ძე	ღიღინა	112
მერი	ივანეს ას.	ოთიაშვილი	113
მზეთამზე (მზია)	ნიკოლოზის ას.	ოთიაშვილი	114
მიხეილ	გიორგის ძე	ღიღინა	115
მიხეილ	თეიმურაზის ძე	კვიცინა	116
მიხეილ	ნიკოლოზის ძე	ლანჩავა	117
მიხეილ	სპირიდონის ძე	ღველფიანი	118
ნელი	ალექსანდრეს (უშანგის) ას.	ლანჩავა	119
ნიკოლოზ	არსენის ძე	შურღაია (ოთიაშვილების შთამომავალი)	120 (114ბ)
ნიკოლოზ	ვიქტორის ძე	ლულია	121
ნიკოლოზ	მაკარის ძე	ოთიაშვილი	122
ნუნუ	ვიქტორის ას.		123
ოთარ	სერგოს ძე		124
პლატონ	გედევანის ძე		125
პოლიევქტ	ლუკას ძე		126
რაისა	კასიანეს ას.	ოთიაშვილი	127
რაჟდენ	ალფეზის ძე	ოთიაშვილი	128
რაჟდენ		კუნკურახი	129

სახელი	მამის სახელი	გვარის მეტსახელი	ბიოგრაფიის N
1	2	3	4
რაგი	თენგიზის ძე	ლობიო	130
რევაზ	ანდროს ძე	პაპუჩელა-ხბოსთავა	131
რევაზ	გივის ძე	ოთიაშვილი	132
რევაზ	რაჟდენის ძე	ოთიაშვილი	133
როსტომ	გალაქტიონის ძე	კვიცინა	134
რუსუდან	ვახტანგის ას.		135
რუსუდან	მიხეილის ას.	ღველფიანი	136
სევასტი	მიქელის ძე	ოთიაშვილი	137
სიმონ	გიორგის ძე	ბელგიყლაპია	138
ფილიმონ	ფილიმონის ძე		139
ქეთევან	ანდრიას ას.	ოთიაშვილი	140
ქეთევან	არჩილის ას.		141
ქეთევან (ლიანა)	კონსტანტინეს ას.	ოთიაშვილი	142
ქრისტეფორე	ანდრიას ძე	გუნდაეთელი	143
შალვა	გიორგის ძე		144
შალვა	იასონი ძე		145
შალვა	კისიანეს ძე	ოთიაშვილი	146
შალვა	ლევანგის ძე		147
შალვა	ტარასის ძე	ოთიაშვილი	148
შალვა (გურამ)	შალვას ძე	ოთიაშვილი	149
შოთა	ალექსანდრეს ძე	ბღოჭიალა	150
შორენა	თენგიზის ას.	ლობიო	151
ციალა (სიღონია)	მიხეილის ას.	ლანჩავა	152
ცინარა	ვლადიმერის ას.		153
ხათუნა	ემირის ას.	კვიცინა	154
ჯონდო	ლევანის ძე		155

წეველიძეები

სახელი	მამის სახელი	გვარის მეტსახელი	ბიოგრაფიის N
სიმონ	პავლეს ძე		156[3]
იოსებ	პავლეს ძე		157
ვიქტორ	პავლეს ძე		158
ილია	პავლეს ძე		159

ჯაჭვაძეები

სახელი	მამის სახელი	გვარის მეტსახელი	ბიოგრაფიის N
აკაკი (შოთა)	ალექსის ძე		160
გიგა	ვასილის ძე		161
გივი	ალექსანდრეს ძე	ბუღაშვილი	162
დავით	აკაკის (შოთას) ძე		163
დიმიტრი	ლევანის ძე		164
ივანე	ზაქარიას ძე		165
იზა	ზაქარიას ას.		166
მართა	გიორგის ას.		167
შაქრო (ზაქარია)	სიმონის (სიკოს) ძე		168

წევის წმ. გიორგის ეკლესიის სამრეკლო (XX ს. დასაწყისი)

"ჯაჭვის ორდენი"

პროექტის ავტორი - მურმან გელენიძე (2002 წელი)

პროექტის ავტორი - ვალერიან ტარიელის ძე გაჩეჩილაძე (2003 წელი)

საგვარეულო დარბაზს გამოცხადებული აქვს კონკურსი საგვარეულოს ღერბისა და "ჯაჭვის ორდენის" შესაქმნელად. გაცნობთ საკონკურსოდ წარმოდგენილ ნიმუშებს

კონკურსი გრძელდება!

ქუთაისის საფიჩხიის ეკლესიის მღვდელი ბელოვან
ეფრემის ძე გაჩეჩილაძე და მისი მეუღლე კატო

ილორის ეკლესიის მღვდელი ეფთვიმი ეფრემის ძე
გაჩეჩილაძე და მისი მეუღლე ასინეთი



წევის საშუალო სკოლა.

რეპრეესირებული გუნდაეთელი გაჩეჩილაძეების ოჯახი

სხედან: ცენტრში ნიკოლოზ ანდრიას ძე (1847-1953) - ოჯახის უფროსი, სურათის მარცხენა კიდეში მისი მეუღლე ეკატერინე (კატო) გველესიანი, მათ შორის მათი ვაჟი სერგო, მარჯვენა კუთხეში ირაკლი ნიკოლოზის ძე, მისგან მარცხნივ მისი მეუღლე, დაგნან: მარცხნიდან მეორე დოსითეოს ნიკოლოზის ძე, მისგან მარცხნივ მისი მეუღლე. მაჯარცხნიდან მეოთხე ამბროსი ნიკოლოზის ძე, მისგან მარცხნივ მისი მეუღლე ქსენია.

მათ შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია 93 გვერდზე(სტატია №48)

გაჩეჩილაძეებისა და ჯაჭვაძეების ერთი ჯგუფი სიონის საკათედრო ტაძართან საგვარეულოს დალოცვის წლისთავზე 2003 წლის 9 მარტს.

"საგვარეულო დარბაზის" წევრთა ერთი ჯგეფი "თელას" შენობასთან "დარბაზის სხდომის შემდეგ. 2004 წლის 6 ივლისი.
უკანა პლანზე: გივი, ემირ, რევაზ, როსტომ, თენგიზ ივანეს ძე და თენგიზ ალექსანდრეს ძე გაჩეჩილაძეები.
წინა პლანზე: ეკატერინე გაჩეჩილაძე, გოჩა არონიშიძე.

საგვარეულოს პრეზიდენტები - თენგიზ თომას ძე (სათვალიანი მარჯვნივ) და თენგიზ ივანეს ძე (სათვალიანი მარცხნივ) სტუმრად ზიკილიელ გაჩეჩილაძეებთან. 2002 წლის 7 სექტემბერი.

წევის სკოლათან. 2003 წლის 27 ივლისი. დგანან: მარცხნიდან-მანანა გაჩეჩილაძე, გიგლა ხარატიშვილი, ნელი, ეკატერინე, თენგიზ თომას ძე, ლილი (ლეილა), ციური გაჩეჩილაძეები.
წინა პლანზე იზა ჯაჭვაძე

გაჩეჩილაძეების ერთი ჯგუფი წევაში 2002 წლის 28 ივლისს

გაჩეჩილაძეების კრება წევის ეკლესიის ეზოში 2002 წლის 28 ივლისს

გაჩეჩიღაძეების ერთ-ერთი „შტოს“ გენეალოგიური ხე



ინფორმაცია მოგვაწოდა ვ.ვ. გაჩეჩიღაძემ (2010)

1. ღევანი – (1905 – 1981) საქ. დამსახ. ინჟინერი, სპი ენერგეტიკის ფაკ. დეკანი, ენგუჩჩესის მშენებლობის უფროსი (1963 – 1166.)...
2. ვასილი – (1883 – 1946) – მოსკოვი. სამხედრო კომისრის მოადგილე, პოლკოვნიკი. დაჯილდოებულია ორდენებით და მედლებით...
3. ვახტანგი – (1914 – 1991) – საქ. დამსახ. ექიმი. სუ. ფსიქიატრიის კბ-ის ჰოსპიტალის თავმჯდომარე...
4. იოსები – (1913 – 1983) – იურისტი. ქ. თბილისის პროკურატურის უფრ. გამომძიებელი. 26-კომისრის სახ.-პოლიტიკის მაჯგილე...
5. ზაქარია – (1911 – 1969) – საქ. დამს. იურისტი, ქ. ხუსთავის ჰოლიტიკური, ეს.პ. მნიშვნ. ტექსტილ. ქარხნის. დაჯილდოებულია მრავალი მედლით...
6. მიხეილი – (1916 – 1982) – საქ. დამს. ზოოვეტერინარი, თბილისის ზოოვეტ. ინსტიტუტის კათედრის დოცენტი. ხუს. მნ. ქარხნ. ქონლიანები...
7. აკაკი – (1910 – 1957) – საქ. ავტოტრანსპორტის სამსახურის ბუღალტერი. დაჯილდოებულია 4 მედლით.
8. ჯონდო – (1936) – საქ. დამს. ინჟინერი... 9. თამაზი – (1939) საქ. ბელოკ-ბიზნესის აკადემიის წევრი, ბელოკ-ბუნ. დოქტორი, პროფესორი. თბილისის ბელიატრიის ინსტ. ხელმძღვანელი, თსსუ ბავშვთა ქირურგიის კათედრის პროფესორი.
10. ვახტანგი – (1947) – სს.ქირურგიის ეროვნული ცენტრის უფრ. მეცნ. თანამშრომელი, ექიმი-ოფთალმოლოგი, სახელმწ. მრჩეველი.
11. თენგიზი – (1938 – 2002) ხუსთავის ქიმკომბინატის უფრ. ტექნიკოსი. 12. მიღხაზი – (1941) – ინჟინერი. 13. ივანე – (1952) – ინჟინერი.
14. ჯარღო – 1946 – თბილისის ცხიმკომბინატის სამსახ. ხელმძღვანელი. 15. მინდია – (1957) – ინჟინერი. 16. ღევან ჯონდოს ძე (1964) – საქ. პარლამენტის წევრი. 17. გოჩა ჯონდოს ძე – მსახიობი „ყვარი“. 18. ვახტანგ თამაზის ძე – (1963) ექიმი, ბელოკ-ბუნ. ტანდილური 19. ვახტანგ ვახტანგის ძე – (1975) – „ამბ. ხალიჩა“ თანამშრომელი.

„ვარსკვლავით“ (*) აღნიშნულ ქარხნებზე ბიოგრაფიები შეტანილია ამავე ჯიბეში.

მოსე გაჩეჩიაძის შთამომავლობა



№2. ქიმენი - ძაღლზე კოღორიფუტი ჭირონ-ნება იყო. გაგიჟებით ფუტვარდა ოჯერა, ნამცხვრები და ფიტრისოფია. თვითნასწავლი მექანიკოსი.

№3. სიმონი - ძაღიან გულთბილი და უფრაღლები-ანი, კარგად განათლებული ადამიანი იყო (პროფე-სიით მგონი ეკონომისტი). განათლება ხუსეთში ჰქონდა მიღებული. თვითონაც ღამაზი იყო და ფუ-ლადაც ღამაზი და კარგი ქალი (4 შვილიანი) შეირთო.

№4 მარიამი - ცნობილი გინეკოლოგი იყო.

№5 ეღენე - ხამაზ ხხიკვაძის დედა, მცმღერალი იყო. გათხო-ვების შემდეგ მომღერლობას თავი დანებება.

№6. თამარი - ამხანაზზე იყო გათხოვილი. ყავს ერთი შვილი - ვალერი თურბა.

№7. ნაფაღია (ნაფაშე) - ექიმი იყო.

№8. შაღვა - ინჟინერი - ჰიდროლოგი. დაიკარგა ფუზა-ფუკვლ ფრონტზე.

№9. ვახფანგი - ინჟინერ-გამმგზავნებელი - ძაღიან ნიჭიერი. გარდაიცვალა 1958 წელს 38 წლისა.

№10. მოსე - ბოღოს ხელოსნობა დაიწყო. ყოვლა ხუსი ცოლი.

№11. ღევანი კარგი ინჟინერი იყო. №12. ევრიკო - გათხოვდა ქაჭუაშვილზე. დარჩა ერთი ვაჟი.

№13. გივი - ექიმი იყო. ამჟამად პენსიაზეა. №14 რუსუდანი - ცნობილი მოქანდაკეა, თბილისის საამხაფვრო აკადემიის პროფესორი.

ინფორმაცია მოგვაწოდეს რუსუდან ვახფანგის ას. და მეგი იესეს ას. გაჩეჩიაძეებმა

გუნდაეთელ გაჩეჩიძეთა გენეალოგიური ხე



სქემა შეადგინა ავთანდილ გივის ძე გაჩეჩიძემ.

ვარსკვლავით (*) აღნიშნულ პირთა ბიოგრაფიები შეტანილია წინამდებარე კრებულში.



„ვარსკვლავით" (*) აღნიშნული პირთა ბიოგრაფიები შეტანილია წინამდებარე კრებულში.
ამავე გენეალოგიური შტოს წარმომადგენლის ეკუთვნის, აგრეთვე, ბიოგრაფია № 154.
სქემა შეადგინა ემირ მიხეილის ძე გაჩეჩილაძემ.


(ოთიაშვილების) გენეალოგიური ხე
გაჩეჩილაძეების
დიდი ოთია
ნიკოლოზ ოთიას ძე 1831 წ. შეეძინა იობი
კიკოლა ოთიას ძე 1832 წ. მეუვარეა
სიმონა ოთიას ძეს 1816 წ. შეეძინა სიმონი
ოსკომი
იესე-სესია
მიქელი
იობი
ჰაცარია ოთია
ალექსანდრე
აკაკი
სოლომონი
მიხეილი
აღფეზი
ეფრემი
სამსონი
სევასტი
ეროსტი
ალექსანდრე
ალექსანდრე
ალექსანდრე


1. ლორეშელი გაჩეჩიდაძე (ლვირძლების)
დიმიტრი
გენეალოგიური ხე
2.
თევდორე
ივანე
ბასილი
გიორგი
3.
4.
5.
6.
7.
8.
ლევანი
კონსტანტინე
ლაშა
სქემის პროექტი შეადგინა ირმა კაკაურის ას. გაჩეჩიდაძემ იესებ ნესტორის ძე გაჩეჩიდაძის დახმარებით.
ბასილის მომზადებას კურირება გაუწია გივი სერგოს ძე გაჩეჩიდაძემ



„ვარსკვლავით"(*) აღნიშნული პირთა ბიოგრაფიები შეტანილია წინამდებარე კრებულში.

ამავე გენეალოგიური ხის წარმომადგენლებს ეკუთვნით, აგრეთვე, ბიოგრაფიები № 50, 97, 102, 105, 119, 152.

სქემა შეადგინეს ეკატერინე მიხეილის ას. და ნელი აღექსანდრეს (ყშანგის) ას. გაჩეჩილაძეებმა.





„ვარსკვლავით" (*) აღნიშნულ პირთა ბიოგრაფიები წარმოდგენილია წინამდებარე კრებულში.

ინფორმაცია მოგვაწოდა იზა ზაქარიას ას. ჭეჭვაძემ

გაჩეჩიღაძეების (საკუთარი ოთიაშვილების) გენეალოგიური ხე





სქემის პროექტი მოამზადა გოჩა არონიშიძემ

შემოკლებებისა და აღნიშვნების ახსნა

***** – ასეთი ვარსკვლავით აღნიშნულია იმ პირთა სახელები, რომელთა ბიოგრაფიები შეტანილია წინამდებარე კრებულში.
† –ჯვრით აღნიშნულია სასულიერო პირთა სახელები.
ა\კ – ამიერკავკასია
ალკკ – სრულიად საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირი.
გ. – გაზეთი, ან გარდაიცვალა (კონტექსტის მიხედვით).
გაზ. – გაზეთი.
განყ. – განყოფილება
დ. – დაბა, ან დაიბადა. (კონტექსტის მიხედვით).
დ\ე – დასავლეთ ევროპის.
თსსა – თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია.
თსსი – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი.
თსსუ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი.
თსუ – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
კპ –კომუნისტური პარტია.
ლიტ. – ლიტერატურა.
მდ. – მდინარე.
მედ. – მედიცინის.
მეცნ. – მეცნიერი, მეცნიერებათა.
მიწგანი – მიწების განაწილება.
პედ. – პედაგოგიური.
პ-ტი – პორტრეტი.
ჟ. ან ჟურ. – ჟურნალი.
რ. – რაიონი.
საქ. – საქართველო.
საშ. – საშუალო.
სახ. – სახელმწიფო ან სახელობის (კონტექსტის მიხედვით).
სეგ – საქართველოს ეროვნული გალერეა.
ს\კ – სამეცნიერო კვლევითი.
სკკპ – საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია.
სმაკ – საქართველოს მეცნიერებათა აკადემია.
ს. ან სოფ. – სოფელი.
სპი – საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი.
ს\ს – სააქციო საზოგადოება.
სსსი – საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი.
სტუ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.
უფრ. – უფროსი.
ფაკ. – ფაკულტეტი.
ქსე – ქართული საბჭოთა ენციკლოპედია.
შს – შინაგან საქმეთა.
შსს – შინაგან საქმეთა სამინისტრო.
ცკ – ცენტრალური კომიტეტი.

ს ა რ ჩ ე ვ ი

სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის უწმინდესისა
და უნეტარესის ილია II მიერ გაჩეჩილაძეთა საგვარეულოს
დალოცვის ტექსტი;
შემდგენელ-რედაქტორისაგან;
ეკატერინე გაჩეჩილაძე-“მასალები გაჩეჩილაძეთა საგვარეულოს
ისტორიისათვის”;
შენიშვნები სტატიისათვის -“მასალები გაჩეჩილაძეთა საგვარეულოს ისტორიისათვის”;
ეკატერინე გაჩეჩილაძე - “ჯაჭვაძეების კვალდაკვალ”;
შენიშვნები სტატიისათვის - “ჯაჭვაძეების კვალდაკვალ”;
გოჩა არონიშიძე -“ღვთისმსახური გაჩეჩილაძეები”;
კონსტანტინე გაჩეჩილაძე - “წევის სკოლა ას ათი წლისაა”;
გაჩეჩილაძეთა ბიოგრაფიები;
წეველიძეთა ბიოგრაფიები;
ჯაჭვაძეთა ბიოგრაფიები;
XX საუკუნის ომებში დაღუპულ გვარიშვილთა სია;
საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულებები და განკარგულებები 1992 – 2002 წლებში გაჩეჩილაძეებისა და ჯ აჭვაძეების სახელმწიფო ჯილდოებით დაჯილდოების შესახებ;
“გაჩეჩილაძეთა, ჯაჭვაძეთა და წეველიძეთა საგვარეულო დარბაზის” პირველი
შემადგენლობა (2001-2005);
წიგნში წარმოდგენილი ბიოგრაფიების ნუსხა;
ფოტოები;
გენეალოგიური სქემები;
შემოკლებებისა და აღნიშვნების ახსნა;
სარჩევი.

ნახაზები შეასრულა და ყდა გააფორმა

ეკატერინე გაჩეჩილაძემ